საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

თორნიკე ასათიანი

ქართული გერბთმცოდნეობა

(ჰერალდიკა)

თბილისი

2002

UDC 929.6(479.22)

რედაქტორი: ისტორიის მეცნირებათა დოქტორი, პროფესორი გიული ალასანია.

რეცენზენტები: ისტორიის მეცნირებათა დოქტორი, პროფესორი ნანა ხაზარაძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნიკო ჯავახიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანაშრომლის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის თორნიკე ასათიანის წიგნი "ქართული გერბთმცოდნეობა (პერალდიკა)" წარმოადგენს საქართველოსთან დაკავშირებული ყოველგვარი ტიპის, სახეობის — სახელმწიფო, საშხარეო, საქალაქო, კორპორაციული და საგვარეულო გერბის კომპლექსურად შესწავლის პირველ ცდას.

წიგნში მოყვანილი საგერბე გამოსახულებებიდან მრავალი პირველად გამოიცემა. მოცემულია მათი შეძლებისდაგვარად დაწვრილებითი აღწერილობა. ასევე პირველად ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილია ქართული გერბთმცოდნეობის განვითარების ავტორისული პერიოდიზაცია.

წინამდებარე გამოცემა გათვლილია, როგორც ისტორიის სპეციალისტებისთვის ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებული მადლობა: რაული ჩაგუნავას, თამაზ ბერაძეს, გიული ალასანიას, ნანა ხაზარაძეს, ნიკო ჯავახიშვილს, ელდარ შენგელაიას, გიორგი ჯილინბახოვს, ქეთევან ჯავახიშვილს, ანრი ბოგვერაძეს, ნათელა ქაჯაიას, ჩემს მშობლებს აკაკი ასათიანს და ირინე აბულაძეს, ჩემს მეუღლეს რუსუდან ასათიანს.

ფოტოები: დავით ცხადაძე, ვლადიმერ ვალიშვილი, რუსუდან ასაოიანი.

რეზიუმეს ინგლისური თარგმანი: ლია გაბეჭავა.

ილუსტრაციების კომპიუტერული დამუშავება: რუსუდან ასათიანი.
გარეკანის დიზაინი: რუსუდან ასათიანი.
გარეკანზე გამოყენებულია საქართველოს სამეფოს გერბი რუსეთის მეფის ალექსი მიხაილის ძე 1672 წლის "ტიტულიარნიკიდან".

წიგნი ეძღვნებათ ჩემს მშობლებს ირინე აბულაძე-ასათიანსა და აკაკი ასათიანს, რომელთაც მრავალი წლის წინ პირველმა გაამახვილა ჩემი ყურადღება ქართულ პერალდიკაზე — საქართველოს ისტორიის აქამდე ესოდენ ნაკლებ შესწავლილ და ბოლო ხანამდე დაუმსახურებლად მივიწყებულ დარგზე.

ISBN 99928-0-508-0

© თ. ასათიანი, 2002.

შესავალი

პერალდიკას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ტრადიცია აქვს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში არსებული ერთგვარი იდეოლოგიური ტაბუების გამო საისტორიო მეცნიერების ეს დამხმარე დარგი წლების მანძილზე მეტად სუსტად შეისწავლებოდა. ამ მიზეზით და აგრეთვე უკანასკნელ ხანს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად პერალდიკისადმი საზოგადოებაში გაღვივებული ინტერესის გამო აუცილებელი შეიქნა მოცემული საისტორიო დისციპლინის ზედმიწევნითი გამოკვლევა და ქართულ ისტორიოგრაფიაში მისთვის კუთვნილი ადგილის მირნა, დამკვიდრება.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას მიზნად ვისახავდით ამ თავისებური ვაკუუმის შევსებას და ქართული პერალდიკის დარგში საფუძვლიანი სამეცნიერო მონოგრაფიის შექმნას. ბუნებრივია იგი ვერ იქნება აბსოლუტურად ამომწურავი, თუმცა შევეცდებით მას'ში წარმოვაჩინოთ თემის ძირითადი პრობლემატიკა და შეძლებისდაგვარად გადაეცრათ იგი, ზოგიერთი საკითხის დაზუსტება ან გამოკვლევა კი მომავალ სამეცნიერო ძიებას მივანდოთ.

თემატიკის სიახლის გამო დავიწყოთ თავიდან — დავსვათ შრომის საზღვრებისა და საკვლევი სფეროს განმაპირობებელი პრინციპული ორი კითხვა:

რა არის გერბი? გერბი არის რომელიმე კერძო წარჩინებული ან იურიდიული პირის შემკვიდრეობით გარდამავალი და დადგენილი წესების მიხედვით შედგენილი სიმბოლური გამოსახულება ანუ გამოსარჩევი ნიშანი;

რა არის პერალდიკა? პერალდიკა არის გერბების შექმნის წესების მარეგულირებელი და უკვე შექმნილი გერბების შესწავლელი მეცნიერება — დამხმარე საისტორიო დისციპლინა. პერალდიკის ჩვენეულ ახსნა'ში იმთავითვე ძევს მისი, ასე ვთქვათ, ორმაგი განმარტება. თუმცა, ბოლო ხანს ამ სიტყვას შესამე უფრო მრავალისმომცველ, განვრცობილ შინაარსსაც მატებენ ხოლმე და პრაქტიკულად ნებისმიერი სახის, ეპოქის სიმბოლურ გამოსახულებას პერალდიკის სფეროში აქცევენ. ჩვენი აზრით ეს არ არის მართებული. თვით სიტყვა "პერალდიკა" ბუნებრივად მომდინარეობს "პეროლდიდან" (გერ. "heerall" — თავდაბირველად ვეტერანი მებრძოლები, რომლთა ტურნირებზე, დღესასწაულებსა და ორთაბრძოლებზე დასწრება საპატიოდ ითვლებოდა[1]). იგი შეასაკუთრებინა სპეციალური ტერმინია, რომელიც თავისი წარმოქმნიდან მოყოლებული დღემდე სრულიად კონკრეტული შინაარსით იხმარებოდა. ამის გამო მიუღებლად, უადგილოდ და არასაჭიროდ მიგვაჩნია მისი თავისთავადი შინაარსის გაუმართლებელი გაფართოება. ამასთანავე სხვადასხვაგვარი სიმბოლური გამოსახულებანი ზოგადად სიმბოლიკის ფარგლებში ექცევა და ამ მხრივ თვით პერალდიკაც კი შესაძლოა ნაწილობრივ მაინც ამ ზოგადი სიმბოლიკის საზღვრებში უნდა მოვიაზროთ. მოცემულ შემთხვევაში არც ის არის მართებული, რომ ვინაიდან არ არსებობს ამგვარი სპეციალური საისტორიო დისციპლინა — სიმბოლიკა, ამიტომ ნებისმიერი სიმბოლო პერალდიკას მივაკუთვნოთ და სწორედ მის სპეციალისტებს მივანდოთ ყოველგვარი სიმბოლოგიის კვლევა. ჩვენის ღრმა რწმენით ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სიმბოლო რაიმენაირად ეხება გერბს, ხოლო თუ სიმბოლო მარტოდენ, ვთქვათ, მონუმენტზე ან ბეჭედ'ზეა გამოსახული, მაშინ იგი შესაბამისად ნუმიზმატიკის და სფრაგისტიკის საკვლევი საგანი ხდება.

სანამ საკუთრივ ქართული პერალდიკის საკითხებს შეეხებით, ვფიქრობთ, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ კლასიკური დასავლეთ-ევროპული გერბთმცოდნეობის ძირეული კანონები.

თავად სიტყვა — გერბი (Wappen — გერ. Coat of Arms — ინგ. armoiries — ფრ.) ბოლონური herb-იდან წარმოდგება და შემკვიდრეს, შემკვიდრეობას ნიშნავს.[2]

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დანიშნულებით გარკვეულ სიმბოლოთა ხმარება ადრეულ ხანაშიც გვხვდება, პერალდიკის დასაბამად XI ს. ითვლება. მძიმედ შეიარაღებული, თავით-ფეხებამდე შეჯავშნულ რაინდებს თავისი ყინაობის, ეტიკეტ, მრწამსის და ხასიათის წარმოჩენა მარტოოდენ ფარით შეეძლოთ. დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ უკვე ჩამოყალიბებულ ფეოდალურ პრეცედენტებულ ფენას წინაპართა გმირობებით თავმოწონეობა და მათი საშეილიშვილოდ აღბეჭდვა სურდა. ეს პროცესი კიდევ უფრო განავრცო XII ს-ში დაწყებულმა დასავლეთ ევროპელ თავად-აზნაურთა ჯვაროსნულშა ლაშქრობებმა. არანაკლები დამსახურება მიუძღვის პერალდიკის ჩამოყალიბებაში სტრატინდო ტურნირებსაც.

შალვეც, პერალდიკის განვრცობასთან ერთად გაჩნდა აუცილებლობა იმ პირთა არსებობისა, ვინც შექმნიდა ახალ და აღწერდა თუ შეისწავლიდა უკვე არსებულ ძველ გერბებს — ასე წარმოიშვნენ

[1] П. Винклер-фон. Ст: Геральдика. Энциклопедический словарь. Изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон. т. VIII. С-Пб. 1893 г. ст. 460-461.
[2] Там же

პეროლდები. ხოლო XIV ს-ში შეიქმა პირველი საგერბეები — სპეციალური წიგნები, რომლებშიც შეიდიოდა მიღებული წესრიგით დალაგებული გერბები, აღწერილობა-ბლაზონირებითურთ. ბლაზონირება (blasoner ფრ.) ჰერალდიკური ტერმინია და ნიშნავს გერბის აღწერას მკაცრი წესების დაცვით. საზოგადოდ, ჰერალდიკის ძირითად ენად ძველფრანგული მიიჩნევა და სწორედ აქედან წარმოიქმნება ტერმინების უმეტესობა.

საგერბის კომპოზიციის საფუძველია ფარი (ecu). ფარი შედგება ველის (champs) იგივე ფონი, ფერების (les emaux) და გამოსახულების ანუ ფიგურებისგან (les figures). ფარის ფორმებს გამოყოფენ ქვეყნების მიხედვით: ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ბოლონური, ესპანური და ა. შ. ამათგან ყველაზე გავრცელებული არის ფარის ფრანგული ფორმა.

თავიდანვე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ჰერალდიკაში მარჯვენა-მარცხენა მხარეები შებრუნებულია, რადგან გამოსახულება მას შეხედავს ადამიანის კი არა, ფარის მატარებელი რაინდის მხრიდან განიხილება. ეს წესი იმისთვის იქნა შემოღებული, რომ ფარზე, რომელიც, ბუნებრივია მხედრის მარცხენა მხარზე ეკიდა, გამოსახული ცოცხალი ფიგურები მოწინააღმდეგისგან გამქცევნი არ გამოჩენილიყვნენ.[3]

ფარი შესაძლოა იყოს დაუყოფელი, მთლიანი ე. ი. მარტივი (simple) ან დანაწევრებული ანუ შედგენილი (ecu compose).[4] არსებობს დაყოფის ოთხი ძირითადი სახეობა: გაკვეთა (per pale) შვეულად, გადაკვეთა (per fess) განივად, ჩამოკვეთა (per bend) ირიბად, ჩამოკვეთა მარცხნიდან (per bend sinister). ამ უმთავრესი ნაწილების შეერთებით წარმოქმნილ დაყოფებს მეორეხარისხოვანი ეწოდება: ოთხნაწილიანი (per cross) გაკვეთილ-გადაკვეთილი, ორმაგად ჩამოკვეთილი (per saltire) წმ. ანდრიას ჯვრისებრ, შევრონი (per chevron) გაკვეთა-ჩამოკვეთების ერთობა, რვაკუთხოვანი სოლებად დანაწევრებული ანუ დასოლილი (gyronny) და სხვ.[5]

ევროპულ ჰერალდიკაში ფერები ორ ლითონად და ხუთ მინანქრად არის დაყოფილი. ლითონებია: ოქრო (or, ყვითელი, გრაფიკულად გამოისახება წერტილებით), გაშოხატავს ძალას, დიდგვაროვნებას, სიმდიდრეს, დიდსულოვნებას; ვერცხლი (argent, ვერცხლისფერი, გრაფიკულად არ აღინიშნება, უბრალოდ სუფთა ველი) — უმწიკვლობა, უცოდველობა, სისუფთავე, კეთილშობილება. მინანქრები: მეწამული (gules, წითელი, შვეული ხაზები) — სიმამაცე, სიქველე, ვაჟკაცობა; ლაჟვარდი (azure, ლურჯი, თარაზული ხაზები) — სიდიადე, სილამაზე, ერთგულება; შავი (sable, ურთიერთმკვეთი შვეული და თარაზული ხაზები) — მწუხარება, სიბრძნე, თავმდაბლობა; მწვანე (vert, ირიბი ხაზები მარჯვნიდან) — ღირსება, სიყვარული, ნაყოფიერება; პორფირი (purpure, მოიისფრო ძოწისფერი, ირიბი ხაზები მარცხნიდან) — სიუხვე, თავმდაბლობა.[6]

ამასთანავე, აკრძალულია ლითონის ლითონზე და მინანქრის მინანქარზე დატანება, რაც ნაკარნახებია იმით, რომ ფარები ბრძოლისას უფრო თვალშისაცემი და აღვილი გასარჩევი ყოფილიყო.[7] თუმცა, გვხვდება ეშვიათი გამონაკლისებიც. თავდაპირველად, ფერები მართლაც ლითონებთა და მინანქრით გამოიხატებოდა, მაგრამ XVII საუკუნეში მცხოვრებმა იეზუიტმა პეტრა-სანქტამ საბოლოოდ შეიმუშავა ზემოთ მოყვანილი სისტემა, რომელსაც მისივე სახელი შერჩა — Petra Sancta.[8]

ფერებთან ერთად არსებობს ორი ძირითადი სახის ჰერალდიკური ბეწვი — სიასამურის (ermine, შავი თეთრზე და არა ჟერცხლზე) და ციყვის (le vair, ლურჯი თეთრზე) და აგრეთვე მათი ვარიაციები.[9]

გერბის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია ფიგურები. ისინი ორგვარია: ჰერალდიკური, ქვეყნად არარსებული, სპეციალურად ჰერალდიკისთვის შოგონილი და არაჰერალდიკური, ბუნებიდან ან ადამიანის წარმოდგენიდან აღებული. ამ ორთაგან პირველი — ჰერალდიკური ფიგურები სამად იყოფა — საპატიონი: თავი, ბოძი, ქამარი, სარტყელი, ნიყნიყი (ზოგჯერ სხვა ფიგურებსაც ამატებენ ხოლმე); ჯვრები: პირდაპირი ანუ სწორკუთხა, ირიბი ანუ წმ. ანდრიასებრი, ჩანგლისებრი, ცვაყილოვანი და ა. შ.; მეორეხარისხოვანნი: რომბი, სოლი (le giron), თაყისუფალი ნაწილი (იგივე canton), პირველი მეოთხედი (le franc quartier) და სხვ. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, არაჰერალდიკურ ფიგურებს, ისიც თავის მხრივ

---

[3] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия" 1985 г. ст. 11.
[4] А. Б. Лакиер. Русская геральдика. Изд. "Книга". М. 1990 г. ст. 29.
[5] Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. New York. 1987. p. 143.
[6] Ibidem. p. 267-343;
А. Б. Лакиер. Русская геральдика. Изд. "Книга". М. 1990 г. ст. 33;
М. Медведев, Г. Вилинбахов. Геральдический альбом. Жур. «Вокруг света». № 2. 1990 г. ст. 26.
[7] Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. New York. 1987. p. 343.
[8] ibidem. p. 343.
[9] ibidem. p. 157.

საშად ნაწილდება: ბუნებრივი — გარემო სამყაროში თავისთავად არსებული; ხელოვნური — ადამიანის მიერ ხელშექმნილი საგნები; ლეგენდარული ან წარმოსახვითი — რეალურად ხელშეუხებული ფანტასტიკური არსებები და სიმბოლოები. ფიგურები, წინა მხრით, აუცილებლად მარჯვენა პერალდიკურ მხარეს უნდა იყოს მიმართული.

საგერბე კომპოზიციის უკვე განხილული ძირითადი შენადგენელი ნაწილების გარდა არსებობს კიდევ მთავარი ფარის გარშემო განლაგებული მრავალი წვრილი, მაგრამ ფრიად მეტყველი და მნიშვნელოვანი ელემენტი.

გვირგვინი (couronnes). სხვადასხვა შემთხვევაში, შესაძლოა მიუთითებდეს ქვეყნის სუვერენიტეტზე, გერბის მფლობელის წოდებრივ მდგომარეობაზე, ქალაქის სიდიდეზე. თანაც, ცალკე ქვეყანაში გვირგვინებს გააჩნიათ რიმე ნაციონალური თავისებურება.

მუზარადების (les casques) მეშვეობით ხშირად ამოიცნობა ხოლმე ბატრონის აღგილი ფეოდალური იერარქიის კიბეზე.

მუზარადს ზოგჯერ ადევს ბეწვით დაბანგული ნაჭრის რგოლი — ბურელეტი (le bourelet), როგორც წესი მთავარი ფარის ფერებით დახლილი.

შუა საუკუნეებში მუზარადს აკრავდნენ ერთგვარ ქსოვილს, რომელიც მას იცავდა წვიმისა და მზისგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჯვაროსნებისთვის აზიის სიმცხუნვარეში.[10] ბრძოლებში ნაჭური ძლიერ იქექებოდა. სწორედ აქედან მოდის პერალდიკის ერთ-ერთი სპეციფიკური ელემენტი — ლამბრეკენი (les lambrequins) იგი მუზარადიდან გამოდის და ბურელეტისებრ, გერბის უმთავრეს ფერებშია გადაწყვეტილი.

მუზარადის თავი (le cimier) წარმოადგენს ჩაჩქანზე შემდგარ ფიგურას, რომელიც მეტწილ გერბის ცენტრალური გამოსახულების იდენტურია. ეს იმ უძველესი დროის ტრადიციის გამოძახილია, როცა მეომრები ზურზე მრავალგვარი ტოტემური ან სხვა წარმომავლობის ფიგურებს იკეთებდნენ (გავიხსენოთ თუნდაც ვახტანგ გორგასლის მაგალითი).

ფარისმჭვირთველნი (tenants ou supports) არიან ბუნებრივი ან ლეგენდარული, ხულიერი არაპერალდიკური ფიგურები, რომელთაც ცალი, უფრო ხშირად კი ორივე მხრიდან უპყრიათ ფარი. მათი წარმოშობა აიხსნება იმით, რომ ტურნირებისას, რაინდის კეთილშობილების დასამტკიცებლად გამოფენილ ფარებს საჭურველმტვირთველები ან რეალურ თუ ფანტასტიკურ ცხოველებად გადაცმული პირები იცავდნენ.[11]

მანტიის (le manteau) ანუ ღირსების მოსასხამის ქვეშ განათავსებდნენ გერბებს დიდგვაროვანი აზნაურები: ბრინცები და დიუკები, თავადები.[12] არ უნდა აგვერიოს მაგალითში (tabernacle), რომელიც მარტოოდენ გვირგვინოსანთა პრივილეგია იყო.[13] საგერბე კომპოზიციის შემადგენელი ეს ორივე ელემენტი სარაინდო ტურნირების მონაწილეთა კომფორტულად განსათავსებლად გაშლილ კარვებს ასახავს.

დევიზი (mot) ეწოდება, უმთავრესად ფარქვეშ მოთავსებულ ბაფთაზე დატანებულ ლაკონურ გამონათქვამს. იგი გარკვეულწილად უნდა ხსნიდეს გერბს, გამოხატაედეს მფლობელის ხასიათს ან საბრძოლო შეძახილს,[14] მაგრამ ზოგჯერ დევიზის შინაარსი მხოლოდ შემქმნელისთვის იყო ცნობილი.[15] თუ ფარი მრგვალია დევიზი გარს ერტყმის ხას.[16]

დასავლეთ ეეროპულ პერალდიკაში არსებობს გერბის აღწერის ანუ ბლაზონირების ზედმიწევნით განსაზღვრული წესი, ფორმა. თავდაპირველად ხასიათდება ფარი, დაყოფის შემთხვევაში მისი ნაწილები მკაცრი რიგის მიხედვით განიხილება, შემდეგ კი, ახვევ გარკვეული თანმიმდევრული კანონების დაცვით აღიწერება ფარს შეშორტემული ელემენტები ანუ ფარსგარე შესამკობლები.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, გვსურს თავიდანვე მოვიწიშნოთ საკვლევი საგნის საზღვრები. წარმოდგენილი სამეცნიერო შრომა ეძღვნება ქართულ პერალდიკას (სიტყვის პირდაპირი და არა, ასე ყოქვათ, განურცობილი გაგებით) ანუ გერბთმცოდნეობას. ეს ნიშნავს, რომ ძასში ძირითადად განხილული იქნება ჩვენს ხელთ არსებული საქართველოში შექმნილი უკლებლივ ყველა საგვარეულო (არა აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ქართული თუ უცხოური გვარი), სამხარეო თუ ე. წ. კორპორაციული

---

[10] Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. New York. 1987. p. 231.
[11] А. Б. Лакиер. Русская геральдика. Изд. "Книга". М. 1990 г. ст. 49.
[12] Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. New York. 1987. p. 231.
[13] ibidem. p. 263.
[14] П. Винклер-фон. Ст: Геральдика. Энциклопедический словарь. Изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон. т. VIII. С-Пб. 1893 г. ст. 462.
[15] Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. New York. 1987. p. 248.
[16] М. Медведев, Г. Виленбахов. Геральдический альбом. Жур. «Вокруг света». № 2. 1990 г. ст. 28.

გერბი, აგრეთვე უცხოეთში დაფიქსირებული საქართველოსთან რითიმე მაინც დაკავშირებული ნებისმიერი სახის და ტიპის გერბი. ყურადღებას გავამახვილებთ იმაზეც, რომ მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილ ამ ნაშრომში საკვლევ ობიექტს სწორედ გერბები და მათი შემადგენელი სიმბოლოები წარმოადგენს. სხვა სიმბოლურ გამოსახულებებს კი შევეხებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი შეხედულებით იგი აღმოჩნდება რომელიმე კონკრეტული საგერბე სიმბოლოს წინამორბედი ან კიდევ სხვა რაიმეგვარად იქნება დაკავშირებული მასთან.

საკუთრივ გერბთმცოდნეობით კვლევას თან ერთვის პერალდიკასთან დაკავშირებულ წყაროთა მიმოხილვა, საქართველოში საკითხის შესწავლის ისტორია, ინტერნეტის ქსელში განთავსებული ქართული და ზოგადი პერალდიკისთვის საინტერესო მასალების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, ტერმინოლოგიური გლოსარიუმი, ემბლემატიკური ლექსიკონი, საძიებლები და სხვადასხვაგვარი ცხრილები.

ქართული გერბთმცოდნეობის წყაროები

გერბთმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანი მასალის შემცველი წყაროები საზოგადოდ ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი — ასე ვთქვათ დოკუმენტური, ანუ საგერბე გამოსახულებების ან აღწერილობების შემცველი საბუთები, წერილები, საგერბეები და ა. შ.; მეორე — მატერიალური, ანუ პერალდიკური სიმბოლიკის შემცველი მატერიალური კულტურის ძეგლები, სხვა გამოყენებითი დანიშნულების მქონე საგნები და საფლავის ქვები. აღსანიშნავია, რომ ქართული პერალდიკისთვის საინტერესო ორივე ჯგუფის წყაროები საკმაოდ უხვად მოგვეპოვება, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ქართული წყაროები

მშობლიურ გერბთმცოდნეობასთან დაკავშირებულ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ საისტორიო წყაროებს ქრონოლოგიური რიგის მიხედვით თუ განვიხილავთ, მათ შორის უპირველესი ადგილი ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში გამოცემულ პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს ერგება. ეს არის ჩვენს მიერ დოკუმენტურად წოდებულ წყაროთა ნიშუშები: 1704 წელს გამოცემული სამოციქულო, 1710 წელს გამოცემული კონდაკი და 1712 წელს გამოცემული ჯუხისტყაოსანი. თითოეულ მათგანზე აღებეჭდილია, როგორც ჩანს, თავად ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ბაგრატიონების სამეფო დინასტიის გერბი და კომპოზიციის განმარტაკი რამდენიმე სტროფიანი ლექსი[17].

ძლიერ მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე ბატონიშვილ ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წელს შედგენილ კავკასიის ატლასს დართული გერბების კრებული, რომელიც გამოირჩევა ორიგინალურობით, ფარების კუთვნილებისა თუ მათი ავტორის კონკრეტიზაციით და ამასთანავე ქართული გერბთმცოდნეობისთვის მთელი რიგი ნოვატორული მიდგომებით. საგერბე გამოსახულებანი ატლასის შემდეგ რუკებზე არის დატანებული: პირველი ატლასი, 1735 წელი — რუკა სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი[18], საძცხე საათაბაგოს რუკა[19], ქართლის რუკა[20], კახეთის რუკა[21], რუკა სუფლოსა მოვაკანისა ანუ შირვანისა[22].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება ერეკლე II-ის მიერ გაცემული სათავადო ტიტულისა და ამასთან ერთად საგვარეულო გერბის ბოძების სიგელები, რომლებიც თავისი უნიკალურობით უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული პერალდიკისთვის. სიგელების ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთებში, როგორც წესი მოთხრობილია მოცემული გვარის ისტორია და მისი დამსახურება საქართველოს სამეფო კარის წინაშე, შემდეგ კი გერბის დაწვრილებითი აღწერილობა, კომპოზიციის სიმბოლური შინაარსობრივი განმარტებებითურთ[23].

ასევე ერეკლე II-ის ებოძას, უფრო ზუსტად კი 1783 წლის ტრაქტატს უკავშირდება და ჩვენს მიერ შეშოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით, მატერიალურ წყაროთა ტიპს მიეკუთვნება ქართლ-

---

[17] რუსთველი შოთა. გვეზისტყაოსანი. ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა მ. ბროსეტ. ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინოვისათა. მ გამოცემა. სპბ. 1841 წ. გვ. 41.

[18] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველის ატლახი (XVIII ს.). აკადემიის გამომცემლობა. თბ. 1997 წ. გვ. 2-3.

[19] ი ქ ვ ე: გვ. 6-7.

[20] ი ქ ვ ე: გვ. 10-11.

[21] ი ქ ვ ე: გვ. 14-15.

[22] ი ქ ვ ე: გვ. 16.

[23] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, დოკ. №№ 6505, 1784 წ. თაგდადობის დამტკიცების წიგნი მოცემული ერეკლე მეფის მიერ სერგის ახვერდოვისა და თამაზის აკოფაშვილისთვის. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, დოკ. № 5541. 1783 წ. შეამდგომლობა ერეკლე მეფისა სპასპეირატორი კარის წინაშე ალღუთაშვილების მხარგრძელებად აღრიცხვის შესახებ; ოცდაშვიდი წელი ახალი ქვეყნებში. გამოსაცემად მოამზადა გ.ფაგოლ ზარდალიშვილმა. თბ. 1971 წ. გვ. 118.

კახეთის სამეფოსა და რუსეთიის იმპერიის შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის ერეკლესეული საბეჭდაყი (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში), მასზე ამოტვიფრული სახელმწიფო და საომხარეო გერბებით. სწორედ ეს უკანასკნელი ხდის წყაროს გაიორჩეულს, ვინაიდან ე. წ. სამაშულო, ადგილობრივი, საადგილმამულო, საშიწო — land arms, земельные, местные, იგივე საშხარეო და საქალაქო ქართული გერბები ძლიერ მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

ამაყე ხანის, ოღონდ სრულიად განსხვაეებული სახის — ნუმიზმატიკურ წყაროებს განეკუთვნება ერეკლე II-ის მიერ შემოღებული მონეტები ბაგრატოვანთა გერბში შემაყალი დეტალებით და თბილისში მოჭრილი მონეტები, მათზე აღბეჭდილი საინტერესო სიმბოლოკით — საყარაუდოდ შეეარდნის და ხოხობის შერინველის გამოსახულებით[24].

ფასდაუდებელი წყაროა ქართული პერალდიკის ისტორიისთვის ბატონიშვილ იოანე ბაგრატიონის მიერ 1825-28 წლებში დაწერილი "ხუმარსწავლა" ანუ, როგორც მას კიდეე უწოდებენ, "კალმასობა". ამ ნაწარმოებში რამდენჯერმეა საუბარი გერბებზე, ხოლო "ღარალდიკას" ცალკე თავიც კი ეძღვნება. იოანე ბატონიშვილის "კალმასობის" მეშეეობით შესაძლო ხდება წარმოვიდგინოთ საკმაოდ სრული სურათი იმისა თუ როგორ იცნობდნენ ამხანად ჩვენში პერალდიკას, რა ადგილი ეჭირა მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა. შ.[25]

XIX საუკუნიდან მოყოლებული საგრძნობლად იმატა მატერიალური სახის წყაროებმა — მოხშირდა საგერბე გამოსახულებების დატანება საყოფათცხოვრებო გამოყენების საგნებსა თუ საფლავის ქვებზე. ჩვენი აზრით, ეს მოვლენა საზოგადოების ზედა ფენაში გერბების სწრაფი და საკმაოდ ფართო გავრცელების, ასე ვთქვათ პოპულარიზაციის მაუწყებლად შეიძლება მივიჩნიოთ. მოცემული პერიოდის წყაროთა ამ ჯგუფს განეკუთვნება და მათში გამორჩეული ადგილი უპყრია ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმში დაცულ გურიის სამთავროს ბრინჯაოში ჩამოსხმულ გერბს, ამაეე დაწესებულებაში გამოფენილ ამილახვართა ერთ-ერთ წარმომადგენელს რუსების მიერ ბოძებულ რელიეფურ საგერბე კომპოზიციასა და ხელოვნების ისტორიის მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულ დადასტების სათავადო საგვარეულოს კუთვნილ ვერცხლის ლანგარის საეგრელოს სამთავროს გერბით.

იმაყე საუკუნის შუა და განსაკუთრებით მოგვიანო წლებში ძლიერ გახშირდა წარჩინებულთა საფლავის ქვებზე და მათ საგვარეულო საძვალე ქალესიებში მოცემული გვარების გერბების ამა თუ იმ სახით გამოსატეა. ამგვარი გამოსახულებანი უხვად მოიბოეება სვეტიცხოველის და თბილისის ქაშეეთის ტაძრებში, შედარებით ნაკლები — ქვათახეეის, ახალი შუამთის მონასტრებში, საორის, ალაეერდისა თუ მთაწმინდის მამა დავითის ტაძრებში. კიდეე უფრო მასობრივი სახე მიიღო ამ მოვლენამ საქართველოს საზღვრებს გარეთ, რუსეთს გადასახლებულ ქართველ თავად-აზნაურთა შორის, რასაკეირეელია წინა ასწლეულებშიც კეეთდნენ საფლავის ქვებზე გარკეეულ ფიგურებს, მაგრამ უმეტესწილ ბსინი ან მარტოოდენ რელიგიურ, არასიმბოლურ და მხოლოდ ორნამენტულ ხასიათს ატარებდნენ, ანაც უბრალოდ, შელამაზებულ ხელრთვით წარწერას წარმოადგენდნენ.

XX საუკუნის დამდეგს განეკუთვნება ქართული პერალდიკისთვის უმნიშვნელოვანესი წყარო, ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცული ოსკარ გეტლინგის არქივი. აქ შემონახული უხვი სფრაგისტიკული მასალა შედგება რუსეთის იმპერიის წარჩინებული გვარების, მათ შორის ქართული საგვარეულოების გერბების შემცველი ბეჭდების და მათი ანაბეჭდების კოლექციისგან. არქივი აგრეთვე მოიცავს ერცელ მიმოწერას გეტლინგსა და რუსეთის საგერბე მუზეუმის ხელმძღვანელს, სანკტ-პეტერბურგულ ისტორიკოსს ყლადიმერ კრესკენტს ძე ლუკომსკის შორის. მიმოწერა სხვა გერბთმეცოდნეობით პრობლემებთან ერთად ხშირად ეხებოდა ქართულ პერალდიკასთან დაკავშირებულ საკითხებს[26].

საერთოდ პერალდიკა ძლიერ ახლოს დგას სფრაგისტიკასთან. ეყროპაში, მითუმეტეს აღრეულ ეტაპზე გერბული გამოსახულებანი ან პირდაპირ დაიტანებოდა ბეჭდებზე ან წარმოდგებოდა კიდეე უფრო ძეელ საბეჭდაყებზე ასახული სიმბოლოებიდან. შედარებით განსხვაყებულ სურათს ვხედებით საქართველოში. ჩვენში ბეჭდებზე, როგორც წესი, ოშვიათი შემთხვევების გამოკლებით ხშირად წარწერები ან ხელრთვები დაპეჭდათ[27]. ამის გამო, საქართველოში, გამონაკლისების გარდა, რომელებსაც ქვევით განეხილავთ, პერალდიკურად საინტერესო ბეჭდები მეტად იცირე რაოდენობით მოიპოეება. სწორედ ამიტომ ოსკარ გეტლინგის კოლექციას განსაკუთრებით საგვარეულო გერბების შესწავლის მხრივ გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება.

საგვარეულო პერალდიკას მიძღვნილი კიდეე ერთი მეტად საინტერესო და ნაკლებ შეხწავლილი წყაროა, ასევე XX საუკუნის დასაწეისში — 1922 წელს ე. ცხადაძის მიერ შექმნილი ნაშრომი —

---

[24] დ. კაბანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. ხსუ-ის გამომც. თბ. 1968 წ. გვ. 151, სურ. 115-116.

[25] ბატონიშვილი იოანე ბაგრატიონი. ხუმარსწავლა (კალმასობა). I-II ტ. "მერანი". 1990-1991 წწ.

[26] სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი.

[27] ანა ბაქრაძე. მახალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათეის. ნაწ. I. თბ. 1978 წ.; ანა ბაქრაძე. მახალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათეის. ნაწ. II. თბ. 1988 წ.

"Кавказский гербовник"[28]. ეს არის კავკასიური წარმოშობის წარჩინებული გვარების რუსეთის იმპერიის მიერ დამტკიცებული თუ დაუმტკიცებელი გერბების კრებული მოყვანილი საგვარეულოების მოკლე ისტორიით. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის სახით შემორჩენილ ამ ნაშრომში კავკასიური წარმოშობის გვარების უმეტესობას, როგორც მოცემულ რეგიონში კლასიკურ ევროპულ ფეოდალიზმთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომ ქვეყანას შეპფერის, ქართული ან საქართველოდან წარმომდგარი თუ უცხო ტომის, მაგრამ მისი ქვეშევრდომი საგვარეულოები შეადგენს. ამის გამო კავკასიური საგერბე ფრიად საყურადღებო და პრავალმხრივ ორიგინალური, შეიძლება ითქვას უნიკალური წყაროა ქართული გერბთმცოდნეობისთვის.

თავის დროზე "კავკასიური საგერბის" შექმნის იდეა ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო სახელგანთქმული რუსი პერალდისტის ვლადიმერ კრესკენტის ძე ლუკომსკის მიერ. წამოწყება პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიური განყოფილების ასპირანტის ვასილ ვიქტორის ძე ზენკევიჩის სემინარი სახით იქნა ხორცშესხმული. "საგერბის" შედგენა 1920-იან წლებში მიმდინარეობდა. შრომის ფარგლებში გადამუშავდა ბაგრატიონთა სახლის ყველა შტოს საგერბე გენეალოგიური მონაცემები, გადაიხატა 250-300 გერბი, ყოველ მათგანს დაერთო საინფორმაციო ტექსტი[29].

ჩვენთვის, ისევე როგორც ამ ცნობის პირველად მომყვანის იგორ გლადიმერის ძე ბორისოყოსთვის გაურკვეველია თუ რატომ შეშორჩა ეს შრომა ბატონ ციხისკის ავტორობით და არა ლუკომსკის ან თუნდაც ზენკევიჩისა.

იმავე ხანის მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია[30]. მასში დაკანონებულია ახალი საქართველოს ახალი გერბი, რომელიც თითქმის სრულიად მოწყვეტილია ადრინდელ ტრადიციას.

ქართული კორპორაციული (ფირმების, საზოგადოებების და მისთ.) პერალდიკის ერთი ღშვიათთაგანი წყაროა XX საუკუნის დამდეგს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დიმიტრი შევარდნაძის მიერ შესრულებული პროექტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემბლემისა[31].

გასული საუკუნის 20-იანი, 30-იანი წლების მანძილზე მიმდინარეობდა აგრეთვე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (საქ. სსრ) და მცირე დროით შექმნილი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის (ასფსრ) გერბების შექმნის პროცესი, რომელიც ამ კომუნისტური ნახევრადსახელმწიფოების კონსტიტუციების სხვადასხვა რედაქციაში აისახა[32].

დაბოლოს არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცული რ. გორდეევის ბირად საქმეში მოთავსებული მიხეილ ვადბოლსკისეული მეტად საყურადღებო ჩანაშენები ქართულ პერალდიკაზე, რომელთა უმრავლესობა არ არის შესული მისსავე ავტორობით 1980 წელს გამოცემულ წიგნში[33].

უცხოური წყაროები

უცხოური წყაროებიდან, თავისი სიუხვით, მნიშვნელობითა და მრავალფეროვნებით, რასაკვირველია განსაკუთრებით საყურადღებო და ქართული პერალდიკისთვის შეუდარებლად გამორჩეულია რუსულენოვანი თუ რუსეთში დაცული საისტორიო გერბთმცოდნეობითი მასალები.

მათგან უადრეულესია რუსეთის[34] ცარ ალექსი მიხაილოვიჩის 1672 წლის "ტიტულაარნიკი", რომელშიც შეტანილია რუსეთს დაქვემდებარებული თუ მის მფარველობაში მყოფი მიწების გერბები, მათ შორის — ქართლის, კახეთის და სრულიად საქართველოს საგერბე ფარები[34]. ეს არის პირველი, ჩვენამდე მოღწეული, საქართველოსთან დაკავშირებული გერბული გამოსახულებები. თუმცა, ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება[35], რომლის უარყოფასაც ქვევით შეეცდებით.

კიდევ უფრო გავრცელდა ქართული გერბები რუსეთში XVIII საუკუნის დასაწყისიდან ამ ქვეყანაში გახტანგ VI-ის გამგზავრების შემდეგ. თვით რუსეთშიც პეტრე I-ის მოღვაწეობიდან გამომდინარე მოცემულ პერიოდში პერალდიკამ საკმაოდ უართოდ მოიკიდა ფეხი. ამ ფონზე ვახტანგს გაყოლილთაგან შემდგარი ახალი ქართული დიასპორის წარჩინებულმა ნაწილმა იმპერიის სათავადო

---

[28] В. Цихинский. Кавказский гербовник. Часть I тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г.

[29] И. В. Борисов (Ильин). Родовые гербы России. Калининград. 1997 г. ст. 71-72.

[30] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საძართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. ხელმძღვანელი გ. შარაშენიძე. შემდგენელი ვ. გურგენიძე. თბ. 1990 წ.

[31] იგ. ჯავახიშვილის არქივი. საბუთი № 567. იგ. ჯავახიშვილის არქივის აღწერილობა. თბ. 1978 წ.

[32] В. Поцелуев. Гербы Союза ССР. Изд. политической книги. М. 1987 г. ст. 74-78.

[33] ხელოვნების თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქივი. Личное дело Р. Гордеева. საქმე № 12; 17.

[34] Н. Н. Спиридонов. Земельные гербы России. М. "Советская Россия" 1985 г. ст.188-189.

[35] Бичиашвили Иосиф. "О грузинском историческом государственном флаге и гербе". Газ. "Свободная Грузия". 18 Авг. 1997 г. № 131 (21098). ст. 1-4.

ტიტულთან ერთად გერბებიც დაიბეჭდა. ქართული და აგრეთვე რუსული საგვარეულო პერალდიკის ეს ადრეული ნიმუშები მრავლად არის დაფიქსირებული სანქტ-პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრის ნეკრობოლისში განთავსებულ ჩვენ თანამემამულეთა საფლაოის ქვებზე. იმავე ხანის მატერიალურ წყაროს წარმოადგენს საშობლოში გამობრუნებული, მაგრამ ასრტახანში განსვენებული ვახტანგ VI-ის საფლაოის ქვაზე აღბეჭდილი ბაგრატიონთა გერბიც.

ქართული გერბები არის გამოსახული ასევე XVIII საუკუნის შუა წლებში რუსეთში — პეტერბურგსა და მოსკოვში გამოცემულ ქართულ წიგნებზე. მათზე როგორც წესი ან ბაგრატიონთა საგვარეულო სიმბოლიკა ან ამილახვართა გერბის უძველესი ვარიანტები არის აღბეჭდილი[36].

რუსეთში დაფიქსირებული საგვარეულო გერბების ზემოთ მოყვანილი ნიმუშები მეტად ძვირფასია ქართული პერალდიკისთვის, განსაკუთრებით მათი შედარებით ადრეული წარმოშობის გამო.

ქართული სამხარეო და სახელმწიფო პერალდიკისთვის მნიშვნელოვანი წყაროა რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბთან ერთად საქართველოს და მისი ზოგიერთი მხარის (მაგ. ქართლი, კახეთი) სიმბოლოს შემცველი სხვადასხვა სახის დოკუმენტი თუ საგანი (მაგ. დროშა, ედალი და ა. შ.). ამგვართაგან ძლიერ საინტერესო და ორიგინალურია ქ. სანქტ-პეტერბურგში სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული რუსეთის სახელმწიფო ალმის ("პანირი") 1742 წლის ჩანახატი, რომელზეც სხვა გამოსახულებებთან ერთად ქართული გერბებიც არის აღბეჭდილი[37]. თვით იმპერიის ე. წ. დიდი სახელმწიფო გერბი საბოლოოდ ოფიციალურად 1800 წელს გაფორმდა პავლე I-ის სპეციალური მანიფესტის საფუძველზე. მანიფესტი მდიდრულად არის გაფორმებული და მასში ბუნებრივია ქართული მიწების გერბებიც არის შეტანილი[38]. შომავალშიც საქართველოსი და მისი მხარეების გერბები 1917 წელს იმპერიის კრახამდე მუდამ ფიგურირებდა რუსეთის სახელმწიფო სიმბოლიკაში.

ქართული პერალდიკისთვის უმნიშვნელოვანესი წყაროა რუსეთის იმპერიის პეროლდიის დეპარტამენტის (სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში შედიოდა) საქმეები საგვარეულო, საქალაქო თუ სამხარეო გერბების შესახებ, რომელიც ხადღეისოდ სანქტ-პეტერბურგში რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივში (РГИА) არის დაცული[39]. ამ დოკუმენტების უმთავრესი ფასეულობა ის არის, რომ მათში მოცემულია საგერბე კომპოზიციების სრული განმარტება, მათი წინამორბედი სიმბოლიკის, ემბლემის პრეისტორიის აღწერა, ამასთანავე, აღსანიშნავია მოცემულ წყაროთა პრაქტიკულად აბსოლუტური უტყუარობა. საიმპერიო პეროლდიის საბუთებიდან ქართველი მკვლევარისთვის ძირითადად XVIII საუკუნის ბოლოდან, 1917 წლამდე შექმნილი დოკუმენტებია საინტერესო.

დამტკიცებული საქალაქო და საგვარეულო გერბების უმრავლესობა, როგორც წესი სხვადასხვაგვარ კრებულებში თავსდებოდა. ასეთები იყო: რუსეთის იმპერიის სათავად-აზნაურო გვარების საგერბეს[40] ოცი ტომი, რომელთაგან პირველი ათი მოგვიანებით გამოცა კიდეც[41]; უმაღლესად დამტკიცებული გერბის მქონე ყველა სათავად-აზნაურო გვარის ოთხი ტომისგან შემდგარი სია სურათებითურთ[42]; ასევე დასურათებული კრებული დამტკიცებელი, მაგრამ "საერთო საგერბეში" მოუთავსებელი გერბებისა[43] და პეროლდმეისტერ რეიტერის განკარგულებით პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილების მიერ შედგენილი ილუსტრირებული ხუთტომეული კრებული უმაღლესად დამტკიცებული საქალაქო და ადგილობრივი (სამხარეო) გერბებისა[44].

ზემოთ აღწერილი მასალების განუზომელი ღირებულება იმაშიც მდგომარეობს, რომ მოცემულ შემთხვევებში ჩვენ საქმე გვაქვს პირველწყაროებთან, იქნება ეს პეროლდიის დეპარტამენტის დოკუმენტები თუ სხვადასხვაგვარი საგერბეები და კრებულები.

როგორც ქართული, ისევე საზოგადოდ რუსეთის იმპერიის პერალდიკური პრაქტიკის შესწავლისთვის უმნიშვნელოვანესი წყაროა 1918-1931 წლებში ბ-ნ გ. კ. ლუკომსკის ხელმძღვანელობით მოქმედი საგერბე მუზეუმის საქმეები, რომელიც სადღეისოდ ქალაქ სანქტ-პეტერბურგის რუსეთის სახელმწიფო სისტორიო არქივში (РГИА) ინახება[45]. საგერბე მუზეუმისეული საბუთების ძირითადი

---

[36] ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია (1629-1920 წწ.). ტ. I. ოქ. 1941 წ. გვ. 33, 36, 40, 42, 44, 45, 58, 59.

[37] Государственный герб России. 500 лет. С-Пб. "Славия". 1997 г. ст. 87.

[38] Манифест о полном гербе всероссийской империи. С-Пб. "Седа-С" 1993 г.

[39] РГИА. С-Пб. ф. 1343; оп. 15, 49 и др.

[40] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. I-XX т. 1798-1908 гг. РГИА. С-Пб. ф. 1411 оп. 1. д. № 91-110.

[41] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. I-X т. (репринтное издание). 1992 г.

[42] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I-IV т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600-603.

[43] Сборник дипломных гербов российского дворянства, невнесенных в общий гербовник. I-XIX т. 1896-1904 гг. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 1. д. № 68-87.

[44] Сборник высочайше утвержденных городских и местных гербов, составлен по распоряжению Герольдмейстера Рейтера Гербовым отделением. Кн. I-V. 1887 г. РГИА. С-Пб. ф. 1411 оп. 1. д № 3-7.

[45] РГИА. С-Пб. ф. 1411 (Дела гербового музея).

ღირსება მათი ტიპოლოგიური მრავალფეროვნება არის. აქ შეიძლება მრავალგვარი კრებული, გერბული დოკუმენტი, ცალკეულ მეცნიერთა გამოქვეყნებული თუ ეამოუქვეყნებელი გერბთმცოდნეობითი ნაშრომები, ბირადი არქივები, ოფიციალური მიმოწერა და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად საგერბე შემოქმედების დასრულების გამო კომუნისტური პერიოდიდან (1917-1990 წწ.) გერბთმცოდნეობითი წყაროები იშვიათ გამონაკლისთა გარდა პრაქტიკულად არ შეიძლებოდა. ერთ-ერთი ამგვარი გამონაკლისია 60-იანი წლებიდან მოყოლებული სსრკ-ის სხვადასხვა რესპუბლიკაში (რუსეთი, მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსი) გამომავალი სერიები სამკერდე ნიშნებისა, რომელზეც ძველი, იმპერიის დროინდელი თუ ახალი, საბჭოური საქალაქო გერბები იყო გამოსახული. მათ შორის გვხვდება საქართველოს ზოგიერთი საქალაქო და სამხარეო გერბიც, სხვათაშორის, როგორც ძველი, ისეც ახალიც, თუმცა ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვეყით შეეჩერდებით.

რაც შეეხება დასაყრდენო ეყრდნობულ წყაროებს, მათში ქართული პერალდიკის შესახებ ძირითადად ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება, რომელიც შეტანილ რუსეთის სახელმწიფო გერბში შემავალი საქართველოს სახელმწიფო გერბის მოკლე აღწერით შემოიფარგლება[46]. თუმცა, არის გამონაკლისებიც, მაგალითად, უკვე ნახსენები, რუსეთს წარგზავნილი რომის სღეთო იმპერიის ავსტრიელი დესპანის კორბის ღღიურში დაფიქსირებული საქართველოს, ქართლის და კახეთის გერბები[47], ან ფრანგი ა. შაფანჟონის მიერ ეშიგრირებული წარჩინებულებისთვის შესრულებული ქართული სათავადაზნაურო საგვარეულოების გერბები[48].

შაფანჟონი როგორც ჩანს, ძირითადად ხან რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული გერბებით ხელმძღვანელობდა, სანაც თავად დამკვეთის მითითებების საფუძველზე ან მათი პირდაპირი კარნახით ხატავდა ახალ გერბებს. ორივე შემთხვევაში მისი ქმნილებები ნაკლებ ფასეულია პერალდიკისთვის, ვინაიდან უკვე დამტკიცებული გერბები ისედაც ცნობილია ჩვენთვის პირველწყაროებიდან. ახლად შექმნილები კი ეტყობა მხოლოდ მათი ავტორების ან ავტორის ნება-სურვილის მიხედვით იქმნებოდა. თანაც ეს უკანასკნელნი ქართველ თავად-აზნაურთა საქართველოში შექმნილი ადრეული დაუმტკიცებელი გერბებისგან განსხვავებით, ხშირ შემთხვევაში, გაურკვეველი წარმომავლობის ფიგურების გამოყენებით დგებოდა, რომელთა ანალოგებს ვერც ძველ ქართულ სიმბოლიკაში და ვერც XVIII-XIX საუკუნეების ქართულ პერალდიკაში ვერ ვხვდებით.

მატერიალური სახის უცხოური პერალდიკური ძეგლებიდან აღსანიშნავია საფრანგეთში ლეჟილის სასაფლაოზე განთავსებული ემიგრირებული ქართველი წარჩინებულების საფლაის ქვებზე აღბეჭდილი გერბები.

ასევე საინტერესოა რუმინეთში ბრწყინვალე ქართველი ბოეტის ბესიკის საფლავის ქვაზე გამოსახული გაბაშვილთა საგვარეულო გერბი[48].

ახალი ტიპის უცხოურ წყაროებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენს მიერ ინტერნეტში მოძიებული რესურსები ზოგადი და ქართული პერალდიკის შესახებ. ამათ შორის ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა სხვადასხვა ქვეყნების საქალაქო გერბებს მიძღვნილი საერთაშორისო პერალდიკური ინტერნეტ საიტი, რომელზეც საქართველოს ქალაქების კუთვნილი სასგერბე გამოსახულებებიც არის განთავსებული[50].

ქართული გერბების შესწავლის ისტორია

დღემდე საქართველოში გერბების შესწავლას მეტის-მეტად მცირე ყურადღება ეთმობოდა. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ჩვენში გერბთმცოდნეობას მიძღვნილი არცერთი, არათუ სამეცნიერო, არამედ პოპულარული სპეციალური ნაშრომი არ გამოქვეყნებულა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან XIX საუკუნეში ქართული ისტორიოგრაფია არ იყო იმდენად განვითარებული, რომ გერბთმცოდნეობის — სპეციალური წყაროთმცოდნეობითი დისციპლინის შესწავლისთვის ეზრუნა, ხოლო მოგვიანებით კი კომუნისტურ პერიოდში პერალდიკა ე. წ. ფეოდალურ გადმონაშთებთან ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა და ბუნებრივია საბჭოური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში ამ დარგის განვითარება ჩვენში პრაქტიკულად შეწყდა. ამგვარი მდგომარეობის ფონზე ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ახლადშექმნილ გერბს მიძღვნილი მხატვარ დავით

---

[46] Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. New York. 1987. pg. 294.

[47] Н. А. Соболева. Старинные гербы российских городов. М. 1985 г. ст. 39.

[48] С. Думин, Н. Требельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г

[49] გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები. თბ. 1958 წ. გვ. 389;
ო. გოგანეიშვილი. ბესიკის საფლავი. ჟურ. ლიტერატურა და ხელოვნება. 1949 წ. 9 ოქტ. № 40.

[50] International Civic Arms. By Ralf Hartemink http://surf.to/heraldry

კაკაბაძის კრიტიკული სტატია, რომელიც უფრო ხელოვნებათმცოდნეობითი ხასიათის იყო ვიდრე გერბთმცოდნეობითისა[51].

ზოგადად ქართულ პერალდიკას სამეცნიერო კვლევითი მიღწომით ბირველად სახელგანთქმული რუსი მეცნიერი და გერბთმცოდნე ალექსანდრე ლაკიერი შეეხო, 1855 წელს გამოცემულ თავის წიგნში "რუსული პერალდიკა"[52]. იგი ხაზს უსვამდა ქართული პერალდიკის ორიგინალობას და მართებულად აყენებდა ქართული სიმბოლიკის მეტად საინტერესო ფესვების ძიების საკითხს.

ამიერიდან რუს გერბთმცოდნეთა უსრაფლესობა თავის შრომებში ამა თუ იმ სახით მაინც მიმოიხილავდა ქართულ გერბებს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან დროის გარკვეულ მონაკვეთებში ქართული გერბები რუსული პერალდიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ლაკიერის გარდა ქართულ გერბებს ეხებოდნენ გამორჩეული რუსი პერალდისტი ისტორიკოსები: ფონ ვინკლერი[53], სობოლევა[54], სპერანსოვი[55] და სხვანი. მიუხედავად ამისა, მაინც ძლიერ იშვიათია კონკრეტულად ქართულ გერბთმცოდნეობას მიძღვნილი ნაშრომები. ზემოთმოყვანილი ავტორები ქართული პერალდიკის საკითხებს ძირითადად რუსულ გერბთმცოდნეობასთან მიმართებაში ინხილავდნენ. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს დღევანდელობის ერთ-ერთი წამყვანი გერბთმცოდნის დუმინის შრომები[56], რომელშიც სწორედ ცალკე გამოყოფილად არის შესწავლილი საქართველოსთან დაკავშირებული გერბების ისტორია.

1980 წელს კი პირველ სერიოზულ ქართულ გამოცემად მოგვევლინა ცენზურის მიერ შეკვეცილი, ბიბლიოგრაფიულ ბუკლეტად ნაქცეული მიხეილ ვადბოლსკის წიგნი "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა"[57]. წიგნში საკმაოდ მდიდარი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე წარმოდგენილია უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოში ზოგადად სიმბოლიკის განვითარება. არქეოლოგიურ და ეკლესიოლოგიურ ნიმუშებთან ერთად განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა კონკრეტულად გერბთმცოდნეობით მასალას, მათ შორის სახელმწიფო, სამხარეო, საქალაქო თუ საგვარეულო გერბებს. ცენზურის მიერ ამოიკრა წიგნში შეტანილ გერბებს დართული ქართული თავადური საგვარეულოების მეტად მოკლე ისტორიები. მიხეილ ვადბოლსკის ნაშრომი დიდხანს რჩებოდა ამ თემატიკას მიძღვნილ ერთადერთ გამოცემად და იგი დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობას მასში მოყვანილი ზოგიერთი უნიკალური გამოსახულების (მაგ. ზოგიერთი ქალაქისა და მაზრის ძველად დასადგენი წარმოშობის გერბი) გამო. წიგნის ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ იგი არასამეცნიეროა და მასში თითქმის საერთოდ არ გვხვდება მოყვანილი პერალდიკური მასალის წყაროთა მითითება.

XX საუკუნის 80-იანი წლების განმავლობაში, უმთავრესად ქართულ პერიოდიკაში შედარებით იმატა ცალკეული მოკლე ნარკვევების თუ სტატიების რაოდენობამ, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ეხებოდა პერალდიკას[58]. გარდა ამისა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების მკვლევარი ავტორები თავისი ძირითადი თემის ფარგლებში, მის შესავსებად გაკვრით, ირიბად ეხებოდნენ ხოლმე გერბთმცოდნეობას[59].

80-იანი წლების მიწურულს კი ეროვნული თვითშეგნების განვითარებისა და კომუნისტური ცენზურის გაუქმებასთან ერთად თანმიმდევრულად იწყო საქართველოს ისტორიის ე. წ. თეთრი ლაქების შევსება, მათ შორის პერალდიკისაც. ამრიგად XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საკმაოდ ამატა გერბთმცოდნეობას მიძღვნილი სპეციალური ნაშრომების რიცხვმა. მიუხედავად ამისა სამეცნიერო სტატუსის მქონე ნაშრომების ნაკლებობა დღემდე თვალშისაცემია.

ბოლო ხანებში გამოქვეყნებული პერალდიკასთან დაკავშირებული წიგნებიდან ყურადღებას იპყრობს სარა ბარნაველის "ქართული დროშები"[60] და ციმონ გამსახურდიას "საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები"[61]. ამ საკმაოდ უხვად დასურათებულ გამოცემებში ყველაზე ღირებული ნაწილი ეხება ქართული დროშების ისტორიას, ხოლო გერბების ისტორიის ნაწილში ავტორები ძირითადად ეყრდნობიან ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებს.

---

[51] დავით კაკაბაძე. საქართველოს ღერბი (კონკურსის და შესრულების შესახებ). გაზ. ფორუმი. №№ 16, 19-20 ხუკტემბერი. 1994 წ.

[52] А. Б. Лакиер. Русская геральдика. М. 1990 г.

[53] П. Винклер-фон. Гербы городов, губерний, областей и посадов Российской Империи, внесенные в полное собрание законов с 1649 по 1900 год. С-Пб. М. 1990 г.

[54] П. А. Соболева. Старинные гербы российских городов. М. 1985 г.

[55] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия". 1985 г.

[56] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г.; С. Думин. Герб их царских высочеств князей Багратион-Мухранских. Жур. «Гербоведъ». № 4. 2'1993 г.

[57] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ.

[58] ბ. კანდელაკი. ჭავჭავაძეთა გერბი. ძეგლის მეგობარი №5. გვ. 48. ს. ნუცუბიძე. ლევანდარული საფოსტო მარკა. გაზ. თბილისი. 1986 წ. გვ. 3.

[59] გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი მაისაძემ. თბ. 1983 წ.; ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში. გამოსაცემად მოამზადა გრიგოლ ზარდალიშვილმა. თბ. 1971 წ.

ზ. ცქიტიშვილი. საქართველოს სახელმწიფო პიღგაწენი. XVIII ს-ის II ნახევარი - XIX ს-ის დასწყისი. (თავი ს. ლილიანის. გვ. 53).

[60] სარა ბარნაველი. ქართული დროშები. თბ. 1993 წ.

[61] ციმონ გამსახურდია. საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები. თბ. 1990 წ.

ანუ დროშათმცოდნეობით კვლევასთან ერთად ქართული პერალდიკის ზოგიერთი საკითხიც მიმოიხილება. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან დროშებისა და გერბების შემსწავლელი მეცნიერებების გზები ხშირად ურთიერთიკვეთება ხოლმე, ვექსილოლოგია და პერალდიკა კი ოთხიოდნაკე დაშშარე ისტორიული დისციპლინებია, რის გამოც მათ მკვლევართ ორივე დარგში გათვითცნობიერება ევალდებულებათ.

1990-იანი წლებიდან საქართველოში შეიძლება ითქვას გერბთმცოდნეობითი ბუმი დაიწყო.

ასე მაგალითად 1995 წელს ჟურნალ "არტანუჯში" ჩვენს მიერ გამოქვეყნდა პობულარული სტატია ზოგადი პერალდიკის ძირითადი კანონების შესახებ[62]. მას მალევე შოპყა ქართულ რეცენზირებად პერიოდიკაში დაბეჭდილი პირველი სამეცნიერო სტატია ქართული გერბთმცოდნეობის შესახებ, რომელიც ასევე ჩვენ გვეკუთვნოდა[63].

ქართული პერალდიკის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი იყო საპარლამენტო უწყებაში დაბეჭდილი დავით კლდიაშვილისა[64] და მალხაზ აფრიდონიძის[65] სტატიები. დავით კლდიაშვილის შრომაში უძველესი დროიდან დღევანდლამდე არის განხილული ქართული პერალდიკური მასალა. მალხაზ აფრიდონიძის სტატია კი უფრო ზოგად პერალდიკას, მის უმთავრეს წესებს ეძღვნება. უნდა ითქვას, რომ ამ შრომებმა ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა საქართველოში, ასე ვთქვათ მართებული პერალდიკური კულტურის ჩამოყალიბებაში.

მეტად საინტერესო და საკმაოდ ენიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იყო მიხეილ მაყაშვილისა და დავით კლდიაშვილის ავტორობით გაზეთ "სახალხო გაზეთის" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების სერია[66], რომლებშიც ქართული პერალდიკის კონკრეტული საკითხები იყო შესწავლილი.

იმავე ხანებში დაიბეჭდა სოსო ბიჭიკაშვილის ასევე საგაზეთო სტატია ქართული სახელმწიფო დროშებისა და გერბების ისტორიის შესახებ[67]. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში გამოთქმული ზოგირთი მოსაზრება ვფიქრობთ მეტად საკამათოდ ჟღერს.

1998 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის პერიოდულ გამოცემაში შევიდა ზოგადი პერალდიკის სპეციალისტის მალხაზ აფრიდონიძის სამეცნიერო სტატია[68], იგი გერბთმცოდნეობაში ფერების სიმბოლიკას ეთმობოდა.

1998 წელსვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიის წელიწდეულის დაშატებაში მოთავსდა ჩვენი სამეცნიერო სტატია საქართველოს სახელმწიფო დიპლომატიური აქტივობის არეკლვის შესახებ საქართველოსა და სხვა ქვეყნების გერბთმცოდნეობაში.

აგრეთვე ამავე პერიოდში კვლავ ჩვენს მიერ ჟურნალ "არტანუჯში" გამოქვეყნდა პობულარული სტატია, რომელშიც რამდენიმე მაგალითის საფუძველზე თვალსათლიგ იყო ნაჩვენები თუ როგორ აისახება ხოლმე ესა თუ ის ისტორიული მოვლენა ქართულ თუ უცხოურ გერბებში[69]. ამავე 1998 წელს სამეგრელოს მხარის ისტორიას მიძღვნილ კრებულში მოთავსდა ჩვენივე მცირე პობულარული ნარკვევი სამეგრელოსთან დაკავშირებული გერბების შესახებ[70].

2001 წელს კი უკვე საზოგადოებრიეიმა ჟურნალმა "ომეგამ" დაიწყო დავით კლდიაშვილის ავტორობით ქართული პერალდიკის ცალკეულ საკითხებს მიძღვნილი სტატიების გამოქვეყნება, რომლებშიც, ჩვენი აზრით ზოგი საკმაოდ საეჭვო თეზა არას მოყვანილი[71].

იმავე 2001 წელს ჩვენს მიერ ბროშურის სახით გამოიცა საქართველოს ქალაქების გერბებს მიძღვნილი ილუსტრირებული მონოგრაფია "საქალაქო გერბები ქართულ პერალდიკაში"[72].

საზოგადოებაში, როგორც ჩანს არ კლებულობს პერალდიკისადმი ინტერესი, რაც ალბათ იმის მაუწყებლია, რომ გერბთმცოდნეობას მიძღვნილი გამოკვლევების რაოდენობა კვლავაც გაიზრდება. ეს კი ბუნებრივია ფრიად წაადგება ქართული პერალდიკის შესწავლის საქმეს, ვინაიდან ამ მიმართულებით

---

[62] თორნიკე ასათიანი. მოხატული ფარების საიდუმლოება ანუ რა არის პერალდიკა? ჟურნ. "არტანუჯი". № 4. 1995 წ.

[63] თორნიკე ასათიანი. საქართველოს გერბი. ჟურნ. "არტანუჯი". № 3. 1998 წ.

[64] დავით კლდიაშვილი. ქართული პერალდიკის ისტორია. საპარლამენტო უწყებანი. სახელმწიფო სიმბოლიკა. თბ. 5 ივლისი 1997 წ.

[65] მალხაზ აფრიდონიძე. ზოგადი პერალდიკა. საპარლამენტო უწყებანი. სახელმწიფო სიმბოლიკა. თბ. 5 ივლისი 1997 წ.

[66] მიხეილ მაყაშვილი. დავით კლდიაშვილი. ქართული პერალდიკის ისტორია. გაზ. სახალხო გაზეთი. № 88. 1 — 7 აპრილი. 1997 წ.

[67] Бичикашвили Иосиф. "О грузинском историческом государственном флаге и гербе". Газ. "Свободная Грузия". 18 Авг. 1997 г. № 131 (21098). ст. 1-4.

[68] მალხაზ აფრიდონიძე. პერალდიკური ფერები და მათი სიმბოლიკა. საისტორიო კრებული "მესხეთი". თსუ გამომცემლობა. თბ - ახალციხე. 1998 წ.

[69] თორნიკე ასათიანი. სახალხო პერალდიკა. ჟურნ. "არტანუჯი". №№ 8 - 9. თბ. 1999 წ.

[70] თორნიკე ასათიანი. სამეგრელოს სამთავროს გერბები. სამეგრელო. კოლხეთი. თდსუ. თბილისი-ზუგდიდი. 1999 წ.

[71] დავით კლდიაშვილი. საქართველოს სახელმწიფო გერბის კვართის ისტორია. ჟურ. "ომეგა". № 8. 2001 წ.
დავით კლდიაშვილი. ქართლის პირველ ლუარსაბ I-ის სახელმწიფო გერბი. საზოგადოებრივი ჟურნ. "ომეგა". თებერვალი 2001 წ. №№ 2. გვ. 88-90.

[72] თ. ასათიანი. საქალაქო გერბები ქართულ პერალდიკაში. თბ. 2001 წ.

ისტორიკოსთა გააქტიურებული მუშაობის მიუხედავად მშობლიურ გერბთმცოდნეობაში მაინც ბევრი რამ რჩება მოსაძიებელი თუ დასადგენი.

საქართველოს სახელმწიფო გერბი

საქართველოს სამეფოს გერბი, ორიოდ სამხარეო გერბთან ერთად (ამ უკანასკნელთ მოგვიანებით განვიხილავთ), სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ქართული კლასიკური პერალდიკის უპირველეს ნიმუშს წარმოადგენს და მისი ოფიციალური არსებობა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო ზუსტად კი 1672 წლიდან დასტურდება.

ამხანად საქართველოს სახელმწიფო გერბს გვაცნობს განმგმირავი წმინდა გიორგის ფიგურა განასახიერებდა. იგი ორ წყაროშია დაფიქსირებული: ბირველი, ეს არის შეფე ალექსე მიხეილის ძის 1672 წლის "ტიტულიარნიკი" (ფაქტობრივად უძველესი რუსული საგერბე), რომელშიც ჩამოთვლილია რუსეთის მეფის მფლობელობაში მყოფი მიწები სიმბოლოებითურთ. მათ შორისა არის "Карталинских, Грузинских царей" გერბიც: ფარი სტილიზებულია (ფაქტურად არცაა). მასში გამოსახულია მარცხენა არაბერალდიკურ მხარეს შებრუნებული, ცხენზე ამხედრებული, შეიბჯრული წმ. გიორგი, მკერდზე თეთრი ჯვრით, რომელიც შუბით გმირავს გველეშაპს[73]. მეორე საბუთი სადაც საქართველოს გერბია აღმოჩენილი, არის შეფე ფიოდორ ალექსეის ძესთან წარგზავნილი რომის საელჩო იმპერიის დესპნის, აყსტრიელი დიპლომატის კორბის 1698-1699 წლებით დათარიღებული დღიური. მასშიც ზემოთ აღწერილის იდენტური გამოსახულება არის აღბეჭდილი, ოღონდ წარწერა მხოლოდ "Kartalinia"-ს შეიცავს[74]. ეს უმნიშვნელო ცვლილება წყაროს არაოფიციალურობით და აქედან გამომდინარე, გამარტივებისკენ მიდრეკილებით უნდა აიხსნას.

ჯერ-ჯერობით დაზუსტებით უცნობია ვისი რჩევით ან ფანტაზიით შეიქმნა ბირველი ქართული გერბები, მაგრამ ცხადია, რომ წმ. გიორგის საქართველოს გერბად ჩამოყალიბება შემთხვევითი არ არის, არამედ ჩვენში ამ წმინდანის სამშობლოს მფარველად აღიარებისა და მისი დიდი პატივისცემის ბირდაბირი გამოვლინებაა.

აღსანიშნავია, რომ სხვა უმეტესი მონარქიული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფო გერბი თავდაბირველად სრულებით არ ემთხვეოდა მმართველი სამეფო დინასტიისას. ეს ალბათ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ბირველი ქართული სახელმწიფო გერბი უცხო ქვეყანაში — რუსეთში, მოსკოვის მეფის ალექსეის ე. წ. "ტიტულიარნიკში" არის დაფიქსირებული. ბუნებრივია, ამ "ბრეტენზიის გერბში" ნაკლებად გაუსვამდნენ ხაზს და მიჩქმალავდნენ კიდეც სხვა სამეფო სახლის, ამ შემთხვევაში ბაგრატიონთა დინასტიის უფლებას მოცემულ ტერიტორიაზე. XVIII საუკუნის დამდეგიდან ყოველივე თავის ადგილზე დგება და უკვე მეტწილ ბაგრატოვანთა სიმბოლიკა წარმოადგენს საქართველოს. თუმცა, ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

აქვე შევნიშნავთ, რომ "ტიტულიარნიკში" ქართული გერბების შეტანა გამოძახილია რუსეთ-საქართველოს შორის ელჩობათა იმ გახშირებული გაცვლისა, რომელსაც XVII საუკუნეში ჰქონდა ადგილი. ქართველი მეფეები ცდილობდნენ ჩრდილოელ მეზობელთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას, ზოგი ვასალობასაც კისრულობდა[75], ასე რომ, გარკვეული საუკუძველი რუსეთის მეფის ტიტულში საქართველოს მოხსენიებისა შესაძლოა მართლაც იყო. რაც, თაყის მხრივ, იმპერიის კავკასიისადმი ინტერესის გაღვივებას მოწმობს.

ქართულ პერალდიკაში, სახელმწიფო გერბის ქრონოლოგიურ რიგში, მეორე ადგილზე დგას ვახტანგ VI-ის მიერ შეშუშავებული საქართველოსა და ბაგრატიონთა მმართველი სამეფო დინასტიის რამდენიმე ერთურთისგან მცირედ განსხვავებული ვარიანტის სახით შემორჩენილი საგერბე კომპოზიცია. მისი უძველესი ნიმუში 1709 წელს თბილისის სტამბაში გამოცემულ საოციქულოში გვხვდება. იმ ხანად გიორგი XI ირანის დროშებს ქვეშიბრძოდა ავღანეთს. ამის გამო თბილისში სამეფო გერბი მხოლოდ ვახტანგ VI-ის მიერ თუ შეიქმნებოდა. ჟითუმტეტს, რომ ეს ბის, ასე ვთქვათ, კომპეტენციაში შედიოდა, ვინაიდან 1704 წლიდან ქართლის "ჯანიშინი", განშგე იყო. სხვათაშორის, გერბს მიხეილ ვადბოლსკიც ვახტანგ VI-ისეულად მიიჩნევს[76].

ამიერიდან, ვითარც ზევით აღვნიშნავდით, რუსეთს შეერთებამდე საქართველოს სამეფოს გერბი თანხვდება მმართველი დინასტიისას. ამასთანავე, ბირველ ქართულ ნაბეჭდ გამოცემებს დართული საქართველოსა და ბაგრატოვანთა დინასტიის სახელმწიფო სიმბოლოება არის ბირველი საკუთრივ საქართველოში ჩამოყალიბებული და დაფიქსირებული გერბები.

---

[73] Н. Н. Сперанский. Земельные гербы России. Изд. "Советская Россия". М. 1985 г. ст. 188-189.

[74] Н. А. Соболева. Старинные гербы российских городов. Изд. "Наука". М. 1985 г. ст. 39.

[75] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ IV. თბ. გვ. 301, 320.

[76] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 94, ნახ. 133.

ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი გერბი მცირეოდენი განსხვავებით მრავალ ადრეულ ქართულ ნაბეჭდ გამოცემას ერთვის. ჩვენ არ შეეხებით ყოველი მათგანის გამოცალკევებით აღწერას. დაწვრილებით განვიხილავთ მხოლოდ უძველეს და ტიპიურ, ამ გერბებისთვის ყველა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ელემენტების შემცველ ნიმუშს, რომელიც 1709 წლის საოცილულოზეა დატანებული:

ქართული ორნამენტით გარემოცულ კვადრატულ ფარში, ოთხ ფრთოსან ანგელოზს სახელურებით უბერია მცირე. მრგვალი ე. წ. ბიზანტიური ფარი, რომლის ცენტრშიც მაცხოვრის კვართია (იგი ასახავს ცნობას, რომლის მიხედვითაც ქრისტეს სამოსი სვეტიცხოველის ქვეშ არის დაფლული). კვართის მარჯვნივ ბიბლიური მეფესალმუნე მეფე დავითის ქნარია, მარცხნივ — მისივე შურდული. ეს ფიგურები გამოხატავენ ცნობილ დინასტიურ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონები იძირაველთა ბიბლიური, მეფესალმუნე (ქნარი) და გოლიათის მძლე (შურდული) მეფე დავითის შთამომავალნი არიან. ფარის დაბოლოებაში მოთავსებულია სიახაურის ბეწვი მომცრო ჯვრით. საერთოდ, დაბოლოება (გერბის უკიდურესი ქვედა ნაწილი) ძნელი გასარჩევია. ჩასმულ ფარს თავზე გვირგვინი ადგას, მარჯვნივ-მარცხნივ კი შესაბამისად სამეფო რეგალიები — ხმალი და სკიპტრაა განთავსებული, ხოლო ქვევით — ლეოპარდი. გერბი ორნამენტების სიუხვით გამოირჩევა[77].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფარზე დატანებული ქარაგმები: მერანგის თავზე — ქა ანუ ქრისტეს კვართი, ქნარისა და შურდულს ზემოთ — დქ დავითის ქნარი და დშ დავითის შურდული. კვადრატის თავისუფალ ადგილებში შემდეგი ასოები ამოიკითხება: წ, ღ, დ, ბ, მ, გ, ყ, ს. ეს ერთგვარი აბრევეატურა მარი ბროსემ ასეგვარად გაშიფრა: "წყალობითა ღვთისათა, დავითიან პანკრატიონი მეფე გიორგი ყოველისა საქართველოსი"[78].

ფრიად საგულისხმოა ლექსი, სავარაუდო ავტორად მეფე ვახტანგ VI მიიჩნევა, რომელიც თან ერთვის გიორგი XI-ის ორივე გერბს და მის სრულ განმარტებას წარმოადგენს. ქვემოთ მოყვანილი დასტურდება, რომ მოცემული გამოსახულება გერბია ამ სიტყვის ჭეშმარიტი, წმინდა ევროპული გაგებით და არა გაურკვეველი წარმოშობის სიმბოლო ან ემბლემა.

გასინჯეთ ბეჭდის იგავი, მსმენო ნუ გაქუან წყინება
ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის თუმც რაზედ იყო სმინება
ქრისტესა მოასწაყებდა ვინ და{სია ცრემლთა დინება
დავითის ტომით {ორცთ შესხმა თუ ყითარ მხსნელმა ინება.

ამ შურდულითა დაყით სძლო გოლიათ არ თუ ზაკებდა
ლომნი ტახტისა სოლომონს შDდს სიბრძნეს მოასწავებდა
მ{სნელი ვინ აღთქმას უდებდა ქმნულთ ეგრე გაუთავებდა
ვით ძალუედა და შე გვანდა მის მტერზედ ეგრე დაეებდა.

როს მ{სნელმა სათნო ჰრინა ქალწულის მუცლად ღებანი
მით უყო წარმართ ყოეელთა ამ საქმით განათლებანი
ჯუარცმით გამო{სნით ყოვლთ სულთა უყო მის ქმნისა ნებანი
განკურნა წყლულნი უწამლო რომელი გვჭირდა სნებანი.

ოდეს უქსოვა ქალწულმან მ{სნელს კვართი ქსელით გდებული
იგი ელიოზს წილად ხუდა მოვიდა ქაროლად რებული
სად არის სახლად უფლისად სუეტი ცხოველი გებული
აქა ძეს ჩუენთDნ სულთა ხსნად კურნებად იმედებული

ქართველთ მეფენი დავითის გვარ ტომით მოდგამობითა
თDთ ყოველად წმინდა უბიწო არის მათ ძირთგან შობითა
ვარო მისთDნ წილად ხდომილნი და მისის იმედობითა
ამად არ ვიქმნათ უხილავთ მტერთაგან ლახვარ სობითა

სტამბას ბეჭდევდენ ფრანგნი და რუსნი და მერე გლახელნი
აქ არსად იყო აროდეს. ყურ ვბოვეთ შისნი მნახველნი.
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირყა მნახველსი.

---

[77] ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია (1629-1920 წწ.). ტ. I. თბ. 1961 წ. გვ. 12.

[78] რუსთველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი. ახლად დაბეჭდილი შეერთებულთა ღაწვლითა უფალთა მ. ბროსეტ. ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინოვისათა. II გამოცემა. სპბ. 1841 წ. გვ. 41.

ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოველი მჩმახეელნი“[79]

ცნობილია აგრეთვე თავად ვახტანგ VI-ის პირადი გერბიც: ანდრია პირველწოდებულის ორდენის ჯაჭვით გარშემორტყმულ მრგვალ ფარში ჩასმულია მცირე მართკუთხა ფარი, რომელიც ორ ლომს უჭირავს. მასში მაცხოვრის კვართია გამოსახული. მცირე ფარის თავზე გადაჯვარედნებული ხმალი და სკიპტრაა, უფრო მაღლა კი სამეფო გვირგვინი, მის მარჯვნივ ქნარი, ხოლო მარცხნივ — შურდული. მრგვალი ფარის დაბოლოებაში, მარჯვნივ გამოხატულია უმაღლესი სამეფო ხელისუფლების სიმბოლო — სფერო, მარცხნივ კი სასწორი — სიღრმონ მეფის ბრძნული მართლმსაჯულების ნიშანი[80], როგორც ვხედავთ, ზეკით განსხვავებული გერბის ძირითადი მოტივი წინამორბედის იდენტურია.

ვინაიდან, ვახტანგ VI-ის პირადი გერბის წარმოშობის თარიღზე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, უნდა ვიყაროაუდოთ, რომ იგი 1724-37 წლებში შეიქმნებოდა. ქვეყნა ქრონოლოგიური ზღვარი ქართლის მეფის რუსეთს გამგზავრებით განისაზღვრება, რადგან მანამდე წმ. ანდრიას ორდენი ვახტანგს არ მიუღია. სამწუხაროდ, ვერ დადგინდა ორდენის მინიჭების ზუსტი თარიღი, რომლის ცოდნაც უფრო დააზუსტებდა გერბის წარმოქმნის წლებს. 1737 წელს კი ღვაწლმოსილი მეფე ვახტანგ VI გარდაიცვალა და ბუნებრივია გერბი მოგვიანებით აღარ შეიქმნებოდა.

საერთოდ ბაგრატიონთა გახტანგ მეფისეული სახელმწიფო გერბების უმეტეს ნაწილს თან ახლავს ორი ასომთავრული წარწერა, რომელიც XIX საუკუნემდე ამ ტიპის ბრაქტიკულად ყველა საგერბე გამოსახულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. პირველი, ძირითადი ფარის გარშემო, ფსალმუნთა წიგნიდან არის ნასესხები და შემდეგი შინაარსისაა: “ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსხვა საყდართა შენთა“ (ფსალმუნი 131, 11). მეორე მცირე ფარს არტყია და ამგვარად იკითხება: “კვართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამქსოვილ ყოვლად“ (იოანე 19, 23)[81]. მართალია ეს წარწერები, ფორმით განსხვავდება ევროპული პერალდიკის კლასიკური ღვინებისგან, მაუხედავად ამისა ბაინც სრულიად მისაღებია მათი, გერბის ლეგენდად (იგივე დევიზი) მიჩნევა. ფსალმუნებიდან და სახარებიდან ამოღებული ეს წარწერები ბერი ეგნატაშვილის ე. წ. ახალ ქართლის ცხოვრებაშიც გეხვდება, სადაც გიორგი VII (ერთიანი საქართველოს მეფე 1393-1407 წლებში) თეშურ ლენგს უთვლის: შენზე ნაკლები მეფე არა ვარ “რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეკებას მეუობა ჩუენ ბაგრატოანთა და ტომნი ვართ დავით მეფისა წინასწარმეტყუელისა რომელისათჸს ბრძანა ღმერთმან, ეითარმედ: “ერთგზის ვეფუცე წმიდასა ჩემსა დავითს, და მე არა ვეცრუო მას, ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსხვა საყდართა შენთა“ (ფსალ. 131. 11). და ესე დავით იგი არს, რომელმან ერთითა შურდულითა მოკლა გოლიათი და შემუსრა ქედმაღლობა მისი.“ — ამიტომ ღვთისგან კურთხეული მეუენი ვართ და არა არს ხელმწიფე ჩვენზედ გარეშე უფლისაო[82].

XVIII საუკუნის დასაწყისშივე ვახუშტი ბაგრატიონის ატლასში წმ. გიორგის გამოსახულება, ბაგრატოვანთა საგვარეულო სიმბოლიკა და კიდევ ერთი ემბლემა — მიქაელ მთავარანგელოზი ერთდროულად წარმოგვიდგება საქართველოს სახელმწიფო გერბად.

1735 წლის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ კავკასიის რუკას დართული აქვს მასზე აღბეჭდილი მხარეების და ქვეყნების გერბები. მათ შორის არის ერთიანი საქართველოს სამი (sic) გერბი[83]. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოს ყველა სიმბოლოს ერთად წარმოდგენისა. ამგვარი, ასე ვთქვათ, გასამმაგება, ცნებათ ტრიუმვირატი, ალბათ, მხოლოდ იქით თუ აახსნება, რომ XVIII საუკუნის შუახანებისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ოფიციალურად დადგენილი საქართველოს სახელმწიფო გერბი. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

პირველი — “საქართველოსი“: ყვითელი ფონის პირობით ფარში, მწვანე უნაგირიან. წითელ ბალნურიან თეთრ ცხენზე ამხედრებული, წითელ აბჯრიანი და მწვანე მოსახსნელიანი, შარაყანდეტით მოსილი წმ. გიორგი, შუბით გმირაყს ცისფერ გველეშაპს. მჩყდარს შარცხნიდან თეთრი “ღვთის ხელი“ წითელ გვირგვინს ადგამს.

მეორე — “სამეფო-კვართიან-დავითიან საქართველოსი“: მწვანე ფონზე, ორ ვარდისფერ ლომს მართკუთხა გადაკეთილი ფარი უპყრია. ზემო თეთრ ნახევარში ჭითაყვირში მაცხოვრის ყვითელი კვართი. ქვედა ნახევარი კი სწორკუთხად არის ოთხად გაყოფილი: ზემო მარჯვენა მეოთხედში ძალაუფლების გამომხატველი სფეროა, ზემო მარცხენაში — ბიბლიური დავითის ქნარი; ქვემო მარჯვენა ნაწილში, დავითისვე შურდული, ხოლო ქვემო მარცხენაში — სამეფო ხელისუფლების ამსახველი, ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი (ყველა ფიგურა ყვითელია).

---

[79] ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია (1629-1820 წწ.). ტ. I. თბ. 1941 წ. გვ. 41.

[80] П. Иосселиани. Краткая история грузинской церкви. С-Пб. 1843 г. в. Зиб. 10.

[81] ი ქ ვ ე. გვ. в. Зиб. 10.

[82] ქართლის ცხოვრება. II - ტ. გამ. “საბჭოთა საქართველო“ 1958 წწ. თბ. გვ. 480-481.

[83] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). თბ. აკადემიის გამომცემლობა. 1997 წ. გვ. 2-3.

გერბი, როგორც ყხედაყთ, ბაგრატიონთა წარმოშობის, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი, ლეგენდის მიხედვით არის შედგენილი და შინაარსობრივად არ განსხვავდება ვახტანგ VI-ისეული წინამორბედებისგან. აქვე აღსანიშნავია განმარტებითი წარწერა: "სამეფო კვართიან დავითთან საქართველოსა", რომელიც პირდაპირი მინიშნებაა მშართველი დინასტიისა და სახელმწიფოს გერბების გაიგივებაზე.

მესამე — "საქართველოსი" (მიქაელ მთავარანგელოზიანი): ყვითელ ფონზე, ხმლიანი, წითელ-ყვითელ სამოსიანი ანგელოზი თეთრი ფრთებით და წაღებით, მახვილი და შარავანდედი შესაბამისად ვარდისფერი და ყვითელია, ქარქაში კი შავი. ქრისტიანულ სამყაროში მახვილით ხელში მხოლოდ არქისტრატიგი — მეორედ მოსვლისას ღვთის ლაშქრის მეთაური მიქაელ მთავარანგელოზი გამოიხატება.

არქისტრატიგი მიქაელი საზოგადოდ უფრო აღმოსავლეთ საქრისტიანოს მფარველად მიიჩნეოდა — "მე ვარ მიქაელ როშელი დაგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა"[84], ვკითხულობთ ლეონტი მროველთან[85].

"ქართლის ცხოვრების" მიხედვით დავით აღმაშენებელი მთავარანგელოზის ხატს გადაურჩენია, თუმც კი შესაძლოა უმჯობესი იქნებოდა უფრო დაზუსტებით გვცოდნოდა მიქაელის თუ გაბრიელისამ, როდესაც ბრძოლისას მოწინააღმდეგემ ისარი "... პკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარიდა მშვიდობით."[86] ამასთან დკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის "თხზულებათა" II ტომში მოყვანილია ილუსტრაცია გიორგი III-ის სახელმწიფო ბეჭდისა[87], რომელზეც ნათლად ვლინდება ფარისა და შუბის მპყრობელი შარავანდედით მოსილი ქვეითი. ეს ფიგურა საყარაულოდ სწორედ მიქაელ მთავარანგელოზად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა გამოსახულება შესაძლოა ქვეით წმ. გიორგისაც გამოხატავდეს.

აქვე გაგიხსენოთ, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილ 1672 წლის "ტიტულიარნიკში" მართლმადიდებელი უკრაინის დედაქალაქის კიევის გერბად სწორედ მთავარანგელოზი მიქაელია გამოსახული (მანამდე, საუკუნეთა მანძილზე კიევს რამდენიმე სხვაგვარი გერბი განასახიერებდა)[88]. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქრისტიანოში არქისტრატიგი მიქაელი საზოგადოდ ხალხის წარმოდგენაში სამშობლოს დამცველ, მფარველ მებრძოლადაც აღიქმებოდა[89].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ალბათ მართლაც არსებობდა გარკვეული წინაბირობა მიქაელ მთავარანგელოზის საქართველოს გერბად წარმოდგენისა.

ვახუშტი ბატონიშვილის ატლასის გარდა მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულება XII საუკუნით დათარიღებული სვანური დროშის "ლეშის" ვერცხლის ბუნიკზეც გვხვდება, რომელიც გადმოცემის მიხედვით სვანეთის თემებს თამარ მეფემ უბოძა[90]. ამ ხალხური გადმოცემიდან გამომდინარე არქისტრატიგის ხატება კვლავ შეიძლება დავუკავშიროთ სახელმწიფო სიმბოლიკას.

მეტად საინტერესო კომპოზიცია არის აგრეთვე აღბეჭდილი იმერეთის მეფე სოლომონ I-ის (იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში) შურიეს მიერ ჩახატულ დროშაზეც. მისეულ ვადბოლსკის მიხედვით ალაპის ცენტრში გამოსახულია ქვეითი წმ. გიორგი ხმლითა და ფარით[91]. ჩვენი აზრით ამ შემთხვევაში ბატონი ვადბოლსკი ცდება და ფიგურა სოლომონ I-ის ალმიდან ფორმის მიხედვით უფრო მიქაელ მთავარანგელოზის განმასახიერებელი უნდა იყოს, ვიდრე წმ. გიორგისა. შევნიშნაყთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენსავე მოსაზრებას იზიარებს პერალდიკით დაინტერესებული კიდეყ ერთი ქართველი მკვლევარი ბატონი დავით კლდიაშვილიც[92].

აღსანიშნავია, რომ ატლასს დართულ გერბებში უკლებლივ ყველა ფიგურა მარჯვენა პერალდიკურ მხარეს არის შებრუნებული. აქედან გამომდინარე, ვახუშტი ბაგრატიონი, შესაძლოა, ევროპული გერბმცოდნეობის ძირითად კანონებს მაინც იცნობდა. თუმცა ზედმეტად თავისუფალი, არასწორი გამოყენება ცხადყოფს, რომ შემქმნელი არც ისე გაწაფული იყო კლასიკურ დასავლურ პერალდიკაში.

აღწერილ გერბებში თვალის ერთი გადავლებითაც კი ბევრი სიახლე შეინიშნება: პერალდიკის ეროვნული ტრადიცია პირველად წარმოაჩენს წმ. გიორგის საქართველოს სიმბოლოდ; საქართველოს "ახალი" ემბლემა — მიქაელ მთავარანგელოზი; საქართველოს სამი გერბის ერთად დაფიქსირება; მაგრამ, უმთავრესი სიახლე ქართულ პერალდიკაში ფერების გაჩენაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოხდა

---

84 ქართლის ცხოვრება. ტ. I. გამ. "საბჭოთა საქართველო" 1955 წწ. თბ. გვ.

85 დავით კლდიაშვილი. საქართველოს სახელმწიფო გერბის კვართის ისტორია. ჟურ. "ომეგა". №№ 8. 2001 წ. გვ. 107.

86 ქართლის ცხოვრება. ტ. I. გამ. "საბჭოთა საქართველო" 1955 წწ. თბ. გვ.

87 ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ II. გამ. "მეცნიერება". თბ. 1983. გვ. 428.

88 Гербы городов Киевской губернии. Жур. "Наука и жизнь". № 8. М. 1989 г. ст. 55.

89 Г. В. Ражнев. Символика Архангела Михаила. Жур. Гербоведа. № 1 (9). М. 1996 г. ст. 46.

90 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 34, 97. ნახ. 213.

91 ი ქ ე ე. გვ. 36, 88, ნახ. 233.

92 დავით კლდიაშვილი. საქართველოს სახელმწიფო გერბის კვართის ისტორია. ჟურ. "ომეგა". №№ 8. 2001 წ. გვ. 107.

გერბთმცოდნეობის კანონთა სრული უგულებელყოფით. ფერების შემოღება მეტყველებს საქართველოში პერალდიკის განვითარებაზე და ამ პიმართულებით უთუოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო გერბთან დაკავშირებით ვითარება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა. ერეკლე II-ის (ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში) მეუობაში, ბაგრატიონთა გერბი უკვე სრულად ითავსებს სახელმწიფო სიმბოლოს ფუნქციებს. ამ მოვლენის შესანიშნავი და ალბათ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითთა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოთაშორისო დოკუმენტს — 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს დართულ ლუქსა საკიდ ბეჭედზე გამოსახული საქართველოს სახელმწიფო გერბი: მარკუთხა, ფრანგული ფარი ორად არის გაყოფილი. ზევით, რუსეთის ორთავიანი არწივია. ქვედა ნაწილი გაკუთხილ-გადაკვეთილია, მის შუაში კი შომცრო ფარია მაცხოვრის კვართით. პირველ მეოთხედში სფეროა, მეორეში — გოლიათის ძძლე, მეფსალმუნე შეფე დავითის ქსარი, მესამეში — გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მეოთხეში — იმავე ბიბლიური დავითის შურდული. ფარს არტყია ეკატერინე II-ის მიერ ერეკლე მეფისადმი 1769 წ-ს ბოძებული[93] წმ. ანდრიას პირველწოდებულის ჯაჭვიანი ორდენი. გერბს თავს ადგას ორიგინალური ქართული გვირგვინი[94]. როგორც ჩანს, სწორედ აქედან წარმოდგება რუსულ პერალდიკაში დამკვიდრებული ქართული გვირგვინი. იგი მხოლოდ დიდ სახელმწიფო არწივზე (რუსეთის ძირითადი გერბი) მოთავსებულ საქართველოს საშეფოს გერბის (ქვეყნით განვიხილავთ) დამაგვირგვინებლად იხმარებოდა. იგივე გვირგვინი გვხვდება ე. წ. პროტექტორატის დროინდელ — 1800-01 წწ. — საქართველოს გერბში (მასაც მოგვიანებით შევეხებით). ასე რომ, ქართული გვირგვინი უწყვეტად არსებობდა თითქმის საუკუნესახევრის, 1783 წლიდან 1917 წლამდე, განმავლობაში.

მართალია, ამ შემთხვევაში ერეკლე II ცდილობს გერბს შეუნარჩუნოს თავისი, უკვე ჩამოყალიბებული ისტორიული სახე. მაინც პერალდიკის ერთ-ერთმა თვისებამ, იყოს ასახოს ჟამით გამოწვეული სხვადასხვაგვარი ცვლილება, არც ამჯერად დაახანა და ზედმიწევნით გაღმოგვცა საქართველოს პოლიტიკურ სტატუსში მომხდარი ძვრები: ძირითად გერბს, თავს დაუყრიბს რუსული თვითმპყრობელობის სიმბოლო — ორთავიანი არწივი, ხოლო მთლიანად გამოსახულებას უცხო ქვეყნის ორდენი შემოსჯაჭვია.

სახელმწიფო და დინასტიური სიმბოლიკის გაიგივებას, ერთიანობას ადასტურებს ქართულ მონეტებზე ბაგრატიონთა საგვარეულო ემბლემატიკის განთავსებაც. 1765-1766 წლებში თბილისში მოჭრილ ერეკლე II-ის შაურიანებზე ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში პირველად ჩნდება ბაგრატოვანთა დინასტიისა და საქართველოს სახელმწიფო გერბის ფიგურები — გვირგვინი, და[95].

მიუხედავად იმისა, რომ მონეტაზე აღბეჭდილ სიმბოლურ გამოსახულებას გერბის შემადგენელ ნაწილთა უმეტესობა დაკარგული აქვს, რითაც იგი ფრიად უმეტყველო ხდება, თავისთავად ფაქტი მონეტაზე სამეფო ხელისუფლების სიმბოლოთა სახით, სახელმწიფო გერბის გადმოტანისა მაგვითითებს ამ უკანასკნელის ფუნქციათა გაფართოვებაზე: ზოგადად, ქვეყნის კულტურული დონის ამაღლებასა და დასავლეთისაკენ ორიენტირებაზე.

აქვე დავძენდით, რომ ზოგადად ქართლ-კახეთის სამეფოს დაწინაურება-ევროპეიზაციასთან ერთად ერეკლე II-მ გერბმცოდნეობის მოწესრიგებასაც მიაყო ხელი. ეს შეეხო, როგორც სახელმწიფო თუ სამხარეო, ისევე საგვარეულო პერალდიკასაც.

შამისული ტრადიცია გააგრძელა ქართლ-კახეთის მომდევნო მეფე გიორგი XII-შაც (ქართლ კახეთის მეფე 1798-1800 წლებში), რომლის მართველობის ხანაშიც ბაგრატოვანთა სიმბოლიკა დინასტიურთან ერთად სახელმწიფო გერბის ფუნქციასაც ასრულებდა.

XIX საუკუნის პირველივე წლებიდან საქართველო ფაქტობრივად რუსეთის ქვეშეურდომი ხდება. ქართულმა პერალდიკამ, როგორც ზოგადმა ისე სახელმწიფომ, აშაზე თავისებური რეაგირება მოახდინა, რაც სტილის სრული გამოცვლით გაშოიხატა. აქვე დამთავრდა პირველი პერიოდი ეროვნული გერბმცოდნეობისა (1672-1800 წწ.), რომლის დროსაც ნაკლებად ითვალისწინებდნენ დახაყლურ წესებს, მათი უცოდინრობის გამო. ეს იყო ქართული კლასიკური ევროპული გაგებით პერალდიკის ჩასახვის, გაჩენის ეპოქა და სრულიად ბუნებრივია, რომ მაშინ უმთავრესად ადგილობრივ ტრადიციას უწევდნენ ანგარიშს. ამ თითქმის 130-წლიან ხაწყის ეტაპს მოაყია მეორე პერიოდი, რომელსაც პირობითად რუსულ-ევროპული შეიძლება დაეარქვათ. მისთვის დამახასიათებელია ჩვენში დახაელეთ ევროპული ზოგადი პერალდიკის კანონების გაცნობა-გაზიარება და ქართული გერბთმცოდნეობის რუსულ პერალდიკასთან თავდაპირველად დაახლოება, მოგვიანებით კი შერწყმა.

---

[93] ნოლი ჯაჯანიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 1985 წ. გვ. 68.

[94] გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დავით გიორგი მაჭავარიანმა. თბ. 1983 წ. გვ. 126.

[95] დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. ხსე-ის გამომც. თბ. 1989 წ. გვ. 151, ხურ. 211-213.

სწორედ ამ, არამარტო პერალდიკისთვის, არამედ ქვეყნისოვისაც ახალი დროების მაუწყებლად თუ ამსახველად გვევლინება, როგორც მას მიხეილ ვადბოლსკი უწოდებს "პროტექტორატის დროინდელი გერბი"[96]: ორ ლომს გადაკვეთილი და ორჯერ გაკვეთილი გერშანული ფარი უკერია. პირველ ნაწილში დავითის ქნარია, მეორეში — ქრისტეს კვართი, მესამე ნაწილში — ფერო და შურდული, მეოთხეში — ტარების ზეკით გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მეხუთეში — გველეშაპის მძლე წმ. გიორგი, ხოლო ბოლო მეექვსეში — სასწორი. ფარს თავს ქართული გვირგვინი ადგას, ქვევით კი ლათინური დევიზი უძევს.

როგორც ვხედავთ, გერბი ეკლესიური პერალდიკის მოთხოვნებისებრ არის გამართული. მთლიანად კომპოზიციის სტილის გარდა, აქაც მიუთითებს ლათინური ლეგენდა და სრულიად ახალი ელემენტი ქართულ გერბმცოდნეობაში — მანტია, ანუ მოსასხამი. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ბაგრატიონთა სიმბოლიკის და წმ. გიორგის ერთ ფარში მოთავსებისა. იმხანად ეს ქვეყნისა და მმართველი დინასტიის განუყრელობაზე მიუთითებდა, მაგრამ ამასთანავე ნებისთ თუ უნებლიედ მზადდებოდა ნიადაგი იმისთვის, რომ მომავალში საქართველოს გერბში ბაგრატიონთა სიმბოლოებს წმინდა გიორგი ჩანაცვლებოდა, რითაც რუსეთის იმპერია მაქსიმალურად მიჩქმალავდა საქართველოზე აღგილობრივი დინასტიის უფლებებს.

მიხეილ ვადბოლსკის მიხედვით გერბი ქარლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის მაღურულს 1800-1801 წლებში შეიქმნა[97], დავით ბატონიშვილის ხანმოკლე მმართველობისას.

კიდევ უფრო მკვეთრად იცვლება საქართველოს გერბის სახე XIX საუკუნის პირველ ნახევარში პრაქტიკულად მთელი ქვეყნის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მოქცევის შემდეგ. საიმედროდ საქართველომ სრულიად დაკარგა დამოუკიდებლობა, რის გამოც ბუნებრივია სახელმწიფო სიმბოლიკაზე საუბარი ზედმეტად გვეჩვენოს. მიუხედავად ამისა საქართველოს სამეფოს გერბს არსებობა არ შეუწყვეტია. იგი რუსეთში შემავალი სხვა მნიშვნელოვანი ქვეყნების გერბებთან ერთად იმპერიის სახელმწიფო სიმბოლიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

1800 წლის ბავლე I-ის მანიფესტით შედგენილ რუსეთის იმპერიის სრულ გერბში უკვე შესულია საქართველოს სამეფოს განმასახიერებელი წმ. გიორგის ხატებიანი გერბი: ოქროს გულიან ფრანგულ ფარზე შავ ცხენზე ამხედრებული ლაჟვარდის აბჯრიანი და შეწამულ მოსასხამიანი წმ. გიორგი შებით გმირავს მწვანე გველეშაპს[98]. მოგვიანებით ასეთივე გამოსახულება რუსეთის მცირე სახელმწიფო გერბზე — საიმპერიო ორთავიანი არწივის მარცხენა ფრთაზეც აღიბეჭდა, კიევის, პოლონეთის, ყაზანისა და სხვა მნიშვნელოვანი იმხანად რუსეთს მიერთებული ქვეყნების სიმბოლოებთან ერთად.

სრულიად საქართველოს გერბად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე საქართველო-იმერეთის გუბერნიისთვის რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ შედგენილი საგერბე გამოსახულება, რომელიც ადრინდელ ადგილობრივ სახელმწიფო სიმბოლიკას ჩაენაცვლა და ფაქტიურად ზვით აღწერილი კომპოზიციის პარალელურად არსებობდა.

1851 წლის 22 ივნისს საქართველო-იმერეთის გუბერნიის ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცებული გერბი ასე გამოიყურებოდა: ოქროს ფონიანი ფარი ოთხადაა გაყოფილი. ზედა ორ ნაწილში გამოსახულია: მარჯვნივ, არარატის მთა მწეერვალზე ნოეს კიდობანით; მარცხნივ — ტალღისებრი ქამრით გამოხატული შავი ზღვა. ქვედა ორ ნაწილში განლაგებულია: მარცხნივ, ორი დაკლაკნილი ზოლი — მდინარეები მტკვარი და არაქსი; მარცხნივ — მყინვარწვერის დათოვლილი მწვერვალი. მთავარი ფარის შუაში მოთავსებულია მცირე ფარი, რომელშიც ყურცხლის ფონზე წმ. გიორგის ხატებაა ჩასმული[99].

გერბს, როგორც ვხედავთ წმ. გიორგის ფიგურის გარდა აღარაფერი აქვს საერთო ადრინდელ ქართულ სახელმწიფო ემბლემატიკასთან. ისედაც უსახო კომპოზიციას კიდევ უფრო აუბრალოებს ოთხივე ნაწილში ერთი ფონის გამოყენება. საერთოდ, გერბში, მასში წარმოდგენილი მიწების ისტორიული წარსულის ნაცვლად აქცენტი გეოგრაფიულ გარემოზეა გადატანილი. აბგუარი რამ, შესაძლოა უბრიანი იყოს მწირი, უფერული წარსულის მქონე ოლქის თუ მხარის ფარის შესავსებად, მაგრამ გაუმართლებელია კაგკასიის ტიპის რეგიონისთვის. აღნიშნული გარემოება აღბათ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ფარდან ამოღებულ ბაგრატიონთა სიმბოლიკას რაიმე მაინც უნდა ჩანაცვლებოდა. საერთოდ ამ გერბში აშკარად ჩანს იმდროინდელი რუსეთის ხელისუფლების წადილი ქართველთა შეგნებიდან მაქსიმალურად ამოეშანთათ დამოუკიდებელ წარსულთან დაკავშირებული ყოველგვარი ელემენტი.

ამრიგად XIX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ბაგრატიონთა დინასტიამ სამეფო ტახტთან ერთად სამშობლოს გერბში თავისი საგვარეულო ემბლემების გამოხატვის უფლებაც დაკარგა.

---

[96] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1988 წ. გვ. 84, ნახ. 138.

[97] ი ქ ვ ე ვ. 34.

[98] Манифест о полном гербе всероссийской империи. С-Пб. "Седа-С" 1993 г. лист 18.

[99] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. Изд. "Советская Россия". М. 1985 г. ст. 190, рис. 480.

1882 წლის 3 ნოემბერს "უმაღლესად დამტკიცდა" რუსეთის იმპერიის ახალი სრული სახელმწიფო გერბი, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს იმპერიის ფარგლებში მოქცეული საქართველოს სამეფოს მეტად განურცობილი გერბიც წარმოადგენდა. ვინაიდან გერბი რუსული კლასიკური ჰერალდიკის პირშეშია, დამახასიათებელი სტილის შენარჩუნების მიზნით, საკუთარი აღწერილობის ნაცვლად იმდროინდელი ოფიციალური ბლაზონირების ქართული შესატყვისის მოყვანა ვარჩიეთ. სხვათაშორის, ესოდენ ფართო აღწერილობა დიდ სახელმწიფო გერბში შეტანილ არცერთ ფარს (იმპერიის მმართველი დინასტიის გერბის გარდა) არ ხვდომია წილად:

"გერბი სამეფოსა საქართველოსი: ოთხნაწილიანი ფარი შუაში მცირე ფარით და დაბოლოებით. შუა მცირე ფარში — საქართველოს გერბი: ოქროს ფარზე ლაჟვარდის აღუურვალობით, მკერდზე ოქროს ჯვრით, შაჲ, ოქროს არშიის მქონე ბალნურიან ცხენზე ამხედრებული და მეწამული შუბით მწყანე, შაჲ ფრთიანი და მეწამულ თვალებიანი, გველეშაპის განგმირაჲი წმ. დიდმოწამე და ძლევამოსილი გიორგი. პირველ ნაწილში — აჟურიის გერბი: მეწამულ ფარზე ყალეზე შეშდგარი ვერცხლის ცხენი; ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეებში რვაქიმიანი ვარსკვლავები. მეორე ნაწილში — ქართლის გერბი: ოქროს ფარზე ორი, შაჲი ისრით, პირებით ზეჳთ, გახვრეტილი ცეცხლის მფრქეველი ჴშა. მესამე ნაწილში — ყაბარდოს მიწათა გერბი: ლაჟვარდოვან ფარზე ვერცხლის ორ, ბირებით ზეჳთ გადაჯვარედინებულ ისარზე ოქროს მცირე ფარი მარჯვნივ შებრუნებული, მეწამული ნახევარმთვარით; პირველ სამ მეოთხედში ვერცხლის ექვსქიმიანი ვარსკვლავები. მეოთხე ნაწილში ხომხეთის გერბი: ოქროს ფარზე მეწამული გვირგვინოსანი ლომი (აღსანიშნავია, რომ ჯახუშტი ბაგრატიონის ცნობილ სამხარეო გერბებში ხომხეთს ლეობარდი წარმოადგენს, ქვეყა მოთავსებული გჳირგჳნიც. ჰერალდიკური ლეობარდი კი გრაფიკულად საკმაოდ ახლოს დგას ლომთან. ვფიქრობთ, ეს ერთგვარი დამთხვეჳა შემთხვეჳთი კი არ არის, არამედ საქმე გვაქვს ხომხეთის სიმბოლოდ ლომის აღიარების გარკვეულ ტრადიციასთან — თ. ა.). ოქროს დაბოლოებაში — ჩერქეზ და მთიელ თავადთა გერბი: გაჭენებულ შაჲ ცხენზე ჩერქეზი, ვერცხლის აღჭურვილობით, მეწამულ ტანსაცმელში და ბეწვის შაჲი მოსასხამით; მხედარს მარჯვენა მხარზე შაჲი შუბი აქვს გადებული".[100] გერბს თავს ადგას ქართული გჳირგჳნი.

საქართველოს სამეფოს გერბის ესოდენ განდიდება ალბათ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ რუსეთს ხურდა გამოემეზეურებინა მის სახელვრებში მოქცეული უამრავი სამფლობელო (აქ, ჩვენი აზრით, გერმანული პერალდიკის გაყალენა გამოსჭვივის), და ვინაიდან ყველა მათგანის სიმბოლოთ ცალკე ყერ გამოჰყოფდა, არჩია ხაქართველოს ფარში მოექცია ისინი.

თავისთავად კომპოზიცია ოქროს მთლიანად მარცხნივ განთავსებით სანახაობრივად ძალიან ბეყრს კარგავს და ასიმეტრიის გრძნობას იწვევს.

ზოგადად გერბი, თავისი მრავალსახოვნებით, უნიკალური და ძლიერ საინტერესოა ქართული პერალდიკისთვის. იგი თავისუფლად გამოდგებოდა "პრეტენზიის" ან ფიქვათ საქართველოს იმპერიის, ასეთი რომ არსებულიყო, გერბად. მოცემული გამოსახულება გარკვეულ სიკადულსაც იწვევს იმ მნიშვნელობის ასახყით, რომელსაც საქართველო წარმოადგენდა რეგიონისთვის ან თუნდაც რუსეთისთვის.

ამრიგად, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, საქართველოს გერბის ყველაზე განვრცობილი ვარიანტი, ზემოთ აღწერილი კომპოზიციის სახით, დამპყრობლის — რუსეთის პერალდიკაში მოგვეყლინა. დამოუკიდებელი ქვეყნისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ ამგვარი გერბი იმპერიულად ანაც მიმდებარე მიწებზე პრეტენზიის განსაცხადებლად გამოდგებოდა, მაგრამ ჩვენს შეთხვეჳაში, იგი უბრალოდ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს წამყვან როლს მთელ კავკასიაში.

ცალკე საბრის თემა არის რუსულ გერბთმცოდნეობაში "ქართული გჳირგჳნის" სახელწოდებით ცნობილი საქართველოს სხვადასვა ხანის სახელმწიფო გერბების გარე შესამჩნეველი ორიგინალური გჳირგჳნი, რომლის შესახებაც ზეჳთ მოკლედ უკვე ვთხაუბრეთ. იგი რუსულ პერალდიკაში უთუოდ ძველი ქართული ტრადიციიდან არის შეხული. ამის შტკიცების საფუძველს პირყველყოველისა, ე. წ. ქართული გჳირგჳნის, თუნდაც იგივე გეორგიევსკის ტრაქტატის საბეჭდავზე გამოსახული ერეკლე II-ისეული სახელმწიფო გერბის დამამშვენებელ გჳირგჳნთან შეტად ახლო გარეგნული მსგავსება გვაძლევს. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ასე ყთქვათ ცარიელ ადგილზე იმპერიული პერალდიკა სპეციალურად საქართველოს სამეფოს გერბისთვის ორიგინალურ გჳირგჳნს ნამდვილად არ შექმნიდა. ჩვენი აქ უკანასკნელი მოსაზრების დადასტურებაა პოლონეთისა და უკრაინის მაგალითიც — ესოდენ მსხვილ, ძველთა ისტორიის მქონე ქვეყანათა გერბებს, საქართველოსისგან განსხვავებით, საკუთარი გჳირგჳნების ნაცვლად შესაბამისად რუსული საიმპერატორო გჳირგჳნი და მონომახის ქუდი ადგათ თავს.

---

[100] П. Винклер-фон. Ст: Государственный герб. Энциклопедический словарь. Изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон. т. IX. С-Пб. 1893 г. т. IX. ст. 406.

რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მიზეზით დასრულდა ქართული პერალდიკის ისტორიის მეორე. ჩვენს მიერ პირობითად რუსულ-ევროპულად წოდებული ეტაპი (1800-1917 წლები). მთელი კაცობრიობისთვის ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიული თარიღი, ქართულ გერბთმცოდნეობაში ახალი დროების მაუწყებლადაც მოგვევლინა. 1917-1921 წლებიდან დგება მესამე პერიოდი მშობლიურ პეალდიკაში, რომელიც პრაქტიკულად XX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა და გერბმცოდნეობის ელემენტარულ კანონთა სრული უგულვებელყოფითა და უძველესი ეროვნული სიმბოლიკური ტრადიციის შივიწყებით გამოირჩეოდა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წლები) 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია საკმაოდ სიტყვაძუნწად გვაუწყობს სახელმწიფო გერბის შესახებ: "საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით"[101]. გამოსახულების სახელშეფიფრებრივ დამტკიცებას და ძირითად კანონში შეტანის წინ უძღოდა საქართველოს იმდროინდელი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიერ სახელმწიფო გერბზე გაოცხადებული კონკურსი, რომელიც სამი პირობის დაცვით უნდა ჩატარებულიყო. პირველი — კონკურსის შედეგები უნდა განეხილა ე. წ. დამფასებელთა კოლეგიას მთავრობის, პარლამენტის, მეცნიერთა და მხატვართა წარმომადგენლების შემადგენლობით; მეორე — გერბი ქართული სტილის დაცვით უნდა შესრულებულიყო; და მესამე — მასში უნდა გაეთვალისწინებიათ ზოგადი პერალდიკური წესები. სამწუხაროდ არცერთი პირობათაგანი არ დაცულა, რის გამოც გერბი დღემდე აწვეყვს საზოგადოების უკმაყოფილებას, ვინაიდან, როგორც ცნობილია, იგი ახლაც ძალაშია.

მთავრობის მიერ საბოლოოდ მიღებული საკონკურსო პროექტი (იგი მხატვარ იოსებ შარლემანს ეკუთვნოდა) ჯერ კიდევ 1919 წელს, სამართლიანად და მკაცრად გააკრიტიკა დიდმა ქართველმა მხატვარმა დავით კაკაბაძემ[102]. ხელოვანმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შემფასებელთა კოლეგიას აკლდნენ მეცნიერი და მხატვარი, და რომ გერბის შექმნისას არ გაეწია ანგარიში პერალდიკის კანონებს. მართლაც, მხედრის ფიგურა მარცხენა არაპერალდიკურ მხარეს არის მიბრუნებული, ხოლო მინანქრისა და ლითონების ხმარების მკაცრი წესები სრულიად გაუთვალისწინებელია.

დავით კაკაბაძე განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ თეთრი გიორგის გამოსახულება რუსული, ეგრეთ წოდებული შეერთებული მოსკოვის და ნოვგოროდის მხატვრობის სტილშია შესრულებული. რაც მისი სიტყვებით აშკარად მეღავნდება გიორგის პირისახეში და ცხენის თავისა და ფეხების მოყვანილობაში. ასევე უსარგებლოდ და უადგილოდ მიაჩნია მხატვარს ფარის დაბოლოებაში გამოხატული არაბული კამარის მსგავსი მოხაზულობა. ამასთანავე, დ. კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ ყველა მნათობი ერთი სახის უნდა ყოფილიყო, მაგალითად, ვარსკვლავის და ვინაიდან შვიდი მნათობი საქართველოში შვიდ სამთავროს განასახიერებდა, მათ შორის უთანასწორობის მოხსნის მიზნით მზე და მთვარე კომპოზიციიდან უნდა ამოეღოთ. ჩვენის მხრივ დავაყოლებდით, რომ გერბს აკლია ძირითადი შემადგენელი ნაწილი — ფარი. მის მაგიერობას სწევს სტილიზებული, მრგვალი გულის მქონე შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც შესრულების მანერით ძლიერ ჩამორჩება, თუნდაც იგივე შარლემანის მიერ სამოდე წლით გვიან შექმნილ საქართველოს სსრ-ის გერბის ქართულორნამენტიან არშიას.

ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით კიდევ უფრო გაღრმავდა უფსკრული პერალდიკასა და საქართველოს გერბს შორის. "ფეოდალურ გადმონაშთებთან" ბრძოლაში ბუნებრივია გერბმცოდნეობაც მოყვა, რის შედეგადაც საქართველოს სსრ-ის სიმბოლოდ თავსმხვევული კომუნისტური იდეოლოგიისა და ე. წ. სოცრეალიზმის საფუძველზე შემდგარი ნახატი მივიღეთ.

1922 წლის 28 თებერვალს საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე დამტკიცებული კონსტიტუციის 134-ე სტატიაში რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის აღწერილობა იყო მოცემული: ქვეყით — მთის ქედი დათოყლილი, ცისფერი და ვისფერი მწვერვალებით; მარჯვენა მხრიდან — ოქროს თავთავები, მარცხნიდან — ოქროს ვაზი მტევნებით. ქედის ძირში, ფარის უკიდურეს ქვედა ნაწილში თავთავისა და ვაზის ბოლოებია გადახლართული. გერბის ცენტრში მოთავსებული ნამგალი და ურო ზევით ყოველმხრივ განსხვისნებულ ვარსკვლავს ებჯინება, ქვეყით — მთების მწვერვალებს, ხოლო გვერდებზე თავთავს და ვაზს. ყოველივე ეს შემოფარგლულია ქართულ, რუსულ და ფრანგულენოვანი (ეს უკანასკნელი ამოღებულ იქნა 1937 წლის 13 თებერვალს, ხოლოდ საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე[103]) წარწერით: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!". დეყიზს გარშემო აკრავს ქართულ სტილში შესრულებული ორნამენტი[104].

---

101 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. ხელმძღვანელი ე. შარაშენიძე.
102 ე. გურგენიძე. თხ. 1990 წ. გვ. 458.
103 დავით კაკაბაძე. საქართველოს ღერბი (კონკურსის და შესრულების შესახებ). გაზ. ფორუმი. №№ 18. 20-20 სექტემბერი. 1994 წ.
104 В. Поцелуев. Гербы Союза ССР. Изд. политической книги. М. 1987 г. ст. 76.
В. С. Драчук. Рассказывает геральдика. Изд. "Наука". М. 1977 г. ст. 112-113.

გამოსახულება ეკუთვნით მხატვრებს: აკად. ევგენი ლანსერეს და ჩვენთვის უკვე, დამოუკიდებელი რესპუბლიკის გერბის ავტორად ცნობილ ოოსებ შარლემანს. მართალია ამ უკანასკნელმა საქართველოს ორი ფრიად უსახო სახელმწიფო გერბი შექმნა, მაინც ხაზი უნდა გაესვას იმ ღვაწლს, რომელიც მას XX საუკუნის ქართულ რესპუბლიკურ სიმბოლოთა შექმნაში მიუძღვის.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (ასფსრ) გერბი მიღებულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე 1922 წლის 10-13 დეკემბერს. გერბმა ასფსრ-სთან ერთად მხოლოდ 14 წელი — 1922-1936 წლები იარსება. საბჭოთა კავშირში შემავალი ამ დროებითი წარმონაქმნის სიმბოლო შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ზედა ნაწილში, შავი ქედიდან და მოებიდან ამომავალი მზის სხივების ფონზე განლაგებულია ოქროს ნამგალი და ურო, ოდნავ ზევით, ასევე სხივებში მოთავსებულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი; ქვედა ნაწილში — ფაბრიკათა მბოლავი მილები; ცენტრში კი მცენარეული კომპოზიცია: ვაზი ტტეყნით, ბამბა, სიმინდი, ხორბლის რამდენიმე თავთავი. გერბს შემოვლებულ წითელ ბაფთაზე ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად აწერია "ასფსრ". ბაფთის ქვეშ ოქროს ფონზე რუსული ლეგანდაა: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!"[105]

1990-იან წლებში საქართველომ ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად ეროვნულ სიმბოლოდ 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი გერბიც აღიდგინა. აქედან მოყოლებული, დღემდე სახელმწიფო პერალდიკა, ისევე როგორც სხვა განშტოებები ქართული გერბთმცოდნეობისა, ფაქტობრივად გარდამავალ პერიოდში, გზათვასაყარზე იმყოფება. სოციალისტური სიმბოლიკის თითქმის ასწლოვანი ბატონობის შემდეგ ჯერ-ჯერობით არ არის შეკეთრად გაშოკვეთილი თუ რა მიმართულებით განაგრძობს განვითარებას ქართული პერალდიკა. აქედან გამომდინარე აღარც ის არის გასაკვირი, რომ სახელმწიფო სიმბოლიკის საკითხი პრაქტიკულად ღიად რჩება.

საქართველოს სამხარეო გერბები

საქართველოს სამხარეო გერბები, სახელმწიფო გერბთან ერთად, ქართული კლასიკური პერალდიკის ერთ-ერთი უძველესი წარმონაქმნია. დღემდე შემორჩენილი მათი ყველაზე ადრეული ნიმუშები, სახელმწიფო გერბთან ერთად რუსეთის მეფის ალექსი მიხაილოვიჩის, ჩვენთვის უკვე ცნობილ 1672 წლის "ტიტულიარნიკშია" დაფიქსირებული, სადაც საქართველოს სამეფოს საგერბე ფარის გვერდით ქართლისა და კახეთის გერბებიც არის განთავსებული.

ქართლის სამეფოს გერბი, რომელსაც დართული აქვს რუსულენოვანი წარწერა — "государь иверские земли", შემდეგნაირად გამოიყურება[106]: სტილიზებულ ოვალურ ფარში — ორი ისრით ქვევიდან ირიბად გამსჭვალული ცეცხლის მფრქვეველი მთა. კომპოზიცია სავარაუდოდ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანის, პრომეთეს შესახებ ლეგენდას უნდა ასახავდეს. კახეთის გერბს ასევე რუსული წარწერა — "всея северныя страны повелитель", ერთვის, აგრეთვე სტილიზებულ ფარში კი ყალყზე შემდგარი შებრუნებული ცხენი და ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა კუთხეებში თითო შვიდქიმიანი ვარსკვლავი არის გამოხატული[107]. აღმოსავლეთ საქრისტიანოში "ჩრდილოეთის ქვეყნად" საზოგადოდ ქართულ მიწებს იცნობდნენ, ვინაიდან, ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანაში, მართლმადიდებელი სამყაროსთვის საქართველო იერუსალიმთან, წმინდა მიწასთან პირდაპირ უკიდურეს ჩრდილოურ მართლმორწმუნე ქვეყანას წარმოადგენდა[108]. ეს კომპოზიციები რუსეთის "პრეტენზიის გერბებად" შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან საქართველოს არცერთი მხარე რუსეთის შემადგენლობაში არ შედიოდა, მაგრამ, ვითარც ზევით, სახელმწიფო გერბის განხილვისას შევნიშნეთ გარკვეული საფუძველი ამ საგერბე ფარების რუსთ ხელმწიფის "ტიტულიარნიკში" შეტანისა მაინც არსებობდა.

ზუსტად ზემოთ აღწერილი გერბებისებრი გამოსახულებანი შეფე ფიოდორ ალექსეევიჩთან წარგზავნილი რომის საელთო იმპერიის ავსტრიელი დესპანის, კორბის 1698-1699 წლების დღიურშიც გვხვდება[109]. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ლათინურად თარგმნილი წარწერები შემოკლებულია და ქართლის გერბის შემთხვევაში — "Iweria"-ს, კახეთისაში კი — "Severia"-ს შეიცავს.

---

[105] Там же. ст. 114.
[106] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. Изд. "Советская Россия" М. 1985 г. ст. 188-189.
[107] Там же.
[108] ზ. სურგულაძე. პოლიტიკური და კულტურულ-საეკლესიო ფორმულები ქართველ მეფეთა ტიტულატურაში. ქართული წარმართობისმეცნიერება. VIII. "მეცნიერება". 1983 წ. ინ.
[109] Н. А. Соболева. Старинные гербы российских городов. Изд. "Наука". М. 1985 г. ст. 39.

XVIII საუკუნის შუა წლებში რუსული კლასიკური გერბთმცოდნეობის ერთმა ფუძემდებელთაგანმა იტალიური წარმოშობის აზნაურმა ფრანცისკ სანტიმ რუსეთის იმპერიას შემადგენელ ბროეინციათა გერბებთან ერთად საქართველოს, ქართლისა და კახეთის გერბებიც გამართა პერალდიკურად[110].

მოგვიანებით, XIX საუკუნეში ქართლისა და კახეთის საგერბე სიმბოლოები, უკვე რუსეთის იმპერიას მიერთებული საქართველოს სამეფოს კუთვნილი, იმპერიის "დიდი სახელმწიფო გერბის" ერთ-ერთი შემადგენელი, ჩვენს მიერ საქართველოს სახელმწიფო გერბის აღწერისას ბლაზონირებული ფარის ფარგლებში მოექცა[111].

საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ქვეყნებისა და მხარეების სრულიად ორიგინალური გერბები არის წარმოდგენილი ბატონიშვილ ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის 22 იანვარს შედგენილ კავკასიის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ რუკაზე[112]. ის, რომ ეს მართლაც გერბებია და არა დროშები, როგორც მათ არასამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად უწოდებენ ხოლმე, დასტურდება რუკას დატანებული ვახუშტისაევე მოკლე განმარტებით, სადაც გამოსახულებები ამგვარად მოიხსენიება: "ღერბნი ანუ ნიშნი..."[113]. მართალია, როგორც ვნახეთ, ქართული გერბები ადრეც იყო დადასტურებული, მაინც პირველი საქართველოში ქართველი ავტორის მიერ შექმნილი საგერბე ფარებს თავმოყრა ვახუშტი ბატონიშვილის კავკასიის რუკაში ეოხდა, რის გამოც მას თამამად შეიძლება ეწუწოდოთ საქართველოს და სრულიად კავკასიის პირველი საგერბე.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე საქართველოს სახელმწიფო გერბის სამი ვარიანტის გარდა, კავკასიის მიწების კიდევ 13 საგერბე ფარი არის აღბეჭდილი[114]:

აფხაზეთის: ბაც მწვანე ფონზე გამოსახულია თხა, მის ზევით კი სამი ნახევარმთვარისებრი ნიშანი.

გურიის: მუქ ვარდისფერზე, ირემი, თავზე შარავანდედმოსილი ვარსკვლავი.

ოდიშის: ღია ყავისფერზე, დროშისმპყრობელი ტახი, დროშაზე — შუაში — ჩიტი, კუთხეებში — ოთხი ვარსკვლავი.

იმერეთის: მომწვანო ფონზე გამოხატულია ირემი, რქებს შორის ჯვრით, ზევით გვირგვინი, გვირგვინს ქვეშ კი ნახევარმთვარე.

კახეთის: ყარდისფერზე, დროშისმპყრობელი ბეგასი, ალამზე გაურკვეველი ნიშანია, ტარი კი ჯვრით არის დაბოლოებული; ყოველივეს თავს ადგას გვირგვინი. გავიხსენოთ, რომ "ტიტულაარნიკში" კახეთს ცხენი განასახიერებს და ბეგასიც ხომ იგივე ფრთოსანი ცხენია, ასე რომ, შესაძლებელია საქმე გვაქვს ამ ანიმალისტური ფიგურის კახეთის სიმბოლოდ მინიევის საკმაოდ მყარ ტრადიციასთან, მითუმეტეს რომ, მოგვიანებით საქართველოს რუსეთთან მეერთების შემდგომაც ამ მხარის ემბლემას კვლავ ცხენი წარმოადგენს[115].

სომხეთის: ბაც მწვანე ფონზე, შუბისმპყრობელი პერალდიკური ლეოპარდი, ზევით გვირგვინი და მზე.

შირვანის: ყვითელზე, დროშისმჭერელი თხა, დროშაზე გამოსახულია როზეტისებრი ორნამენტი.

ლეკ-დაღესტნის: მწვანე ფონზე, კლდეებიდან სანახევროდ გამომხტარი, დროშისმპყრობელი მგელი.

სამცხე-საათაბაგოს: მწვანეზე, მწოლიარე ხარი დროშით, მასზე ხმალი ორი შავი ვარსკვლავით.

ქართლის: წითელზე, ერთმანეთისგან ურთიერთ გადაჯვარედინებული სკიპტრით და ხმლით განცალკევებული მწოლიარე ლომი და ხარი; ზევით შარავანდედიანი ვარსკვლავი.

სვანეთის: ცისფერზე, დათვი მთების ფონზე. დათვი შესაძლოა ზოგადად მთის ბინადართა სიმბოლოდ მივიჩნიოთ.

ოვსეთის: ვარდისფერზე, კლდეების ფონზე ფოცხვერი.

რანის: ბაც მწვანეზე, კვადრატში ჩასმული ობობა ქსელითურთ.

ვახუშტი ბატონიშვილისეული სამხარეო გერბები ეტყობა უმეტესწილ ადგილობრივი ტოტემური სიმბოლოების საფუძველზეა შექმნილი. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ვახუშტის მიერ შეღგენილი ქართლის და კახეთის ფარები განსხვავდება რუსეთის ხელშეწყობა, ზევით ხსენებულ "ტიტულაარნიკში" შეტანილი სიმუშებისგან. არადა ბატონიშვილს უთუოდ ეცოდინებოდა მათ შესახებ, ვინაიდან 1724 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა და კავკასიის რუკაც სწორედ რუსეთში მოღვაწეობისას

---

[110] Н. А. Соболева. Старинные гербы российских городов. Изд. "Наука". М. 1985 г. ст. 55.

[111] П. Винклер-фон. Ст: Государственный герб. Энциклопедичесский словарь. Изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон. т. IX. С-Пб. 1893 г. т. IX. ст. 406;
Манифест о полном гербе всероссийской империи. С-Пб. "Седа-С" 1993 г. лист 18.

[112] საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით. თბ. 1991 წ. გვ. 4.

[113] ი ქ ე ე

[114] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). აკადემიის გამომც. თბ. 1997 წ. გვ. 2-3.

[115] Манифест о полном гербе всероссийской империи. С-Пб. "Седа-С" 1993 г. ст. 18;
Государственный герб Росии. 500 лет. С-Пб. "Славна". 1997 г. ст. 107.

შექმნა. ტოტემური წარმოშობის ვარაუდს მხარს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ გერბების უმრავლესობაში ცენტრალურ ფიგურას ცხოველური ანიმალისტური გამოსახულებები წარმოადგენს, ტოტემური ემბლემები კი, თუ არ ვცდებით, როგორც წესი ფლორა-ფაუნიდან არის ხოლმე წარმომდგარი. საერთოდ მოსაზრება გერბების ტოტემიზმთან კავშირის შესახებ უცხო და ახალი არ არის[116]. ამ საკითხს საკმაოდ დიდ ყურადღებას და მნიშვნელობას ანიჭებდა ცნობილი რუსი პერალდისტი თეორეტიკოსი, გერბთმცოდნეობის, როგორც დამოუკიდებელი საისტორიო დისციპლინის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი იური ვასილის ძე არსენიევი[117]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლომი, ხარი, ცხვარი, ირემი, ტახი, ღორი უძველესი საკულტო ე. ი. ტოტემური ცხოველებია. მათი მრავალფეროვანი გამოსახულებანი საქართველოს პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე[118] არის დადასტურებული. ეს ცხოველები (განსაკუთრებით: ცხვარი, დათვი, ირემი, ტახი, ცხენი და სხვ.) ხშირად გვხვდება ხოლმე როგორც მატერიალური კულტურის ძეგლებზე, ისევე ეთნოგრაფიულ თქმულება გადმოცემებში თუ უძველესი ფესვების შემონ რიტუალურ ხალხურ ზეიმებში ან დღესასწაულებში[119].

ჩვენს მიერ ტოტემურად მიჩნეულ ემბლემატიკას, ვახუშტი ხშირად თავისი საკუთარი კონცეპტუალური დანართებით ახავებს. მაგალითად, ისეთი კლდოვანი პროვინციების გერბებში, როგორიც არის სვანეთი, ოვსეთი, დაღესტანი მთების გამოსახულება არის შეხული; სამეფოების (კახეთი, იმერეთი, სომხეთი; ქართლის გამოკლებით) ფარებში გვირგვინია განთავსებული. მოყვანილი ფაქტები მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ სისტემასთან, ე. ი. მეცნიერულ მიდგომასთან. აქედან გამომდინარე თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ გამოსახულებანი ჭეშმარიტად გერბებია და არა უბრალოდ სიმბოლურ ნახატთა კრებული.

ძლიერ საინტერესოა ვახუშტისეული გერბების დიპლომატიურ-პოლიტიკურ ჭრილში განხილვა. ჩვენის ვარაუდით ეს არის, ასე ვოქვათ დიდი საქართველოს საპრეტენზიო მიწების მონიშნის ცდა. თანაც, სრულიად გააზრებული და გათვითცნობიერებული. ამაზე მეტყველებს ციტატა რუკის, ერთხელ უკვე დამოწმებული მოკლე განმარტებიდან: "ახალი დახაზული სამეფო ბერიისა ანუ ყოელისა საქართველოსი. კართა ანუ რუკა რომელ არს ორთა ზღვათა შორის"[120]. შემდეგ მოდის ჩამოთვლა იმ მიწებისა, რომელთაც ეკუთვნის გერბები. როგორც ყნდებით, ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ საუბარია საქართველოზე ზღვიდან ზღვამდე (შავიდან კასპიისამდე). ე. ი. ქართველ მეფეთ-მეფეთა დროინდელი, ნიკოფსიითგან დარუბანდამდე საქართველოს იღება XVIII საუკუნეში კვლავ ცოცხლობდა და პერალდიკაშიც ცხადად აისახა.

კავკასიის მხარეთათვის გერბების შედგენით ვახუშტი ბატონიშვილმა დასაბამი მისცა ტრადიციას, რომლის მიხედვით მთელი რეგიონი საქართველოს პრიორიტეტით ერთ პერალდიკურ სივრცედ აღიქმება. ტრადიცია გააგრძელა ერეკლე II-მ, როცა ტრაქტატის საბეჭდავზე მისი გავლენის ქვეშ მოქცეული მიწების გერბები განათავსა[121] და, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მოგვიანებით იგივე ტრადიცია განაგრძო, რუსეთის იმპერიამ, როცა უკვე იმპერიაში შემავალი საქართველოს სამეფოს განერცობილი გერბის ფარში ყაბარდოს, ჩერქეზ თავდთა და სომხეთის სიმბოლოები შეიტანა[122].

ვახუშტი ბაგრატიონის გერბები ტიპიური მაგალითია ქართული გერბმცოდნეობის ბირეელი, ასე ვთქვათ, ნაციონალური პერიოდისა, რომლის დროსაც ნაკლებად ითვალისწინებდნენ დასავლური პერალდიკის წესებს და შესაბამისად, სიმბოლოებიც უფრო აღგილობრივ ტრადიციაზე დაყრდნობით იქმნებოდა[123].

ქართულმა სამხარეო პერალდიკამ, როგორც აღინიშნა, შემდგომი განვითარება ერეკლე II-ის მეფობის ხანაში ჰპოვა.

1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატის საბეჭდავზე ამოტვიფრული ბაგრატოვანთა მმართველი დინასტიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო გერბის გარშემო განლაგებულია ათი მომცრო ფარი (ოთხ-ოთხი პარჯვენა და მარცხენა პერალდიკური მხარიდან და 2 ქვეიდან)[124]. ისინი წარმოადგენენ მეფე ერეკლეს ხელისუფლების დაქვემდებარებულ მიწებს, რომელთა შორის არის,

---

[116] Наумов, О. Н. "Геральдика в научном творчестве генеалога Н. П. Чулкова. Журн. "Гербовед". М. 1996 г. № 1 (9). ст. 139.

[117] Ю. В. Арсеньев. Геральдика. Изд. "Терра". М. 2001 г. ст. 11.

[118] მიხეილ ჯაბახიშვილი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 29-33, ნახ. 3, 4, 8, 14, 26, 33-37, 43, 44, 47, 52-5557, 62 და ა. შ.;

მიხეილ ბიჭარიანი. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ. 1902 წ. გვ. 45, 54, 88, 89, 102, 223 და ა. შ.

[119] ჯ. რუხაძე. ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში. "მეცნიერება". თბ. 1989 წ. გვ. 19, 21-24.

[120] საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით. თბ. 1991 წ. გვ. 4.

[121] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი ბაიკაძემ. თბ. 1983 წ. გვ. 126.

[122] П. Винклер-фон. Ст: Государственный герб. Энциклопедический словарь. Изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон. т. IX. С-116. 1893 г. ст. 406.

[123] თ. ასათიანი. საქართველოს გერბი. ჟურ. არტანუჯი №№ 5. გვ. 43, 48.

[124] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ. გამ. "მეცნიერება". თბ. 1983 წ. გვ. 126.

როგორც წმინდა ქართული მხარეები, ასეყო საქართველოს მიმდებარე, ქართლ-კახეთის სამეფოს კუთვნილი, ყმადნაფიცი თუ სპარეტენ'ზიო სამფლობელოები. ერეკლე II-მ ამ პროვინციული გერბებით შეიძლება ითქვას გააგრძელა ის საქმე, რომელსაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა დაუდო სათავე კავკასიის რუკას დართულ ემბლემატიკაში და, რომელიც საქართველოს გაერთიანის სფეროს მონიშვნას ისახავდა მიზნად.

საბეჭდავის ყოველ მცირე, სამხარეო ფარს ორიგინალური, როგორც ჩანს ერეკლე II-ის ხანებში სამთავროების გერბთათვის განკუთვნილი გვირგვინი ადგას თავს, თვით ეს საგერბე ფარები კი შემდეგნაირად გამოიყურება (აღწერილობა მოცემულია პერალდიკური წესით — ზევიდან ქვეგით და მაცქერლისთვის მარცხნიდან მარჯვნივ): I — საქართველოსი: გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგი; II — ქართლი: ორ ისარ გასობილი მთა; III — სომხეთი: ორ მწვერვალზე მოთავსებული ბიბლიური ნოეს კიდობანი; IV — თაღის ქვეშ გამოხატული ღვთისმშობელი ხელებში ჩვილი იესოთი და მამაკაცის სამი ფიგურა, სავარაუდოდ ბიბლიიდან ცნობილი შობისა და "სამი მოგვის" სცენა; V — სამგუმბათოვანი ეკლესია. გერბი შესაძლოა ერევნის სახანოს ეკუთვნოდეს, რადგან მოგვიანებით ერმიაძინის ტაძრის მსგავსი გამოსახულება რუსეთის იმპერიაში შემავალი ერევნის გუბერნიის გერბზე იყო დატანებული[125]; VI — ისრის მბყრობელი შებრუნებული შეაბჯრული მკლავი; VII — ირიბად გამოხატული შებრუნებული აღმოსავლური ხმალი; VIII — ასევე ირიბად გამოხატული შებრუნებული მუშკეტი; IX — გაქცეული მგლისებრი შებრუნებული ფიგურა. თუ ფიგურა მართლაც მგელია, მაშინ არ არის გაშორიცხული ფარი "ლეკ-დაღესტანს" მივაკუთვნოთ, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიის ამ მხარეს ვახუშტი ბაგრატიონის გერბებში სწორედ მგელი განასახიერებს; X — ცხენის მსგავსი შებრუნებული ფიგურა. თუ ეს ასეა შესაძლებელია გერბი კახეთისა იყოს.

აღწერილი გერბების უმეტესობის ატრიბუცია ძლიერ ჭირს, ვინაიდან მათი კუთვნილებას ბირდებირი მითითება ქართულ პერალდიკასთან დაკავშირებულ ვერცერთ წყაროში ან ლიტერატურაში ვერ მოვიძიეთ, გეორგიევსკის ტრაქტატს დართული ერეკლე II-ის ტიტულში ჩამოთვლილი მის მფლობელობაში მყოფი ქვეყნების თუ მხარეების ნუსხას[126] კი ბეჭედზე აღბეჭდილი ზევით ჩამოთვლილი სამხარეო გერბების რაც თანმიმდევრულად ყურასზით გერ ესადგება.

გურიის სამთავროს მეტად საინტერესო და ორიგინალური გერბი არის ამოტვიფრული ქ. თბილისის საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილ ლითონის მასიურ ფილაზე: ოქროს გულიან ფარაზე — ლათინური ჯვრით დაბოლოებული მარცხნივ ჩაწეული სვეტი, მის ძირში კი — წინა თათებით მახვილის მაყრობელი მწოლიარე პერალდიკური ლეოპარდი; ფარი სამთავრო გვირგვინით დამშვენებული ბავილიონით არის შემკული. გერბი გამოქვეყნებული აქვს სტანისლავ დუმინს "რუსეთის იმპერიის სათაეადაზნაურო გვარების" IV ტომში[127]. გერბი ჰერალდიკური სტილის დამახასიათებელი ნიშნებით XIX საუკუნის დასაწყისს უნდა განეკუთვნებოდეს, ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ კომპოზიცია უთუოდ მხოლოდ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ გურიის სამთავროს საბოლოო გაუქმებამდე და ქუთაისის გუბერნიას მიერთებამდე ანუ 1840 წლამდე თუ იარსებებდა[128].

სამეგრელოს სამთავროს ორიგინალურ გერბს ვხვდებით, ქ. თბილისში მდებარე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულ დიდიანების კუთვნილ XIX საუკუნის ორ ვერცხლის ლანგარზე. თითოეული ჭურჭლის ცენტრში ამოკეთილია, ე. წ. ფრანგული ფარი, გერბთმცოდნეობის წესების მიხედვით, ოქროს აღმნიშვნელი წერტილოვანი დაშტრიხვის მქონე ფონით და მოხიარულე ვერძის გამოსახულებით; ფარს სათავადო გვირგვინიანი სათავადოვე მოსასხამი აკრავს გარს. საფიქრებელია, რომ ისევე როგორც სამეგრელოს მთავრების დადიანების გერბში, ამ შემთხვევაშიც ვერძის ფიგურა ოდიშის სამთავროს ძველი კოლხიდის მახლობლად მდებარეობაზე და აქედან გამომდინარე არგონავტების ცნობილ მითთან კავშირზე უნდა მიგვანიშნებდეს.

სამხარეო გერბებად შეიძლება მიგიჩნიოთ აგრეთვე, საქართველოში შემავალი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოთა პერიოდის გერბებიც.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი ერთ-ერთი უადრეულესი იყო საბჭოთა კავშირის ავტონომიების სიმბოლოების შორის. სრულიად აფხაზეთის საბჭოთა III ყრილობაზე მიღებული 1925 წლის 1 აპრილის კონსტიტუციით დამტკიცებული აფხაზეთის თავდაპირველი გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: აფხაზეთის პეიზაჟის რუსულენოვან წარწერიან: "С. С. Р. Абхазия", ფონზე ოქროს ნამგალი და ურო იყო აღბეჭდილი, გერბის ზედა ნაწილში მზის სხივებში გამოსახული ხუთქიმიანი ვარსკვლავი იყო მოთავსებული, ყოველივე კი თაყვანებით, თამბაქოთა და ბამბაყვავილებით შემკული ლენტით იყო შეკრული. ამ გერბის ავტორი ცნობილი ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე გახლდათ.

[125] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. Изд. "Советская Россия". М. 1985 г. ст. 70.

[126] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ. გამ. "მეცნიერება". თბ. 1983 წ. გვ. 25, 42.

[127] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 35.

[128] Там же ст. 36.

გვირგვინით უყო შემკული. გერბს გარს ერტყა წითელი არშია აბხაზურენოვანი წარწერით: "Пролетарии всех стран, соединяй тесь!"[129]. აღწერილი გერბის მიღებიდან მცირე ხნის შემდგომ, 1937 წელს იგი შეიცვალა და ამიერიდან აფხაზეთის, ისევე როგორც აჭარის, საქართველოს სსრ-ის შემადგენელი ავტონომიური წარმონაქმნების ემბლემები თვით საქართველოს სსრ-ის საგერბე კომპოზიციის იდენტური გახდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აფხაზეთის სიმბოლოს აფხაზური ენაზე შესრულებული დევიზი: "Пролстарии всех стран, соединяйтесь!" ერთვოდა, აჭარისას კი ქართულად და რუსულად გადმოცემული წარწერა: "აჭარის ასსრ" პქონდა ჩამატებული[130].

საქართველოს საქალაქო გერბები

საგერბე გამოსახულებების მრავალფეროვანი სახეობებიდან საქალაქო გერბები ჩვენში ერთი უგვიანესთაგანი წარმონაქმნია. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული მონაცემების მიხედვით, უნდა ვიყვარაუდოთ, რომ XIX საუკუნემდე, ანუ რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში ქალაქებს გერბები არ გააჩნდათ. ყოველ შემთხვევაში ამ სიტყვის კლასიკური ევროპული მნიშვნელობით. საგვარეულო, სახელმწიფო თუ სამხარეო გერბებისგან განსხვავებით მათ არსებობას არც რუსული გერბთმცოდნეობა სცნობს. თუმცა, ძირითადად ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე უნდა ვიყვარაუდოთ, რომ საქართველოს ქალაქებს, შესაძლოა ანტიკური ხანიდან მოყოლებული და XVIII საუკუნის ჩათვლით, პქონდათ გარკვეული სიმბოლოები, რომელიც, როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში მონეტებზე ან რაიმე სხვა საგნებზე დაიტანებოდა ხოლმე[131]. მიუხედავად ამისა, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ვერ დასტურდება აშგვარ ემბლემათა გადაზრდა საქალაქო გერბებში, მეტიც ხსენებული სიმბოლოები, იშვიათი გამონაკლისების გარდა (მაგ. რედუტ-კალე ანუ ყულეი), არც მოგვიანებით რუსების მიერ შექმნილ მუნიციპალურ გერბებს დასდებია საფუძვლად. მოკლედ რომ ითქვას, სადღეისოდ არ ჩანს პირდაპირი ბმა უძველეს სავარაუდოთ საქალაქო ემბლემებსა და მოგვიანო (XIX საუკუნის) მუნიციპალურ გერბებს შორის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქართული საქალაქო გერბების აღწერას XIX საუკუნიდან მოყოლებული შევუდგებით და სადაც, ჩვენი აზრით, შესაძლებლად ჩავთვლით მათ სავარაუდო წინაპირობედ უძველეს ემბლემატიკასაც შევეხებით.

რუსულ გერბთმცოდნეობით ისტორიულ ლიტერატურაში არსებობს ცნობა, რომ ჯერ კიდევ 1819 წელს, ანუ სანამ ქართულ ქალაქებს ოფიციალური გერბები გაუჩნდებოდათ, გენერალმა ალექსანდრე ბეტრუს ძე ერმოლოვმა (სხვათაშორის ეს სწორედ ის ერმოლოვია, რომელმაც ხასტიკად ჩაახშო 1819-20 წწ. გურია-იმერეთის აჯანყება) საკუთარი ინიციატივით შექმნა საქართველოს გერბის პროექტი და აგრეთვე აპირებდა წარმოედგინა თავის მმართველობაში (საიმპეროდ გენერალი საქართველოს მთავარმართებელი იყო) მყოფი ყველა სამაზრო ქალაქის ემბლემა[132]. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შეეძელით ამ საკვლევებო, მაგრამ ზედმეტად მოკლე, მწირი ცნობის გადამოწმება და სადღეისოდ არ ძალგვიძს იმაზე საუბარი თუ რა გამოსახულებებთან გვაქვს საქმე, შემორჩა ისინი თუ არა. ამ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია ვერც ჩვენთვის მისაწვდომი წერილობითი, საარქივო თუ ზეპირი წყაროებიდან მოვიკრიეთ.

მცირე ხნის შემდგომ — 1836 წელს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ცირკულიარს უგზავნის გუბერნატორებს, რომელთაც უნდა შეეტყობინებინათ, პქონდა თუ არა მათდამი დაქვემდებარებულ ყველა ქალაქს გერბი[133]. ამ დოკუმენტის საფუძველზე საქართველო-იმერეთის გუბერნიის და კახბაის ოლქის, მათი მაზრებისა და ქალაქების გერბების ოცი პროექტი იქნა გაგზავნილი და განხილული სახელმწიფო სენატში. პროექტები შემუშავებული იყო ამიერკავკასიის მხარის მთავარ სამმართველოში და სწორედ მათ საფუძველზე 1843 წლის 21 მაისს დამტკიცდა ოფიციალური ხელისუფლების მიერ დადასტურებული პირველი ჩვენთვის ცნობილი ქართული საქალაქო გერბები[134].

1858 წელს რუსეთის იმპერიაში ადგილობრივი ანუ საქალაქო და საბაზარეო გერბების შექმნის თუ გადახედვის კიდევ ერთი ახალი ეტაპი დაიწყო. პეროლდიის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით რუსეთის ყოველ გუბერნიას, ოლქს, მაზრას, ქალაქს საკუთარი გერბი უნდა პქონოდა, ხოლო ყველა

---

[129] В. Поцелуев. Гербы Союза ССР. Изд. политической книги. М. 1987 г. ст. 131-132.
[130] Там же ст. 138.
[131] Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987 г. ст. 105.
დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თსუ-ის გამომც. თბ. 1969 წ. გვ. 26-32, ხურ. 1-8.
[132] Н. А. Соболева. Ставринные гербы российских городов. М. 1985 г. ст. 112.
[133] Там же ст. 111.
[134] მიხეილ მაყაშვილი, დავით კლდიაშვილი. ქართული პერალდიკის ისტორია. გაბ. სახელმწ გამომც. №№ 88. 1 — 7 ამრიალი. 1987 წ.

ადმინისტრაციული ეროვნულის ის, ასე ყოფილათ ძველი გერბი, რომელიც უკვე არსებობდა კლასიკური დასავლეთ ევროპული პერალდიკის წესების მიხედვით უნდა შესწორებულიყო[135].

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიშდინარეობდა, როგორც ქართული, ასევეე რუსული ზოგადსაიმპერიო ე. წ. ადგილობრივი ანუ მუნიციპალური გერბთშეთქმულება — წლების მანძილზე იქმნებოდა ახალი და მოდიფიცირდებოდა ან ხელახლა დგებოდა შრაფალი ქალაქის, ოლქის თუ მაზრის გერბი.

აქვე უნდა აღინიშნოს ყოფილი მეფისნაცვლის თავად მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის (ცხოვრობდა 1782-1856 წლებში; 1844-1854 წლებში — კავკასიის მეფისნაცვალი[136]) როლი რუსეთის იმპერიის დროინდელი ქართული საქალაქო გერბების შექმნაში. იგი ფრიად აქტიურ მონაწილეობას იღებდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალი, პერალდიკურად და შინაარსობრიულად უფრო გამართული მუნიციპალური გერბების შემუშავების საქმეში. პეროლდიის დეპარტამენტისთვის განკუთვნილ მის რჩევებში კი ხშირად გამოსჭვივის ადგილობრივი, ქართული კულტურისა თუ ისტორიის ცოდნა და მისდამი მოწიწებული დამოკიდებულება. აშასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ სწორედ 1831-1843 წლებას პერიოდში, ანუ სქართველოში პირველი საქალაქო გერბთშეთქმედების ჟამს თავად ვორონცოვის ქვეშევრდომად კავკასიაში მუშაობდა, მომავალში — 1851-1854 წლებში რუსეთის იმპერიის პეროლდმაისტერი დიმიტრი ვასილის ძე ულიანინსკი[137].

თბილისის გუბერნიის, საგუბერნიო ქალაქის, მაზრისა და ციხესიმაგრის გერბი

საიმპერიო შინაგან საქმეთა საშინისტროს 1838 წლის ზემოთხსენებული ცირკულიარის საფუძველზე 1843 წლის 21 მაისს სანკტ-პეტრბურგში რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ დამტკიცდა ქალაქ თბილისის პირველი ჩვენთვის ცნობილი ოფიციალურად გაფორმებული გერბი, რომელმაც 1878 წლამდე იარსება, ვიდრე მას ახლით შეცვლიდნენ. ამხანად რუსულ პერალდიკაში წესად იყო ქალაქის ან მაზრის საგერბე ფარის ზედა ნახევარში იმ გუბერნიის გერბის ნაწილის განთავსება, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მოცემული დასახლებული პუნქტი. ეს წესი მოგვიანებით, XIX საუკუნის შუა ხანებში პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილების მმართველის ბარონ კიონეს მიერ განხორციელებული რეფორმებისას უფრო პროგრესული კანონით შეიცვალა, რაზეც ქვეყვით გვექნება დაწვრილებითი საუბარი.

ამრიგად 1843 წლის 21 მაისს უმაღლესად დამტკიცებული და 1878 წლამდე მოქმედი თბილისის საქალაქო გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ფრანგული ფარი შუაზეა გადაკვეთილი. ზედა ნახევარში მოთავსებულია, ჩვენს მიერ უკვე განხილული, საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ზემოთა ნაწილი; ქვედაში: ვერცხლზე — მერკურის კვერთხი, ფართო ვაჭრობის ნიშნად[138]. კვერთხი ოქროს შეფერილობისა ჩანს, არადა ლითონზე დატანება ეტყად იშვიათი მოვლენა არის პერალდიკაში. ამ შემთხვევაში გამონაკლისი შესაძლოა იმ ფართო სავაჭრო საქმიანობის ხაზგასასმელად დაეშვა, რომელსაც ქალაქ თბილისი აწარმოებდა იმხანად. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენს მიერ სანკტ-პეტრბურგში შესწავლილ უმაღლესად დამტკიცებული საქალაქო და ადგილობრივი გერბების კრებულში (შემოკლებით — უდსაგკ) შეტანილი ამ გერბის ფერად გამოსახულებაზე აღბეჭდილი კვერთხი არა ოქროსა არამედ ბრინჯაოს ან უბრალოდ შეტალისფრად მივიჩნიოთ, ვინაიდან გერბის აღწერილობაში ფიგურის ფერი მითითებული არ არის, გერბთმცოდნეობაში კი მიღებულია ზოგიერთი საგნის მისი ჩვეული, ბუნებრივი და არა მაინცდამაინც პერალდიკური შეფერილობით გამოხატვა[139].

მერკურის კვერთხს სხვაგვარად კადუცისაც უწოდებენ. საზოგადოდ, მერკური (რომ.) იგივე ჰერმესი (ბერძ.) თავდაპირველად მესაქონლეობის მფარველად ითვლებოდა. მოგვიანებით მას პატიოს სცემდნენ, როგორც მოგზაურთა, დესპანთა და ვაჭართა, საერთოდ ვაჭრობისა და ყოველგვარი შემოსავლის მფარველ ღმერთს. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ჰერმესი — მერკური ზოგჯერ გამოიხატებოდა გველებშემოხვეული კვერთხით. კადუცად წოდებული ეს კვერთხი ხშირად გვხვდება ცალკეც, როგორც განვითარებული ვაჭრობისა და წარმატების სიმბოლო. მერკურის ჩაფხუტის ან

---

[135] РГИА. С-116. ф. 1343. оп. 15. д. № 275. 1868 г. ст. 1.

[136] ნ. ნაგაშიძე. ვორონცოვი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. IV. საქ. სსრ-ის მეც. აკადემიის გამომც. 1979 წ. გვ. 457.

[137] Наумов. О. Н. Из истории русской геральдической библиографии. Журн. "Гербовед". № 7. М. 1995 г. ст. 107.

[138] Сборник высочайше утвержденных городских и местных гербов, составлен по распоряжению Герольдмейстера Рейтера Гербовым отделением. Кн. V. 1887 г. ст. 728.

[139] Ю. В. Арсеньев. Геральдика. Изд. "Терра". М. 2001 г. ст. 155.

ჩექმების დამამშვენებელი ფრთები აღნიშნავენ ამ ღმერთისთვის დამახასიათებელ სისწრაფეს და მოქნილობას. ფრთები აგრეთვე კადუცეის კვერთხზეც თავსდება ხოლმე[140].

აღსანიშნავია რომ, თბილისის ეს შედარებით ყველი გერბი დატანებულია 1857-1858 წლებში თბილისსა და ბორჯომს შორის მიმოქცევაში მყოფ მარკაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ბირველი მარკაა რუსეთის იმპერიის ისტორიაში[141].

აქვე უნდა შევჩერდეთ იმ ცვლილებებზე, რომელიც პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილების მმართველმა ბარონმა კიონემ შეიტანა რუსულ საქალაქო გერბთშემოქმედებაში. რეფორმა რუსული გერბთმცოდნეობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას ისახავდა მიზნად. 1857 წელს საბოლოოდ დამტკიცებული კანონები მკაცრად განსაზღვრავდა ყოველგვარი ადმინისტრაციული ერთეულის (გუბერნიის, მხარის, ქალაქის, მაზრის, ციხე-სიმაგრის და ა. შ.) საგერბე კომპოზიციის შედგენის წესებს[142]. ამიერიდან ყველა გუბერნიას ერთი ტიპის გერბი და ფარსგარე საგერბე შუსამკობელი უნდა ჰქონოდა, საქალაქო და სხვა ადგილობრივი გერბების ფარსგარე შესამკობები კი ერთიან სისტემაში მოქცეულიყო. ამ კანონთა მიხედვით ადგილობრივ გერბებს მოცემული ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის, ფუნქციის, მნიშვნელობის გამომხატველი კონკრეტული საგერბე ატრიბუტები ამშვენებდა, გუბერნიის გერბი კი საგუბერნიო დახასიათებული პუნქტის საგერბე ფარის ზედა ნაწილს ნაცვლად, ფარის, ფიგურებისგან დაუტყვირთავ ე. წ. თავისუფალ ნაწილში (იხ. გლასარიუში) ექცეოდა. ამასთანავე გადაწყდა ამიერიდან გერბებში შემაჯალ ყველა ფიგურას დასაელეთ ევროპაში მიღებული კლასიკური პერალდიკური ანუ ოდნავ სტილიზებული და არქაული ფორმა მინიჭებოდა. მოყვანილ დადგენილებათა ხორცშესასხმელად მთელ იმპერიაში დაიწყო ძველი გერბების განახლება-გადახალისებისა და ახალი აქამდე არარსებულების შექმნის ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც 1850-იან წლებში დაედო დასაბამი და 1870-იანების ბოლომდეც კი არ იყო სრულიად დამთავრებული. ასე მაგალითად, იგივე თბილისის ახალი გერბის შექმნა 1858 წელს გადაწყდა, საბოლოოდ კი იგი მხოლოდ 1878 წელს დამტკიცდა. ეს არც ისე მოკლე ექსკურსი აუცილებელი გვეჩვენა ზოგადად რუსეთის იმპერიაში მიმდინარე გერბთმცოდნეობით პროცესებში გასარკვევად, რათა უფრო სრულყოფილად წარმოვიდგინოთ რის საფუძველზე და რატომ იღებდა ამა თუ იმ ფორმას იმ ხანებში წარმოქმნილი ქართული ადგილობრივი გერბები, ვინაიდან ეს ბროცესები ბუნებრივია პირდაპირ ეხებოდა მათ.

ამრიგად 1858 წელს პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებამ გადაწყვიტა თბილისის გუბერნიისა და მისი ქალაქების ახალი გერბების შექმნა. ამასთან დაკავშირებით თავის დროზე, ჯერ კიდევ 1858 წლამდე კონსულტაცია სთხოვეს კავკასიის ყოფილ მუფისნაცვალს თავად ვორონცოვს. მან თბილისის გუბერნიის გერბად წარმოადგინა: ფარის წითელ გულზე მაცხოვრის კუართი, მის თავზე მარჯვნიდან და მარცხნიდან თითო ქერუბიმი. პროექტის მხატვრული გაფორმებული ჩვენთვის უცნობია, შეინარჩა მხოლოდ აღწერილობა. გერბში წმინდა ნაწილების განთავსების მართებულობასთან დაკავშირებით იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი რუსეთის წმინდა სინოდს დაეკითხა, რომელმაც უხვრხულად მიიწია ამგვარ სიწმინდეთა ქალაქის გერბში შეტანა[143]. ამაზე დოკუმენტურად არაფერი მიუთითებს, მაგრამ ვფიქრობთ სინოდი და ქინისტრი პროექტის წინააღმდეგ ამოტომ წავიდნენ, რომ მასში მნიშვნელოვანწილად ფიქსირდებოდა ბაგრატიონთა უძველესი საგვარეულო სიმბოლიკა.

საგერბე განყოფილებამ საბოლოოდ თბილისის გუბერნიის გერბის ხრულიად განსხვავებული პროექტი შეიმუშავა, რომელიც 1878 წლის 5 იგლისს ცარსკოე სელოში ოფიციალურად დამტკიცდა და მოგვიანებით ასევე შევიდა უხლესად დამტკიცებული საქალაქო და ადგილობრივი გერბების კრებულში[144]: ფრანგული ფარი, ოქროზე შავი ჯვარი, ჯვარზე — ორ მოპრილ ვერცხლის ხელში ოქროს სამყურა რუსული ჯვარი დადგმული გადაბრუნებულ ვერცხლის ნახევარმთვარეზე; ფარის კუთხეებში ღიმის ოთხი მოპრილი მუწამული თავი შავი თვალებით და ენით. ფარზე — სიმშერატორო გვირგვინი, ფარას გარშემო — ოქროს მუხის ფოთლები ლენტგარდის ჯრრიას ბაფთით შეერთებული.

კომპოზიციის სიმბოლიკა შემდეგნაირად ახსნება: რუსული ჯვარი მიუთითებს, რომ საქართველო რუსეთს შეუდგენლობაშია და მის მფარველობის ქვეშ იმყოფება; ამ ჯვრის მჭერელი ურთიერთგადაჯაჭვული ხელები რუსეთ-საქართველოს კავშირზე მიანიშნებს; ამოტრიალებული ნახევარმთვარე და ღიმის მოპრილი თავები კი იმის აღმნიშნელია, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის მიერ სპარსეთისა და თურქეთის უღლისგან არის გამოხსნილი[145].

ჩვენი აზრით, გერბი წინამორბედთან შედარებით გაცილებით უკეთ არის პერალდიკურად გაწყობილი. მასში ძირითადი, პოლიტიკურ-სარწმუნეობრივი მოტივია — გადატრიალებული

---

[140] Н. Н. Сперансов. Эмблемные гербы России. М. 1985 г. ст. 15-16.
[141] Б. М. Кисин. «Страна филателия». М. 1980 г. ст. 100.
[142] РГИА. С-Пб. ф. 1343. оп. 15. д. № 276. 1858 г. ст. 10.
[143] РГИА. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 10.
[144] Сборник высочайше утвержденных городских и местных гербов. Кн. V. 1887 г. ст. 729.
[145] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 10.

ნახევარმთვარეზე შემდგარი ჯვარი ქრისტიანობის მიერ მუსლიმთა დამარცხების მანიშნებელია. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ 1878 წელს დაასრულა რუსეთმა წარმატებული ომი თურქეთთან და გერბის კომპოზიციაზე შესაძლოა ამ ფაქტმაც იქონია გავლენა.

იმავროულადაც ასეთივე შინაარსის გერბები შედგა ქალაქ თბილისის, ციხესიმაგრისა და მაზრისთვის, ოღონდ ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა გერბების შესაფერისი ფარსგარე საგერბე შესამკობლებით. საქალაქო გერბს თავს ედგა ოქროს სამკბილა კოშკურისებრი გვირგვინი, გარშემო კი ალექსანდრეს ბაფთით შეკრული ოქროს ორი თავთავი ეკრა. ამგვარი ორნამენტი ბარონ კიონესეული ზემოთხსენებული რეფორმის შემდეგ მიუთითებდა ქალაქის შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობის მიწათმოქმედებით საქმიანობას; ციხესიმაგრის საგერბე ფარს თავზე ედგა ვერცხლის სამკბილა კოშკისებრი გვირგვინი იმპერატორის დროშებით; სამაზრო გერბს კი ე. წ. ძველი სამფო გვირგვინი ამშვენებდა[146]. ამ გერბთაგან თითოეულშა 1917 წლამდე იარსება, ვიდრე რევოლუციამ მთელი რუსული საიმპერიო პერალდიკური პრაქტიკა არ მოსპო.

ზემოთ აღწერილთაგან სრულიად განსხვავებული გამოსახულება აქვს მოყვანილი მიხეილ ვადბოლსკის: გადაკვეთილი ფრანგული ფარი; ზევით — თბილისის გუბერნიის გერბი — სუეტიცხოველის ეკლესია, ქვევით — საგარაუდოდ მწვანეზე წმ. ნინოს ჯვარი[147]. სამწუხაროდ, წყაროთა უქონლობისა და ავტორისული მითითება-დამოწმებების არარსებობის პირობებში ვერაფერს ვიტყვით გერბის წარმოშობაზე, ან მისი შექმნის თარიღზე. მითუმეტეს, რომ თვით გუბერნიის ემბლემაც სხვაგვარია — სვეტიცხოველის მსგავსი ეკლესია. სანქტ-პეტერბურგში მდებარე რუსეთის ცენტრალურ საისტორიო არქივში (რცსა) ამგვარი და ვადბოლსკის მიერ მოყვანილი კიდევ რამდენიმე ჩვენთვის უცნობი წარმოშობის საქალაქო გერბის ვერავითარ კვალს ვერ მიგაკვლიეთ. თავს უფლებას მივცემთ გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი: ხომ არ არის ეს გენერალ ერმოლოვის მიერ შედგენილი გერბების სწორედ ის პროექტები, რომლებზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზევით და რომელთა შესახებაც მოკლედ მოგვითხრობს ცნობილი რუსი პერალდისტი სობოლევა. ყოველ შემთხვევაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ეს გერბი არასდროს ყოფილა ოფიციალურად დამტკიცებული რუსეთის საიმპერიო მთავრობის მიერ.

1989 წელს, საქართველოში ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებასთან ერთად, წარმოიშვა იდეა შექმნილიყო დედაქალაქის გერბი. წაპოწყების მოთავეად მოგვევლინა მხატვარი ემირ ბურჯანაძე. თემის გარშემო, გაზეთ თბილისში გაიმართა პოლემიკა, რომელსაც საკმაო ხნის მანძილზე, სხვადასხვა ავტორთა რამდენიმე სტატია მიეძღვნა[148]. თავისთავად ფაქტი რათქმაუნდა მისასალმებელი იყო (მითუმეტეს საიმდროოდ), მაგრამ მიდგომა — აბსოლუტურად არაპროფესიონალური.

კომპოზიციის ძირითადი მოტივის მხარზე გონიო გადებული ხოხობი, რომელიც ქალაქის დაარსებასთან დაკავშირებული ცნობილი ლეგენდიდან მოგვეულინა. მთლიანობაში ე. წ. გერბის პერალდიკურად აღწერა გაჭირდება, ამიტომ მხოლოდ ორიოდ შენიშვნით შემოვიფარგლებით. არ შეიძლება გერბი შეიქმნას გერბმცოდნეობის კანონთა სრული იგნორირებით. უბრუველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია, რომ, ვითარც გერბების ერთ-ერთ ლაკონურ განმარტებაში აღინიშნება: გერბი ეწოდება მემკვიდრეობით გარდამავალ სიმბოლურ გამოსახულებას, რომელიც დგება გარკვეული წესების (sic) საფუძველზე[149].

ემირ ბურჯანაძის ქმნილებაში არ განირჩევა მკაცრად დაწესებული პერალდიკური ფერები, არ არის გამოკვეთილი ფარი, გაუთვალისწინებელია პერალდიკის ერთ-ერთი ურყეგი წესი, რომლის მიხედვითაც გერბში ყოველად მიუღებელია რაიმე წარწერის ჩასმა.

ქუთაისის გუბერნიის, მაზრისა და საგუბერნიო ქალაქ ქუთაისის გერბი

ქუთაისის თავდაპირველი 1843 წელს შექმნილი გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გადაკვეთილი ფრანგული ფარი; ზედა ნახევარში — საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ნაწილი; ქვედაში — ვერცხლის ფონზე, მარცხნიდან მარჯვნივ მომდინარე ორი დაკლაკნილი ლაჟვარდოვანი ზოლი,

---

[146] Там же РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 10.

[147] მიხეილ გადბოლსკა. საქართველოს პერალდიკური სიმბოლოკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1990 წ. გვ. 97. სურ. 184.

[148] ნათელა არგველაძე. აქამდე რატომ დუმდნენ? გაზ. თბილისი. 4 ოქტომბერი. 1989 წ.;
ლ. გარდოსანიძე. თბილისის გერბი — ღონისძიება თუ მოულენა? გაზ. თბილისი. 12 სექტემბერი;
1989 წ.
თბილისის სიმბოლიკა. გაზ. თბილისი. 1 ივლისი. 1989 წ.;
ხალხ კანწურაშვილი. ჩვენი ქალაქის პერალდიკა. გაზ. თბილისი. 21 აგვისტო.; 1989 წ.
ხათუნა მაისაშვილი. თეორი გიორგის შარავანდედით. გაზ. თბილისი. 21 ივნისი. 1989 წ.

[149] П. Винклер-фон. Ст: Геральдика. Энциклопедический словарь. Изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон. т. VIII. С-Пб. 1893 г. ст. 460.

როშელიც ერთმანეთს ერწყმის, მათ თაეზე ზეთისხილის ტოტი. ყოველივე ეს განასახიერებდა მდინარეებს რიონსა და ყვირილას და ამ მხარეში, როგორც ჩანს იმერეთი იგულისხმება, მსხმოიარე ზეთისხილის ხეებს[150].

1858 წელს პეტერბურგის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში ქუთაისის გუბერნიის, მაზრისა და თვით ქალაქ ქუთაისის ახალი გერბების პროექტების შემუშავება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით კავკასიის ყოფილმა მეფისნაცვალმა თავადმა ვორონცოვმა ქუთაისის გუბერნიის გერბად წითელ ველიან ფარზე ოქროს საწმისი წარმოადგინა. კომპოზიციას თაეს უნდა სდგომოდა ორთავიანი საიმპერატორო არწივი, რომელიც ფარს ზევიდან გადაეფარებდა ფრთებს. იმავდროულად ვორონცოვმა სამაზრო გერბის პროექტიც შექმნა: გადაკეთებული ფარის ზედა ნაწილში ქუთაისის გუბერნიის გერბი განთავსდა, ქვედაში კი — ლაჟვარდის ფონზე წმ. ანდრია პირველწოდებულის ჯვარი. ანდრიას ჯვრის სიმბოლოს მოცემულ გერბში მოთავსება იმით აიხსნებოდა, რომ ამ წმინდანმა პირველმა იქადაგა ქრისტიანობა კოლხეთში, ანუ იგივე იმერეთში[151].

იმპერიის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბიბიკოვმა, რომელიც იმხანად ასევე საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული საქალაქო გერბთშემოქმედებაში, ორიეე პროექტი ძლიერ მოიწონა, თუმცა შენიშნა, რომ უფრო მართებული იქნებოდა ორის ნაცვლად გუბერნიასაც, მაზრასაც და ქალაქსაც ერთი გერბი ჰქონოდა, ვინაიდან ყველა ამ ერთეულის ადმინისტრაცია ერთსადაიმაეე ცენტრში ანუ ქუთაისში იყო განთავსებული. ეს მოსაზრება საგერბე განყოფილებამაც გაიზიარა[152]. საბოლოოდ ოქროს საწმისის ვარიანტი შეირჩა მცირეოდ შესწორებებით: გერბის ოქროს ველი მწვანით შეიცვალა, ეერძის ოქროსავე საკიდი კი რუსეთის იმპერიის ტრიკოლორი დროშის ფერებით გაეწყო. შესწორებანი იმით იყო მოტივირებული, რომ ქუთაისის გერბი ფერებით გამორჩეულ ყოფილიყო იდენტური შესახედაობის ავსტრიული და ეხპანური ოქროს საწმისის საქვეყნოდ ცნობილი ორდენებისგან[153].

ამრიგად 1870 წლის 29 ოქტომბერს ქალაქმა ახალი გერბი მიიღო: ფრანგული ფარის მწვანე ველზე, რუსეთის იმპერიის ფერების (შავი, ოქროსფერი, თეთრი) ბაფთაზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისი[154]. საგუბერნიო გერბის ფარს თაეს ადგას საიმპერატორო გვირგვინი, გარშემო კი ანდრიას ბაფთით შეერთებული მუხის ოქროს ფოთლები აკრავს; სამაზრო ფარს — ძველი სამეფო გვირგვინი; ხოლო საქალაქოს — ოქროს სამკბილა კოშკისებრი გვირგვინი. სამაზრო და საქალაქო ფარებს, ორივეს გარს არტყია ალექსანდრეს ბაფთით შეერთებული ვაზის ყლორტები, იმის ნიშნად, რომ, გერბის შემქნელთა დაკეირვებით იმერეთის ტყეებში მეტად გავრცელებული იყო ხეებს შემოხვეული ეველური ვაზის ჯიში[155].

რა შეიძლება ითქვას ქუთაისის ამ ორი გერბის შესახებ: თუ პირველი მათგანი მთლიანად გეოგრაფიული გარემოს მიხედეთ არის შედგენილი, მეორეში აქცენტი მართებულად არის გადატანილი ქალაქის და ზოგადად მხარის ისტორიულ წარსულზე, კერძოდ მითზე არგონავტების შესახებ. მართალია ვიზუალურად ორივე გამოსახულება მისაღებია, მაინც, ჩვენი აზრით, გუთანდელი ვარიანტი გაცილებით უკეთესია. საერთოდ, ქ. ქუთაისის 1870 წლის გერბი საქართველოს საქალაქო გერბებს შორის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესია დახვეწილობით, გემოვნებიანი შესრულებითა და სწორი კონცეპტუალური მიდგომით.

ქუთაისის ოფიციალურად დამტკიცებული ორივე გერბი შესულია საგერბე განყოფილების მიერ შედგენილ რუსეთის იმპერიის "უმაღლესად დამტკიცებული" საქალაქო და სამხარეო გერბების დასურათებულ კრებულში[156].

მიხეილ ვადბოლსკის ქალაქ ქუთაისის გერბად მხოლოდ ოქროს საწმისიანი ვარიანტი აქვს წარმოდგენილი ყოველგვარი დამატებითი შესამკობლების გარეშე[157].

ბათუმის საოლქო და საქალაქო გერბი

1857 წელს რუსეთის იმპერიის პეტერბურგის დეპარტამენტის საგერბე განყოფილების მიერ შეუშავდა ბათუმის საოლქო და საქალაქო გერბი. იგი ასე გამოიყურებოდა: ტალღისებრად გადაკეთილი ფრანგული ფარი; ზევით — მეწამულ ფონზე სამი ოქროს მონეტა ორი ერთზე; ქვედა ვერცხლის ნაწილი ცარიელია. ტალღოვანი კვეთა მხარის შუა ზღვასთან სიახლოვეზე მიუთითებს. მონეტები კი შეიქმნელთა აზრით იმას აღნიშნავდა, რომ ბათუმის პორტის რუსეთს მიერთება მომავალში

---

[150] Сборник высочайше утвержденных городских и местных гербов. Кн. V. 1887 г. ст. 380.
[151] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 270. 1868 г. ст. 2.
[152] Там же. ст. 3.
[153] Там же. ст. 2.
[154] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия". 1985 г. ст. 78.
[155] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 270. 1868 г. ст. 4.
[156] Сборник высочайше утвержденных городских и местных гербов. Кн. III. 1887 г. ст. 380-381.
[157] მიხეილ გადბოლსკი. საქართველოს პეტერბურგული სიმბოლიკა. გაზეთი. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 97, სურ. 185.

მეტად წაადგებოდა იმპერიის ინდუსტრიისა და ვაჭრობის განვითარებას. საოლქო ფარს თაუს ადგას იმპერიის საოლქო გერბების შესაფერი ე. წ. ქვეული საშეფო გვირგვინი. ხოლო ბათუმის, ვითარც საპორტო ქალაქის გერბის უკან ირიბად არის გადაჯვარედინებული ოქროს ორი ღუზა, თავზე კი ფარს ვერცხლის სამკბილა კოშკისებრი გვირგვინი ადგას[158].

აღსანიშნავია, რომ 1857 წელს ბათუმი ჯერ კიდევ არ შედიოდა რუსეთის იმპერიაში, აქედან გამომდინარე უნდა მიეყინნოთ, რომ პეროლდიის დეპარტამენტის 1857 წლით დათარიღებული საარქივო საქმეთწარმოებით დოკუმენტში ბათუმისა და ბათუმის ოლქის გერბის პროექტთან დაკავშირებული ფურცლები მოგვიანებით არის ჩამატებული.

გერბი საბოლოოდ 1881 წელს დატკიცდა, მაგრამ იმჩინად ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეერწყა. ამრიგად დარჩა მხოლოდ საქალაქო საგერბე ფარი, რომელშიც მარტოოდენ ის ცვლილება შევიდა, რომ ზედა მარჯვენა თავისუფალ ნაწილში ქუთაისის გუბერნიის გერბი მოთავსდა[159].

ფოთის საქალაქო გერბი

ქუთაისის გუბერნიაში შეშავალი სამაზრო ქალაქ ფოთის გერბი 1868 წელს შეიმუშავა სენატთან არსებული პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებამ. მანამდე ფოთს ოფიციალურად დაგენილი გერბი არ ჰქონია. საგერბე განყოფილების უფროსის კიონეს მითითებების მიხედვით შედგენილი კომპოზიცია ამგვარად გამოიყურებოდა: ფრანგული ფარი; ვერცხლზე მეწამული მრგვალი, კბილანებიანი კოშკი ღია კარიბჭით, ვერცხლის შოვებითა და ფანჯრებით; მთლიანად ფარზე — ლაჟვარდის ტალღოვანი ქამარი; ზედა მარჯვენა თავისუფალ ნაწილში — ქუთაისის გუბერნიის გერბი. სხვა სამაზრო ქალაქებისებრ ფოთის საგერბე ფარსაც ვერცხლის სამკბილა კოშკისებრი გვირგვინი ადგას თავს, უკან კი ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული და ალექსანდრეს ბაფთით გადაბმული ოქროს ორი ღუზა უძევს[160].

კიონესეული განმარტებით კოშკი ქალაქის სიმაგრეებზე მიუთითებდა ტალღოვანი ქამარი კი გამორჩეულ მდებარეობაზე — შავ ზღვასა და პალიასტომის ტბას შორის[161].

გორის სამაზრო და საქალაქო გერბი

1843 წლის 21 მაისს ქალაქ გორის გერბად შემდეგნაირი გამოსახულება დამტკიცდა: გადაკუთხული ფრანგული ფარი; ზედით — საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ნაწილი; ქვეყით — ლაჟვარდის ფონზე ოქროს ამომავალი მზით განათებული ვერცხლის ძველი დანგრეული კოშკი. კომპოზიცია იმას განასახიერებდა, რომ რუსეთის მფარველობაში ხალხს აღარ სჭირდება მაზრაში მიმოფანტული სიმაგრეები; კოშკის აქეთ-იქით ხორბლის თითო ოქროს ზვინი კი პურის ყანების სიუხვეს მოასინშნებდა[162]. თავისთავად მზე, ცნობილი რუსი გერბმცოდნის ვინკლერის მიხედვით, ჭეშმარიტების, სიმართლის, სიბრძნისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ აღიქმებოდა[163].

ცენტრალურ ფიგურათა (მზე და კოშკი) რუსებისეულ განმარტებაში აშკარად გამოსჭვიის იმპერიული დემაგოგია. იგივე შეიმჩნევა ზოგიერთ სხვა საქალაქო გერბშიც. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის, რომ საიმედროოდ, გორის და ზოგადად ქართლისთვის ხორბლეული კულტურებია დამახასიათებელია.

1858 წელს ახალი გერბების შემუშავების გამო კავკასიიის ყოფილმა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა საგერბე განყოფილებას გორის საგერბე ფარში ზვინის მოთავსება შესთავაზა. განყოფილების უფროსმა მიიჩნია, რომ ასეთი სიმბოლო რუსეთის ბეყრ სხვა ქალაქსაც აქვს და განსხვავებული პროექტი წარმოადგინა: ფრანგულ ფარზე (გულის უერა არ არის აღნიშნული) მეწამული ანდრიას ჯვარი დამძიმებული ოქროს ხუთი თავთავით[164]. შემდეგ არც ეს ვარიანტი იქნა გაზიარებული და საბოლოოდ გორის გერბად ამგვარი კომპოზიცია დამტკიცდა: ოქროს გულიან ფრანგულ ფარზე მეწამული, კბილანებიანი, ნახევრად ჩამონგრეული კოშკი; ფარს კვეთს ლაჟვარდის ქამარი დამძიმებული ოქროს სამი თავთავით; ფარის ზედა მარჯვენა თავისუფალ ნაწილში — თბილისის გუბერნიის გერბი. გორის სამაზრო გერბს თაუს ადგას ე. წ. ქვეული საშეფო გვირგვინი. საქალაქო გერბს კი გარს აკრავს

---

[158] РГИА. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 257. 1879 г. ст. 2-4, 5-7.
[159] Там же. ст. 8, 11.
[160] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 269. 1858 г. ст. 29.
[161] Там же. ст. 28.
[162] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия". 1985 г. ст. 48.
[163] П. Винклер-фон. Гербы городов, губернии, областей и посадов Российской Империи, внесенные в полное собрание законов с 1649 по 1900 год. С-Пб. М. 1990 г. ст. 24.
[164] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 15.

ალექსანდრეს ბაფთით შეკრული ოქროს თავთავები, მხარის მოსახლეობის მიწათმოქმედებითი საქმიანობის აღსანიშნავად და აგვირგვინებს ვერცხლის სამგბილა კოშკისებრი გვირგვინი[165].

მ. ვადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" ქალაქ გორის განსხვავებული გერბია მოცემული: გადაკვეთილ ფრანგულ ფარიში, ზევით თბილისის გუბერნიის გერბი — ქართული ტიპის ეკლესია არის განთავსებული; ქვევით — ციხესიმაგრე[166].

თელავის სამაზრო და საქალაქო გერბი

სამაზრო ქალაქ თელავის 1843 წლის 21 მაისს რუსეთის იმპერიის მიერ დამტკიცებული გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გადაკვეთილი ფრანგული ფარი; ზევით — საქართველო-იმერეთის გერბის ნაწილი; ქვევით — მწვანე გელზე ყურძნის მტევანი ფოთლებით, ვენახებისა და ღვინის ფართო წარმოების ნიშნად[167].

1858 წელს ახალი გერბის შესაქმნელად პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებამ კავკასიის მეფისნაცვლის თავად ვორონცოვის პროექტს მიმართა. მასში ერთადერთი ფიგურა იყო გამოსახული — ნატურალური სახით წარმოდგენილი ყურძნის მტევანი. ვორონცოვისეული ვარიანტი მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარეს, რადგან პერალდიკის კანონების გათვალისწინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული გერბში საგნების მათი ბუნებრივი სახით წარმოჩენა. ამ პროექტის საფუძველზე შედგა თელავის მაზრის ახალი გერბი: ფრანგულ ფარში, ვერცხლის გულზე განლაგებულია ყურძნის ორი მწვანე მტევანი შეუღლად, ხოლო თარაზულად — ყურძნისავე ორი მწვანე ფოთოლი; ზედა მარჯვენა თავისუფალ ნაწილში კი თბილისის გუბერნიის გერბია მოთავსებული. ორივე ფიგურა (მტევნები და ფოთლები) პროექტისგან განსხვავებით სტილიზებული ფორმით არის შესრულებული. საქალაქო გერბს თავს ადგას ვერცხლის სამგბილა კოშკისებრი გვირგვინი, ხოლო მოსახლეობის მეეენახეობით დაკავების აღსანიშნავად გარს არტყია ალექსანდრეს ბაფთით შეკრული ვაზის ტოტები. რაც შეეხება სამაზრო გერბის ფარს, მას ე. წ. ძველი სამეფო გვირგვინი ამშვენებს[168].

საკუთრივ თელავის გერბის მიჩაელი ვადბოლსკისეული ვარიანტი ზუსტად ემთხვევა 1843 წელს დამტკიცებულ გერბს. განსხვავებულია მხოლოდ ზედა ნაწილი, სადაც საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ნაწილის ნაცვლად, თბილისის გუბერნიის, ჩვენთვის მხოლოდ მიხეილ ვადბოლსკის წიგნიდან ცნობილი, სიმბოლო — ქართული სტილის ეკლესია არის მოთავსებული[169].

უნდა ითქვას, რომ თელავის გერბის ყველა ვარიანტი კარგად ასახავს ქალაქის, ზოგადად მხარის გარემოსა და მისი მოსახლეობის ძირითად საქმიანობას. ამასთანავე ყოველი მათგანი საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული და ქართული საქალაქო პერალდიკის მშვენებას წარმოადგენს.

ახალციხის სამაზრო, საქალაქო და საციხესიმაგრო გერბი

1843 წლის 21 მაისს საქართველოს სხვა უმნიშვნელოვანეს დასახლებებთან ერთად რუსეთის იმპერიის მთავრობამ ქალაქ ახალციხის გერბიც დაამტკიცა, რომლის გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნახევარში საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ნაწილი განთავსდა; ხოლო ქვედაში — მეწამული ფონზე, ძველი ციხესიმაგრის კედელი, შის მარჯვნივ-მარცხნივ კი — ხიუხვის რქა და ბალახის მძოვარი ძროხა, ამ მხარეში საძოვრების სიმრავლისა და მიწის ნაყოფიერების აღსანიშნავად[170].

აღწერილი გერბი ნაწილობრივ შეტყეელია: გალაეანი ქალაქის სახელწოდებაზე მიეგთითებს — ახალ-ც ი ხ ე; გამოსახულებაში ციხის კედელი შესაძლოა იმის ხაზგახასმელადაც მოთავსდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის იმპერიის ჯარმა, ქართული მოხალისე ძალიცდის აქტიური დახმარებით, დიდი ბრძოლების შედეგად აიღო ახალციხის ცნობილი სიმაგრე.

სიუხვის რქის ლეგენდა მოძდინარეობს ძველი ითიდან, რომლის მიხედვით ზევსი გამოზარდა თხა ამალთეამ. ამ ოხის რქას ჯადოსნური თვისება მიეწერებოდა: მის მფლობელს უეძლო მიეღო ყოველივე, რასაც ისურვებდა. აქედან წარმოიქმნა, შეხედულება სიუხვის რქაზე, ყოთარც ყოველგვარი სიმდიდრისა და კათილდღეობის სიმბოლოზე. ამ ეიბლეიის გამოხატვა მიღებული იყო არა მხოლოდ ცხოველის რქის ფორმით, არამედ მისი მსგავსი კალათის ან ჭურჭლის სახითაც, რომლიდანაც ხილი, ყვავილები, თავთავები, მონეტები და ძვირფასეულობა ცვიოდა. სიუხვის რქას გერბებში მეტწილ მაშინ

---

[165] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 32.

[166] მიხეილ ვადბოლსკა. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 97, სურ. 107.

[167] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия". 1985 г. ст. 148.

[168] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 16, 36.

[169] მიხეილ ვადბოლსკა. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 97, სურ. 108.

[170] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия". 1985 г. ст. 142.

ათავსებდნენ ხოლმე. როცა სიმღიდრე და კეთილდღეობა სასარგებლო შრომით ან ვაჭრობით მოიხვეჭებოდა[171].

ფარში ასევე აღბეჭდილი ხარის ფიგურა განყოთარებულ მეცხოველეობასა და საძოვართა სიმრავლეზე მიუთითებდა.

ახალციხის ეს, ასე ვთქვათ ძველი გერბი შესულია საგერბე განყოფილების მიერ შედგენილ რუსეთის იმპერიის "უმაღლესად დამტკიცებული" საქალაქო და სამხარეო გერბების დასურათებულ კრებულში[172].

1858 წელს პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში, თავად ჯორონცოვის მიერ შემუშავებული და შინაგან საქმეთა მინისტრის ბიბიკოვის მიერ მოწონებული საგერბე პროექტის მიხედვით ახალციხის სამაზრო, საქალაქო და საცოხესმაგრო გერბი შეადგენდა: შავი გულის მქონე ფრანგულ ფარზე, ვერცხლის სამი ტალღოვანი მცირე ქამარი; ზედა მარჯვენა თავისუფალ ნაწილში — იმერეთის გუბერნიის გერბი[173]. შემქნელნი შენიშნავდნენ, რომ ვინაიდან ახალციხის მაზრა, მათი აზრით, მინერალური წყლების გარდა სხვა არაფრით არის გამორჩეული, გადაწყდა მხარის ეს სიმდიდრე ზემოთ აღწერილი სამი ტალღოვანი ხაზით გამოხატულიყო[174]. სამაზრო გერბს თავს ედგა "ძველი სამეფო გვირგვინი", საქალაქოს და საცოხესმაგროს კი — საიმპერატორო ორთაენანი არწივით შემკული ვერცხლის სამკბილა კოშკოვანი გვირგვინი; სამიე დანიშნულების საგერბე ფარს ალექსანდრეს ბაფთით შეკრული ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ორი საიმპერატორო შტანდარტი პქონდა ზურგს უკან ამოდებული[175].

ქალაქ ახალციხის გერბად მიხეილ ვადბოლსკის აბსოლუტურად განსხვავებული გამოსახულება მოპყავს: გადაკვეთილი ფრანგული ფარი; ზევით, იმერეთის გუბერნიის გერბი — მწვანეზე ოქროს საწმისი; ქვეყით — დიდი ბორბლებიანი გუთანი[176].

ოზურგეთის სამაზრო და საქალაქო გერბი

1843 წლის 21 მაისს სანქტ-პეტერბურგში ოფიციალურად დამტკიცებული გურიის მხარის უმთავრესი ქალაქის ოზურგეთის პირველი ჩვენამდე მოღწეული გერბი, რომელიც საგერბე განყოფილების მიერ შედგენილ რუსეთის იმპერიის "უმაღლესად დამტკიცებული" საქალაქო და სამხარეო გერბების დასურათებულ კრებულში გურიის მაზრის გერბად მოიხსენიება, შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნახევარში საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ნაწილი იყო განთავსებული; ხოლო ქვედაში — ვერცხლზე გუთანი, მის თავზე კი — ცურძნის მტევნებიანი ვაზით გარსშემოხვეული ზეთისხილის რტო. გერბის სიმბოლიკა მხარის ბუნების განსაკუთრებულ მსხმოიარობასა მიანიშნებდა[177].

XIX საუკუნის შუა წლებში მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით წამოწყებული ადმინისტრაციულ გერბებთან დაკავშირებული, ჩვენს მიერ უკვე განხილული პერალდიკური რეფორმის ფარგლებში, კავკასიის ყოფილმა მეფისნაცვალმა თავადმა ყორონცოვმა 1858 წლისთვის პეროლდიის დეპარტამენტში ოზურგეთის სამაზრო და საქალაქო გერბის პროექტი წარმოადგინა: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნახევარში — საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბის ნაწილი; ქვედაში კი — ოქროს ფონზე გამოსახული ვაზშემოხვეული ხე, მაზრაში გავრცელებული ტყეებისა და ვაზის სიუხვის ნიშნად[178].

საგერბე განყოფილებამ მიიჩნია, რომ პროექტი "არც თუ ისე შესაბამებოდა" ეყროპული პერალდიკის კანონებს[179]. მიუხედავად ამისა, კომპოზიცია შინაარსობრივად მოიწონეს, ამიტომ გადაწყდა პირველადი პროექტისეული სიმბოლიკის შენარჩუნებით ახალი პერალდიკურად უფრო გამართული გერბი შექმნილიყო: ფრანგული ფარის ოქროს გულზე მწვანე ხე გამოიხატა; ხოლო თვით ფარი ოქროს სამი ყურძნის მტევნით დატვირთული მეზაშეო ქაშრით გადაიკვეთა; გერბის ზედა მარჯვენა თავისუფალ ნაწილში კი ქუთაისის გუბერნიის გერბი განთავსდა. სამაზრო გერბს ე. წ. ძველი სამეფო გვირგვინი ედგა თავს, საქალაქოს კი — ვერცხლის სამკბილა კოშკისებრი; ამახთანავე ორივე გერბი

---

[171] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия". 1985 г. ст. 15 - 16.
[172] Сборник высочайше утвержденных городских и местных гербов. Кн. I. 1887 г. ст. 25.
[173] РГИА. С-Пб. ф. 1343. оп. 15. д. 269. ст. 8.
[174] РГИА. С-Пб. ф. 1343. оп. 15. д. 276. ст. 23.
[175] РГИА. С-Пб. ф. 1343. оп. 15. д. 269. ст. 8.
[176] მიხეილ გადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 97. სურ. 199.
[177] Сборник высочайше утвержденных городских и местных гербов. Кн. II. 1887 г. ст. 194.
[178] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 269. 1858 г. ст. 27.
[179] Там же. ст. 6.

ალექსანდრეს ბაფთით შეერთებული ვაზის ოქროს რტოებით იყო გარშემორტყმული. ამრიგად გერბის სწორედ ეს ვარიანტი გადაეცა იმპერიის პეროლდმაისტერს მისთვის "შემდგომი სვლის მისაცემად"[180].

"საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" მიხეილ გადბოლსკის ოზურგეთის გერბად თავად ვორონცოვისეული პროექტის იდენტური გამოსახულება მოჰყავს[181].

ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქის, ქალაქ ზაქათალის და ზაქათალის ოლქის გერბი

მოცემული შრომის თემა ქართული გერბთმცოდნეობა არის და ბუნებრივია მის ფარგლებში ექცეოდა ამა თუ იმ დროს საქართველოსთან რაიმეგვარად დაკავშირებული ნებისმიერი პერალდიკური მასალა. მართალია საინგილო ამჟამად მეზობელი სახელმწიფოს — აზერბაიჯანის საზღვრებშია, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს მიწა ისტორიული საქართველოს ტერიტორია არის და იქაური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს დღესაც ქართველები შეადგენენ. ამიტომ აუცილებლად მიგვიჩნიეთ ერთ ხანს საქართველოში, შემდეგ კი თბილისის გუბერნიაში შემაყალი ჭარ-ბელაქნის, იგივე ზაქათალის მხარის გერბის განხილვა.

1843 წელს შექმნილმა ზაქათალის საქალაქო გერბმა ოფიციალურად 1844 წლამდე იარსება, ანუ მანამდე, ხანამ ეს მხარე თბილისის გუბერნიაში შედიოდა[182]. გერბი ასე გამოიყურებოდა: გადაკვეთილი ფრანგული ფარი; ზეკით — საქართველო-იმერეთის გერბის ნაწილი; ქვეკით — შეწამულზე, ვერცხლის ციხესიმაგრის კედელი, გასხივოსნებული ოქროს მზით; კედლის წინ ნამგალი შუაზე გადატეხილ ხმალს ადევს, იმის ნიშნად, რომ "აქაურმა ხალხმა მიატოვა წარსული მშფოთვარე ცხოვრება და მშვიდობიან მეურნეობას მოპკიდა ხელი"[183]. ამასთანაავე შემქმნელები აღნიშნავდნენ, რომ "ახალი ზაქათალის" სიმაგრეების აშენებამ შეაკავა აქაური მოსახლეობა ჩერქეზებთან მოკავშირეობისგან და მშვიდობიანი საქმიანობისკენ აბრუნებინა მათ ბირი, რაც აისახა კიდეც ზემოთ მოყვანილი გერბში[184]. თვალშისაცემია, რომ აღწერილი კომპოზიცია შინაარსობრივად ძლიერ ახლოს დგას ქალაქ გორის გერბთან.

ზაქათალის მხარის ანუ საინგილოს 1844 წელს თბილისის გუბერნიისგან გამოყოფისა და ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქის (1844-1860 წლებში არსებობდა) შექმნის შემდეგ, 1858 წლისთვის ამ ოლქის ახალი გერბის პროექტი წარმოადგინა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა: მეწამულ ფარში გადაჯვარედინებული თოფი და ხმალი, შუაში კი აბრეშუმის გორგალი, იმის ნიშნად, რომ ამ მხარის მაცხოვრებელთა საბრძოლო განწყობის მიუხედავად ისინი შუდამ დაკავებულნი არიან მეაბრეშუმეობით. პროექტის მიხედვით ფარს თავს ადგას ხაიმპერატორო გვირგვინოსანი ორთავიანი არწივი[185].

საგერბე განყოფილების უფროსმა კაონენ პროექტი ნაწილობრივ დაიწუნა, ვინაიდან ხმალსა და თოფს არა პერალდიკური, არქაულ-სტილიზებული ფორმა ჰქონდა, არამედ ნამდვილი იარაღისა, აბრეშუმის გორგალი კი მისი აზრით საერთოდ მიუღებელი ფიგურა იყო გერბთმცოდნეობისათვის[186]. ამის ნაცვლად კაონენ გერბის ახალი გარიანტი შეიმუშავა: "რომბებით ოქროდ და მეწამულად გაყოფილ (?) ფარში, ვერცხლის გაღუნული ხმალი ვერცხლითვე მოვარაყებული შავი ტარით. გერბი შემკულიყა ძველი სამეფო გვირგვინით და ფარს უკან ირიბად გადაჯვარედინებული სამპერატორო არწივებით დამშვენებული ორი შტანდარტით, რომლებიც ალექსანდრეს ბაფთით არიან შეერთებული"[187].

საგერბე განყოფილებასა და იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის ბიბიკოვის მიერ კაონენეული ვარიანტის ოდნავ შესწორების შეღეგად საბოლოოდ ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქის გერბად შემდეგი გაიხსახულება მიიღეს: რომბებით გაყოფილ ოქროს და მეწამულ ფარში ვერცხლის ხმალი ოქროს ტარით. ფარზე, ვითარც რუსეთის იმპერიის სამხედრო ოლქის გერბს შეშვენის, "ძველი სამეფო გვირგვინი" არის განთავსებული, ფარს უკან კი — ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული და ალექსანდრეს ბაფთებით გადაბმული საიმპერატორო არწივებით დამშვენებული ორი შტანდარტი[188].

მიხეილ გადბოლსკის, თავის წიგნში, როგორც ავტორი იხსენიებს "ზაქათალის მხარის" გერბის კიდევ ერთი, დაუთარიღებელი, მაგრამ ძალიან საინტერესო და ორიგინალური ვარიანტი აქვს მოყვანილი, თუმცა ყოველგვარი დამატებითი განმარტება-ინფორმაციის გარეშე (სამწუხაროდ ამგვარი რამ ფრიად ჩვეულია ამ წიგნისათვის): ფრანგულ ფარში, შეაღმართული ხელის მტევანი[189]. ეუბლემის

---

[180] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 269. 1858 г. ст. 8.

[181] მიხეილ გადბოლსკა. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 87. ხურ. 200.

[182] ლ. ბაბუაშვილი. ზაქათალა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. IV. ხაქ. სსრ-ის მეც. საბჭოს გამომც. თბ. 1975-1987. გვ. 488.

[183] Н. Н. Сперансов. Земельные гербы России. М. "Советская Россия". 1985 г. ст. 56.

[184] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 25.

[185] Там же. ст. 26.

[186] Там же. ст. 13.

[187] Там же. ст.14.

[188] Там же. ст. 26.

[189] მიხეილ გადბოლსკა. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 87. ხურ. 205.

წარჩოჩავლობა და ახსნა ცნობების უქონლობის გამო ჯერ-ჯერობით ძლიერ ჭირს. ერთად-ერთი, რისი თქმაც შეიძლება ის არის, რომ საზოგადოდ, პერალდიკაში ხელის ამგვარი გამოსახულება ხელისუფლების, ძალაუფლების, დაცყის სიმბოლოდ ითვლება[190]. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქი 1860 წელს რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ე. წ. ზაქათალის ოკრუგად (1917 წლამდე იარსება) გადაკეთდა[191] და შესაძლოა გერბის, ასე ვთქვათ ყადბოლსკისეული გარიანტიც მაშინ შეიქმნა. თუმცა, ამის დამადასტურებელ საბუთებს ჩვენს მიერ პეტერბურგში შესწავლილ რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ პეროლდიის დეპარტამენტის საქმეებში ვერსად მივაკვლიეთ.

სიღნაღის სამაზრო და საქალაქო გერბი

რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული 1858 წლით დათარიღებულ საბუთში აღნიშნულია, რომ მანამდე ანუ XIX საუკუნის შუა ხანებამდე, ქალაქ სიღნაღს გერბი არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ დამტკიცებული მაინც[192]. ამის გამო საგერბე განყოფილებაში გადაწყვიტეს თავად შეექმნათ სიღნაღის მაზრისა და ქალაქ სიღნაღის გერბი, რომელიც იმავე დოკუმენტის მიხედვით შემდეგნაირი უნდა ყოფილიყო: მწვანე გულიან ფრანგულ ფარზე, შავი გუთნის პირითით დატვირთული ოქროს სოლი; თაყისუფალ ნაწილში — თბილისის გუბერნიის გერბი. სამაზრო გერბის ფარს თავს ადგას "ქველი სამეფო" გვირგვინი, საქალაქოს კი — ვერცხლის სამკბილა კოშკისებრი. ორივე ფარს გარს აკრავს ალექსანდრეს ბაფთით ურთიერთ გადაბმული ოქროს ორი თავთავი[193].

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მიხელ ყადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" სიღნაღის გერბად სრულიად განსხვავებული გამოსახულება აქვს მოყვანილი: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნაწილში — თბილისის გუბერნიის გერბის, მხოლოდ ვადბოლსკისთან დაფიქსირებული ვარიანტი; ქვედაში კი — თავმოხუჭული ქვევრი[194]. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით დარწმუნებით ვერარას ვიტყვით ამ გერბის წარმოშობაზე, რომელიც არადა, ჩვენი აზრით, კომპოზიციურადაც და შინაარსობრივადაც მეტად საინტერესოა.

რაჭის მაზრის გერბი

რაჭის სამაზრო გერბი ქართულ საქალაქო პერალდიკაში საკმაოდ გვიანი წარმონაქმნია. XIX საუკუნის შუა წლებამდე ამ ადმინისტრაციული ერთეულის ემბლემა არსად არის დაფიქსირებული. ყოველ შემთხვევაში ჩვენ იგი არსად შეგვხვედრია.

კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის თავად ვორონცოვის წარდგინებით, რუსეთის იმპერიის სენატთან არსებულ პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებას შეთავაზებული ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებისა და ქალაქების გერბების პროექტებთან ერთად, 1858 წელს ამ სახელმწიფო ორგანოში რაჭის მაზრის საგერბე პროექტიც განიხილებოდა. ვორონცოვის წინადადებით რაჭის მაზრის ორად გაყოფილი ფრანგული ფარის ზედა ნაწილში ქუთაისის გუბერნიის გერბი უნდა მოთავსებულიყო; ქვედა ლაჟვარწვან ნახევარში კი — კლდეზე მდგომი ოქროს ჯიხვი, მხარის კლდოყანი რელიეფის აღსანიშნავად[195].

იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბიბიკოვმა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქალაქო გერბთწარმოება'ში პროექტი მართალია მოიწონა, მაგრამ მაინც შეიტანა მასში რამდენიმე შესწორება. გერბში ნატურალური, ბუნებრივი ფერით გამოსატული კლდე, პერალდიკის წესების შესაბამისად ვერცხლისად შეიცვალა; ხოლო თვით ფარს, ვითარც რუსეთის იმპერიის ამ ტიპის სამაზრო გერბს შეეფერებოდა, ალექსანდრეს ბაფთით შეერთებული ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ორი წერაქვი ამოუდეს უკან, თავზე კი ძველი სამეფო გვირგვინი დაადგეს[196]. ამრიგად რუსეთში ახლად მიღებული წესების მიხედვით წერაქვები მაზრის ტერიტორიაზე წარმოებული სამთო სამუშაოების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

---

[190] Guy Cadogan Rothery. Concise Enciclopedia of Heraldry. London. 1994. (Fiurst published in 1915 as "ABC of Heraldry"by Stenley Paul & Co).

[191] ო. ჯაფუაშვილი. ზაქათალა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. IV. საქ. სსრ-ის მან. საბჭოს გამომც. თბ. 1978-1987. გვ. 488.

[192] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 33.

[193] Там же. ст. 34.

[194] მიხეილ ყადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 47. სურ. 108.

[195] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 269. 1858 г. ст. 9.

[196] Там же.

მიხეილ ვადბოლსკის თავის მონოგრაფიაში "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა", როგორც თავად უწოდებს — ონის გერბად ვორონცოვის პროექტისებრი გამოსახულება აქვს მოყვანილი[197]. ჩვენის აზრით ვადბოლსკიმ გერბს კუთვნილება ალბათ იმის გამო შეუცვალა, რომ ქალაქ ონს რაჭის ყოფილი მაზრისა და საქართველოს ამ ისტორიული მხარის ცენტრად მიიჩნევდა.

შორაპნის მაზრის გერბი

1858 წელს რუსეთის იმპერიის პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში განიხილებოდა შორაპნის სამაზრო გერბის კაკაბიის ყოფილი მეფისნაცვლის მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის მიერ შეშუშავებული პროექტი. იგი ამგვარად გამოიყურებოდა: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნაწილში ქუთაისის გუბერნიის გერბი იყო მოთავსებული; ვერცხლის გულის მქონე ქვედა ნახევარში კი — შორაპნის "ძველი ციხესიმაგრე" მეწამული ფერისა[198].

საგერბე განყოფილებაში მიიჩნიეს, რომ ციხესიმაგრის ბუნებრივი სახით გამოხატვის გამო პროექტი არ იყო შესრულებული პერალდიკური კანონების ზედმიწევნითი დაცვით[199]. აქედან გამომდინარე მას მცირეოდენ სახე უცვალეს: ვერცხლის გულიან ფრანგულ ფარზე მეწამული სამ მრგვალ კოშკიანი ციხესიმაგრე ოქროს შოვებითა და გახსნილი კარიბჭით, შუა კოშკზე აღმართული დროშით, რომელიც "აღნიშნავს ციხესიმაგრეს" ("означает крепость"). ფარს ძველი სამეფო გვირგვინი ადგას, გარშემო კი ალექსანდრეს ბაფთით შეერთებული ოქროს ორი თაუთავი აკრავს, რაც, გერბის შემდგენელთა აზრით იმაზე მიანიშნებს, რომ შორაპნის მაზრის ტერიტორიას სამიწათმოქმედო-სამეურნეო მიწები წარმოადგენს[200].

მიხეილ ვადბოლსკის, ზოგიერთი სხვა შემთხვევისებრ (მაგალითად: რაჭა, ოზურგეთი და ა. შ.) შორაპნის გერბადაც ვორონცოვის პროექტის მსგავსი კომპოზიცია აქვს წარმოდგენილი: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნახევარში — ქუთაისის გუბერნიის გერბი; ქვედაში კი — საკუთრივ შორაპნისა: სამ კოშკიანი ციხე-სიმაგრე[201].

უნდა ითქვას, რომ შორაპნის გერბის ცენტრალურ ფიგურად ციხესიმაგრის გამოყენება, ისევე როგორც გორის გერბის შემთხვევაში, სრულიად მართებული და ბუნებრივია, ვინაიდან ქალაქი მართლაც მუდამ გამოირჩეოდა იმავე სახელის მქონე უცნობილესი და უძველესი ციხესიმაგრით.

ქალაქ-ციხესიმაგრე ახალქალაქის გერბი

პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილების უფროსის ბარონ კიონეს გადაწყვეტილებით, იმის გამო, რომ, მისი სიტყვებით, ახალქალაქის ციხე-სიმაგრეს გააჩნია ორ იარუსიანი ციტადელი და ორ ციცაბო ხეობას შორის მდებარეობს, გერბში უნდა გამოისახოს მთაზე აღმართული ციხე, შუაში კოშკით[202].

აქედან გამომდინარე, 1867 წელს შედგენილი ახალქალაქის გერბი ასე გამოიყურებოდა: ოქროს გულიან ფრანგულ ფარში, შავ მთაზე, მეწამული კბილანებიანი ციხე-სიმაგრე შუაში მრგვალი ასეკე კბილანებიანი კოშკით; ფარის თავისუფალ ნაწილში კი — თბილისის გუბერნიის გერბი. ფარს თავს ადგას რუსულ პერალდიკაში ციხე-სიმაგრეებისთვის განსაზღვრული მეწამული სამკბილა კოშკისებრი გვირგვინი იმპერატორის არწივით და მოქცეულია იმპერატორისაგე არწივებით დამშვენებულ ორ შტანდარტს შორის, რომლებიც თავის მხრივ ალექსანდრეს ჯაჭვით არიან შეერთებული[203].

"ზაშტატნი" ქალაქის დუშეთის გერბი

1875 წლით დათარიღებულ პეროლდიის დეპარტამენტის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საგერბე განყოფილების აზრით იმისანად, მათი სიტყვებით 2500 მაცხოვრებლიანი დუშეთის გერბი მისი გარემომცველი ბუნების შესაბამისი ფიგურებით უნდა შემდგარიყო. ამიტომ გადაწყდა ფიგურებად ფიჭვი და თხილის ფოთოლი გამოეყენებინათ[204]. სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შედგა დუშეთის გერბი: ფრანგული ფარის ვერცხლის გული გაყოფილია შავი ნიჟნიყით, რომელსაც მარჯვნიდან და

---

[197] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 97, სურ. 201.
[198] РГИА. С-116. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 269. 1858 г. ст. 19.
[199] Там же. ст. 2.
[200] Там же. ст. 3.
[201] მიხეილ ვადბოლსკი. "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა". თბ. 1980 წ. გვ. 97. სურ. 202.
[202] РГИА. С-116. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 37.
[203] Там же. ст. 38.
[204] Там же. ст. 50.

მარცხნიდან თითო ამოგლეჯილი ფიჭა ახლავს, ნივნივის ქვეშ კი ფარის დაბოლოებაში კაკლის ერთი ფოთოლია გაშოსახული. ფარი დაგვირგვინებულია მეწამული სამკბილა კოშკისებრი გვირგვინით და გარს აკრავს ალექსანდრეს ბაფთით გადაბმული ოქროს ორი თაყთაყი[205].

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის გერბი

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქი 1846 წლის 14 დეკემბერს შეიქმნა თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში. კავკასიის მეფისნაცვლის თავად მიხეილ ვორონცოვის მიერ ოლქისთვის შედგენილი პროექტი ასე გამოიყურებოდა: გადაკვეთილი ფარის ზედა ნახევარში საგუბერნიო გერბის ნაწილი, ქვედაში კი — ლატვარდოვან ფონზე აბჯარი, რომელიც ავტორის დაკვირვებით ადგილობრივ მცხოვრებთა შეიარაღების აუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა[206].

პროექტის საფუძველზე 1858 წელს პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებამ თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო გერბის დასკვნითი ვარიანტი შეიმუშავა: ფრანგულ ფარში, ლატვარდზე ვერცხლის ჯაჭვის პერანგი ჩაჩქნით; ფარს, ვითარც რუსეთის იმპერიის ოლქის გერბს შეშფერის თავს ადგას ძველი სამეფო გვირგვინი, გარს კი მარჯვნიდან და მარცხნიდან აკრავს ალექსანდრეს ბაფთით გადაბმული იმპერატორის ორი შტანდარტი მათზე გამოსახული საიმპერატორო არწივებით[207].

ზუსტად ასეთივე გერბი აქვს დადასტურებული მიხეილ ვაღბოლსკისაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფარის ზედა ნახევარი თბილისის გუბერნიის გერბის, მხოლოდ ამ მკვლევარისთვის ცნობილ ვარიანტს (ქართული სტილის, ხვეტიცხოელისებრი ეკლესია) აქვს დათმობილი[208].

სამეგრელოსა და რედუტ-კალეს (ყულევი) გერბი

1868 წელს რუსეთის იმპერიის პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში "სამეგრელოს სამფლობელოსა" ("Мингрельское владение") და სამაზრო ქალაქ რედუტ-კალეს (თანამედროვე ყულევი) გერბი შეიქმნა. საგერბე განყოფილების უფროსის კელდიშის აზრით ე. წ. სამეგრელოს სამფლობელოს გერბში უნდა მოთავსებულიყო, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ — ამ ქვეყნის უძველესი ემბლემა, ხარის თავი, რომელიც ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოს მონეტებიდან არის ცნობილი[209]. როგორც ჩანს აქ იგულისხმება კოლხური თეთრები მათზე გამოსახული ხარისთავიანი ადამიანით[210].

რუსი ჩინოვნიკის ზეპოთმოყვანილი მოსაზრების საფუძველზე შეიქმნა სამეგრელოს მხარის გერბი: შავ ფრანგულ ფარზე, ხარის ოქროს მოგლეჯილი თავი ყურცხლის რქებით და ეშმაკული თვალებითა და ენით. ფარს ადგას იმპერიის ოლქის გერბის შესაბამისი "ძველი სამეფო" გვირგვინი, გარშემო კი ალექსანდრეს ბაფთით შეკრული მუხის ფოთლები ახვევია[211].

ზუსტად ასეთივე გერბი მიუსადაგეს სამეგრელოს ფარგლებში მდებარე იმ ხანად სამაზრო ქალაქ რედუტ-კალეს ანუ ყულევს. ოღონდ განსხვავებული ფარსგარე შესამკობლებით: ყულევის გერბს თავს ედგა ვერცხლის სამკბილა კოშკისებრი გვირგვინი და ორივე მხრიდან გარს ეკრა ალექსანდრეს ბაფთით გადაბმული საიმპერატორო არწივებიანი ორი შტანდარტი[212].

სოხუმი

ქალაქ სანკტ-პეტერბურგის რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივში, ყუბანის ყოფილ გუბერნიაში შემავალი ქალაქების საგერბე პროექტების შემცველ დოკუმენტებში[213] ქალაქ სოხუმის გერბიც არის დაფიქსირებული. სამწუხაროდ, სადღეისოდ ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ გამოიყურება ეს შეტად საინტერესო საგერბე გამოსახულება. თუმცა, ვიმედოვნებთ უახლოესი კვლევა-ძიების შედეგად სოხუმის გერბიც ისევე იქნება შესწავლილი, ვითარც საქართველოს სხვა ქალაქების სიმბოლოები.

---

[205] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 276. 1858 г. ст. 51.
[206] Там же. ст. 27.
[207] Там же. ст. 29.
[208] მიხეილ ვაღბოლსკი. "ხაქართველოს პერაღდიკური სიმბოლიკა". თბ. 1960 წ. გვ. 97. სურ. 204.
[209] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 271. 1868 г. ст. 1.
[210] დ. კობანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თსუ-ის გამომც. თბ. 1959 წ. გვ. 28-32, სურ. 1-8.
[211] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 15. Д. № 271. 1868 г. ст. 2.
[212] Там же. ст. 5.
[213] РГИА. С-Пб. ф. 1343. оп. 15.

კორპორაციული გერბები საქართველოში

გერბთმცოდნეობის დარგებიდან კორპორაციული პერალდიკა საქართველოში ყველაზე ხუსტად იყო განყოთარებული. საზოგადოდ კორპორაციულ პერალდიკას ჩვეულებრივ განეკუთვნება ქალაქული ხელოსნების და გაჭრების ამქართა თუ გილდიათა სიმბოლოები, საეკლესიო (მაგალითად, საეპისკოსოების) გერბები, სხვადასხვა საზოგადოებების თუ დაწესებულებების ემბლემები და მისთანანი. ქართული გერბთმცოდნეობის ისტორიაში ამგვარი საგერბე გამოსახულებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სახვადასხვა ქალაქის (მაგალითად: თბილისი, ახალციხე, თელავი) ხელოსანთა და გაჭართა საამქროების გერბული დროშა-სიმბოლოები.

თბილისური ამქრების ამგვარი ალმების უმრავლესობა, ორმოცზე მეტი ერთეული საქართველოს ისტორიის ქ. თბილისის სახელმწიფო მუზეუმის დროშების ფონდში ინახება და აღწერილი აქვთ ლ. მოლოდინს და გ. ჯალაბაძეს[214]. ამათგან უძველესი 1861 წლით თარიღდება[215], ხოლო უახლესი 1916-ით[216], უმრავლესობა კი XIX-XX საუკუნეთა მიჯნას განეკუთვნება.

თბილისის ამქრის დროშები სხვადასხვა დარგის მოხელეთ ეკუთვნით: ოქრომჭედელთ, მეიარაღეთ, დაბაღართ, ზეინკალთ, "ბრილიანჩიკებს" და სხვ. ამქრის ყოველ დროშაზე ამქრის მფარველი წმინდანი ანუ ფირი, გერბი, ემბლემა არის გამოსახატული[217]. აქვე დატანებული წარწერა დროშის ამა თუ იმ ამქრისადმი კუთვნილებაზე მაუთითებს. ხშირად ამქრის ალმებზე დამატებით გამოსახულია ამქრის მოხელეთა ხელსაქმის ძირითადი იარაღები და მათი წარმოების პროდუქტები. მაგალითად, თბილისის მეიარაღეთა ამქრის ბაირაღის ორივე პირზე მფარველი წმინდანის — მამა აბრამის (სამსხვერპლო ხანჯლით ხელში) გარდა, ხმალ-ხანჯალიც არის აღბეჭდილი[218]. ამასთანავე ამქრის თითქმის ყველა დროშაზე გამოსახატულია წმ. გიორგისა და გველეშაპის ბრძოლის სცენა.

დროშაზე დატანებულ საამქროს სპეციალურ მფარველ წმინდანად იმ ბიბლიურ პერსონაჟს ირჩევდნენ ხოლმე, რომელიც თავისი ცხოვრება-მოღვაწეობის განმავლობაში ასე თუ ისე, რაიმეგვარად მაინც იყო დაკავშირებული მოცემული ამქრის წევრ ხელოსანთა ბრფესიულ საქმიანობასთან. მაგალითად, ხარაზების დროშაზე ელია (ილია წინასწარმეტყველი) იყო გამოსახული, ვინაიდან ელია გადმოცემით სწორედ ხარაზი ყოფილა[219], ხუროებისაზე სოეს კედობანი, შეიბრეშეულეებისაზე წმ. იობი, რომელიც აბრეშუმის ჭიის მფარველად მიიჩნეოდა[220], ყასაბებისაზე მამა აბრამი და მისი სამსხვერპლო ბატკანი და ა. შ.

საქართველოში მართალია ამქრის დროშებს კლასიკური საგერბე ფორმა არ გააჩნია, იხინი მაინც თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ კორპორაციული გერბების რიცხვს, ვინაიდან ზოგადად მთელს ევროპაშიც კორპორაციული გერბები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მკაცრ კანონებს დაქვემდებარებულ სახელმწიფო, საგვარეულო, საქალაქო თუ საცხარეო გერბებისგან[221]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსად დასავლეთ ევროპაშიც ამქართა და გილდიათა ემბლემას უმთავრესად მათი მფარველი წმინდანები განასახიერებდა[222].

გერბული სახის მქონე ამდაგვარიეე ალმები, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, თბილისის გარდა, ახალციხის[223] და თელავის[224] ხელოსნების ამქრებსაც ჰქონდათ.

კორპორაციულ გერბებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემბლემაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ არაპერალდიკური შესახედაობისა არის: ანთმალისებური ორნამენტით შემკული მრგვალი ფარის ცენტრში დედა შვლის ძუძუს მწოვარი ნუკრა გამოსახული, ფარსშიდა თავისუფალი ადგილები კი ცისფერული ორნამენტით არის შევსებული. ჩვენის აზრით კომპოზიცია, განსაკუთრებით ორნამენტული ფარის ფორმით, შესაძინებად წააგავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბს. თავის დროზე, ივანე ჯავახიშვილის დაგალებით მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძე უნივერსიტეტის გერბის ეშკიზ პროექტი შეიქმნა, რომლებიც ამჟამად თვით ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში არის შემონახული[225].

---

214 ლ. მოლოდინი, გ. ჯალაბაძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროშების კატალოგი. თბ. 1962 წ. გვ. 3-33.

215 ი ქ ე ვ. 53. 31.

216 ლ. მოლოდინი, გ. ჯალაბაძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროშების კატალოგი. თბ. 1962 წ. გვ. 3, 13.

217 ი ქ ე ვ. 53. 4.

218 ი ქ ე ვ. 53. 19.

219 ი ქ ე ვ. 53. 5.

220 ნ. ბაბახე. მეაბრეშუმეობა საქართველოში. თბ. 1957 წ. გვ. 82.

221 Pierre Joubert. L'Heraldique. Éditions Ouest-France. Rennes. 1984. p. 15.

222 Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. Harmony Books. New York. 1987. p. 111.

223 დ. კოტორაძე. განახლებული მეხსიერთ ქალაქი (ახალციხის ისტორია). თბ. 1999 წ. გვ. 182-183.

224 ლ. მოლოდინი, გ. ჯალაბაძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დროშების კატალოგი. თბ. 1962 წ. გვ. 7.

225 გაზ. ლიტერატურული საქართველო. 1986 წ. 14 თებ. გვ. 16;
იგ. ჯავახიშვილის არქივის აღწერილობა. თბ. 1978 წ. საბუთი №. 567.

ქართული საეკლესიო ჰერალდიკის იშვიათი ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს საბატრიარქოს სახეჭდე გერბი: საეკლესიო ატრიბუტებითა და ანგელოზის ფრთებით შემკული ესპანურ ფარში გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგის ხატება. კომპოზიცია XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისშია შედგენილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მმართველობის ხანაში.

საკმაოდ აშკარად გამოკვეთილი საგერბე შესახედაობა აქვს ადრეთვე ზოგიერთ სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული თანამედროვე პოლიტიკური პარტიის სიმბოლოს. ასეთებია მაგალითად XX საუკუნის 40-იან წლებში შექმნილი ტრადიციონალისტთა კავშირის არწივიანი საგერბე ფარი (შინდისფერ გულიანი ფრანგული ფარის თავში შავი და თეთრი ზოლები, ცენტრში კი ფრთებდაშვებული გვირგვინოსანი ვერცხლის არწივი მკერდზე ლაჟვარდის გულიანი მცირე ინგლისური ფარით, რომელშიც ოქრო-ვერცხლის სფერო და ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ხმალი და სკიპტრაა განთავსებული), 80-იანებში აღდგენილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გრაალის თასიანი ემბლემა (შავ-თეთრ-შინდისფერ ფონზე გრაალის ოქროს თასი), მონარქისტული პარტიისა (ბაგრატიონთა დინასტიური გერბისებრი გამოსახულება დევიზითა და ფარისშტვირთველი ორი ლომით) თუ აღორძინების კავშირის (მრგვალ ბიზანტიურ ფარში, ლაჟვარდზე, ოქროს არწივი და ოქროსავე შვიდი ხუთქიმიანი ვარსკვლავი) პერალდიკური სიმბოლოები.

საქართველოს წარჩინებული საგვარეულოების გერბები

სადღეისოდ შემორჩენილ პირველ ქართულ საგვარეულო გერბად შესაძლოა მივიჩნიოთ ბაგრატიონთა დინასტიისა და ამავდროულად საქართველოს სახელმწიფო გერბი, რომელიც XVIII საუკუნის დამდეგს არის წარმოქმნილი. თუმცა, ამ თარიღს ძნელად თუ მივიჩნევთ ქართული საგვარეულო პერალდიკის წარმოშობის დასაბამად, ვინაიდან ბაგრატოვანთა სამეფო სახლის გერბს ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა და იგი ამასთანავე ხრულიად საქართველოს სიმბოლოსაც წარმოადგენდა. ამას ისიც ეჭატება, რომ ქრონოლოგიურად მომდევნო საგვარეულო გერბი საქართველოში, სადღეისო მონაცემებით, ტარტოოდენ რამდენიმე ათწლეულას შემდეგ შეიქმნა, რაც საკმაოდ ხანგრძლივ წყვეტას წარმოადგენს. ამრიგად, ჩვენი აზრით, საკმაოდ ძნელია დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ XVIII საუკუნის პირველ წლებში საფუძველი ჩაეყარა რაიმე ახალ, მოცემულ შემთხვევაში საგვარეულო გერბების შექმნის, პერალდიკურ ტრადიციას.

საგვარეულო გერბთწარმოშობის დასაბამად ჩვენ უფრო მოგვიანო თარიღის, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღიარებას ვანიჭებთ უპირატესობას. ეს ის დროა, როცა ერეკლე II-ის მეფობაში ნელ-ნელა წარმოიქმნება ქართლ-კახეთის თავადაზნაურული გვარების გერბები. მათ ხშირ შემთხვევაში თავად მეფე ერეკლე გასცემს და უბოძებს ხოლმე, უმთაყრესად ახლადგათავადებულ წარჩინებულ საგვარეულოებს, მაგალითად: არღუთაშვილთ, ლიონიძეთ, სულთანუმიანთ და სხვათ. აღსანიშნავია რომ ამ პერიოდში გერბებს უმეტესად საქართველოს უცხოური, მეტწილ სომხური წარმოშობის თავადები (აკოფჯანი, არღუთაშვილი, სულთანუმიანი) ღებულობდნენ, ვინაიდან ისინი სწორედ ერეკლე II-ის მეფობისას თავადდებოდნენ და ბოძების სიგელებიც, როგორც სათაყადო, ისე საგერბეც უფრო ხშირად სწორედ მათზე გაიეცემოდა. ქართველ თავადობას კი ტიტული უკვე დიდი ხნის მიღებული ჰქონდა და ბუნებრივია ბოძების ახალი სიგელები აღარ ხჭირდებოდა. ერეკლე II კი ჩანს, ყოველ შემთხვევაში ზემოთ აღწერილი და ქვემორე განხილული შემორჩენილი წყაროებს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გერბს ძირითადად მის მიერ დამტკიცებულ სათავადო გვარებს უბოძებდა.

ქართულ საგვარეულო პერალდიკას ახალი სული ჩაებერა საქართველოს რუსეთის იმპერიას მიერთების შემდეგ. XIX საუკუნის დამდეგისთვის რუსეთში უკვე საკმაოდ იყო გავრცელებული თეთქმის ყოველგვარი (საქალაქო, სამხარეო საგვარეულო და ა. შ.) ტიპის გერბების ხმარება. ამის ფონზე ქართულმა თავადობამ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული მეტად აქტიურად დაიწყო ძველი თუ ახლადშექმნილი საგვარეულო საგერბე გამოსახულებების გამოყენება. ეს იყო კიდევ ერთი საშუალება ხაზი გასმოდა ამ გვარების უძველეს წარმოშობასა და მაღალ ტიტულს. ალბათ სწორედ გერბთმფლობელი (არმიგერი) ქართული სათავადო სახლების სიძველით და მათი სურვილით — აქცენტი გაკეთებულიყო გვარის ხანდაზმულობაზე, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართულ საგვარეულო გერბებს რუსულთაგან ხშირად გამოარჩევს ფარს შიდა კომპოზიციაში ამა თუ იმ გვართან დაკავშირებული უძველესი ლეგენდებისა თუ ისტორიული მოვლენების სიმბოლური ასახვა. ასეთებია მაგალითად: ბაგრატიონების, ზედგენიძე-ამილახვრების, დადიანების, დადიან-მანგრელსკების (ჩიქოვანი), შერვაშიძეების, თუმანიშვილების, ციციშვილების და სხვათა გერბები.

XX საუკუნის დამდეგისთვის 100-მდე ორიგინალური ქართული სათავადაზნაურო საგვარეულო გერბი არსებობდა. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა დაუშტკიცებელი იყო. ასე რომ, საკმაოდ ფართო გაჟცელების მიუხედავად, მხოლოდ ორიოდე ათეული გვარის წარმომადგენელმა თუ გააღო საიმდროოდ არც თუ ისე მცირე თანხა, დრო და ენერგია და საიმპერიო მთაყრობისგან ოფიციალურად

დამტკიცებული გერბი მიიღო, რომელიც მყისვე შედიოდა რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის ბირველივე მომდევნო ტომში.

ამრიგად, ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბები საქაროველოდან წარმომდგარ შემდეგ წარჩინებულ გვარებს ჰქონდათ:

1. აბამელეკ-ლაზარევები
2. აბაშიძე-გორლენკოები
3. ამბრაზანცოვები
4. არგუტინსკი-დოლგორუკოვები (არღუთაშვილები)
5. ბაგრატიონებს
6. ბაგრატიონ-გრუზინსკებს
7. ბეგთაბეგიშვილებს
8. გარსევანიშვილებს
9. დადიანებს
10. დადიან-მინგრელსკებს
11. ერისთავებს არაგვისა
12. ლაშქარაშვილებს
13. ლორის-მელიქოვებს
14. მირზაშვილი გაბრიელ
15. მირზაშვილი ივანე
16. ბირადოვებს
17. ყორღანაშვილებს
18. შერვაშიძეებს
19. ციციშვილებს
20. წულუკიძეებს
21. ხუდობაშევებს
22. ჯავახიშვილებს (დჟავახოვ)
23. ჯავახიშვილებს (ქევახოვ)

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ბუნებრივია საქართველოში, ისევე როგორც მთელი ბომავალი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე, საგვარეულო გერბთშემოქმედება პრაქტიკულად სრულიად ჩაკვდა. სამაგიეროდ საზღვარგარეთ გახიზნული თავადაზნაურობა აქტიურად იყენებდა ძველ იმპერიის დროინდელ საგვარეულო გერბებს და ახლებსაც კი ქმნიდა, ოღონდ უკვე ემიგრაციაში თავისი წარჩინებული წარმოშობის დასამტკიცებლად.

ქვეყით შეეცდებით თვალი გადავაყაროთ საქართველოში დაწინაურებული ყველა იმ წარჩინებული საგვარეულოს პერალდიკას, რომელსაც ჩვენი ინფორმაციით როდესმე მაინც გააჩნდა გერბი, ამ სიტყვის კლასიკური დასაყრდენი ევროპული გაგებით.

1. თავადი აბამელიქი, აბამელიკოვ-ლაზარევ-ი

რუსეთის იმპერიის პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში 1894 წელს კოლეგიის მრჩეველის თავად სიმონ სიმონის ძე აბამელიქ-ლაზარევის მიერ წარდგენილი იყო თხოვნა თავად აბამელიქთა და აზნაურ ლაზარევთა საერთო გერბის შექმნის შესახებ[226].

დოკუმენტს თანდართული აქვს მთხოვნელის, სიმონ აბამელიქის, როგორც თავად ამბობს, პაპისეული "ქართული" საგერბე ბეჭდის ლუქი[227]. სომხური წარმოშობის ამ საგვარეულოს ერეკლე II-ე სპეციალური სიგელით უბოძა თავადობა. სიგელი ჯერ კიდევ ხელთ პქონდა სიმონ აბამელიქსაც[228]. ერეკლე II სათავადო სიგელებს, როგორც არაერთხელ აღვნიშნავთ წინამდებარე ნაშრომში, გერბებს ურთავდა ხოლმე (მაგალითად: ლეონიძეების, არღუთაშვილების, სულთანუმიანების და სხვათა სათავადო სიგელები). აბამელიქთა, ასე ვთქვათ ძველი გერბიც სწორედ ამგვარი წარმოშობისა უნდა იყოს. ამასთან საყურადღებოა, რომ ამ საგვარეულოს ერეკლე II-ის თანამედროვე ოვანეზ (ივანე) აბამელიქი სანქტ-პეტერბურგში კარის იუველირი და უდიდესი სიმდიდრის მფლობელია. იგი ამავდროულად ეოსებ არღუთაშვილთან (იხ. არღუთაშვილების გერბი), რომელსაც ერეკლემ ასევე უბოძა გერბი და თავადობა, ერთად 1780 წელს რუსეთთან სომხეთის საკითხის შესახებ დაწყებულ მოლაპარაკებებში მთავარ როლში

[226] РГИА. ф 1343. оп. 49. д. № 2. 1894 г. С-Пб.
[227] РГИА. ф 1343. оп. 49. д. № 2. 1894 г. С-Пб. ст. 4.
[228] Там же.

გაეყალინება[229]. ამგვარად ერეკლე თავადობა-გერბების ბოძებით შესაძლოა რეგიონისთვის ამ მნიშვნელოვანი პირების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა და პერალდიკას დიპლომატიის სამსახურში აყენებდა.

აბამელიქების "ძველი" გერბი ასე გამოიყურებოდა: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი შუაში მცირე ფარით; მცირე ფარში — ხუთიმშობლის ხატება; პირველ ნაწილში — ლომი ხმლით; მეორეში — ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მათ ვეშ კი — სასწორი; მესამე მეოთხედში — ბოძს შემოხვეული ყაზი; მეოთხეში — ვერძი.

გერბის ფიგურებიდან სიმონ აბამელიქი შხოლოდ სკიპტრის სიმბოლიკას განმარტავს. იგი მისი თქმით ან, ვითარც ერეკლესეულ სიგელშია ნათქვამი საგვარეულოს მარიობიზელ აგძენელი მთავრებისგან წარმოშობას აღნიშნავს, ანაც — საქართველოს მმართველ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიასთან მოყვრობას, რადგან სიმონ სიმონის ძის ბაბუას ალალი და, თავადისქალი ელენე სიმონის ძე აბამელიქი 1798 წელს ქართლ-კახეთის მოშაყალი მეფის გიორგი II-ის მემკვიდრე ძეს დავით ბატონიშვილზე გათხოვდა[230].

საბოლოოდ საგერბე განყოფილებამ დაკმაყოფილა აბამელიქ-ლაზარევის თხოვნა, რას საფუძველზეც აბამელიქების ოდნავ სახეცვლილი გერბისა და ლაზარევების საგერბე ფარის შერწყმით ახალი, თავად აბამელიქ-ლაზარევების საგვარეულო გერბი შეადგინა: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი ცენტრში შუაზე გადაკვეთილი მცირე ფარით; მცირე ფარის ზედა ნახევარში — ოქროს ფონზე არწივის ცალი დაწვენილი შავი ფრთა, ქვედაში — ლაჟვარდზე მწოლიარე ოქროს ლომი (ლაზარევების გერბი); მთავარი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში ოქროს ფონზე აღმოსავლური ხმლის მჭერელი მეწამული ლომია გამოსახული, ზედა მარცხენა მეოთხედში — მეწამულზე ირიბად ურთიერთგადაჯვარედინებული ოქროს სკიპტრა და ხმალი, ქვედა მარჯვენაში — ლაჟვარდზე ვერცხლის ბოძს შემოხვეული ვაზი, ქვედა მარცხენაში კი — ოქროზე შავი გერძი[231].

აბამელიქ-ლაზარევების გერბი დამტკიცების შემდეგ რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა საერთო საგერბის XV ტომში განთავსდა[232]. მოგვიანებით იგი უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი თავადაზნაურების ოთხტომეულ დასურათებულ ნუსხაშიც შეიტანეს[233].

საკუთრივ თავად აბამელიქების ძველი გერბი შესულია ციხინვალის "კავკასიურ საგერბეშიც", სადაც აგრეთვე აღნიშნულია, რომ საქართველოს თავადობა გვარშა ერეკლე II-ის სიგელით მიიღო[234].

2. თავადი აბაშიძე, აბაშიძე-გორლენკო

1976 წელს მისი უმაღლესობის — რუსეთის იმპერატორის პირადი კონვოის (ბადრაგის?) კავკასიური ესკადრონის შტაბს-რტმისტრმა თავადმა სიმონ ქაიხოსროს ძე აბაშიძემ თხოვნით მიმართა პეროლდიის დეპარტამენტს, რათა მისი და მისი მეუღლის გათხოვებამდელი გვარის — გორლენკოს გაერთიანების ნება მიეცათ და ამასთან დაკავშირებით ახალი გაერთიანებული საგვარეულო გერბიც შეედგინათ[235]. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, რის საფუძველზეც 1885 წელს აწ უკვე პოლკოვნიკ სიმონ აბაშიძე-გორლენკოს შერწყმული გერბი შეიქმნა. იგი რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა გვარების საერთო საგერბის XIV ტომშია შეტანილი. საგერბე კომპოზიციას, ერთი ხრივ მოცემული თხოვნის საქმეთწარმოებით დოკუმენტს დართული აბაშიძეთა საგერბე ბეჭდის[236] გამოსახულება შეადგენს, მეორეს მხრივ კი — გორლენკოთა ადრე დამტკიცებული და "საერთო საგერბის" V ტომში შესული გერბი. იმავე დოკუმენტის მიხედვით აბაშიძეთა გერბის ფიგურები თვით თავად სიმონის სათქვენით შემდეგნაირად განიმარტება: ფარში მოთავსებული სათაყდო გგირგვინი იმაზე მიუთითებს, რომ აბაშიძეები აფხაზეთის მთავრებისგან (владетельный князь) წარმოდგებიან (?); ხმლები — სამხედრო წოდების ემბლემებია; ცხენი კი იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთი თდითგანვე განთქმულია ცხენის ადგილობრივი ჯიშებით[237]. აღსანიშნავია, რომ არქივში დაცულ დოკუმენტს დართულ აბაშიძეთა ძველ ლუქზე გამოსახულ გერბზე დატანებული დაშტრიხვის მიხედვით ფარის ზედა ნაწილი ლაჟვარდის არის, ქვედა — მეწამული, ხოლო აბაშიძე-გრორლენკოთა გერბში ზედა მეწამულია, ქვედა კი — ვერცხლის.

---

[229] ამაზე რაიონში მოგზაურობა საქართველოში. გაზ. "არტანუჯი". თბ. 2002 წ. გვ. 14, შენ. 18.
А. Р. Иоаннисян. Россия и армянское освободительное движение в 80-их годах XVIII столетия. Ереван. 1947 г. ст. 53.

[230] РГИА. ф 1343. оп. 49. д. № 2. 1894 г. С-Пб. ст. 4.

[231] Там же. ст. 5.

[232] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. т. XV. ст. 4.

[233] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600. лист 1.

[234] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 1.

[235] РГИА. ф. 1343. оп. 49. д. № 3. 1885 г. С-Пб.

[236] Там же. ст. 3.

[237] Там же. ст. 15 - 16.

ლაყვარდი ფონიდან საგარაუდოდ ალბათ იმის გამო ამოიღეს, რომ ახალ გერბში შემავალი გორლენკოთა მთლიანი ფარის გულიც ლაჟვარდის იყო, რის გამოც ერთიანი საგერბე კომპოზიცია ცისფრის მოჭარბებული გამოყენებით ვიზუალურ მომხიბლელობას დაკარგავდა.

აბაშიძე-გორლენკოთა გერბი შესულია ლუკომსკის მიერ შედგენილ დამტკიცებული გერბის მფლობელი თავადაზნაურების ოთხტომეულ დახურათებულ ნუსხაში[238].

აბაშიძეთა ბეჭდის ღუმი ავრეთვე ინახება გეტლინგის სურაგისტიკულ კოლექციაში[239]. გერბის ბეჭდური ვარიანტები ღღემდე მოღწეულთაგან უმეჯლესად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან, როგორც მოგეხსენება იგი უკვე ცნობილი იყო 1876 წელს აბაშიძე-გორლენკოთა გერბის შემუშავებისას. ამრიგად აბაშიძეთა საგვარეულო გერბის წარმოქმნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1876 წელია.

ციხისჯვარ აბაშიძეთ და ყიფიანთ ერთი საგვარეულოს წარმომადგენლებად მიიჩნევდა და ორივეს ერთნაირ გერბს ანუ აბაშიძეების ზევით აღწერილი გერბის უმნიშვნელოდ სახეცვლილ ვარიანტს მიაკუთვნებს. ამ ნიმუშებს შორის სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ფარის ზედა ნაწილში გვირგვინის ქვეშ მოღუნილის ნაცვლად სწორი ხმალია განთავსებული, ზედა მარცხენა კუთხეში კი ნახევარმთვარე არის ჩამატებული[240].

აბაშიძეთა (და არა აბაშიძე-გორლენკოთა) გერბის გრაფიკული გამოსახულება ჰწერია, არაფრის მთქმელი კომენტარითურთ მიხეილ ვადბოლსკისაც აქვს მოყვანილი თავის მონოგრაფიაში[241].

იოანე ბაგრატიონი გვარის ისტორიის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. ჩვენი დაკვირვებით იგი ერთგვარად ეხმიანება გერბის ხიმბოლიკას. ბატონიშვილი ორი სხვადასხვა გვარის — აბაში-შვილებისა და აბაშიძეების ანუ ყიფიანების ისტორიას აღწერს. პირველ მათგანზე იგი ჯერ კიდევ "ქართლის ცხოვრებაში" "ჟამთააღწერელთან" დაფიქსირებულ ამბავს მოგვითხრობს, როცა ერთ-ერთმა აბაში-შვილმა, უფრო ზუსტად კი "სექსალის ძემან, აბაშმან"[242] ბრძოლისას ცხენმოკლულ დემეტრე II-ს თაყვანი ბეყდარი დაუთმო, რისთვისაც შემდგომ მადლიერმა მეფემ მეტად განადიდა. თუმცა, იოანე იქვე ხასიათს — "...ამა დროსა შინა ახწყდა გვარი მათი და არვინღა არიან შთამომაყლობანი მისნი"[243]. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გამოყოფილამთ ფრთხილ ვარაუდს — ხომ არ არის შესაძლო დავუშვათ, რომ აბაშიძეთა გერბისეული ცხენი სწორედ ამ ამბის ამსახველია? ახლა ვნახოთ რას მოგვითხრობს იოანე ბაგრატიონი აბაშიძეების ანუ მისი აზრით ივანე ყიფიანების შესახებ: მათი წინაპარი მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ არჩილ მეფესთან[244] დარჩენილა. ერთხელ არჩილის ძეს იოანეს მგელი დაესხმია თავს, მაგრამ არაბ აბაშს ხმალი უშოშელებია და მოუკლავს მხეცი[245]. აქაც კვლავ ვარაუდის სახით გამოვთქვამთ მოსაზრებას — აბაშიძეთა გერბში აღბეჭდილი გვირგვინი და მის ქვეშ გამოსახული ხმალი ზემოხსენებულ ისტორიას ხომ არ ეხმიანება? მიუხედავად ყოველივე თქმულისა უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის იმპერიის მთავრობისადმი წარდგენილ გერბის დამტკიცების ზეთომოყვანილ თხოვნაში, მოაზე ქაიხოსრო აბაშიძე საგერბე ფიგურათა სიმბოლიკის სრულიად განსხვავებულ განმარტებას გვთავაზობს და ჩვენ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია არ ვენდოთ მის სიტყვებს. არის კი შესაძლებელი, რომ XIX საუკუნისთვის გერბის თავდაპირველი შინაარსი მივიწყებული იყო და თავადმა ქაიხოსრომ მხოლოდ მისეული ახსნა წარადგინა? ეს მეტად საეჭვოა. ამრიგად ისტორიული მტკიცებულებათა გარეშე ჩვენი მოსაზრებანი ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავინდებურად მარტოოდენ ვარაუდის დონეზე თუ იარსებებს.

9. თავადი აგიაშვილი

აგიაშვილების საგვარეულო გერბს მხოლოდ ვ. ციხისჯვრის "კავკასიის საგერბეში" ვხვდებით[246]. ამ წყაროს დასეხებულ სტანისლავ ღუმისხაც მის მიერ გამოცემულ "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში — "საქართველოს სამეფოს თავადები", ციხისჯვრისეულის ანალოგიური იდენტური გერბი მოაქვს. იგი ამგვარად გამოიყურება: ფრანგული ფარის ლაჟვარდოვანი გულის ცენტრში თარაზულად განთავსებული ოქროს ისარია, ისრის ზევით ყურცხლის ექვსქიმიანი ვარსკვლავი არის გამოსახტული, ქვევით კი — ვერცხლისავე ღუწუნიდი ნახევარმთვარე[247].

---

[238] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600. лист 2.

[239] საქართველოს ისტორიის ხ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი.

[240] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 2, 79, 82-83.

[241] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. თბ. 1980. გვ. 84, ნახ. 140.

[242] ქართლის ცხოვრება. II ტ. "ხელნაწერთა საქართველო". თბ. 1959 წ. გვ. 280. 19.

[243] იოანე ბაგრატიონი. ტექსტი საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. თბ. 1897. გვ. 34.

[244] ი ქ ვ ე. 88. 24, 104.

[245] ი ქ ვ ე. 88. 24, 104.

[246] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 80.

[247] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 102.

გაურკვეველია რითი ხელმძღვანელობდნენ მინანქრებისა და ლითონების ანუ პერალდიკური ფერების შერჩევისას დუმინის წიგნში შესული აგიაშვილების კუთვნილი საგერბე გამოსახულების შემქმნელნი, ვინაიდან, როგორც თავად ავტორნი აღნიშნავენ, კომპოზიციას ისინი მარტოოდენ ციხისკისგან იცნობენ, მის "კავკასიის საგერბეში" კი აგიაშვილთა საგერბე ფარის ტინქტურები — ფერები დაშტრიხვითაც კი არ არის მითითებული.

4. თავადი ავალიშვილი

თავად ავალიშვილების გერბი ჩვენთვის მხოლოდ ორი წყაროდან არის ცნობილი და ორივეგან გერბის ძირითად სიმბოლოს არწივი წარმოადგენს.

ვ. ციხისკის "კავკასიურ საგერბეში" სათავადო გვირგვინიანი მანტიით გარშემორტყმულ ფარში სავარაუდოდ დაფნის ურთიერთგადაჯვარედინებულ ტოტებზე შემოძდგარი ფრთებგაშლილი არწივი არის გამოსახული[248].

მიხეილ ვადბოლსკისთანაც თითქმის იდენტურ გერბს ვხვდებით, მარტოოდენ იმ განსხვავებით, რომ არწივის ზურგსუკან გასხივოსნებული მზე ჩანს, მთლიანად ფარჩშიდა კომპოზიცია კი რომბითა და კვადრატით არის შემოფარგლული. ამასთანავე გერბს სათავადო ტიტულიხ დამადასტურებელი ატრიბუტიკაც — მანტია და გვირგვინი, აკლია[249].

5. აზნაური ამბერსაძე (ამბრაზანცევი)

ამბერსაძეები რუსეთში ამბრაზანცევებად იხსენიებოდნენ და უმაღლესი საიმპერიო მთავრობის მიერ 1800 წელს დამტკიცებული გერბით სარგებლობდნენ. რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის 1800 წლის 22 ოქტომბერს გამოცემულ V ტომში შესული ამბერსაძე-ამბრაზანცევების გერბი ასე გამოიყურებოდა: ფრანგული ფარი შვეულად არის სამად გაყოფილი: პირველ ნაწილში — ლაჟვარდზე ირიბად ურთიერთგადაჯვარედინებული მშვილდი და ხმალი ტარით მაღლა, მეორეში — შავ ფონზე ვერცხლის სვეტი შუაში მეწამული ჯვრით, ხოლო თავზე ფრთებგაშლილი ვერცხლისავე ჩიტით, მესამეში — მეწამულზე ოქროს კარჩაპი ისრებით; ფარი ორ შეაბჯრულ ქვეით მებრძოლს უპყრია, რომელთაგან მარჯვენას ამახთანავე ჯვრიანი დროშაც უპირავს, მარცხენას კი — შუბი; გერბს ოქროს სარჩულიანი ლაჟვარდოვან-მეწამული ლამბრეკენი ახლაუს თან, თავს კი აზნაურული გვირგვინით დამშვენებული აზნაურულივე მუზარადი ადგას[250].

მოგვიანებით ამბერსაძეთა ზუსტად ასეთივე გერბი უკვე XX საუკუნის დასაწყისში ვ. კ. ლუკომსკის ხელმძღვანელობით შედგენილ დიდ საგვარეულო საგერბეში — ოფიციალურად დამტკიცებული გერბის მფლობელი წარჩინებული გვარების დასურათებულ ოთხტომეულ ნუსხაშიც შევიდა[251]. აღწერილი გერბის ბლაზონირება ალექსანდრე ლაკიერხაც მოჰყავს თავის "რუსულ პერალდიკაში"[252].

ამბერსაძეების ამდაგვარივე, ოდნავ სახეცვლილი გერბი მიხეილ ვადბოლსკისაც აქვს დაფიქსირებული. გამოსახულება შესულია ვადბოლსკის მიერ 1900-იან წლებში გამოცემულ და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ცნობილ მონოგრაფიაში — "ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა": გაკვეთილი ფრანგული ფარის მარჯვენა ნაწილი ორად არის გადაკვეთილი, მარცხენა კი მთლიანია, მარჯვენა გადაკვეთილი ნაწილის ზედა ნახევარში მოთავსებული არის ტოლმკლავა ჯვრით დამძიმებული სვეტი, რომელსაც თავზე არწივის ფიგურა ადგას, ხოლო ქვედაში — ისრებით საცხრე საისრე, ფარის მარცხენა მთლიან ნაწილში გამოხატლია ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ხმალი, ტარით ზევით და მშვილდი[253].

გერბის ფიგურათა სიმბოლურ მნიშვნელობაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ როგორც რუსულ თუ ქართულ ასევე ზოგადად ევროპულ პერალდიკაშიც ფარში სხვადასხვა საჭურვლის განთავსება მისი მფლობელის სამხედრო სიმხნისა და სირუქის გამომხატველად მიიჩნევა[254]. აქაც იმასაც

---

[248] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 55.

[249] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 84, ნახ 141.

[250] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. т. V. С-Пб. 1800 г. ст. 127. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 95.

[251] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. ст. 30. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600.

[252] А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 330.

[253] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 85, ნახ 143.

[254] Борисов И. В. Военная и морская тематика в русской дворянской геральдике. жур. Гербовед. № 2 (10). 1996 г. ст. 115. Винклер-фон П. Русская геральдика, истирия и описания руских гербов. С-Пб. 1894 г. ст. 95.

დავძენდით, რომ მიხეილ ვადბოლსკის ქარაულით ამბერსაძე-ამბრაზანცოვთა გერბში მოთავსებული სვეტი საგვარეულო დედაბოძი უნდა იყოს[255].

ამბერსაძეების ოფიციალურად 1800 წელს ცნობილი გერბი ერთ-ერთი პირველი და უძველესია რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ დამტკიცებულ ქართულ საგვარეულო გერბებს შორის.

8. თავადი ამატუნი (აზარიანი, აკოფჯანი)

ციხინსკის მიხედვით საქართველოს თავადები ამატუნები სომეხი ნახარარებისგან წარმოდგებიან. იმავე წყაროს ცნობით ვინმე ხარგის ამატუნი გადმოსახლდა ქართლში სადაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისგან 1784 წელს თავადობა და საგვარეულო გერბი ებოძა[256].

ერეკლე II-ის მიერ 1784 წელს გაცემული ზემოხსენებული სიგელი ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. იგი გაცემულია სერგის (სარქის) აზარჯანისა და ოპანეზა აკოფჯანის სახელზე, რომლებიც სიგელში მართლაც აღიარებულნი არიან წარჩინებული ხომხური საგვარეულოს ამატუნების წარმომადგენლებად. აქვე აღნიშნულია, რომ ხომხეთის მეფე ხოსრო VIII-ისას ვაჩან ამატუნი ხბახბეტი ყოფილა. მოგვიანებით მისი შთამომავალნი სპარსეთის ქვეშევრდომნი გამხდარან. როგორც საბუთიდან ირკვევა, მისი ნაწილი — ბოლო ფურცელი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას დაკარგულა, რის გამოც გიორგი XII-ს იგი კვლავ შეუკვსია და ხელახლა დაუმტკიცებია. გიორგი XII ბაზს უსვამს, რომ მამამისის ერეკლე II-ის სპარსეთის კარზე ყოფნისას სერგისა და ოპანეზას წინაპრები "ერთგულებითა და სიყვარულითა და მრავალგზურ საყოფიერი მოქმედებითა" მსახურებია მეფე ერეკლეს[257]. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ თავადობასთან ერთად ამატუნებს შემდეგი სახის გერბიც უბოძა: "მოგრძო ფარი ლურჯის ადგილითა, რომელსა ზედან არს გამოსახულ დროშა თეთრი ნიშნად სპასპეტობისა, და დროშა ზედან ორნი ვეფხნი ერთი მხედუTლი მართებითად ნიშნად, ხედგისათვის წარსრულთა საქმეთასა და მეორე მხედუTლი, უკანით უგონიერესად სიფრთხილისათDს ყოფადთა საქმეთასა, რომელთა უპყრიეს ქარტა რომელსა ზედან ზემოთ კერძოსა, არს გამოსახული ბერიხ-ბერ ურთა-ერთასა ორნი ოთხკუთხნი, ერთი ლურჯის ფერთა ადგილითა და მეორე წითლის ფერითა ადგილითა რომელთა განსა ერთსა ზედან ლახუარი, და მახDლი ნიშნად მხნეობისა, და მას მეორესა ზედა ხე ფინაკისა ხასე ნაყოფთა ნიშნად ნაყოფიერი მოქმედებისა ამას ქუTმორე, კუალად ოთხკუთხი ორი ბერიხ-ბერ ერთა-ურთისა, ლურჯისა, და წითელისა ფერითა ადგილებითა რომელთაცა ამათ ერთსა ზედა სუTტი თეთრისა მარმარილოBს ნიშნად სიმტკიცისა, და მეორესა ზედან ჯუარედად დებულნი ორნი ისარნი ოქროBსანი ნიშნად წრფელობისა, და ამათ შორის გამოსახულ არს ლომი ერთი განხეთქილი. ვეცხლისა ფერ ადგილითა ნიშნად ღთისა-მიერ მონიჭებულისა, ძალისა. წინა-პართა მათისა, და ქუTმორე კერძოსა ამისა არს ორნი რტონი ზეთისხილისა და დაფნისა ნიშნად მშDდობისა და მძლეველობისა და ესე ყოველი დაგDრგDნებულ არს სათავადოBსა გDრგDნითა."[258].

აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ გერბი აშკარად ერეკლე II-ისთვის ჩვეული სტილით არის შედგენილი. მარტოოდენ ბლაზონირების მიხედვით საკმაოდ ძნელია ამ რთული კომპოზიციის ვიზუალურად წარმოდგენა, მაგრამ უნდა ვიყარაუდოთ, რომ იგი მართლც დაახლოებით ციხინსკის მიერ ჩახატული ამატუნების გერბის მაგვარი იქნებოდა.

ერეკლესეული, თუ შეიძლება მას ასე ვუწოდოთ, ბლაზონირებას კიდევ უფრო მეტად შეესატყვისება სტანისლავ დუშინის მიერ გამოქვეყნებული თავად ამატუნების გერბი[259]. დუშინს წყაროდ სანქტ-პეტერბურგის რუსეთის სახელმწიფო სისტორიო არქივში დაცული ამატუნების წარჩინებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი აქვს გამოყენებული[260].

7. თავადი ამილახვარი

თავად ამილახვართა გერბი ერთ-ერთი უძველესია ქართულ საგვარეულო პერალდიკაში. როგორც ქვეით ვიხილავთ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში ამილახვართა გერბის მრავალგვარი ვარიანტი არსებობდა, თითქმის ყოველ მათგანში ერთმანეთის მსგავსი ძირითადი ეშბლემები ფიგურირებდა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ XX საუკუნეში

---

255 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამოც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 95.
256 В. Цихинский. Тавадские роды. "Кавказский гербовник". Петроград. 1922 г. ст. 3.
257 ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, დოკ. № 8508. 1784 წ. გვ. 5-6.
258 ი ქ ვ ე. გვ. 9.
259 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 103.
260 РГИА. С-Пб. ф. 1343. оп. 49. д. № 29.

საზღვარგარეთ შაფანქონის მიერ ჩახატული გერბი, რომელშიც რატომღაც ამ გვარის მართლაც ოდითგანვე კუთვნილი ისტორიული საგერბე ფიგურების ნაცვლად, სრულიად ახალი და განსხვაყებული სიმბოლიკაა ასახული.

ქართველი თავადების ამილახვრების გერბის ჩვენთვის ცნობილი უადრეულესი ნიმუში მოსკოვში 1788 წელს გამოცემულ ლოცვანზეა დატანებული. გერბი თბილისის პიტრობოლიტ თავად ათანასე ამილახვარს ეკუთვნოდა და ამგვარად გამოიყურებოდა: სათავადო მანტიაზე ოვალური ფარია მოთავსებული. მანტიას თავს ადგას სათავადოვე გვირგვინი, უკან კი ურთიერთ ირიბად გადაჯვარედინებული სამღვდელთმახურო ატრიბუტები (კვერთხი და ჯვარი) აქვს განთავსებული. ხუთნაწილიანი ფარი, XVIII საუკუნის სხვა ქართული საგვარეულო გერბებისებრ კომპოზიციურად მეტად რთულად არის შედგენილი. ამიტომ მარტოოდენ მასში განლაგებული ფიგურების აღწერით შემოვიფარგლებით. ეს არის: ჩექმა, წმ. გიორგის ხატებიანი ალმის მჭერელი მკლავი, ადმიანის სახიანი მზე, დროშებშეთხვეული ახჯარი და ბოლოს — ზარბაზანი. მთლიანად ფარი ორ მარტორქას უპყრია ხელთ[261].

ზემოთ აღწერილი გერბი არ არის გამორიცხული უძველესიც კი იყოს ქართულ საგვარეულო პერალდიკაში, რასაკვირველია ბაგრატიონთა სიმბოლოების შეხედვით. შესაძლოა იგი რუსეთში შეიქმნა, ვინაიდან ათანასე ამილახვრის ეს გერბი რამდენიმე ათწლეულით უსწრებს წინ ერეკლეს II-ის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოში გაცემულ სათავადო გერბებს. ამასთანავე, ჩვენს მიერ საქართველოში მოძიებულ ერეკლესეულ საგერბე სიგელებს შორის ამილახვართა გერბის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზუალურად კომპოზიცია ძლიერ წააგავს სხვა, ასე ვთქვათ ადრეულ — XVIII საუკუნის ქართულ საგვარეულო გერბებს და ამასთანავე საკმაოდ განსხვავდება რუსული პერალდიკის მისივე თანამედროვე ნიმუშებისგან.

პიტრობოლიტ ათანასეს კუთვნილი ჯარიანტის გარდა არსებობს აგრეთვე ამილახვართა გერბიან ბატონიშვილ თეიმურაზის მიერ დაფიქსირებული კიდევ ერთი არქაული შესახედაობის თუმც კი პერალდიკურად გაცილებით უფრო გაბრალული გამოსახულება[262]. ამ გერბშიც პრაქტიკულად იგივე ფიგურები არის გამოყენებული, ოღონდ ზარბაზნისა და დროშებ შეორტყმული ახჯარის ნაცვლად კლდეზე აღმართული ციხესიმაგრეა ჩასმული, მზის ქვეშ კი კვარცხლბეკზე შემოდებული სისხლიანი თასი. ბატონიშვილი თეიმურაზ ბაგრატიონი გერბსუაღრესად საინტერესო და ქართულიგ პერალდიკისთვის ფრიად ნიშნდობლიგ საკმაოდ განვრცობილ აღწერილობას ურთავს: "თავად ამილახვართა გერბის განმარტება: სათავადო გვირგვინი. ოქროთი შემკული თეთრი მანტია, თეთრი ფერი გულის ხიწმინდესა და უმწიკვლობას აღნიშნავს ოქროს შორთულობა კი სათავადო ღირსებას. წმ. გიორგის დროშა იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს შეფეებს წესად ჰქონდათ ლაშქრის მარჯვენა ფლანგის სარდლად შეედგ ამილახვარები დაეყენებინათ. ძველ დროს ქართული ჯარის თავდაპირველ მეთაურებს ხშასპეტს ან სპასალარს მოგვიანებით კი, სარდალს (ეს სახელება "მთავარ სამხედრო ხელმძღვანელს" ნიშნავს) უწოდებდნენ. დეზუბიანი ბოტფორტების ტარების უფლება ადრეული ხანის საქართველოში მთავარსარდლის გარდა არავის ჰქონდა. მზე მეფეს ანუ ხელმწიფეს განასახიერებს — როგორც მზე ჯვალდგეებს თავისი კეთილსინდისიერებით ნაყოფიერ მიწას მსჭმოთარე მცენარეულით, ისე მეფენიც კეთილუქმნიან თავიანთ გამორჩეულ ქვეშევრდომთ. მზის წინ, საკურთხეველი მასზე შემოდგმული ხისხლგადმოდინარე ბარძიმით (ეს უკანასკნელი კომპოზიცია იოთამ ზუკდგენიძის გმირობაზე მიუთითებს: როცა ერთგულმა ქვეშევრდომმა ვერასგზით ვერ დაარწმუნა მეფე თავისი ეჭვების საფუძვლიანობაში, შესთავაზა საძინებლები მაინც გაეცალათ ერთმანეთისთვის. მართლაც, ღამე სამეფო ოთახში შესულმა შეთქმულებმა ხანჯლით მოკლეს (ან მწვავედ დაკოდეს, ზუსტად არ არის ცნობილი) გიორგი VII-ის ნაცვლად მძინარე იოთამი)[263]. ციხეკოშკი გორის ციხესიმაგრეს აღნიშნავს, რომელიც ქართლის განთქმული მშვენება იყო და თავად ამილახვართ ჰქონდათ სამმართველოდ ჩაბარებული, ისინიც იყვნენ ქალაქ გორის მოურავნი და ქართლის მდივანბეგნი. გერბზე გამოსახული ყოველგვარი სამხედრო ბარაღი სარდლობის ნიშანია. ორი მარტორქა უშტეხსწილ სათავადო გერბებში ხმარება." გერბის პირველი, ზედა მარჯვენა ნაწილი მეწამულია, ზედა მარცხენა — ლაჟვარდი, ქვედა მარჯვენა — მწვანე, ქვედა მარცხენა კი — პორფირი[264]. ზემოთ აღწერილ რთულ საგერბე კომპოზიციას ცნობილი რუსი პერალდისტი ალექსანდრე ლაკიერიც იცნობს და განიხილავს თავის, შთელი რუსეთის იმპერიის გერბთმცოდნეობისთვის ებოძებულ წიგნში "რუსული პერალდიკა"[265]. ამილახვარების საგვარეულო პერალდიკის მნიშვნელოვანი წყაროა რუსეთის იმპერიის თავად ა. დ. ამილახვაროვის

---

[261] ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია (1629-1920 წწ.). ტ. I. თბ. 1941 წ. გვ. 58.

[262] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 105.

[263] ნოდარ ბერძენიშვილი. ხელოვნების ისტორიის ხატოხები. ტ. II. გამომც. "მეცნიერება". თბ. 1985 წ. გვ. 113.

[264] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 105-106.

[265] А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 330.

აუტორობით 1779 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემული "გეორგიის ისტორია" ("История георгианская")[266].

საერთოდ ამილახვართა გერბის ჩანგრძლივი არსებობის მანძილზე შექმნილი მრავალი ვარიანტისა და ამ გვარის მონათესავე საგვარეულოების (ზედგენიძე, ტუსიშვილი, გურაბიშვილი, ხიდირებეგიშვილი) პერალდიკური სიმბოლიკა მნიშვნელოვანწილად იდენტურია. საგვარეულო გერბების ამ ერთგვარ ოჯახს, ჩვენი აზრით შესაძლოა პირობითად გერბების ამილახვარ-ზედგენიძეთა ჯგუფი (გ ა-ზ ჯ) ვუწოდოთ, ვინაიდან ისინი მეტად წააგავენ ერთმანეთს, როგორც ტიპოლოგიურად ანუ ფარის კონსტრუქცია-აგებულებით, ისე შინაარსობრივადაც — ფიგურათა სიმბოლიკით.

XIX საუკუნეში ამილახვართა გერბი საგრძნობლად დაიხვეწა და პერალდიკურად გამართული ფორმა მიიღო. ამავდროულად მას კიდევ რამდენიმე ახალი ფიგურაც დაემატა. ისეთები როგორიც არის: ჯვარი, ეკლესია, ღუზა და ცენტრალურ გულისებრ მცირე ფარზე გამოხატული არქისტრატიგი მიქაელ მთავარანგელოზი.[267]

იმავე ხანას განეკუთვნება საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში დაცული ამილახვართა გერბის ერთი შეტად საინტერესო და მაღალ დონეზე შესრულებული ლითონში ჩამოსხმული ნიშანი. იგი 1081-1805 წლებით თარიღდება და კავკასიის კაზაკთა I დივიზიის მეთაურისთვის — ივანე გივის ძე ამილახვარისთვის ბოძებულ საიუბილეო დაფას წარმოადგენს. ამავე პიროვნების გენერალ-ადიუტანტისა და კავალერიის გენერლის გივი ამილახვრის ქაშვეთის ეკლესიაში მდებარე საფლავის ქვაზე არის ამოტვიფრული ამილახვართა გერბის კიდევ ერთი, მუზეუმში დაცული კომპოზიციის მსგავსი ნიშანი.

კიდევ უფრო გვიან, უკვე XX საუკუნეში შაფანჭონის მიერ ამილახვართა სრულიად ახალი გერბია დაფიქსირებული: ფრანგული ფარი, კოშკისებრად გადაკვეთილი, ოქროზე — ხმლოსანი მიქაელ მთავარანგელოზი, შეწამულზე — ოქროს საწმისი[268]. გერბის ამ ვარიანტში ახალი მხოლოდ ოქროს საწმისის ფიგურაა, მთავარანგელოზი და ციხესიმაგრის კედელი კი ოდნავ სახეცვლილი ფორმით ძველი ნიმუშებიდან არის გადმოღებული.

მიხეილ გადბოლსკის აზრით[269], რომელსაც ჩვენც სავსებით ვიზიარებთ, გერბში მოთავსებული ჩექმა გვარის სახელწოდების წარმოშობაზე ანუ მათ ტრადიციულ თანამდებობაზე — ამირ ახორ (სამეფო საჯინიბოთა უხუცესი) — მიუთითებს.[270] აგრეთვე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ წე. გიორგის გამოსახულებიანი დროშა, ისევე როგორც ეს ერეკლე II-ისეულ ზოგიერთ საყერბე სიგელშია აღნიშნული,[271] აქაც ამ სიმბოლოს მფლობელის სახასიათოდ აღნიშნავს. ამ მაღალი სამხედრო თანამდებობის ამილახვართათვის ბოძების ცნობა ოთანე ბატონიშვილთან არის დაცული[272]. ასევე ოთანე ბატონიშვილი გვამცნობს, რომ საგვარეულოს ოავის დროზე გორის ჯვრის ციხეც გადაეცა,[273] რაც შესაძლოა გერბში ციხესიმაგრის გამოხატვით აღინიშნა. აქვე შევნიშნავთ, რომ სამთავასის ტაძარში განთავსებულ ამილახვაროა საძვალეში მდებარე საფლავის ქვებზე დატანებულ გერბებზე ფარისმტვირთველებად მორტორქეების ნაცვლად ლომები გუეულისება[274].

8. თაყვადი ამირეჯიბები

ქართული საგვარეულო პერალდიკის ჩვენს მიერ შესწავლილი წყაროებიდან ქართლელ თაყად ამირეჯიბების გერბი მხოლოდ ჯ. ციხისკის[275] და სტანისლავ დუშინის[276] ნაშრომებშია დაფიქსირებული. ამასთან დუშინი გამოხახულებას ციხისკის არის დასესხებული, ასე რომ ბუნებრივია გერბი ორივეგან იდენტურად გამოიყურება: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში კლდეზე აღმართული კოშკია გამოხატული, ზედა მარცხენა პეოთხედში — ჯვარცხლებეზე შემდგარი კიდეებგაფართოებული, "ბოლნურისებრი" ჯვარი, შესამეში — ირიბად დადებული შოლუნული ხმალი

---

[266] Амилахваров А. Д. "История георгианская". С-Пб. 1779 г.

[267] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. Часть I тавадские роды. (Рукопись). Петроград.1922 г. ст. 4; С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 105.

[268] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 105.

[269] მიხეილ გადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური ხმხოლიკა. გამოცე. "ხელოვნება" თბ. 1988 წ. გვ. 95; სურ. 142.

[270] ი ქ ვ ე. 88. 95, 96-97; სურ. 142. 180, 185, 189, 190, 191.

[271] ხელნაწერთა ინსტიტუტი ფ. Hd, დოკ. №№ 6565. 1784 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი ფ. Hd, დოკ. №№ 5641. 1783 წ.

[272] ოთანე ბაგრატიონი. შეშკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თაყადთა და აზნაურთა გვარებისა. თბ. 1987 წ. გვ. 10.

[273] ი ქ ვ ე.

[274] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 4.

[275] Там же. ст. 5.

[276] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 114.

ტარით ზევით, შეოთხეში კი — კვართი; მთლიანად ფარს აკრავს სათავადო მანტია სათავადოვე გვირგვინით.

აღსანიშნაია, რომ ამირეჯიბების გერბი ზუსტად ემთხვევა ფალავანდიშვილებისას[277]. ცხინისკი, როგორც ჩანს ითანე ბატონიშვილზე დაყრდნობით[278], ამას იმით ხსნის, რომ ამირეჯიბების გვარი ამირეჯიბის ანუ მეფის მოსხსენებლის თანამდებობის მპყრობელი ფალავანდიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელთაგან მომდინარეობს.

9. თავადი ანდრონიკაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ თავად ანდრონიკაშვილებს ოფიციალურად დამტკიცებული გერბი არ გააჩნდათ, ცნობილია XIX საუკუნიდან არსებული მათი საგვარეულო საგერბე სიმბოლიკა, რომელიც რამდენიმე წყაროში არის შემონახული. მათგან უძველესი და უმთავრესია ო. გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში შესული ამ სათავადო გვარის კუთვნილი ბეჭედი მასზე ამოტვიფრული საგვარეულო გერბით: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი დაბოლოებით, ზედა მარჯვენა ნაწილში — საბლით ქვეყით გაშოსატულ მოზიდულ მშვილდ'ზე სამი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ისარი პირუბით ზეყით, ზედა მარცხენა — ციხე-კოშკი, ქვედა მარჯვენა ნაწილი კლანჭებით სფეროსა და სკიპტრის მპყრობელ ორთავიან არწივს ეთმობა, ქვედა მარცხენა — ფრთებგაშლილ მტაცებელ ფრინველს, ხოლო დაბოლოება — აფრებგაშლილ ხომალდს, რომელსაც კლდოვანი სანაპირო მარცხნივ ანუ უკან მორჩენია[279].

ანდრონიკაშვილების ამდაგვარივე, მცირეოდენ სახეცვლილი გერბი აქვს დაფიქსირებული ვადბოლსკისაც. სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ფარის პირველ ნაწილში მშვილდისრის ნაცვლად გასხივოსნებული მზე არის მოთავსებული, მეორეში კი — მთლიან ციხე-კოშკს ციხესიმაგრის (ვადბოლსკი კომენტარებში მას საგვარეულოდ მოიხსენიებს) კედელია ჩანაცვლებული. გერბს ამასთანავე სათავადო მანტია და გვირგვინიც აკლია[280].

გარე შესამოვლებისა და ფარის ფორმის გარდა ცხინისკის "კავკასიურ საგერბეშიც" საგვარეულო საბეჭდავის იდენტურ გამოსახულებას ვხვდებით[281].

ზემოთ აღწერილ გერბს დუმინიც იცნობს. თუმცა მის მიერ გამოცემულ "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში — "საქართველოს სამეფოს თავადები" მოცემულია ანდრონიკაშვილების გერბის კიდევ ერთი ვარიანტი, რომლითაც გვარი ემიგრაციაში სარგებლობდა. შერვაშიძის მიერ შაფანჯონის მიხედვით შესრულებული გერბი ასე გამოიყურება: ლაჟვარდის ფონის მქონე ფრანგულ ფარზე მისი გვერდებიდან გამომავალ ორ ხელს ოქროს გვირგვინი უჭირავს[282]. კომპოზიცია პრაქტიკულად ზუსტი ასლია ბიზანტიის საიმპერატორო დინასტიის კომნენოსების გერბისა. ითანე ბატონიშვილის მიხედვით 1144 წელს ანდრონიკაშვილები ბიზანტიის იმპერატორ მანუილ კომნენოსის მიერ გამოძევებული და სქართველოში გადმოხვეწილი მისივე ძმისწულის ანდრონიკესგან წარმოდგებიან. როგორც ჩანს, სწორედ ამ მოვლენათა ამსახველი უნდა იყო მათი ეს მოგვიანო გერბი. შესაძლოა ანდრონიკაშვილთა საგვარეულო გერბის ძველ ვარიანტში ბიზანტიურისებრი ორთავიანი არწივიც იმავე მიზეზით იყო განთავსებული[283].

10. თავადი ანჩაბაძე

თავად ანჩებაძეთა გერბი გ. ცხინისკის ხელნაწერ ნაშრომში — "კავკასიის საგერბეში" არის დაფიქსირებული: ფრანგული ფარი ორად არის გაკვეთილი, მარჯვენა ნაწილი მთლიანია, მარცხენა კი — გადაკვეთილი, მარჯვენა მთლიან ნაწილში კლდეზე აღმართული კოშკია გამოსახული, რომელიც ირიბად ურთიერთგადაჯვარედინებული სკიპტრითა და ხმლით არის დამძიმებული, გადაკვეთილი მარცხენა ნაწილის ზედა ნახევარში მამაკაცის გვირგვინოსანი თავია მოთავსებული, ხოლო ქვედაში — ქნარი. ფარს გარს აკრავს სათავადო მანტია სათავადოვე გვირგვინით[284].

---

277 В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 36.

278 ითანე ბაგრატიონი. შეთხზულება აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დალ. ობ. 1897 წ. გვ. 27.

279 სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერა.

280 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1800 წ. გვ. 85. ნახ. 144.

281 В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 56.

282 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 118.

283 ბაგრატიონი ითანე ბატონიშვილი. შეთხზულებაი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. თბ. 1897 წ. გვ. 40.

284 В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 54.

აბსოლუტურად იდენტური, თუმცა გაცილებით უფრო დახვეწილად შესრულებული და როგორც თავად შენიშნავს ცახინსკის ხელნაწერიდან გადმოღებული საგერბე კომპოზიცია მოიყვანს ანჩაბაძეთა გერბად სტანისლავ დუშინსკი[285].

აქვე აღსანიშნავია, რომ ვ. ცახინსკი ზუსტად ანჩაბაძეების მაგვარ გერბს მიაკუთვნებს თავად მარაბლებსაც, რაც "კავკასიის საგერბეში" ამ გვარების საერთო წარმოშობით არის მოტივირებული[286]. სხვათაშორის მარაბლებს იოანე ბატონიშვილიც ანჩაბაძეთაგან წარმომდგარად მიიჩნევს[287].

II. თავადი არღუთაშვილი (არგუტინსკი-დოლგორუკი)

სომეხი ეროვნების ქართველ თავად არღითაშვილთა გერბი იმ ერთ-ერთ უძველეს ქართულ საგერბე გამოსახულებათაგანია, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ერეკლე II-ის შეფობის ხანიდან არის ჩვენთვის ცნობილი.

1783 წლის 28 აგვისტოს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ არღუთაშვილებს, როგორც თავად აღნიშნავდა ერთგულებისა და დიადი წარმოშობის გამო სატახტო ქალაქ თბილისში გაცემული სპეციალური სიგელით საგვარეულო გერბი უბოძა: "ფარი ჯეცხლის ადგილით, ზედა მას დროშა ანუ ბოვარაყი, ვითარცა ნიშანი სპასპეტობისა, რომელსაცა ზედა გამოსახულ არს ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისა დედისა, რომელსაცა უპყრიეს ხიტყუა იგი საუკუნოსა მაშისა, ძეВ თDსი. ქვეშე ხატისა შორის არს განპყრობილ ეკლავი {მლითა მარჯვნივ, ვითარცა ცხადმყოფი გვარობითისა სიმხნისა მათისა, და მარცხნივ ფარი ბირქვე ბდებარე და მას ზემოთ სწორედ დაღგმული შუბი. და ყოველი ესე არის დაგDრგDნებული ზემო სათავადოსა გDრგDნითა"[288].

არღუთაშვილები საქართველოს სამეფოს სამსახურში მდგომი, ძირითადად მონოფიზიტური აღმსარებლობის მიმდეკარი, ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან ცნობილი და სახელგანთქმული მხარგრძელთა საგვარეულოდან ჩამომავლობას ჩემულობდნენ. ამის დადასტურება რუსეთის მოავრობისა და პეროლდიის დეპარტამენტის წინაშე მათ კკლავე ერეკლე II-ს სთხოვეს, რომელმაც აჯა ამაკე 1783 წელსვე დაუმაყოფილათ[289].

სწორედ ამ საბუთის საფუძველზე რუსეთში მცხოვრებ სომეხთა არქიერის ეპისკოპოსს იოსებ (ოსეფა) არღუთაშვილს 1782 წლიდან მოყოლებული იმპერიისთვის სამხრეთ კავკასიაში გაწეული სამსახურისთვის, განსაკუთრებით კი გრაფ ვ. ა. ზუბოვისთვის კავკასიაში ლაშქრობისას აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის 1800 წლის 22 მარტს იმპერატორმა პაველ I-მა რუსეთის იმპერიის თავადობა, განახლებული საგვარეულო გერბი და არგუტინსკი-დოლგორუკი-ებად ანუ მხარგრძელებად წოდების უფლება უბოძა[290]. იმავე წელს ოსეფა ერმიაძინის პატრიარქად აღიარეს, თუმცა იგი რუსეთიდან სომხეთს ახალ მოვალეობათა შესრულებისთვის მიმავალი 1801 წელს თბილისში გარდაიცვალა. მასთან დაახლოებული პირნი მიიჩნევდნენ, რომ ოსეფა არღუთაშვილის პატივმოყვარეობა მარტოოდენ მაღალი საეკლესიო წოდებით არ შემოიფარგლებოდა და იგი კავკასიის ერთ-ერთი მხარეში თავისი საეკარელი ძმისშვილის გამეფებასაც კი ლამობდა[291].

პავლე I-ის მიერ არგუტინსკი-დოლგორუკებისთვის გაცემული გერბი რუსეთში არსებული წესის თანახმად მყისვე "საერთო საგერბეში" შევიდა. საქართველოს თავადებად მოხსენიებულ არღუთაშვილთა ეს ახალი გერბი რუს გერბთმცოდნეთა მიერ შემდეგნაირად აღიწერებოდა: "ფარი პერპენდიკულიარულად ორ ნახევრად არის გაყოფილი, რომელთაგან მარცხენაში თავად არგუტინსკი-დოლგორუკების ადრინდელი გერბია განთავსებული: წითელ ფონზე ღრუბლიდან გამოწვდილი ვერცხლის აბჯრიანი ხმლის მპყრობელი მკლავი, მას ქვემოთ კი: ცისფერ ფონზე მიწაზე მდგომი ღომი, რომელსაც წინა თათებში ოქროს სუვენირი და ფარი უჭირავს. არგუტინსკი-დოლგორუკების რუსეთის იმპერიის თავადებად ღაჭკაცების აღსანიშნავად, ფარის მარჯვენა ნახევარში ჩაშატებულია ოქროს ფონზე გამოსახული შავი არწივი თავზე გვირგვინთა და ბრჭყალებში ჯიმბერით. არწივს მკერდზე აღბეჭდილი აქვს წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენის ჯვარი შუაში წითელი ფერის მცირე ფარით, რომელშიც ყვინტილურად არის გაღმოცემული მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის პაველ I-ის სახელი. ფარს გარს აკრავს სათავადო მანტია და გვირგვინი."[292].

---

[285] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. т. IV. М. 1998 г. ст. 101.

[286] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 30.

[287] იოანე ბაგრატიონი. შეძოლებული აღწერა საქართველოსა შინა ეცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1987 წ. გვ. 20.

[288] სასტორიო მოამბე. I. თბ. 1948. გვ. 24-25.

[289] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, დოკ. № 6541. 1783 წ.

[290] П. Н. Петров. История родов русского дворянства. т. II. М. 1991 г. ст. 11.

[291] Там же. ст. 12.

[292] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. т. V. С-Пб. 1800 г. ст. 2.

რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბეში შეტანილი პავლე I-ისეული არღუთაშვილთა გერბი ყოველგვარი ცვლილებების გარეშე აქვს დაფიქსირებული ე. ციხინსკისაც თავის ცნობილ ხელნაწერ ნაშრომში "კავკასიური საგერბე". უნდა შევნიშნოთ, რომ ციხინსკი ერეკლე II-ის მიერ არღუთაშვილებისთვის გერბის ბოძების თარიღად შცდარად მიუთითებს 1789 წელს, ვინაიდან, ვითარც ზევით ვიხილეთ ამ ისტორიული ფაქტის პირველწყარო — ერეკლესეული სიგელი უეჭველად 1783 წელს განეკუთვნება[293].

მახეილ ვადბოლსკი, როგორც ეს სხვა გერბების შემთხვევაშიც არაერთხელ ყოფილა, თავად არღუთაშვილების გერბად მკვეთრად განსხვავებულ გამოსახულებას გვთავაზობს. ფარში აქ მხოლოდ არგუტინსკების მოგვიანო გერბში შესულ ს'ეგლუგინა და მრგვალი ფარის მპყრობელი ლომის ფიგურას ვხედებით, ამასთანავე ფრანგულ ფარს აშკარად არათავადური გვირგვინი ადგას თავს[294]. არღუთაშვილების გერბის ამ ორიგინალური და უნიკალური ვარიანტის წარმოშობაზე სამწუხაროდ არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

რაც შეეხება არღუთაშვილების გერბის სიმბოლიკას, მასში ხმლიანი მკლავი ერეკლესეული განმარტებით არღუთაშვილთა "გვარობით სიმხნეზე", ხოლო დროშა, იგივე ბოვარაკი კი სპასპეტობაზე მიანიშნებს[295]. დროშასთან დაკავშირებით აგრეთვე საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის უაყტორიტეტულესი რუსი გერბთმცოდნე ლაკიერი არგუტინსკების გერბის განხილვისას მის, ასე ვთქვათ ძველ, ერეკლე II-ისეულ ნაწილს "საგვარეულო ალამთაგან შეწყალებად" მიიჩნევს[296]. ლაკიერი იქვე საკმართლიანად მიუთითებს, რომ პავლე I-ისთვის ჩვეული იყო მის მიერ აღზევებული გვარებისთვის ახლადშექმნილ ან განახლებულ გერბებში თავისი ყენზელითა და წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენის, როშლის მაგისტრიც იმხანად რუსეთის იმპერატორი იყო, ე. წ. მალტური ჯვრით დამშვენებული არწიყის მოთავსება[297]. ასე რომ, არგუტინსკი-დოლგორუკების საგერბე ფარში რუსეთის საიმპერატორო არწივის ჩამატება ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივ და გასაგებ მოვლენად უნდა აღვიქვათ. უფრო მეტად საინტერესო და საკვლევია ის თუ საიდან გაჩნდა არღუთაშვილთა საგვარეულო სიმბოლიკაში ლომის ფიგურა. როგორც ვიცით იგი ერეკლე II-ის მიერ 1783 წელს გაცემულ სიგელში არ ფიგურირებს, არადა პავლე I-ისეულ საგერბე კომპოზიციაში მას "ძველი, ადრინდელი" გერბის ნაწილად მიიჩნეყენ. ამასთანავე მიხეილ ვადბოლსკის ცნობილ წიგნში არღუთაშვილების საგვარეულო საგერბე ფარში მარტოოდენ სწორედ ლომის ფიგურა არის გამოხატული. ლაკიერი ლომს ძველი საგვარეულო დროშებიდან ნასესხებად მიიჩნევს. ჩვენ კი შესაძლებლად ვთვლით, რომ იგი გვარის ხომხურ წარმოშობაზე მიუთითებს, ვინაიდან რუსეთის იმპერიის მიერ დამტკიცებულ სომხეთის გერბში, რომელიც (იგი სხვათაშორის საქართველოს სამეფოს ჩვენს მიერ ზევით უკვე განხილულ დიდი გერბში შედიოდა) სწორედ ეს ცხოველია აღბეჭდილი.

12. თავადი ბაბადიში

იოანე ბატონიშვილის მიხედვით ბაბადიშები კახეთის მეფე გამაჰმადიანებული დავით II იმამყული-ხანის წარმოდგებიან[298]. ამ ცნობის მიუხედავად, რუსეთის იმპერიაში მათი წარჩინებული წარმომავლობის საკითხის განხილვისას, ბაბადიშების მიერ წარდგენილ გენეალოგიურ ტაბულაში გვარის წარმოშობა იმამ-ყული-ხანის მოღვაწეობის წლებზე უფრო ადრინდელ ხანას და ვინმე როსებ ბაბადიშს უკავშირდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ტაბულაში დავით II საერთოდ არ არის ნახსენები.

ბაბადიშების გერბი ქაროული პერალდიკის ჩვენთვის ცნობილი საისტორიო წყაროებიდან მხოლოდ ვ. ციხინსკისთან გვხვდება: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში ირიბად დადებული სკიპტრა, მის თავზე კი სფეროა გამოსახული, ზედა მარჯვენა ნაწილში — ქნარი და შურდული, ქვედა მარჯვენაში — ზარბაზანი, ქვედა მარცხენაში კი — ვაცი. ფარს სათავადო გვირგვინით შემკობილი სათავადოვე მანტია[299].

ზუსტად ასეთივე საგერბე კომპოზიცია, უფრო დახვეწილი ფორმით სტანისლავ დუმინის გამოცემაშიც არის შესული[300].

ჩვენთვის სადღეისოდ უცნობია ბაბადიშების გერბის შექმნის ისტორია, მაგრამ უდაოდ თვალშისაცემია, რომ საგვარეულო საგერბე ფარის ზედა ორი მეოთხედი ბაგრატიონთა სიმბოლიკას

---

[293] В. Цихинский. Тавадские роды. Кавказский гербовник. тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 6.

[294] მახეილ გადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. თბ. 1880. გვ. 85, ნახ. 145.

[295] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, დოკ. № 8341. 1783 წ.

[296] А. Б. Лакиер. Русская геральдика. М. 1990 г. ст. 338.

[297] Там же. ст. 357.

[298] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დოკალ. თბ. 1987 წ. გვ. 45.

[299] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роди. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 57.

[300] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 129.

უკაცია. აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ გერბის შემდგენელი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ამ საგვარეულოს წარმოშობის იოანე ბატონიშვილისეულ ვერსიას ემხრობოდა და ბაბადიშებს კახეთის ბაგრატიონებისგან, კონკრეტულად კი იმამ-ყული-ხანისგან წარმომდგარად მიიჩნევდა, რაც ასახა კიდეც საგერბე კომპოზიციაში ბაგრატოვანთა დინასტიური ემბლემების მოთავსებით.

ბაგრატიონების სამეფო დინასტია

ბაგრატიონების საქართველოს სამეფო დინასტიას, როგორც ჩანს ჯერ კიდევ ადრეული შუასაუკუნეებიდან გააჩნდა გარკვეული საგვარეულო სიმბოლიკა. არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატიონების სოსხურ შტოს – ბაგრატუნებსაც ჰქონდათ საკუთარი ემბლემები[301]. მიუხედავად ამისა საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო სახლის პირველი კლასიკური ევროპული ტიპის საგვარეულო გერბი ქართლის მეფე ვახტანგ VI-ძ შექმნა XVIII საუკუნის დამდეგს. ვინაიდან ვახტანგ VI-ისეული საგერბე კომპოზიცია მმართველ სამეფო დინასტიას ეკუთვნოდა, როგორც ეს მონარქიულ ქვეყნებშია მიღებული, იგი იმავდროულადვე სახელმწიფო სიმბოლოსაც წარმოადგენდა. ასე გრძელდებოდა მანამ სანამ საქართველო დამოუკიდებლობას, ბაგრატოვანთა სახლი კი სამეფო ტახტს ინარჩუნებდა.

ბაგრატიონების საგვარეულო გერბის წარმოშობის ისტორიისა და მისი არსებობის იმ მონაკვეთის (1709-1801 წლები) შესახებ, რომლის დროსაც ეს გერბი სახელმწიფო ემბლემის ფუნქციასაც ითავსებდა, ზევით ზოგადად საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის მიმოხილვისას საკმაოდ ვრცლად გვქონდა საუბარი. აქედან გამომდინარე ზედმეტად მიგვაჩნია მოცემულ ნაშრომში უკვე განხილული საკითხისადმი ხელახალა მიბრუნება, რის გამოც ქვევით ბაგრატიონთა სხვადასხვა განშტოების კონკრეტული გერბების მარტოოდენ განცალკევებით აღწერითა და შესწავლით შემოვიფარგლებით.

აქვე დავძენდით, რომ ბაგრატოვანთა ეპერალდიკურ სიმბოლიკას სხვადასხვა ჭრილში მრავალი მკვლევარი შეხებია, მაგრამ ამათგან ჩვენ მაინც XIX საუკუნის სახელგანთქმულ რუს გერბთმცოდნეს ალექსანდრე ლაკიერს გამოვყოფდით, რომელმაც მის ცნობილ წიგნში "რუსული პერალდიკა" ფრიად ვრცელი ადგილი დაუთმო, როგორც ზოგადად ბაგრატიონების საგვარეულო ემბლემატიკას, ისე ამ დინასტიის ცალკეული შტოების კონკრეტული გერბებსაც[302].

13. თავადი ბაგრატიონ-ი

ბაგრატიონების დინასტიის 1757 წელს რუსეთში გაღასახლებული განშტოების სამპერიო მთავრობის მიერ 1803 წლის 4 ოქომბერს დამტკიცებული გერბი, რომელსაც ბოროდინოს ბრძოლის ცნობილი გმირი გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონიც ფლობდა, შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში მეწყმულ ფონზე ოქროს სფეროა გამოსახული, ზედა მარცხენა მეოთხედში – ლაჟვარდზე ოქროს ქნარი, ქვედა მარჯვენაში – ლაჟვარდზევე ოქროს შურდული, ქვედა მარცხენაში კი – მეწყმულზე ურთიერთ ირიბად გადაჯვარედინებული ოქროს სკიპტრა და ხმალი; სათაყვადო მანტიითა და გვირგვინით შემკული ფარი ორ ფარისმტყირთველ ლომს უპყრია[303]. რუსეთის სათაყვადოზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის VII ტომში შეტანილი ეს გერბი, როგორც ვხედავთ, ძალიანად ტრადიციული ბაგრატიონებისეული სიმბოლოების საფუძველზე არის შედგენილი. მასში მოთავსებული ფიგურები კი ბაგრატოვანთა საგვარეულო ლეგენდისა და სამეფო წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს.

რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომ თავად ბაგრატიონთა ეს გერბი მოგვიანებით ღუკომსკის მიერ შედგენილ უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი თავადაზნაურების ოთხტომეულ დასურათებულ ნუსხაშიც შეუიდა[304].

პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის გერბის ზუსტად ასეთივე გამოსახულება თუ მისი აღწერილობა მოპყავთ თავიანთ ნაშრომებში მიხეილ ვადბოლსკისაც[305], ბ. პეტროვსაც[306] და სტანისლავ დუმინსაც[6], რუსეთის ისტორიაში ამ ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი სარდლის პეტრე ბაგრატიონის გერბი თავის დროზე საბჭოთა სამხედრო ენციკლოპედიაშიც კი იყო შეტანილი[307].

---

[301] Р. И. Матевосян. Истоки армянской геральдики. Жур. Гербовед. № 2 (10). 1996 г.

[302] А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 325-328.

[303] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. т. VII. 1803 г. ст. 2.

[304] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600. лист 64.

[305] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 85. ნახ. 148.

[306] П. Н. Петров. История родов русского дворянства. I т. М. 1991 г. ст. 415.

[6] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимкомингвест. т. III. М. 1996 г. ст. 50.

[307] Советская военная энциклопедия. т. II. ст: геральдика. М. 1976 г. ст. 524.

ბაგრატოვანთა დინასტიის ამ ერთ-ერთი გვერდითი შტოს გერბი ე. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბეში" საკმაოდ განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი, რაც, პიუხედავად იმისა, რომ, როგორც თავად ავტორი მიუთითებს იგი "რუსეთის იმპერიის თავადზანაურთა გვარების საერთო საგერბეთი" სარგებლობდა, უთუოდ შეცდომაა. ციხინსკისეულ ვარიანტში, ოფიციალურად დამტკიცებულისგან განსხვავებით, საგერბე ფარი ჩვეულებრივი კვეთის ნაცვლად სწორკუთხა ჯვრით არის დანაწევრებული, შეცვლილია ფიგურათა განლაგება, მთავარი ფარის ცენტრში კი ჩამატებულია მცირე ფარი, მასში გამოხატული მაცხოვრის კვართით[308]. ძნელი ახახნელი და გაუგებარია თუ რატომ აქვს დაშვებული ესოდენ უხეში შეცდომები ბატონ ციხინსკის.

თავად ბაგრატიონთა ოდნავ სახეცვლილი გერბი ო. გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაშიც არის დადასტურებული. "უმაღლესად დამტკიცებულისგან" იგი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ფარი სათავადო მანტიასთან ერთად წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენის ატრიბუტებზე — რვაქიმიან გასხივოსნებულ ვარსკვლავსა და ორდენიან ბაფთაზეა მოთავსებული[309]. რუსეთის იმპერიის ეს უმაღლესი ჯილდო — წმ. ანდრიას ორდენი, სახელგანქმულმა მხედართმთავარმა პეტრე ბაგრატიონმა 1809 წელს მიიღო[310]. აქედან გამომდინარე გეტლინგის კოლექციაში შეშონახული გერბიც, ბუნებრივია ამ თარიღზე გვიანდელად უნდა მიეჩნიოთ.

ბოლოს დავსძენდით, რომ პეტრე ბაგრატიონის 1803 წელს დამტკიცებული გერბი ერთ-ერთია უძველესია საქართველოსთან დაკავშირებულ ოფიციალურად დადგენილ საგვარეულო გერბებს შორის.

14. ბაგრატიონ-გრუზინსკი

ბაგრატოვანთა დინასტიის ე. წ. ბაგრატიონ-გრუზინსკების შტოს წარმომადგენლებიდან რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ "უმაღლესად დამტკიცებული" გერბი მხოლოდ მის ბრწყინვალებას თავადისქალ ანასტასია ნიკოლოზის ასულ გრუზინსკაიას გაჩენდა. 1885 წელს დამტკიცებული ეს საგერბე კომპოზიცია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი შუაში მცირე ფრანგულიუე ფარით: მცირე ფარში საქართველოს საშეფო გერბი, გველეშაპის განგმირაეა წმ. გიორგია გამოხატული; ძირითადი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — მაცხოვრის ხელთუქმნელი კვართია მოთავსებული, ზედა მარცხენაში — სფერო, მის თავზე კი ურთიერთ ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, ქვედა მარჯვენა ნაწილში — ქნარი მდებარეობს, ქვედა მარცხენაში კი — შურდული; მთავარი ფარი ორ ფარისშტვირთველ ლომს უჭირავს; ფარს თავს ადგას სათავადო გვირგვინი, რომელიც ორ ფრთოსან ხმალამოწვდილ ანგელოზს უჭირავს; ყოველივეს გარს აკრავს სათავადო მანტია სათავადაღვე გვირგვინით. გერბში წმ. გიორგის ფიგურა გრუზინსკების ქართულ წარმოშობას განასახიერებს; კვართი — ლეგენდას ქრისტეს სამოსის საქართველოში შენახვის შესახებ; სფერო, სკიპტრა და ხმალი — გვარის სამეფო წარმომავლობას; ქნარი და შურდული კი — ცნობილ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონები ბიბლიური მეფე დავითისგან წარმოდგებიან[311]. გერბი წმ. გიორგის ხატებისა და ბაგრატიონთა დინასტიური სიმბოლიკის საფუძველზეა შექმნილი. შეტანილია ე. წ. საერთო საგერბის XIV ტომში[312], მოგვიანებით კი უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი თავადაზნაურების დასურათებულ ნუსხაშიც[313]. გერბი აღწერილობითურთ გამოცემული აქვს სტანისლავ დუმინს[314].

ვ. ციხინსკის მიხედვით ბაგრატიონ-გრუზინსკების საგვარეულოს წარმომადგენლები ზეყით აღწერილისგან მცირეოდენ განსხვავებულ, თუმც კი იმავე მთელი დინასტიისთვის ტრადიციული ფიგურებისგან შემდგარ გერბებსაც იყენებდნენ. ციხინსკის მიერ მოყვანილ მხოლოდ ერთ საგერბე კომპოზიციაში ჩანს ბაგრატიონთა გერბებისთვის არადამახასიათებელი სიმბოლო — ციხესიმაგრე. სამწუხაროდ ავტორს მითითებული არა აქვს გრუზინსკების გვარის კონკრეტულად რომელ წევრს ეკუთვნის ეს გერბი[315].

1886 წელს დამტკიცებული გერბისგან, ციხინსკისეულ ვარიანტებზე კიდევ უფრო განსხვავებული ნიშუში არის შეშონახული გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში, სადაც უბრწყინვალეს თავად ბაგრატიონ-გრუზინსკების უფროსი შტოს გერბად გამოცხადებული შემდეგნაირი ლუქის ბეჭედი

---

[308] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 7.

[309] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერილი.

[310] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лекоминвест. т. III. М. 1996 г. ст. 50.

[311] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 460. 1885 г. ст. 16.

[312] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. т. XIV. 1890 г. ст. 2.

[313] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600.

[314] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лекоминвест. т. III. М. 1996 г. ст. 71.

[315] В. Цихинский. Кавказский гербовник. Часть I тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 16.

გვხვდება: წარწერიანი არშიის მქონე და სწორკუთხა ჯვრით ოთხად გაყოფილი ფრანგული ფარის ცენტრში მართკუთხა, ასევე წარწერიანი არშია შემოვლებული, ქრისტეს კვართის გამოსახულებიანი მცირე ფარია მოთავსებული; მთავარი ფარის პირველ მეოთხედში შურდული და ქსარია, მეორეში — სფერო და ურთიერთ ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მესამეში — სასწორი, მეოთხეში კი — შემობრუნებული წუმ. გიორგი; გერბის ფარსგარე შესამკობლები ანასტასია გრუზინსკაიას ზეყით აღწერილი გერბისებრია[316].

აღწერილთაგან გრუზინსკების სრულიად განსხვავებული გერბია აღბეჭდილი მცხეთაში არმაზისხევის შუაგულში დაცულ საფლავის ქვაზე, რომელიც ერეკლე II-ის ძის ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლეს მარიამ ისააკის ძე გრუზინსკაიას ეკუთვნის. აქაც ბაგრატიონთათვის ჩვეულ ფიგურებს ვხვდებით, მაგრამ ფრიად გამორჩეული და ორიგინალურია მათი განლაგება და ზოგადად ფარის დაყოფა.

ბაგრატიონ-გრუზინსკების გერბის მრავალგვარ ნაირსახეობათა ეხოდენი სიმრავლე საქართველოში და ზოგადად რუსეთის იმპერიაში საგვარეულო გერბების საკმაოდ თავისუფალი მოხმარებით უნდა იყოს გამოწვეული. იმხანად ამათუმ გვარის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში ძირითადი საგვარეულო გერბის პრაქტიკულად მარტოოდენ საკუთარი ნება-სურვილისამებრ შესწორებულ თუ გადასხვაფერებულ არაოფიციალურ ვარიანტებს იყენებდნენ ხოლმე.

15. ბაგრატიონი-დავითაშვილი

ბაგრატიონთა გვერდითი შტოს ბაგრატიონ-დავითაშვილების გერბი ჩვენთვის ცნობილი არის მხოლოდ მიხეილ ვადბოლსკის ნაშრომიდან — "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა", რომელშიც ამ გვარის შემდეგნაირი სიმბოლიკა არის მოყვანილი: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — გველეშაპის განმგმირაცი წმ. გიორგის ხატებაა აღბეჭდილი, ზედა მარცხენაში — სწორკუთხა სამყურა ჯვარი, ქვედა მარჯვენაში — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ქვედა მარჯვენაში კი — შებრუნებული პერალდიკური ლეოპარდი[317]. ასეთივე გერბი, ოღონდ სათავადო ფარსგარე ატრიბუტიკით სტანისლავ დუშინსაც აქვს გამოქვეყნებული[318]. ამასთანავე იგი ჯერ კიდევ XIX ხუკუნის შუა წლებში რუსმა გერბთმცოდნე ალექსანდრე ლაკიერმაც შესამჩნევი ხაზგასმით და გამოკვეთილად განცალკევებით (ალბათ ბაგრატიონთა ერთმანეთის მსგავსი გებებიდან ყველაზე უფრო მეტად ორიგინალურობის გამო) აღწერა მის ცნობილ წიგნში "რუსული პერალდიკა"[319].

დავითაშვილების გერბში პირველ რიგში უთუოდ ის არის თვალშისაცემი, რომ იგი, ბაგრატიონების დინასტიის სხვადასხვა განშტოებათა გერბებიდან ყველაზე მეტად განსხვავდება ზოგადად მთელი საგვარეულოსთვის საერთო სიმბოლიკისგან. ასე მაგალითად, ზემოთ აღწერილ ფარში საერთოდ არ არის განთავსებული ბაგრატოვანთა დინასტიური ლეგენდის ამსახველი ფიგურები, მაცხოვრის კვართი ან უმაღლესი სამეფო ხელისუფლების ემბლემები — სფერო, სკიპტრა, ხმალი, სასწორი. არადა სწორედ ამგვარი კომპოზიციური ელემენტებია დამახასიათებელი ბაგრატიონთა ამათუმ განშტოებათა გერბებისთვის. მიხეილ ვადბოლსკის მიერ დაფიქსირებულ ბაგრატიონ-დავითაშვილთა საგვარეულო გერბებში პრაქტიკულად მარტოოდენ წმ. გიორგის გამოსახულება განკუთვნება ბაგრატოვანთა გერბებისთვის ჩვეულ ფიგურათა რიცხვს. თუმცა ამგვარი შესაძლოა ჯვარი და ლეოპარდიც მივაკუთვნოთ, რომლებიც მართალია ფრიად განსხვავებული სახით, მაგრამ მაინც გვხვდებიან ხოლმე ბაგრატიონთა სახლის ზოგიერთ წარმომადგენელთა გერბებში.

16. ბაგრატიონ-იმერეტინსკი

ბაგრატიონთა იმერეთის შტოს ოფიციალურად დამტკიცებული გერბი არ გაჩენდა. მიუხედავად ამისა ჩვენთვის ცნობილია ძირითადად საერთო დინასტიური ემბლემების საფუძველზე შედგენილი ბაგრატიონ-იმერეტინსკების რამდენიმე გერბი[320]. ამათგან ყველაზე საინტერესო ვ. ცხინისკასა და სტანისლავ დუშინის მიერ მოყვანილი ის ნიმუშებია, რომლებშიც იმერეტინსკების დასავლეთ საქართველოდან, იმერეთიდან იგივე კოლხეთიდან ანუ ოქროს ვურძის ქვეყნიდან წარმოშობაზეა, საგრებე ფარში მოთავსებული ვერძის უცვლელად გამოხატავს[321]. აგრეთვე ბაინტერესოსა და ქართულ

---

[316] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლაბატკოს ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. გლაბატკოს კოლექციის აღწერა.

[317] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 95. ნახ 149.

[318] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лихоминвест. т. III. М. 1996 г. ст. 83.

[319] А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 328.

[320] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 81.
С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лихоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 85.

[321] Там же.

პერალდიკაში უეტად იშვიათ, შეიძლება ითქვას უნიკალურ ფიგურას წარმოადგენს, ბაგრატიონთა საგვარეულოს ამ განშტოების ერთ-ერთ გერბში გამოსახული ლხინისებრი მკლავების მქონე სწორკუთხა ჯვარიც. სხვამხრივ იშვიათ ბაგრატიონთა საგერბე გამოსახულებები პრინციპულად არაფრით განსხვავდება ზოგადად ბაგრატოვანთა სიმბოლიკისგან.

17. ბაგრატიონ-მუხრანელი

ბაგრატიონ-მუხრანელებს არ ჰქონდათ ოფიციალურად დამტკიცებული გერბი. თუმცა, დღემდე მათი საგვარეულო საგერბე გამოსახულებების მრავალი ვარიანტი შემორჩა. მათი უმრავლესობა ვ. ციხისკის ხელნაწერშია "კავკასიის საგერბემ" შეთმოგვინიხა[322]. გერბის შედარებით გვიანდელი ნიმუშები კი სტანისლავ დუმინს აქვს გამოქვეყნებული[323]. მუხრანელთა გერბის ორიგინალური გამოსახულება მისეულ ვადბოლსკისაც მოპყავს[324]. ბაგრატიონ-მუხრანელთა გერბის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე უფრო ტიპური ვარიანტების მთავარი გამოსარჩევი ნიშანი ის არის, რომ ოთხწაწილიანი ფარი ჩვეულებრივი კვეთის ნაცვლად ჯვრით არის დაყოფილი[325]. სხვა მხრივ კი ბაგრატოვანთა საგვარეულოს ამ ერთ-ერთი გუერდითი — მუხრანული შტოს სიმბოლოები ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი საერთო დინასტიური ემბლემატიკის გამოყენებით არის შედგენილი.

ბაგრატიონ-მუხრანსკების გერბმა მთელს ევროპაში გაითქვა სახელი მას შემდეგ, რაც ამ გვარის წარმომადგენლები ევროპის უმნიშვნელოვანესმა სამეფო ოჯახებმა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეებად აღიარეს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მუხრანელთა გერბი ფრანგი მკვლევარის ფერანის რუხეთის იმპერიის წარჩინებულ საგვარეულოთა გენეალოგიას მიძღვნილ ნაშრომშიც არის გამოქვეყნებული[326].

აგრეთვე ბაგრატიონ-მუხრანელთა გვარს უკავშირდება დასავლეთ ევროპულ პერალდიკურ პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული, ქართულ გერბთმცოდნეობაში კი ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი შერწყმული, გაერთიანებული გერბის კლასიკური მაგალითიც. საუბარია მუხრანელთა ესპანური შტოს აწ განსვენებული თავის ირაკლი ბაგრატიონისა და უცნობილესი იტალიური საგვარეულოს ბასკუინების წარმომადგენლის გრაფის ქალ მარია ანტუანეტას 1944 წელს შემდგარ ქორწინებასთან დაკავშირებით შექმნილ ორფარიან შერწყმულ საგერბე კომპოზიციაზე, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ერთმანეთზე ირიბად მდებული ორი ფარიდან მარჯვენაში ბაგრატიონ-მუხრანელების გერბი: ოვალური ფარი შუაში მცირე ფრანგული ფარით; მცირე ფარში — მეწამულზე მაცხოვრის ვერცხლის კყართი; მთავარი ფარი ვერცხლის სწორკუთხა ჯვრით არის ოთხად დაყოფილი, ამათგან პირველ ზედა მარჯვენა მეოთხედში — მეწამულ ფონზე ოქროს შურდული და ქნარი, ზედა მარცხენაში — ლაჟვარდის ფონზე ერთურთზე ირიბად გადაჯვარედინებული ოქროს სკიპტრა და ვერცხლის ხმალი ოქროს ტარით, მათ თავზე კი — ოქროსავე სფერო; ქვედა მარჯვენა ნაწილში — ლაჟვარდზე ოქროს სასწორი, ხოლო ქვედა მარცხენაში — მეწამულზე გველეშაპის განმგმირავი შეიობრუნებული წმ. გიორგი. საერთო კომპოზიციის შემადგენელ მეორე, მარცხენა ფარში — ბასკუინების გერბი: ლაჟვარდის გულიან ოვალურ ფარში — ოქროს ხე, თავსზემოთ ჯარსკვლავით, ხის უკან კი — ვერცხლის მიმავალი კრავი მეწამული დროშით; ყოველივე ამაზე დადებული ფარის გადაკეთება ვერცხლი ქამარი. ორივე საგვარეულო ფარი ვერცხლის ჯაჭვით არის გადაბმული და სათავადო გვირგვინიან სათავადოვე მანტიაზეა განთავსებული.

აქვე აღვნიშნავდით, რომ ბაგრატიონ-მუხრანელების გერბს, მცირეოდენი სხვაობის მიუხედავად ძლიერ ჰგავს ბატონ გურამ შარაძის მიერ გამოქვეყნებული გიორგი XII-ის ძის თეიმურაზ ბატონიშვილის კუთვნილი საგერბე გამოსახულება[327].

როგორც ვხედავთ, ბაგრატოვანთა დინასტიაში შემავალი საგვარეულოებიდან მუხრანელებს ერთ-ერთი ყველაზე შრავალფეროვანი, ორიგინალური და მეტად საინტერესო პერალდიკური ტრადიცია გააჩნდათ, რომელიც დღემდე არ კარგავს თავის პრაქტიკულ დანიშნულებას, არამარტო საქართველოს, არამედ მთელი ევროპის მასშტაბითაც კი.

---

[322] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 9.

[323] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликомиссст. т. III. М. 1996 г. ст. 54.

[324] ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 86, ნახ. 147.

[325] С. Думин. Герб их царских высочеств князей Багратион-Мухранских. Жур. «Гербовед». № 2 (4).1993 г. ст. 26-32.

[326] Ferrand J. Les femilles princieres de l'ancienne Empire de Russie. Paris. 1979. Partie I. p. 24.

[327] გ. შარაძე. თეიმურაზის ცხოვრება. თბ. 1972 წ. გვ. 102, ტაბ VI.

10. თავადი ბარათაშვილი

ბარათაშვილებს ოფიციალურად გაფორმებული გერბი არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა სადღეისოდ ჩვენსაის მაინც არის ცნობილი მათი საგვარეულო სიმბოლოები და გერბი.

ო. გეტლინგის გიბლიატიკურ კოლექციაში დაცულია თავად ბარათაშვილების კუთვნილი მრგვალი ფორმის ლუქის ბეჭედი, რომელზეც ამ გვარის გერბია ამოტყვიფრული: გაკეთილ-გადაკეთილი ფრანგული ფარის პირველ, ზედა მარჯვენა მუქი ფონის მქონე ნაწილში შემობრუნებული დროშა არის გამოხატული; ზედა მარცხენაში — ღია ფონზე ირიბად ურთიერთგადაჯვარედინებული ხმალი და მშვილდი; ქვედა მარჯვენა მეოთხედში — ასევე ღია ფონზე სვეტი, რომელიც აქეთ-იქიდან ორ ლომს უბურია; ქვედა მარცხენაში კი — კვლავ მუქ ფონზე გამოსახული კბილანებიანი და კარიბჭიანი კოშკი; მთლიანად ფარს გარს აკრავს ხათავადო გვირგვინით შემკობილი ხათავადოვე მანტია.

ბარათაშვილების ზუსტად ასეთივე გერბი, თუმც კი გარე შესაკობელების გარეშე მიხეილ ვადბოლსკისაც აქვს დამოწმებული, ოღონდ ამ შემთხვევაში მეორე, ზედა მარცხენა მეოთხედში განთავსებულ ხმლისა და მშვილდის კომპოზიციაში ჩართული არის ორი ისარი თუ შუბი. რომელიც ფორმით სწორკუთხა ჯვარს ქმნის[328].

გეტლინგის კოლექციაში შემონახული გერბი ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ვ. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიურ საგერბეშიც" არის შეტანილი. თუმცა ციხინსკი იქვე ბარათაშვილთ (ბარატაევ) კიდევ ერთ საგერბე გამოსახულებას აკუთვნებს. ეს უკანასკნელიც ზეითი აღწერილისებრი ქიმერებით არის შეიგვანილი, ოღონდ ამ განსხვავებით, რომ ფიგურებს ფარში აღგილები აქვთ გადანაცვლებული, ხოლო დროშის მაგივრად ერთ-ერთი მეოთხედი შეკეთილი ზოლებით არის დატვირთული. "კავკასიურ საგერბეში" ცალკეა გამოყოფილი "ბარატოვ"-ების გვარი, რომელსაც ბარათაშვილების ანუ ვითარც მათ ციხინსკი უწოდებს, ბარატაევ-ების მსგავსი გერბი მიეკუთვნებათ. სხვაობა მარტოოდენ იმაში შეღავსდება, რომ ციხესიმაგრეს კედელში ისარი აქვს შერჭობილი, ჯვრიანი დროშის ტარი ღრუბლიდან გამომავალ ხელაეს უჭირავს, ხმლისა და მშვილდის კომპოზიცია კი მოზიდული მშვილდისა და ხმალ ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ისრით შედგენილი კომბინაციით არის შეცვლილი[329].

გერბის სიმბოლიკას რაც შეეხება, მიხეილ ვადბოლსკის აზრით ფარში განლაგებული ფიგურები საგვარეულო დროშას, დედაბოძსა და ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს[330]. ამასთან დაკავშირებით ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ ბაბარათიანო ქართლის ერთ-ერთი სადროშო იყო. აქედან გამომდინარე ეფიქრობთ დროშის ემბლემაც გერბში სავარაუდოდ ბარათაშვილების მიერ ამ სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურობის გამომხატველი უნდა იყოს.

საერთოდ ქართულ პერალდიკაში რამდენიმე მონათესავე საგვარეულოს — ბარათაშვილებს, ორბელიანებს, ჯაბაკურ-ორბელიანებს ერთმანეთთან შინაარსობრივად საკმაოდ ახლოს მდგომი გერბი გააჩნია. ჩვენი აზრით ეს სიმბოლოები გამოხახულებანი შესაძლოა ერთობლივად განვიხილოთ და პირობითად, გერბებიან ამილახვარ-ზედგენიძეთა ზემოთ უკვე ხსენებული ჯგუფის მსგავსად, გერბების ბარათაშვილ-ორბელიანთა ჯგუფში (გ ბ-ო ჯ) გავაერთიანოთ.

19. თავადი ბებუთაშვილი

რუსეთის იმპერიაში "უმაღლესად დამტკიცებული" გერბი ბებუთაშვილებს არ გააჩნდათ. თუმცა რამდენიმე წყაროდან ჩვენამდე მაინც მოაღწია ამ გვარის კუთვნილმა საგერბე გამოსახულებებმა. ასე მაგალითად ო. გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში არის მოქცეული ბებუთაშვილების ბეჭდის ლუქი მასზე აღბეჭდილი საგვარეულო გერბით: შუაზე გადაკეთილი ფრანგული ფარი ორად გაკეთილია ზედა ნახევრით; პირველ, ზედა მარჯვენა ნაწილში — აღმოსავლური ხმლის მპყრობელი ქალაღი, ზედა მარცხენაში — ფრთებგაშლილი მფრინველი პროფილში, ფარიხ ქვეშ მოლიან ნახევარშია კი — გაქცეული ირემი[331]. ბებუთაშვილთა ზუსტად ასეთივე გერბი არის დადიქსირებული მიხეილ ვადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაშიც"[332] და ვ. ციხინსკის "კავკასიურ საგერბეშიც"[333], საიდანაც იგი შემდგომ სტანისლავ დუშინის "რუსეთის იმპერიის სათავად აზნაუროგვარების" IV ტომშიც[334] შევიდა. ციხინსისთან გერბის კიდევ ერთ მცირეოდენ განსხვავებულ ვარიანტს ვხედებით. იგი

---

328 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 95. ნახ. 151.

329 В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 10.

330 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 95.

331 ხელთნერის ატლასიდან ს. ყანჩაველის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გლიპტიკის ფონდი ო. გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექცია.

332 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 95. ნახ. 154.

333 В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 11.

334 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимомиквест. т. IV. М. 1998 г. ст. 131.

დანარჩენებისგან მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ ფარის ქვედა ნახევარიც ზედასავით ორად აქვს გაკვეთილი და ამ ნახევრის მარჯვენა ნაწილში მდგომარე ცხენია მოთავსებული[335].

საკურადღებოა, რომ იოანე ბატონიშვილის ცნობით ბებუთაშვილებისთვის თავადობა ერეკლე II-ს უბოძებია 1783 წელს[336]. როგორც ცნობილია ერეკლე II ქაჯეშეერდომთ თავადობასთან ერთად ჩვეულებრივ საგვარეულო გერბსაც უბოძებდა ხოლმე. აქედან გამომდინარე შესაძლოა ბებუთაშვილებსაც პირველად სწორედ მაშინ გაუჩნდათ საკუთარი გერბი. თუმცა, ჩვენი ეს მოსაზრება ჯერ-ჯერობით ვარაუდადღე რჩება, ვინაიდან სამწუხაროდ ვერსად მოვიძიეთ ერეკლესეული ის სიგელი, რომელიც შეიძლება მართლაც უკავშირდებოდეს თავად ბებუთაშვილთა პირვანდელ საგვარეულო გერბს.

20. თავადი ბეგთაბეგიშვილი

ბეგთაბეგიშვილებს რუსეთის იმპერიის მთავრობამ თავადობა 1826 წლის 25 თებერვალს დაუდასტურა. 1836 წლის 3 იანვარს გამოცემულ "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების საერთო საგერბის" X ტომში კი უკვე შესულია ამ გვარის კუთვნილი ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბი: გადაკვეთილი ფრანგული ფარის მეწამულ გულიან ზედა ნახევარში — ოქროს აღკაზმულობიან "თეთრ" გაჭენებულ ცხენზე ამხედრებული "ჩერქეზი" მხარზე გადებული ოქროს შუბით, ქვედა ლაჟვარდის ნაწილში კი — ვერცხლის ორ ისრისპირებით ზევით ირიბად გადაჯვარედინებულ ისარზე დადებული მეწამულ გულიანი ფრანგული ფარი ვერცხლის ნახევარშთვარით[337]. ამრიგად კონკრეტულად ეს ოფიციალურად რეგისტრირებული გამოსახულება 1826-1836 წლებში უნდა იყოს შექმნილი.

ბეგთაბეგიშვილების გერბი მოგვიანებით პეროლდიის დეპარტამენტში შედგენილი დამტკიცებული გერბის მფლობელი თავადაზნაურების დასურათებული ოთხტომეული ნუსხის I ტომშიც იქნა მოთავსებული[338].

საგვარეულო გერბის გამოსახულებიანი ბეგთაბეგიშვილების ლუქის ბეჭედი ო. გეტლენგის გლიპტიკურ კოლექციაშია შემონახული.

ზემოთ აღწერილის აბსოლუტურად იდენტური საგერბე კომპოზიცია ვ. ციხისკის ხელნაწერ "კავკასიურ საგერბეში"[339], მიხეილ ვადბოლსკის მონოგრაფიაში "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა" და ქართულ სათავადაზნაურო გვარებს მიძღვნილ სტანისლავ დუმინის გამოცემაშიც არის შესული. იგი ამასთანავე ალექსანდრე ლაკიერსაც აქვს აღწერილი 1855 წელს გამოცემულ წიგნში "რუსული პრალდიკა"[340].

იოანე ბატონიშვილის მიხედვით ივანე ბეგთაბეგიშვილს ერეკლე II-ის მიერ 1769 წელს ბოძებული სიგელი გააჩნდა[341]. დოკუმენტის შინაარსი ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია, მაგრამ არ არის გამორიცხული მასში საგვარეულო გერბზეც ყოფილიყო საუბარი.

21. თავადი ბიბილური

თავად ბიბილურთა გერბი ჩვენთვის ცნობილი წყაროებიდან თუ გამოცემებიდან მხოლოდ მიხეილ ვადბოლსკის ქართულ პერალდიკურ სიმბოლიკას მიძღვნილ წიგნში გვხვდება[342]: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნახევარი შუაზეა გაკვეთილი; ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — ზღვის თუ მდინარის კლდოვანი ნაპირი, მის თავზე გამოსახული სამყურა ჯვრით, ზედა მარცხენაში — ტარებით მაღლა ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ორი ხანჯალი, ქვედა ნახევარში კი — თარაზულად დადებული შეკრული თავთავები, მათ თავზე დაწვენილი ნახევარმთვარით. სამწუხაროდ სადღეისოდ ვერაფერს ვიტყვით გერბის წარმოშობისა თუ კონკრეტული სიმბოლური შინაარსის შესახებ.

---

335 В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 11.

336 იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1997 წ. გვ. 38.

337 Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. т. X. С-Пб. 1836 г. ст. 107.

338 Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600. ст. 92.

339 В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 11.

340 А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 330-331.

341 იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1997 წ. გვ. 118.

342 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 86, ნახ. 162.

22. აზნაური ბუჭყიაშვილი

აზნაურ ბუჭყიაშვილთა საგვარეულო გერბი ჩვენთვის საღღეისოდ ცნობილი საკმაოდ დიდი მოცულობის ქართული პერალდიკური მასალებიდან მხოლოდ მიხეილ ვადბოლსკისთან არის დაფიქსირებული[343]; გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი; ზედა მარჯვენა მეოთხედში — შემობრუნებული მდგომარე ცხენი, ზედა მარცხენაში — ტარებით ზეყით ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ორი მოღუნული ხმალი, ქვედა მარჯვენა ნაწილში — სლავური ასო "კ", ქვედა მარცხენაში კი — აგრეთვე სლავური ასო "ბ".

ფარში ქვედა მეოთხედებში განლაგებული ასოები მიხეილ ვადბოლსკის აზრით გერბის მფლობელის ინიციალებს წარმოადგენს[344]. იოანე ბატონიშვილის მიხედვით ბუჭყიაშვილნი თავის დროზე სომხეთში მდებარე ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის "მეციხეთ უფროსნი" ანუ ციხისთავნი იყვნენ[345]. შესაძლოა მათ ამ საიქიროდ არც თუ მცირე სამხედრო თანამდებობაზე მიუთითებდეს ფარში მოთავსებული ხშლები. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ, როგორც უკვე ზევითაც აღვნიშნავდით საგვარეულო გერბებში სხვადასხვა საჭურველის შეტანა მფლობელის სამხედრო სიქველეთა გამოსახატავად ხდებოდა ხოლმე.

23. აზნაური გაბაშვილი

გაბაშვილების გერბი აღბეჭდილია ამ გვარის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის დიდი ქართველი პოეტის ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილი) რუმინეთის ქალაქ იასაში მდებარე საფლავის ქვაზე[346].

24. აზნაური გარსევანიშვილი

გარსევანიშვილთა გერბი რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოთა საერთო საგერბის 1816 წლის 16 აგვისტოს გამოცემულ IX ტომშია შეტანილი[347] და ასე გამოიყურება: ლაჟვარდის გულიან ფრანგულ ფარში — ზეთისხილის ტოტებ შემოხვეული ოქროს საკურთხეველი, რომლის წინ ფიმიამის კმეველი ოქროს საკმეველია, თავზე კი — ირიბად გადაჯვარედინებული ოქროსავე ორი სკიპტრა.

აღწერილი გერბი ეკატერინოსლაველ აზნაურ გარსევანიშვილებს დაუმტკიცდათ. მისი გაცემის ზუსტი თარიღი უცნობია. ასეთ დროს, რუსულ გერბთმცოდნეობაში ჩამოყალიბებული ტრადიციისამებრ გერბის დამტკიცების თარიღად საერთო საგერბის ამ ტომის გამოცემის წელი ითვლება, რომელშიც აღნიშნული საგერბე გამოსახულებაა შესული ანუ ჩვენს შემთხვევაში — 1836 წელი.

მოგვიანებით ყველა ოფიციალურად გაფორმებული გერბისებრ გარსევანიშვილთა კუთვნილი საგერბე კომპოზიციაც ვ. კ. ლუკომსკისა და იმპერიის პეროლდიის დეპარტამენტის ინიციატივით შედგენილი დამტკიცებული გერბის მფლობელი თავადაზნაურების დასურათებული ოთხტომეული ნუსხის I ტომშიც იქნა მოთავსებული[348].

გერბის აღწერილობა ალექსანდრე ლაკიერმა 1855 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში განათავსა[349]. ცალკე გამოყოფილი ფარის გამოსახულება კი პირველად მიხეილ ვადბოლსკიმ გამოსცა 1980 წელს[350].

საგერბეში მოყვანილ გარსევანიშვილთა გერბს დართული ტექსტის მიხედვით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ 1788 წელს გიორგი გარსევანიშვილს სიგელი უბოძა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამ საგვარეულოს წინაპრები ბიზანტიური წარმომავლობისა იყვნენ; როცა საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ ბიზანტიის იმპერატორ რომანოზის ქალიშვილი ელენე ითხოვა ცოლად, სადედოფლოს საბერძნეთიდან თან ახლეს აღმოსავლეთ რომის იმპერიის წარჩინებული აზნაური ვინმე პროტოერეი გრიგორი გარსევანიშვილი საპმითევე სიმდიდრეებითურთ. წყაროს მიხედვით ეს პიროვნება იმპერატორის მიერ შარიან ღვთისმშობლის ხატისა და სხვა უძვირფასეს საეკლესიო სიწმინდეთა მცველად ყოფილა დანიშნული. ჩვენის ფრთხილი ვარაუდით არ არის გამორიცხული ეს უკანასკნელი ცნობა მეტ-ნაკლებად

---

343 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური ხომბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 83, ნახ. 155.

344 ი ქ ვ ე. 88. 85.

345 იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დალ. თბ. 1987 წ. გვ. 111.

346 გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები. თბ. 1958 წ. გვ. 389;
ო. გიგინეიშვილი. ბესიკის საფლავი. ჟურ. ლიტერატურა და ხელოვნება. 1949 წ. 9 ოქტ. №40.

347 Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. т. IX. С-Пб. 1816 г. ст. 134.

348 Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600.

349 А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 331.

350 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური ხომბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ.88 ნახ.157

ნათელს პეუნდეს გერბის სიმბოლურ შინაარსს, რომელიც შესაძლოა გარსევანიშვილთა წინაბრის — ვინმე გრიგოლის ბიზანტიის იმპერიის სამხედრო მცველობაზე მიუთითებდეს. ამ შემთხვევაში ფარში მოთავსებული სკიპტრები ბიზანტიის განსაკუთრებულად უნდა მივიჩნიოთ, ზეთისხილის ტოტებიანი და საკმევლიანი საკურთხეველი კი აშპერიის ქრისტიანული სიწმინდეების ბირობით ემბლემად.

აქვე აღვნიშნავდით, რომ იოანე ბატონიშვილს თუ ვენდობით, გარსევანიშვილების ერთი შტო ალვანში ფლობდა მამულებს. ლეკებთან ერთ-ერთ ბრძოლაში ვინმე ბურკი გარსევანიშვილს იმდენად გამოუჩენია თავი, რომ ერეკლე II-ს მისთვის თავადობა უბოძებია[351]. შესაძლოა მეფე ერეკლეს გარსევანიშვილთა საგვარეულოს ამ წარმომადგენელისთვის თავადობასთან ერთად, როგორც წესად ჰქონდა ხოლმე გერბიც ებოძებინა.

25. თავადი გედევანიშვილი

გედევანიშვილების გერბის ორმა ვარიანტმა მოაღწია ჩვენამდე. ერთი მათგანი ვ. ციხისკის აქვს დაფიქსირებული, მეორე კი — მიხეილ ვადბოლსკის.

ვ. ციხისკის "კავკასიურ საგერბეში" შესული თავად გედევანიშვილთა საგვარეულო გერბი შემდეგნაირად გამოიყურება[352]: გაკეთილ-გადაკვეთილი ფარი ცენტრში მცირე ფრანგული ფარით; ძირითადი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — ერთმანეთზე შიდებული ორი წარწერიანი ქვის ფილა, ზედა მარცხენაში — საპატრიარქო ტიარა და კვერთხი, ქვედა მარჯვენა ნაწილში — მარცხნივ, ჯვრის მჭერელი შემობრუნებული მკლავი, ხოლო მარჯვნივ, ერთმანეთზე კბილანებით ქვევით გადაჯვარედინებული ორი გასაღები, ქვედა მარცხენა მეოთხედში — ირიბად ურთიერთ გადაჯვარედინებული მოღუნული ხმალი ტარით ზევით და დროშა, მცირე ფარში კი — ქრისტეს კვართი; გერბი სათავადო მანტიითა და გვირგვინით არის შემკული.

გამოსახულებას დართული გეარის წარსულთან დაკავშირებული მცირე ისტორიული ექსკურსის მიხედვით გედევანიშვილები მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მცველნი ("хранители") და კათალიკოს-პატრიარქის კარის განსაკარგეველნი იყვნენ. ვფიქრობთ ციხისკისეული გერბი ზემოთ მოყვანილი მოკლე საგვარეულო ისტორიაზე დაყრდნობით არის შედგენილი და ფარში განთავსებული კვართი, გასაღებები თუ ჯვარი სვეტიცხოვლის მცველობაზე ანუ მეკლესიტეობაზე, საპატრიარქო ტიარა და კვერთხი კი კათოლიკოსის კარის განმგეობაზე მიუთითებს.

გედევანიშვილების სრულიად განსხვავებულ გერბს ვხვდებით მიხეილ ვადბოლსკის "საქართველოს პერადიდიკურ სიმბოლიკაში"[353]: ინგლისური ფარის სახეცვლილ საკმაოდ უცნაურ და ორიგინალურ ვარიანტში სლავური ანბანის ასოებით, "კ ა გ" შემდგარი აბრევიატურა არის გამოხატული; ფარს ქვეშ კი დაწყვილი ქარქაშში ჩაგებული მოღუნული ხმალი და მასზე გადაკიდებული სამი ირდენია მოთავსებული. მიხეილ ვადბოლსკის განმარტებით აბრევიატურა გერბის მფლობელის ინიციალებია[354]. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ქარაგმის ერთ-ერთი შემადგენელი რუსული ალფავიტის ასო "გ" — "გედევანიშვილის" პირველ სათაო ასოს წარმოადგენს.

26. თავადი გელოვანი-დადეშქელიანი

გენეალოგთა შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი გელოვანებისა და დადეშქელიანების საგვარეულოთა საერთო თუ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წარმოშობის შესახებ[355]. ჩვენს შემთხვევაში ის არის უფრო მნიშვნელოვანი, რომ ორივე გვარი პრაქტიკულად აბსოლუტურად იდენტური გერბით სარგებლობდა[356], რომელიც ვ. ციხისკის "კავკასიურ საგერბეშია" მოთავსებული: გაკეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — გველაცშაპის განგმირავი ცხ. გიორგის ხატება, ზედა მარცხენაში — სფერო და სკიპტრა, ქვედა მარჯვენა მეოთხედში — ერთმანეთზე ირიბად კბილანებით ქვევით გადაჯვარედინებული ორი გასაღები, ქვედა მარცხენაში კი — ორ ფეხზე შემდგარი დათვი; ფარს სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადოჯვ მანტია არტყია გარს. ციხისკი გერბს "გელოვან-დადეშქელიანისებად" აცხადებს[357].

---

[351] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1907 წ. გვ. 136-137.

[352] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 14.

[353] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერადიდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1960 წ. გვ. 93, ნახ. 159.

[354] იქვე გვ. 95.

[355] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 70.

[356] Там же. ст. 71, 87.

[357] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 15.

"კავკასიური საგერბედან" დასსხებული ზუსტად ასეთივე გამოსახულება მოპყავს დადეშქელიანების გერბად სტანისლავ დუმინს. გელოვანების გერბი კი დუმინის "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" ქართულ წარჩინებულ საგვარეულოებს მიძღვნილ IV ტომში ოდნავ განსხვავებული და პერალდიკურად გაცილებით უფრო დაზუსტებული თუ დახვეწილია: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — წმ. გიორგი, ზედა მარცხენაში — სკიპტრა. სფერო და სასწორი (sic), ქვედა მრჯვენაში — უნაგირა კლდე მის თავზე დაწვენილი ნახევარმთვარით და ერთმანეთზე ირიბად კბილანებით ზევით (sic) გადაჯვარედინებული ორი გასაღები, ქვედა მარცხენა ნაწილში კი — დათვი. როგორც ვხედავთ ფარი ციხისკისეული გერბისგან მხოლოდ მეორე და მესამე მეოთხედებით განსხვავდება მცირეოდენ. დადეშქელიანთა ზემოთ აღწერილ საგერბე კომბოზიციას დუმინი შაფანტონს არის დასესხებული[358].

აღსანიშნავია, რომ სვანურად "დადაშ" დათვს ნიშნავს. აქედან გამომდინარე შესაძლოა სვანეთის მთავარ დადეშქელიანთა გერბში მოთაესებული დათვის ფიგურა მფლობელის გვარის სვანურ ჯღერადობას უხმაურება, რაც თავის მხრივ გერბს ნაწილობრივ მეტყველად აქცევს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ სვანეთის სამხარეო გერბში სწორედ დათვია გამოსახული. ამის გამო არც ის არის გამორიცხული დადეშქელიანთა საგვარეულო გერბისეული დათვი ამ გვარის სვანეთის მთავრობაზე მიუთითებდეს.

ვ. ციხისკასთან დაფიქსირებული გელოვან-დადეშქელიანთა საოჯახო გადმოცემის მიხედვით საგვარეულო მექიდან წარმოდგება, სადაც ისინი წმ. ქაბაბის მცველნი, მეკლიტენი იყვნენ. დადეშქელიანთა და გელოვანთა გერბებში გასთავსებული გასაღებები, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როცა ისინი ნახევარმთვარეს ახლავს ამ ლეგენდის გამომხატველი იყოს. ამასთან დაკავშირებით გავალოთ ბარალელი გედევანიშვილთა ზევით განხილულ საგერბე სიმბოლიკასთან, სადაც ასევე გასაღებები ფიგურირებს, რომლებიც შესაძლოა საგვარეულოს სვეტიცხოვლის მცეელობაზე მიგვანიშნებდეს.

27. თავადი გურამიშვილი, ტუსიშვილი, ჩიდირბეგიშვილი

თავად გურამიშვილებს ოფიციალურად რეგისტრირებული გერბი არ გააჩნდათ. მათი არაოფიციალური დაუმტკიცებელი გერბი კი ვ. ციხისკას "კავკასიურ საგერბეშია" შესული[359]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარი შუაში მცირე ფარით; მთავარი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — წმ. გიორგის ხატებიანი დროშის მპყრობელი მკლავი; ზედა მარცხენაში — მზე, მის ზევით კი ჩექმა; ქვედა მარჯვენა მეოთხედში — ზარბაზნის ორი ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ლულა, ქვედა მარცხენაში — ასევე ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული დროშები მათზე დადებული ბაჯრით; ცენტრალურ მცირე ფარში კი: ფრთებგაშლილი არწივი; გერბი სათავადო მანტიითა და გვირგვინით არის შემკული.

ზუსტად ასეთივე საგერბე გამოსახულებას მიაკუთვნებს გურამიშვილებს სტანისლავ დუმინიც მის მიერ გამოცემულ "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში[360].

იოანე ბატონიშვილის ცნობით გურამიშვილები, ისევე როგორც ტუსიშვილები, ჩიდირბეგიშვილები და ამილახვრები ზედგენილთა ძველი სათავადო გვარიდან წარმოდგებიან[361]. სწორედ ამით აიხსნება ის მსგავსება, რომელიც ხსენებულ საგვარეულოთა საგერბე სიმბოლიკათა შორის არსებობს. ამ ხრივ არც გურამიშვილთა გერბია გამონაკლისი, მასში შემავალი პრაქტიკულად ყველა ფიგურა სხვა მათი მონათესავე საგვარეულოების გერბებსთვისაც არის დამახასიათებელი. მეტიც, "კავკასიის საგერბეში" სამივე მონათესავე გვარის — გურამიშვილებს, ტუსიშვილებს და ჩიდირბეგიშვილებს სრულიად იდენტურ გერბებს შორის მსგავსება იმდენად აბსოლუტურია, რომ მაზანშვილეშილად მიგვაჩნია ტუსიშვილებისა და ჩიდირბეგიშვილების კუთვნილი და ციხისკის მიერ ცალ-ცალკე წარმოდგენილი საგერბე ფარების დამოუკიდებლად განხილვა.

ამრიგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ განხილული საგვარეულოების საერთო გერბი მისი შემადგენილი ემბლემების მიხედვით ჩვენს მიერ პირობითად ჩამოყალიბებულ გერბების ამილახვარ-ზედგენიძეთა ჯგუფს (გ ა-ზ ჯ) განეკუთვნება.

---

[358] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминнест. т. IV. М. 1998 г. ст. 71.

[359] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 61.

[360] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминнест. т. IV. М. 1998 г. ст. 142.

[361] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დადელ. ოჯ. 1897 წ. გვ. 28, 48.

28. მთავარი გურიელი

გურიელებს არ ჰქონდათ რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ დამტკიცებული გერბი. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ცნობილია გურიის მთავრების საგვერეულო გერბის რამდენიმე ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული ვარიანტი. ერთი მათგანი ვ. ციხისკის "კავკასიურ საგერბეშია" შესული[362]: გადაკვეთილი ფარის ზედა ნახევარი სამად არის გაკვეთილი, ქვედა კი — ორად; ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში სკიპტრაა გამოსახული, ზედა შუაში — ეკლესია თუ სამრეკლო, ზედა მარცხენაში — მოღუნული ხმალი, ქვედა მარჯვენაში — შემობრუნებული ატრებგაშლილი ხომალდი, ბოლო ქვედა მარცხენა ნაწილში კი — სასწორი; სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მანტიით გარსშემოხვეული ფარი ფარისმპყრობელ ლომსა და მარტორქას უკავია.

შინაარსობრივად ციხისკისეულის აბსოლუტურად იდენტური, თუმც კი ვიზუალურად უცრო დახვეწილად შესრულებული გურიელთა გერბია მოთავსებული სტანისლავ დუმინის "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში[363].

მთავარ გურიელთა ამგვარივე გერბს ეხვდებით მიხეილ ვადბოლსკისთანაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ, ზედა მარჯვენა ნაწილში ერთის ნაცვლად ორი ირაბად გადაჯვარედინებული სკიპტრაა გატაშოხტული, შთლიანად საგერბე კომპოზიციას კი ფარისმპყრობელი ფიგურები აკლია[364].

გერბის სიმბოლიკიდან სკიპტრა, ხმალი და სასწორი შესაძლოა ერთის მხრივ გვარის ბაგრატიონთა დინასტიასთან ნათესაობაზე მიუთითებდეს[365], ვინაიდან სამეფო სახლთან დანათესავებულ ქართულ საგვარეულოებს ხშირად შე ქონდათ ხოლმე საკუთარ გერბებში ბაგრატოვანთა პერალდიკური ემბლემები; მეორეს მხრივ კი უშალოდ სახელმწიფო და სასამართლო ხელისუფლებას — გურიელები ხომ გურიის პრაქტიკულად დამოუკიდებელი სამთავროს სუვერენები იყვნენ. გურიელთა გერბში ასევე განთავსებული ხომალდის ფიგურა საყარაულოდ ან ამ გვარის სამფლობელოს — გურიის ზღვისპირობას განასახიერებს ან ერეკლე II-ისეული განმარტებით "კეთილსაქმისკენ მიმართულ კეთილდღეობასა და შუდმივობას"[366]. რაც შეეხება გურიელთა გერბისეულ კიდევ ერთ ემბლემას — ეკლესიისებრ ფიგურას, მიხეილ ვადბოლსკი მას საგვარეულო ეკლესიას უწოდებს[367].

29. თავადი გურგენიძე

გურგენიძეებს გერბი მიხეილ ვადბოლსკის აქვს დაფიქსირებული: მთლიან ფრანგულ ფარში სამყურა ტოლმკლავა ჯვარი[368]. ასეთივე გერბი, ოღონდ სათავადო ტიტულის შესაფერისი ფარსგარე შესამკობლებითურთ — სათავადო მანტიითა და გვირგვინით სტანისლავ დუმინის ქართულ თავადაზნაურობას მიძღვნილ გამოცემაშიც ვხვდებით[369]. ვითარც თავად აღნიშნავს დუმინი გამოსახულებას ვადბოლსკის არის დასეხებული.

ოთანე ბატონიშვილის მიხედვით გურგენიძეებმა III ხარისხის თავადობა 1744 წელს ერეკლე II-ისგან მიიღეს[370]. აქედან გამომდინარე შესაძლოა მათი საგვარეულო გერბიც სწორედ ერეკლე II-ის მიერ არის შექმნილი. თუმცა თვით სიგელის ჩვენს ხელთ უქონლობის გამო ამ ვარაუდის დადასტურება შეუძლებელია. ამასთანავე ერეკლე II-ის მოღვაწეობის ეგზომ ადრეულ ხანაში, მის მიერ გერბის ბოძების ისტორიული პრეცედენტი ჯერ-ჯერობით მოძიებული არა გვაქვს. სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილი მეფე ერეკლეს მიერ გაცემული უადრეულესი, ლიონიძეთა კუთვნილი გერბი 1770 წლით თარიღდება[371].

30. მთავარი დადიანი (დადიანთა)

ოდიშის ყოფილი მთავრების დადიანების ე. წ. ძველი შტოს, რუსეთში გადასახლებულ და იმპერიის თავადობა მიღებულთა "უმაღლესად დამტკიცებული" გერბი "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოთა საერთო საგერბის" 1801 წლის 23 ივნისს გამოსულ IV ტომშია

---

362 В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 17.

363 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лекоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 36.

364 მიხეილ ვადბოლსკა. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 95, ნახ. 156.

365 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лекоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 36.

366 ოცდაშვიდი წელი აზოს ქვეყნებში. გამოსაცემად მოამზადა გრიგოლ ზარდალიშვილმა. თბ. 1971 წ. გვ. 118.

367 მიხეილ ვადბოლსკა. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 95.

368 ი ქ ვ ე. გვ. 95, ნახ. 158.

369 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лекоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 144.

370 ოთანე ბაგრატიონი. შემოკლებული ბღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1997 წ. გვ. 46.

371 ზ. ცქიტიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი. XVIII ს-ის II ნახევარი - XIX ს-ის დამდეგი. გვ. 93.

შესული[372]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი, პირველ, ზედა მარჯვენა ნაწილში — ოქროზე, შებრუნებული ვერძი; მეორეში, ზედა მარცხენაში — მეწამულზე, წმ. გიორგი; მესამე, ქვედა მარჯვენაში — ვერცხლზე, სამ შუბზე (ლაკიერი: სახეზე) ირიბად გადაჯვარედინებული ხმალი და მეწამული დროშა; მეოთხე, ქვედა მარცხენაში კი — ლაჟვარდზე, აფრებაშეკეცილი, შებრუნებული ოქროს ხომალდი; ფარის ცენტრში ყოველივეზე ზევიდან ოქროს ტოლმკლავა სამყურა ჯვარია გამოსახული; ფარს გარს აკრავს სათავადო მანტია სათავადოვე გვირგვინით. ვინაიდან უცნობია დადიანთა გერბის დამტკიცების ზუსტი დრო, მისი ოფიციალურად გაფორმების თარიღად "საერთო საგერბის" იმ ტომის გამოცემის წელია მიღებული, რომელშიც გერბია განთავსებული ანუ 1801 წლის 23 ივნისი.

გერბი მოგვიანებით საგერბე განყოფილებაში შეიგნერილ დასურათებულ ოთხტომეულ "უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელ რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა ნუსხაშიც" შევიდა[373].

საგერბე კომპოზიციის შემადგენელი ფიგურებიდან, ვერძი დადიანების მიერ ლეგენდარული კოლხიდის მოშიკნაყე მიწების მფლობელობაზე მიუთითებდა. ამ მოსაზრებას ალესანდრე ლაკიერიც ადასტურებს[374]. წმ. გიორგის ხატება რუსეთში დამტკიცებულ ამ საგვარეულო გერბში დადიანების ქართულ წარმოშობაზე მიანიშნებდა, საჭურველი საჭარუდოდ საბრძოლო სიქველეზე, ხომალდი კი შესაძლოა დადიანთაგან საქართველოში ზღვისპირა მხარის — სამეგრელოს მთავრობაზე.

დადიანების ეს გერბი, შეიძლება ითქვას შეტად პოპულარულია მკვლევარ-პერალდისტთა შორის. ზემოთ აღწერილის აბსოლუტურად იდენტური გამოსახულება პრაქტიკულად ყველა იმ ქართულ თუ რუსულ გამოცემაშია მეტ-ნაკლებად განხილული, რომელიც მთლიანად თუ ნაწილობრივ მაინც ეთმობა ქართულ საგვარეულო პერალდიკას. ასე მაგალითად, დადიანების ძველი შტოს გერბი თავის შრომებში მოყვანილი აქვთ მიეილ ვადბოლსკის[375], ვ. ცისინსკის[376], სტანისლავ დუმინს[377], ბ. პეტროვს[378] და, როგორც უკვე ვნახეთ თვით ალექსანდრე ლაკიერსაც[379] კი.

91. მთავარი დადიანი-მინგრელსკი, ჩიქოვანი (ახალი შტო)

დადიან-მინგრელსკების ანუ დადიან-ჩიქოვანებად ცნობილი დადიანების ე. წ. ახალი შტოს გერბი რუსეთის იმპერიის მთავრობამ 1874 წლის 18 მარტს დაამტკიცა: ლაჟვარდის გულიან ფრანგულ ფარზე, ოქროს ბალახზე ამოზრდილი ოქროსავე მუხის ხე მასზე მეწამული ბაფთით ჩამოკიდებული ოქროს საწმისით, ხის წინ მეწამულ თვალებიანი და კუდიანი ბრიდან მეწამული ცეცხლისშფრქვეველი ოქროს გველეშაპი; ფარს თავს ადგას ისრიანი და ჯვაჭვისპერანგიანი მუზარადი ოქროს გვირგვინით; მუზარადზე — ოქროს ლომის თაეი; ფარის გარშემო, ლაჟვარდის სარჩულიანი ოქროს ლამბრეკენი; ფარს ქვეშ, ლაჟვარდის ბაფთაზე ოქროს ლათინური ასოებით წარწერილი დევიზი ანუ ლეგენდა: "HOC NOLI TANGERE" (ლათ. — "არ შეეხოთ ამას"); ყოველივე განაოსებულია ხათაეადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მანტიაზე. პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში კომპოზიციას არგონავტების მითს უკავშირებდნენ, ვინაიდან ოდიშის ეოფილ მთავრებს ძველი კოლხიდის ტერიტორიის მფლობელებად მიიჩნევდნენ. ზუსტად ასეთივე გერბი ოფიციალურად გაფორმდა მის ბრწყინვალება თავად ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკის სახელზეც, მხოლოდ, იმ განსხვავებით, რომ მისი ბირადი გერბის მუზარადის თაყზე ლომის ნაცვლად გველეშაპის ფრთა არის გამოსახული[380]. ორიეე გერბი "საერთო საგერბის" 1885 წლის 19 იანვარს გამოცემულ XIII ტომში შევიდა[381]. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, უფრო ზუსტად კი 1906 წელს გერბები საგერბე განყოფილების მიერ შეიგნენილ "უმაღლესად დამტკიცებული" გერბის მფლობელი რუსეთის იმპერიის თავადაზნაურების ოთხტომეულ დასურათებულ ნუსხაშიც მოთავსდა[382]. მინგრელსკების გერბის ეს ვარიანტი, ფარსგარე შესამკობლების

---

[372] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. т. VI. С-Пб. 1801 г. ст. 2. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 96.

[373] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600.

[374] А. Б. Лакиер. Русская геральдика. М. 1990 г. ст. 329.

[375] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გაზეთ. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 85, ნახ. 160.

[376] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 19.

[377] С. Думин, П. Грибельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 45.

[378] П. Н. Петров. История родов русского дворянства. I-II тт. М. 1991 г. ст. 417.

[379] А. Б. Лакиер. Русская геральдика. М. 1990 г. ст. 329.

[380] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 1119 г. 1874. ст. 15.

[381] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. XIII т. 1885 г. ст. 1, 2.

[382] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600.

გარეშე მიხეილ ჯაბადოლსკის[383], სრულად კი ი. ბორისოვ-ილინსა[384] და სტანისლავ დუმინს[385] აქვთ გაშიფრული.

აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს ვხედავთ ვ. ციხინსკის "კავკასიურ საგერბეში" — ლადიანების ახალი შტოს ზემოთ აღწერილი გერბის გარდა აქ ამ საგვარეულოს მიკუთვნებულ კიდევ სამ ერთურთისგან საკმაოდ განსხვავებულ საგერბე კომპოზიციას ვხვდებით[386]: I — გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში შებრუნებული ვაცი, ზედა მარცხენაში — შებრუნებული აფრებაშვებული ხომალდი, ქვედა მარჯვენაში — ზღვა მარჯვნივ კლდოვანი ნაპირით, ქვედა მარცხენაში კი — სამ კოშკიანი ღია კარიბჭიანი ციხესიმაგრე; II — კადაკვეთილი ფარის ზედა ნახევარი გაკვეთილია, ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — შებრუნებული ყალყზე შემდგარი ცხენი, ზედა მარცხენაში — შებრუნებული აფრებაშვებული ხომალდი, ქვედა ნახევარში კი —კუნძი თუ სკუტი, ფარი ორ ფარისმტყორცველს, მარჯვნიდან — შეიბრძოლე რაინდს, ხოლო მარცხნიდან — ცხენს უპყრია, გერბს ამკობს სათაყვდო მოსასხამი სათავადოჟე გვირგვინით; III — ორშაგად გაკვეთილი ფარის მარცხენა და მარჯვენა ნაწილები ორ-ორჯერ, შუა ნაწილი კი ერთხელ არის გადაკვეთილი, მარჯვენა მხარის ზედა ნაწილში — სკიპტრა, შუის ზედაში — მაცხოვრის კვართი, მარცხენის ზედაში — სფერო, მარჯვენა მხარის შუა ნაწილში — შებრუნებული ყალყზე შემდგარი ცხენი, შუის ქვედაში — ყალყზე შემდგარი ცხენი, მარცხენის შუაში — შებრუნებული აფრებაშვებული ხომალდი, მარჯვენა მხარის ქვედა ნაწილში — ალამი, მარცხენის ქვედაში — სასწორი; ფარი სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადოჟე მოსასხამით არის გარშემორტყმული. გერბში მოთავსებული ხელისუფლების სიმბოლოები — სკიპტრა, სფერო და სასწორი შესაძლოა დადიანების, ვითარც საქეგრელოს მოაყრის ანუ უმაღლესი სუვერენის ტიტულზე მიუთითებდეს, ქრისტეს კვართი კი, ბაგრატიონთა სამეფო სახლთან ნათესაობაზე. მინგრელსკების გერბის ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო რთული ვარიანტი შედარებით დახვეწილი პერალდიკური ფორმით სტანისლავ დუმინსაც აქვს გამოცემული[387].

სამწუხაროდ სადღეისოდ ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობი და გაურკვეველია დადიან-ჩიქოვანთა ციხინსკისეული გვერბების წარმოშობა, ცხადია მხოლოდ, რომ სამივე მათგანში დადიანების ძველი შტოს გერბის ზოგიერთი შემადგენელი ფიგურა (მაგალითად: ვაცი, ხომალდი, ალამი) არის შეხული.

§2. თავადი დიასამიძე

ქართულ საგვარეულო პერალდიკასთან დაკავშირებული წყაროებიდან თავად დიასამიძეთა გერბი მარტოოდენ ვ. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბეში" გვხვდება[388]: მთლიან ფარში მარჯვნიდან ისრით გამსჭვალული ცეცხლისმფრქვეველი მთა, ფარის ედა მარჯვენა და მარცხენა კუთხეებში — თითო ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

"კავკასიის საგერბეში" მოთავსებულის იდენტური დიასამიძეების გერბი აქვს გამოქვეყნებული სტანისლავ დუმინს "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების" ქართველ წარჩინებულთ მიძღვნილ IV ტომში[389].

საგერბე კომპოზიციის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ფარის ცენტრალური ფიგურა — ისრით გამსჭვალული ცეცხლოვანი მთა, რუსულ პერალდიკურ ტრადიციაში ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან მოყოლებული ქართლის ემბლემად ითელებოდა (იხ. ზევით: საქართველოს სამხარეო გერბები). ძნელი სათქმელია რა მოსაზრებით აქვს შეტანილი დიასამიძეების საგვარეულო გერბში ქართლის სამეფოს ეს, ქართული და რუსული კლასიკური პერალდიკისთვის უძველესი სიმბოლო, რომელიც თავისთავად ამირანის იგივე პრომეთეს მითის განსახიერებას წარმოადგენდა.

§3. ერისთავი არაგვისა

არაგვის ერისთავთა გერბი ჩვენამდე მოღწეული ვარიანტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამათგან პერალდიკურად ყველაზე დახვეწილი ბუნებრივია რუსეთის იმპერიის სენატთან არსებული პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილების მიერ 1895 წლის 1 თებერვალს დამტკიცებული გერბია[390]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი, ცენტრში მცირე ფრანგულიჟე ფარით; მთავარი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედის მწვანე თაშე — ოქროს ლომი, ქვეითი კი — ვერცხლზე ლაჟვარდის

---

[383] მიხეილ ჯაბადოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 98, ნახ. 174.

[384] И. В. Борисов (Ильин). Родовые гербы России. Изд. Виктория. Калининград. 1997 г. ст. 184.

[385] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 51.

[386] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 20.

[387] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 56.

[388] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 21.

[389] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 155.

[390] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 2013. 1894 г. ст. 16.

გადასაფარებლიანი ლატვარდისაგე მაგიდა ზედ დადებული ოქროს ტარიანი და შავ პირიანი სწორი ხმლით; ძირითადი ფარის II და III, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა ნაწილებში — შავ გულზე ვერცხლის, მეწამული შოვებიანი, სამკოშკიანი, ღია კარიბჭიანი და სარკმლებიანი ციხესიმაგრე შუა კოშკზე აღმართული ოქროს დაწეწილი ნახევარმთვარით, ციხესიმაგრის ორიგე მახარეს — თითო ოქროს შუბი ბუნიგებით მაღლა; ქვედა მარცხენა მეოთხედში — ვერცხლზე ლაჟვარდის ტალღოვანი ქაშარი; მცირე ოქროს გულიან ფარში კი — საქართველოს სამეფოს გერბი, გველეშაბის განგმირავი წმ. გიორგი; მთავარ ფარს აზნაურულ გვირგვინიანი აზნაურული შუზარადი ადგას თავს; მუზარადის თავი — სირაქლემის სამი ფრთა, რომელიც ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ორი ოქროს ტარიანი და შავ პირიანი სწორი ხმლით არის დატყირთული; ლანბრეკენი — გერცხლის, ლაჟვარდის სარჩულით; ფარი ორ ეროვნულ ტანსაცმელ'ში გამოწყობილ ქართველ ფარისმტყვრთველს უპყრია; ყოველივეს გარს ახვევია სათაყადო გვირგვინიანი სათავადოვე მოსასხამი. აღსანიშნავია, რომ გერბის თავდაპირველ პროექტში ფარის II და III-ის გარდა I და IV მანიწილებიც ერთმანეტის იდენტურები იყო, გარე შესამკობლებიდან კი მხოლოდ სათავადო მოსასხამი და გვირგვინი ფიგურირებდა[391].

მეტად საინტერესოა ფიგურების, გერბის ბლაზონირებას დართული განმარტება: საქართველოს გერბიანი მცირე ფარი არაგვის ერისთავების საქართველოს სამეფო დინასტიასთან, ბაგრატიონებთან ქოყურობაზე მიუთითებს, მაგიდაზე დადებული ხმალი — ერისთავის გამემკვიდრეობითებულ წოდებაზე, შუბებით თანხლებული ციხესიმაგრე — საგვარეულოს წინაპართა სპარსელებთან ბრძოლებში გამოვლენილ სამხედრო გმირობასა და სიქველეზე, ლაჟვარდის ტალღისებრი ქაშარი კი — მდინარე არაგვზე, რომლის ხეობის მფლობელნიც იყვნენ არაგვის-ერისთავნი და "... რომელის სახელწოდებიდანაც მომდინარეობს მათი გვარი, ქსნის ერისთავთაგან განსხვავებით"[392].

გერბი რუსეთში ეკატერინე VI-ის ელჩობის დროს გადასახლებულ არაგველთა შტოს წარმომადგენლის ბოლტაველ თავად მიხეილ ანრიას ძე ერისტოვის სახელზეა გაცემული. მთხოვნელს "უძაღლესად დამტკიცებული" გერბის მიღების უფლების დამადასტურებლად რამდენიმე საინტერესო ცნობა მოჰყავს. მიხეილ არაგვის-ერისთავის სიტყვებით, საგვარეულოში შემონახული გადმოცემის მიხედვით რომის იმპერატორმა იუსტინიანემ 574 წელს ვინმე ოვსი როსტოყი ოსეთის სამხრეთ ნაწილის ერისთავად დანიშნა და შრავალ ბრძოლეგიასთან ერთად გერბიც (sic) უბოძა. იქვე აღნიშნულია, რომ ნუმიზმატ ვიქტორ ლანგლუასთან მოყვანილ ქართულ მონეტათა აღწერილობებსა და სურათებს შორის არაგვის-ერისთავების მიერ მოჭრილი მონეტებიც არის დაფიქსირებული[393].

პეროლდიის დებარტამენტის საქმეთა შორის შემონახულ გერბის გაცემის ამ დოკუმენტს თან ახლავს ქართული გერბთმცოდნეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი დასართი, რომელზეც არაგვის-ერისთავთა ძველი, სამმეურვეო მთავრობის მიერ დამტკიცებულის წინამორბედი, ადრინდელი გერბია აღბეჭდილი: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — ოქროზე თეთრ ცხენზე ამხედრებული გველეშაპის განგმირავი წმ. გიორგის შემობრუნებული ხატება, ზედა მარცხენაში — შავ ფონზე გადასაფარებლიან მაგიდაზე დადებული ოქროს ტარიანი და შავ პირიანი სწორი ხმალი, ქვედა მარჯვენაში — ლაჟვარდზე ორიგე მხრიდან ბუნიკებით მაღლა დაყენებული თითო შავი შუბით თანხლებული ვერცხლის სამკოშკიანი ციხესიმაგრე, ქვედა მარცხენაში კი — მწვანე ფონზე დაწოლილი მაცქერალი ლომი; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსასხამი. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით შეუძლებელია აღწერილი გერბის შექმნის ზუსტი თარიღის დადგენა, მაგრამ ჩვენის ვარაუდით იგი XVIII საუკუნის შუა ხანიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე პერიოდში უნდა წარმოქმნილიყო. შესაძლოა გერბი ერეკლე II-ის გაცეშულიც იყოს, ვინაიდან, როგორც ცნობილია ზოგ შემთხვევაში ერეკლე ფარს "კარტა"-ს უწოდებს[394], არაგველთა ძველი საგერბე ფარი კი ფორმით სწორედაც რომ ა'მკარად ერთგვარ გრაგნილს მოგვაგონებს.

არაგვის ერისთავების რუსული შტოს — ერისტოვ არაგვი-ების ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბი "საერთო საგერბის" 1901 წლის 14 თებერვალს გამოცეშულ XVI ტომში შევიდა[395]. მცირე ხნის შემდგომ, 1906 წელს იგი საგერბე განყოფილებაში შედგენილ უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელ თავადაზნაურთა დასურათებული ნუსხის III ტომშიც განთავსდა[396].

ჩვენს მიერ წარმოდგენილ გერბთაგან აბსოლუტურად განსხვავებული გამოსახულება მოაქვს მიხეილ ვადბოლსკის არაგველ ერისთავთა გერბად[397]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი ცენტრში მცირე ფრანგულიაე ფარით; მთავარი ფარის პირველ, ზედა მარჯვენა მეოთხედში — ანანურის

---

[391] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 2013. 1894 г. ст. 10.

[392] Там же. ст. 22.

[393] Там же. ст. 6-7.

[394] იხ. ზემოთ თავადი ამბატუნი (აზარაანი. აყოფაანი); ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, დოკ. №№ 6365. 1784 წ. გვ. 5-6.

[395] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. XVI т. С-Пб. 1901 г. ст. 2.

[396] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. III т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 602. ст. 484, оборот.

[397] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერაელდიკური სიმბოლიკა. გამოც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 85. ნახ. 161.

ეკლესია მის თავზე გამოსახული გვირგვინით, მეორე და მესამე, სედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა ნაწილებში — ტოლშკლავა სამყურა ჯვარი სამი მხრიდან, ზეკიდან და გვერდებიდან თითო ნახევარმთვარით შემოვარგლული, ქვედა მარცხენა მეოთხედში კი — ხელის მტევანი მის თავზე აღბეჭდილი გვირგვინით, მცირე ფარში — გველეშაპის განგმირაე წმ. გიორგის შემობრუნებული ხატება.

მოცემულ გერბში წმ. გიორგის ხატების შინაარსობრივი დატვირთვის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. ანანურის არქიტექტორული კომპლექსი ბუნებრივია ფარში მოთავსებულია, როგორც არაგვის ერისთავთა რეზიდენცია. რაც შეეხება დანარჩენ ფიგურებს, პიხელ ვადბოლსკის აზრით, ხელის მტევანი და გვირგვინი ძალაუფლების სიმბოლოებია, ჯვარისა და ნახევარმთვარეების კომბოზიცია კი ქრისტიანობის მაშადიანობაზე მძლავრობის გამომხატველია[398].

ვ. ციხისძის "კავკასიურ საგერბეში" არაგვის ერისთაველების საგვარეულო პერალდიკისთვის დათმობილ ქვეთავში თვით ამ საგვარეულოს კუთვნილი სამივე ზემოთ აღწერილი გერბის გარდა სიდამონ-ერისთავების საგერბე ფარი და აგრეთვე ქსნის ერისთავების გერბის ერთ-ერთი ვარიანტიც არის ჩართული[399]. სიდამონ-ერისთავები ქართულ წყაროებში არაგველ ერისთავთა ნათესავებად არიან ცნობილნი[400], ამიტომ მათი გერბების გვვერდი-გვერდ განლაგება გახაკვირი არ უნდა იყოს, რაც შეეხება ქსნის ერისთავთა სიმბოლოების იქვე გამოსახვას, ამის თაობაზე ქვევით, მათი საგვარეულო პერალდიკის მიმოხილვისას ვისაუბრებთ.

§4. ერისთავი გურიისა

გურიის ერისთავების მარტივი, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური და ქართულ საგვარეულო პერალდიკაში გამორჩეული გერბი მიხეილ ვადბოლსკის აქვს დაფიქსირებული[401]: მთლიან ფრანგულ ფარში შეჭურვილი ქვეითი ხმლითა და ფარით. გამოსახულება იმით იქცევს ყურადღებას, რომ ქართულ საგვარეულო გერბებში არც თუ ისე ხშირია მთლიანი, დაუნაწევრებელი ფარები მასში მოთავსებული ერთადერთი ფიგურით.

გურიის ერისთავთა გერბს ვ. ციხისძის "კავკასიურ საგერბეშიც" ვხვდებით[402]. იგი თითქმის მთლიანად ემთხვევა მთავარ გურიელთა კუთვნილ, რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წყაროდან ცნობილ საგერბე გამოსახულებას. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ხუთნაწილიანი ფარის ბოლო მეხუთე, ქვედა მარცხენა ნაწილში ერისთაველის საგერბე ფარში გურიელთაგან გამორჩევით, სასწორის ნაცვლად ორი ირიბად გადაჯვარედინებული მსხმოიარე ტოტია გამოხატული. გურიელებისა და გურიის ერისთაველების საგვარეულო პერალდიკური სიმბოლიკის ესოდენ მსგავსებას ციხისძეს ამ გვარების საერთო წარმოშობითა და მონათესავეობით ხსნის.

გურიის ერისთავების ციხისძისეული გერბი სტანისლავ დუმინმა გამოაქვეყნა "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების" IV ტომში[403]. დუმინი გერბის მიხეილ ვადბოლსკისეულ ვარიანტსაც იცნობს, თუმცა რატომღაც არ მოჰყავს მისი გამოსახულება და მარტოოდენ აღწერილობით შემოიფარგლება.

§5. ერისთავი ქსნისა

ქსნის ერისთავების გერბის რამდენიმე ნაირსახეობის სიმუში არის ჩვენთვის ცნობილი. ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში ორი მათგანია შემოსახული[404]: პირველი — მთლიან ფრანგულ ფარში ორი კლდის მწვერვალებზე შემოსიდგარი მარჯვენა ხელში ხმლის, ხოლო მარცხენაში დროშის მპყრობელი ქვეითი მებრძოლი, ფარი გასხივოსნებულ რვაქიმიან ვარსკვლავზეა შთავსებული, ყოველივე კი — სათავადო გვირგვინიან სათავადოვე მოსასხაშე; მეორე — გაკვეთილი და ორმაგად გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — მთის მწვერვალზე აღმართული დროშა, ზედა მარცხენაში — ციხესიმაგრე მის თავზე გამოსახული ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ორი სკიპტრით, შუა მარჯვენაში — მარჯვნიდან სალტესებრ დადებული მოღუნული ხმალი, შუა მარცხენაში — ფარის მპყრობელი მკლავის შემობრუნებული ფიგურა, ქვედა მარჯვენაში — სათავადო

---

[398] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 85.

[399] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 52.

[400] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიდი. თბ. 1907 წ. გვ. 20, 41.

[401] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 90, ნახ. 103.

[402] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 98.

[403] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликомиздат. т. IV. М. 1998 г. ст. 265.

[404] სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუში. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღბეჭდი.

მოსასხამი და გვირგვინი, ქვედა მარცხენაში კი — მთის მწვერვალზე შემომჯდარი ფრთებგაშლილი არწივი; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსასხამი.

ქსნის ერისთავთა ზეყით აღწერილების იდენტური, თუმცა სხვადასხვა ფორმით შესრულებული გერბები მოპაეთ ჯერ ვ. ციხინსკის, ხელნაწერ "კავკასიის საგერბეში"[405], შემდეგ კი სტანისლავ დუშინსაც გამოცემაში "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოები"[406]. ამასთან დაკავშირებით უნდა შეინიშნოს, რომ ციხინსკი გერბის ექვსნაწილიან ვარიანტს შეცდომით არაგვის ერისთავებს აკუთვნებს[407], ამავდროულად ორივეგან — ციხინსკისთანაც და დუშინთანაც იმავე ექვსნაწილიან საგერბე ფარში, გეტლინგისეული დედანისგან განსხვავებით ფიგურათა მდებარეობაა გადანაცვლებული, ასევე ქსნის ერისთავთა კუთვნილი გერბის მეორე შედარებით მარტივი ვარიანტის ფარი კი განსხვავებულ ვარსკვლავზე არ არის დადებული. აქვე დავენდით, რომ დუშინის მიერ გამოქვეყნებულ ლ. შერვაშიძის მიერ შესრულებულ ქსნის ერისთავთა ექვსნაწილიანი გერბში პერალდიკური ფერები არის ასახული. ამის გამო გერბის ამ ვარიანტის ცალკე ბლაზონირებაც მიზანშეწონილად მიგვინია: გაკვეთილი და ორმაგად გადაკვეთილი ფრანგული ფარის პირველ, ზედა მარჯვენა მეწამული გულის მქონე მეექვსედში — მწვანე ბალახზე აღმართული შავ შოვებიანი ოქროს სამ კოშკიანი ციხესიმაგრე, II ნაწილში — ლაჟვარდის ფონზეყვერცხლის მთის წვერზე ალფრიალებული ვერცხლისაავე ალამი, III — ლაჟვარდზე ოქროს ფარის მპყრობელი ვერცხლის მკლავი, IV — მეწამულზე ოქროს ტარიანი და ვერცხლის პირიანი მოღუნული ხმალი, V — მეწამულზე ოქროს მთის მწვერვალზე შემომჯდარი ოქროსავე ფრთებგაშლილი არწივი, VI — ოქროზე სათავადო მოსასხამი და გვირგვინი.

ქსნის ერისთავების გერბს მიხეილ ვადბოლსკიც იცნობს. მისი ავტორობით გამოცემულ "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" ამ საგვარეულოს შედარებით რთული გერბის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია დაფიქსირებული[408]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ოთხნაწილიანი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — სამკოშკიანი ციხესიმაგრე მის თავზე გამოსატული ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ორის სკიპტრით, ზედა მარცხენაში — ლაჟვარდის ფონზე (ფერი პერალდიკური დაშტრიხვით არის გადმოცემული) მთებზე აღმართული დროშა, ქვედა მარჯვენაში — ნისკარტით რტოს მჭერელი ფრთებგაშლილი არწივით დატვირთული სამწვერა მთა და მის თავზე ლაჟვარდის ფონზე აღბეჭდილი ფარის მპყრობელი მკლავი. როგორც ვხედავთ აქაც ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფიგურებია, მაგრამ მათი განლაგება და ფარის დაყოფა კი განსხვავებული.

იოანე ბატონიშვილის მიერ გადმოცემული ლეგენდით ქსნის ერისთავთა შორეული წარმოშობით ავარელი წინაპრები აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა იუსტინიანემ მათიჟე აჯის საფუძველზე მოკაჟშირეებად დაიგულა და ავარებს მტრად მოკიდებულ ქართველთა შეფეთსთანაც დააზავა[409]. გადმოცემა, როგორც ქვეყით ვიხილეთ, მოგვიანებით საგვარეულო გერბში ასახა. სხვათა შორის აქეე ასაღნიშნავია, რომ არაგვის ერისთავებიც რუსეთის იმპერიისგან "უძაღლესად დაშტკიცებული" გერბის მისაღებად პეროლდიის დეპარტამენტში გაგზავნილ თავიანთ თხოვნაშიც იმავე საგვარეულო ლეგენდას აშველიებენ[410]. შესაძლოა სწორედ ამ ორი წარჩინებული გვარისთვის სადაოდ გამხდარ გადმოცემასთან დაკავშირებულმა გაუგებრობებმა დააბნია "კავკასიის საგერბის" ავტორი, რის გამოც მან ქსნის ერისთავების გერბის ერთ-ერთი ვარიანტი არაგველებს მიაკუთვნა[411]. თუმცა იოანე ბატონიშვილს საქართველოში მათი დაწინაურების სულ სხვა ისტორია მოჰყავს. ქსნის ერისთავების გერბებში შესული საგვარეულო პერალდიკური სიმბოლოებიდან — ოსკარ გეტლინგის საარქივო მასალებში შემონახული ინფორმაციის მიხედვით — ორ მთაზე შემომდგარი ქვეითი, ერისთავების მიერ მდინარე ქსნის ხეობის ფლობას აღნიშნავს; კლდეზე აღმართული ციხესიმაგრე და სკიპტრები — ძალასა და სიდიადეს; დროშა — კეისარ იუსტინიანეს მიერ ბოძებულ მთავარსარდლის იგივე სასპეტის (გავიხსენოთ რომ, ერეკლე II-ისეულ ზეყით განხილულ გერბებშიც დროშა ხაზოგადოდ სპასპეტობას ნიშნავდა) ალაპს; ხმალი — ასევე იუსტინიანესგან მიღებულ "სამართლიანობისა და სიმამაცის" გამომხატველ საერისთაო პატივს; ფარიანი მკლავი — სამშობლოს დაცვას; მანტია და გვირგვინი — "მფლობელობას და თავადობას"; ხოლო არწივს კი ნისკარტით "ქსნის ერისთავების ტიტული" უჭირავს[412].

---

[405] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 52-53.

[406] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Никоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 268.

[407] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 52.

[408] პატიოსან გადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1988 წ. გვ. 85, ნახ. 182.

[409] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა უცხოურებით თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1987 წ. გვ. 21.

[410] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 2013. 1894 г. ст. 6-7.

[411] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 52.

[412] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გელათელების ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. ბარათი ქსნის ერისთავების გერბთა და მისი განმარტებით.

36. თავადი ჯაჩნაძე

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" თავად ჯაჩნაძეების შემდეგი სახის გერბია დაფიქსირებული[413]: გაკეთილ-გადაკეთილი ფარის ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა მეოთხედებში — მთაზე აღმართული კოშკი, ზედა მარცხენა ნაწილში — გასხივოსნებულ ფონზე გამოსახული ფრთებდაშვებული ჩიტის შებრუნებული ფიგურა, ქვედა მარჯვენაში კი — ასევე შებრუნებული ბეგასი.

37. თავადი ვეზირიშვილი

ვეზირიშვილების გერბი ჩვენთვის მხოლოდ ვ. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბედან" არის ცნობილი[414], საიდანაც იგი შემდგომ დუმინის "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების" მთლიანად ქართულ სათავადო გვარებს დათმობილ IV ტომშიც მოხვდა. თავად ვეზირიშვილების გერბი ასე გამოიყურება: მთლიან ფრანგულ ფარში აღმოსავლური ხმლის მპყრობელი მკლავი, ფარის ზედა მარცხენა კუთხეში — სასწორი, ქვედა მარჯვენაში კი — სფერო, ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით დაშვენებული სათავადოვე მოსასხამი.

აღმოსავლური ტიპის ხმალი საგვარეულოს, როგორც ჟოანე ბატონიშვილი გვამცნობს[415] სპარსულ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს. საინტერესოა, რომ ერეკლე II-ის მეფობისას ვეზირიშვილთა ერთ-ერთი წარმომადგენელი, ერეკლესეული სიგელში III ხარისხის თავადად მოხსენიებული გიორგი ვეზირიშვილი სამეფო ჯალათების უფროსის თავად გიორგი ციციშვილის თანაშემწე იყო[416]. აქედან გამომდინარე შესაძლებელი ხდება საგრბე კომპოზიციის განპირტებაც — ხმლიანი მკლავი სასამართლო (სასწორი) და სახელმწიფო (სფერო) ხელისუფლების ემბლემების თანხლებით ვეზირიშვილთა წინაპარის თანამდებობაზე, სამეფო ჯალათების უფროსის თანაშემწეობაზე მიუთითებს.

38. თავადი თავდგირიძე

თავდგირიძეების გერბი ჩვენთვის ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბედან" არის ცნობილი[417]: მარჯვნიდან და მარცხნიდან ირიბად ჩამოკვეთილი (წმ. ანდრიას ჯვრისებრ ოთხად დანაწევრებული) ფარის ზედა ნაწილში — მალტური ჯვარი, მარცხენაში — ქნარი, მარჯვენაში — შურდული, ქვედაში კი — ღუზა; ფარს თავს ადგას ჯვრიანი გვირგვინი, ხოლო გარს აკრავს სათავადო მოსასხამი სათავადოვე გვირგვინით.

ციხინსკიზე დაყრდნობით ზუსტად ასეთივე საგერბე გამოსახულებას მიაკუთვნებს თავად თავდგირიძეებს სტანისლავ დუმინიც[418].

გერბში შესული ბაგრატოვანთა დინასტიური ემბლემები (ქნარი, შურდული) თავდგირიძეების ბაგრატიონებთან ნათესაობას შესახებ გავრცელებული მოსაზრების[419] გამომხატველია. თუმანოვის მტკიცებით თავდგირიძეთა წინაპარებს სამეფო გვირგვინის დამდგმელის თანამდებობა ეკავათ[420], შესაძლოა სწორედ ამ გარაუდზე მიუთითებს ფარს დადგმული გვირგვინი, რომელიც ვიზუალურად გრუზინსკებს "უმაღლესად დამტკიცებული" გერბის შემადგენელ ერთ-ერთ დეტალს — ქერუბიმების ხელთ მყოფ გვირგვინს წააგავს.

39. თავადი თარხნიშვილი, თარხან-მოურავი, აზნაური სააკაძე

სამი ერთმანეთის მონათესავე გვარის — თავად თარხნიშვილების, თავად თარხან-მოურაუებისა და აზნაურ სააკაძეთა[421] გერბების რამდენიმე ვარიანტია დღემდე შემორჩენილი. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ

---

[413] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 59.

[414] Там же. ст. 13.

[415] ჟოანე ბაგრატიონი. შეჩოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1997 წ. გვ. 31.

[416] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 139; РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 46. д. № 140.

[417] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 97.

[418] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 204.

[419] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 97; С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 203.

[420] Там же. ст. 204.

[421] ჟოანე ბაგრატიონი. შეჩოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1997 წ. გვ. 32, 48.

გარსულებულია ამ საგერბე ნიშნებთა თითოეულ კონკრეტულ საგვარეულოს დაბეჯითებით მიკუთვნება. თუმცა ჩვენს მიერ ქვათახევის მონასტრის ტერიტორიაზე მოძიებულია ტაძრის კედელში ჩატანებული 1865 წლით დათარიღებული საფლავის ქვა, რომელზეც გვარდიის პოლკოვნიკის თავადიშვილის იოანე ლუარსაბის ძე თარხან-მოურავის გერბია ამოტეიფრული: გაკვეთილ გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — რკინის ბებერი, ზედა მარცხენაში — მამაკაცის თავი, ქვედა ნაწილში — ეკლესია, ქვედა მარცხენაში კი — ციხესიმაგრე; ფარს უკან ორი დროშა და ზარბაზნის ლულა არის ამოდებული, ფარს ქვეშ კი მოღუნულ ხმალზე ჩამოკიდებული სხვადასხვაგვარი ორდენია გამოსახული, ეს ყოველივე სათავადო გვირგვინით შემკულ სათავადოვე მოსასხამზეა განთავსებული.

აღწერილისგან აბსოლუტურად განსხვავებული გერბი მოპყავს თარხან-მოურავებისად მიხელ ვადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში"[422]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული შეიარაღებული შუბოსნის შემობრუნებული ფიგურა, ზედა მარცხენაში — გაქცეული ირემი, ქვედა მარჯვენაში — ციხესიმაგრე, ქვედა მარცხენაში კი — ატრებ გაშლილი ხომალდი. ამ ორ გერბს საერთო მხოლოდ ციხესიმაგრის ფიგურა აქვს.

ვ. ციხისძის ხელნაწერ "კავკასიის საგერბეში" თარხნიშვილების, თარხან-მოურავებისა და სააკაძეების გვარები ერთ ქვეთავშია გაერთიანებული, რომელშიც საგვარეულოთა მოკლე ისტორიასთან ერთად, კუთვნილების ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე სამი საგერბე ფარიც არის განთავსებული. ორი მათგანი ჩვენს მიერ ზემოთ განხილულების მსგავსია, მესამე კი, მიუხედავად ზოგიერთი ფიგურის (მხედარი, ირემი, ციხესიმაგრე) თანხვედრისა — საკმაოდ განსხვავებული: გაკვეთილი და ორმაგად გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — შემობრუნებული ირემი, ზედა მარცხენაში — მხედარი, შუა მარჯვენაში — ორი მთა, შუა მარცხენაში — ციხესიმაგრე, ქვედა მარჯვენაში — გრაგნილის მპყრობელი მკლავი, რაც შეეხება ქვედა მარცხენა ნაწილს, იგი კვადრატებად არის დაყოფილი. ციხისძისეული სამიე გერბი სათავადო მოსასხამითა და გვირგვინით არის შემკული[423]. აღსანიშნავია, რომ "კავკასიის საგერბეში" თარხან-მოურავებსა და თარხნიშვილებს მიკუთვნებული გერბის იმ ვარიანტში, რომელიც ქვათახევის მონასტერში მდებარე საფლავის ქვაზეც გვხვდება, მოთავსებული მამაკაცის თავი აშკარად წააგავს ამ სამი მონათესავე გვარიდან ერთ-ერთის — სააკაძეების სახელგანთქმული წინაპრის "დიდი მოურავის", გიორგი სააკაძის სახეს.

40. თავადი თაქთაქიშვილი

ვ. ციხისძის "კავკასიის საგერბეში" თაქთაქიშვილების გერბის ორი ერთმანეთთან ვიზუალურად საკმაოდ ახლო მდგომი გამოსახულებაა დაფიქსირებული. პირველი მათგანი შეშდეგნაირად გამოიყურება: გაკვეთილი ფრანგული ფარის მარჯვენა მწვანე (ფერები ზოგან აყტორისეული წარწერებით არის მითითებული) ნაწილში ამოტრიალებულ ნახევარმთვარეს საშვერა რუხული ჯვარი ადგას თავს, მეწამულ მარცხენა ნახევარში კი — კოშკია გაშოხატული. გერბის მეორე ვარიანტიც პრაქტიკულად აღწერილის იდენტურია: გაკვეთილი ფრანგული ფარის მწვანე მარჯვენა ნაწილში — ნახევარმთვარე, ლაჟვარდის ფონიან მაცხენაში კი — ციხესიმაგრის კედელი და ეკლესია თუ კოშკი[424].

თაქთაქიშვილების გერბის ორივე ნაირსახეობა, პერალდიკურად უფრო დახვეწილი ფორმით გამოცემული აქვს სტანისლავ დუმინს, რომელიც, როგორც თავად მიუთითებს, გამოსახულებებს ვ. ციხისძის არის დასესხებული[425].

იოანე ბატონიშვილის საქართველოს სათავადაზნაურო გვარების შემოკლებითი აღწერის თანახმად თაქთაქიშვილები ქართლში გადმოსვლამდე გამაჰმადიანებული თაქ ალად წოდებული სამცხელი წარჩინებულნი ყოფილან[426]. შესაძლოა იოანე ბაგრატიონისეული ამ ცნობით აიხსნებოდეს თაქთაქიშვილების გერბში ნახევარმთვარის ფიგურის და ნახევარმთვარისა და ჯვრის კომპოზიციის განთავსება. ამოტრიალებულ ნახევარმთვარეზე შემოდგმული ჯვარი კი ბუნებრივია მაჰმადიანობაზე ქრისტიანობის გამარჯვების საყოველთაო სიმბოლოა.

---

[422] მიხელ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 96. ნახ. 163.

[423] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 41-42.

[424] Там же. ст. 40.

[425] С. Думин, Н. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 205.

[426] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიად. თბ. 1987 წ. გვ. 29.

41. თავადი თუმანიშვილი

თბილისის საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ოსკარ გეტლინგის არქივში შემონახულია თუმანიშვილების საგვარეულო გერბის, საფოსტო მარკის სახით შესრულებული, ქართული პერალდიკისთვის მეტად საინტერესო სამიოდე ნიმუში. მარკაზე აღბეჭდილ ოვალურ ფრქში თავად თუმანიშვილთა გერბია ჩასმული[427]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — ოქროზე შავი შემობრუნებული ძაღლი, ზედა მარცხენაში — ლაჟვარდზე ვერცხლის საკალმე, ქვედა მარჯვენაში — ლაჟვარდზე ოქროს სასწორი, ქვედა მარცხენაში კი — ოქროზე ბუნებრივი ფერის საკალმე ფრთის მპყრობელი შავი მკლავი ბუნებრივივე შეფერილობის ხელის მტევნით; ფარს სათავადო გვირგვინი აღგას თავს, გარშემო კი საგერბე ლამბრეკენისები ოქროს ორნამენტი ახვევია. როგორც ჩანს ამ. ასე ვთქვათ საგერბე საფოსტო მარკას საგვარეულოს წარმომადგენლები მიმოწერისას იყენებდნენ ეპისტოლეზე მათი ვინაობის გამოსახატავად თუ ხაზგასასმელად, ალბათ დაახლოებით ისეყე როგორც ეს ბეჭდის თუ ლუქის გამოყენების შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე. გეტლინგისაეე გლიპტიკურ კოლექციაში არის შემონახული თუმანიშვილების ლუქის ბეჭედი საგვარეულო გერბით, რომელიც ზევით აღწერილისგან მხოლოდ ზედა ორი მეოთხედის განლაგების ურთიერთგადანაცვლებით გამოირჩევა. ამასთანაეე. ბეჭედზე ამოტვიფრულ გერბს გარს სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამი არტყია, ფარი კი ორ ფარისმპყრობელ ლომს უჭირავს[428].

მიხეილ ვადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" მოყვანილი თუმანიშვილების საგერბე ფარი ხსენებულ საფოსტო მარკაზე გამოხატული გერბის იდენტურია[429].

ვ. ციხისწკისთანაც ასეთივე საგერბე კომპოზიციას ვხვდებით, თუმცა "კავკასიის საგერბეში" გერბის კიდევ ერთი ვარიანტია დაფიქსირებული[430]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის პირველ, ზედა მარჯვენა ნაწილში — შემობრუნებული ძაღლი, მეორეში — საკალმე, მესამეში — ორ კოშკიანი ციხესიმაგრე, მეოთხეში კი — კალმიანი მკლავი და მის თავზე განთავსებული სასწორი; ფარისმპყრობელებს ორი ლომი წარმოადგენს; ფარი სათავადო მოსასხამითა და გვირგვინით არის შემკული.

გერბის ფიგურებიდან, საკალმე და კალმიანი მკლავი მეფის კარზე თუმანიშვილების ტრადიციულ თანამდებობაზე — მდივანბეგობაზე მიუთითებს. ძაღლი ერთგულების საყოველთაოდ აღიარებული[431] სიმბოლოა, ხოლო სასწორი — სამართლიანობისა.

42. თავადი თურქესტანიშვილი

1856 წელს თურქესტანიშვილებს საბოლოოდ დაუმტკიცეს რუსეთის იმპერიის თავადის წოდება. მალევე 1857 წლის 20 დეკემბერს გვარის რუსული, სმოლენსკის შტოს წარმომადგენელმა მოყვარულმა ისტორიკოსმა და გენეალოგმა თავადმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. აწ უკვე თურქესტანოვმა საიმპერიო სენატს საგვარეულო გერბის დამტკიცებისა და "საერთო საგერბეში" შეტანის თხოვნით მიმართა. დოკუმენტს თან დართული ჰქონდა გერბული გამოსახულება, რომელიც მოაჯის სიტყვებით ოდითგანვე გამოიყენებოდა თურქესტანიშვილების საგვარეულოში: გადაკვეთილი ოვალური, ე. წ. იტალიური[432] ფარის ზედა ნახევარში — ლაჟვარდზე ვერცხლის დაწყვილი აღმოსავლური ხმალი ოქროს ტარით, ქვედაში კი — საქართველოს სამეფოს წმ. გიორგის ხატებიანი გერბის აბსოლუტურად იდენტური კომპოზიცია.

საგერბე განყოფილებაში წარდგენილი გერბის პროექტი მოიწონეს და მისი "უმაღლესად" ანუ იმპერატორის ხელმოწერით დასამტკიცებლად წესისამებრ პეროლდიის დეპარტამენტში დამატებითი განხილვისთვის განამწესეს. თუმცა, გაურკვეველ გარემოებათა გამო თურქესტანიშვილების გერბი მაინც არ დამტკიცებულა ოფიციალურად. ამის შედეგად სადღეისოდ "საერთო საგერბის" ნაცვლად თურქესტანიშვილების გერბი ვლადიმერ ლუკომსკის მიერ ორგანიზებულ საგვარეულო საგერბე პროექტების ფონდშია მოთავსებული[433], რომელიც თავის მხრივ 1917 წლის შემდგომ პეტერბურგში ჩამოყალიბებული საგერბე მუზეუმის ნაწილს შეადგენს.

---

[427] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. თუმანიშვილების გერბიანი საფოსტო მარკა.

[428] ი ქ ვ ე.

[429] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 86. ნახ. 166.

[430] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 43.

[431] В. В. Похлебкин. Словарь международной символики и эмблематики. изд. "Международные отношения". М. 1995 г. ст. 323.

[432] Ю. В. Арсеньев. Геральдика. Изд. "Терра". М. 2001 г. ст. 146.

[433] РГИА. С-Пб. Ф. 1411. д. № 113. ст. 105.

გერბის საბოლოო დაშტკიცებას შესაძლოა ერთგვარად წინ აღდგომოდა რუსული პერალდიკისთვის ფარის საკმაოდ უცხო და მეტად იშვიათი ("საერთო საგერბეში" მხოლოდ ერთი, იუსუპოვების საგერბე ფარია ამგვარი), ოვალური ფორმა. მიუხედავად ყველაფრისა თურქესტანიშვილების კუთვნილი გერბული კომპოზიცია უეჭველად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჭეშმარიტ გერბად და არა უბრალოდ საგერბე პროექტად, ვინაიდან იგი თუმც კი "უმაღლესად" არა, მაგრამ სახელმწიფო ორგანოს — სენატის საგერბე განყოფილების მიერ მაინც დატკიცდა. ამ მოსაზრებას ერთი ფრიად საყურადღებო ცნობაც უმაგრებს ზურგს: არსებობს ვახტანგ VI-ის დიპლომატიური მისიის ერთერთი წევრის თავად ბაადურ თურქესტანიშვილის რუსეთის სამხედრო სამსახურში ჩამდგარი ძის — მიხეილის 1772 წლით დათარიღებული წერილი, რომელსაც თან ახლავს ლუქის ბეჭედი ავტორისეული გერბით. ჩვენამდე დაზიანებული სახით მოღწეული გამოსახულებიდან მხოლოდ სათავადო მოსასხამითა და გვირგვინით შემკობილი პოლონურად წოდებული ფორმის გადაკეთილი ფარი განირჩევა. სამწუხაროდ სრულიად წაშლილია ფარსიდა ელემენტები, რის გამოც დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს კომპოზიცია თურქესტანიშვილების მოგვიანო XIX საუკუნისეული გერბის იდენტურია, თუმცა ფარის თარაშულად ორ ნახევრად კეთა ნაწილობრივ მაინც მოგვანიშნებს ამაზე[434].

თავად თურქესტანიშვილების ზეკით აღწერილი საგვარეულო გერბი, ფარის ტიპისა და ფარსგარე ატრიბუტების სრულიად უმნიშვნელო ცვლილებებით მიხეილ ყაღბოლსკისაც და ვ. ციხინსკისაც აქვთ დაფიქსირებული თავიანთ ნაშრომებში, შესაბამისად — "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში"[435] და "კავკასიის საგერბეში"[436]. მოგვიანებით გერბი სტანისლავ დუმინის თაოსნობით გამოცემული "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულობის" IV ტომშიც შევიდა[437].

თავის დროზე საგერბე განყოფილებას დასამტკიცებლად შეთავაზებული გერბის გამოსახულება, სათავადო ფარსგარე შესამკობლებითურთ ოსკარ გეტლანგის გლიპტიკურ კოლექციაში მოხვედრილ თურქესტანიშვილების კუთვნილ ლუქის ბეჭედზეც არის ამოტვიფრული[438].

თურქესტანიშვილების გერბში განთავსებული ფიგურებიდან წმ. გიორგის ხატება, როგორც საქართველოს სიმბოლო, გვარის ეროვნებაზე ანუ ქართველობაზე უნდა მიუთითებდეს, აღმოსაყლური ხმალი კი, შესაძლოა, ვითარც იოანე ბატონიშვილი გვამცნობს ამ საგვარეულოს აღმოსავლეთიდან — თურქესტანიდან წარმომაყლობაზე[439]. მით უმეტეს, რომ რუსეთის იმპერიაში გავრცელებულ საგვარეულო გერბებში შემავალი მრავალფეროვანი ორიენტალისტური ემბლემები (მაგალითად: ნახევარმთვარე, აღმოსაყლური ტიპის ხმალი და სხვ.), ჩვენს შემთხვევაში აღმოსაყლური ხმალი, ხშირად მიანიშნებდა ხოლმე ამა თუ იმ საგვარეულოს თუნდაც შორეულ აღმოსავლურ ან მუსლიმურ წარმოშობაზე[440].

43. თავადი კავკასიძე

კავკასიძეების საგვარეულო გერბი ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეშ" შემოგვინახა[441]; მარტივ ფრანგულ ფარში ლომია გამოსახული; ფარს სათავადო მოსასხამი და გვირგვინი ამშვენებს.

კავკასიძეებს ზუსტად ასეთივე გერბს აკუთვნებს ციხინსკის დასურათებული სტანისლავ დუმინიც "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების" IV ტომში[442].

44. თავადი კვინიხიძე

კვინიხიძეების გერბს მხოლოდ ვ. ციხინსკის ხელნაწერიდან ვიცნობთ[443]; "კავკასიის საგერბეში" განთავსებული გერბებისთვის ჩვეულ პოლონურ ფარში გრავირებული უსტარის შესრულებული მკლავია გამოსახული, ფარის თავში კი რუსეთის საიმპერიო ორთაყიანი არწივი არის აღბეჭდილი; მთლიანად ფარს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსასხამი აკრავს გარს.

---

[434] С. В. Думип. Герб князей Туркестановых. жур. "Гербовед". № 2. 1992 г. ст. 44-48.

[435] მიხეილ გიდბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ80 ნახ107.

[436] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 44.

[437] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 208.

[438] სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლანგის არქივი გლიპტიკური კოლექციის აღბეჭდი.

[439] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიად. თბ. 1987 წ. გვ. 48.

[440] Думин С. В. Геральдика литовско-татарского дворянства XVI-XX вв. жур. "Гербовед" № 2 (10). М. 1996 г. ст. 23.

[441] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 25.

[442] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 157

[443] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 83.

კომპოზიციის შინაარსი ჩვენის აზრით უფრო ცხადი გახდება თუ გ. ციხისჯვრის მიერვე მოყვანილ ცნობას გავითვალისწინებთ, რომლის მიხედვითაც თავადი დავით კვინიხიძე იმერეთის მეფის სოლომონ II-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო რუსეთის საიმპერატორო კარზე[444]. აქედან გამომდინარე ორთავიანი არწივი რუსეთის იმპერიას, გრაგნილიანი მკლავი კი დიპლომატიურ მისიას უნდა გამოხატაყოდეს.

45. ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი)

ალავერდის საკათედრო ტაძარში მდებარეობს გორის ეპისკოპოს პეტრე კონჭოსშვილის (ცხოვრობდა 1836-1909 წლებში) საფლავის ქვა მასზე აღბეჭდილი პირადი გერბით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: ფრანგულ ფარში ასომთავრული ასოები — ჯ. პ.; ფარს გარს აკრავს სხვადასხვა სახის საეკლესიო და საეპისკოპოსო ატრიბუტიკა, თავზე კი საეპისკოპოსო გვირგვინი ადგას.

აღწერილი გამოსახულება ერთი იშვიათთაგანი მაგალითია ქართული საეკლესიო-საგვარეულო გერბებისა. მოცემული პერალდიკური კომპოზიცია, როგორც ჩანს ბირად და არა კონჭოშვილების მთელი საგვარეულოს კუთვნილ გერბს წარმოადგენდა. ამაზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ ამგვარი გერბი არცერთ ჩვენთვის ცნობილ პერალდიკურ წყაროში არ გვხვდება. ყოჩერობთ ამ პიპოთეზას — გერბის მხოლოდ ერთი პირის და არა მთლიანად საგვარეულოს კუთვნილებას, კიდევ უფრო ამყარებს ფარს შიდა წარწერა, რომელიც სავარაუდოდ "ეპისკოპოსი (ე), პეტრე (პ)"-დ იშიფრება.

პეტრე კონჭოშვილი XIX-XX საუკუნეთა მიჯნის გამორჩენილი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე იყო; ღირშესანიშნავი წიგნის "მოგზაურობა წმ. ქ. იერუსალიმსა და ათონის მთაზე" (გამოიცა თბილისში 1901 წელს) ავტორი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისთვის მებრძოლი, აწყურში ახალი ეკლესიის აღმშენებელი, მრავალი უცხო ენის მცოდნე და ღრმად განსწავლული პიროვნება.

შესაძლოა უცნაურად გვეჩვენოს თუ რად არის გორის ეპისკოპოსი დასვენებული ალავერდის ტაძარში, მაგრამ ამასთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ, რომ პეტრე კონჭოშვილი მღვდელმთავრად პირველად სწორედ ალავერდში ეკურთხა. ამგვარად, ეს გარემოება ადვილად ხსნის საქართველოს ეკლესიის ამ გამოჩენილი მოღვაწის ალავერდის ტაძარში დაკრძალვის მიზეზს.

46. აზნაური ლაშქარაშვილი

ლაშქარაშვილების 1799 წლის 24 ივნისს რუსეთში ოფიციალურად დამტკიცებული გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ნახევარში — ლაჟვარდზე ოქროს ნახევარმთვარე, ქვედაში — მეწამულზე ახიური სამოსიანი, ქამარზე ხმალ შებმული კაცი მარჯვენა ხელში ჯოხით, მარცხენაში კი — ბალმის ტოტით; ფარს თავს ადგას სააზნაურო მუზარადი სააზნაუროვე გვირგვინითა და სარაქლემის სამი ფრთით; ფარს ამასთანაყე შემორყმული აქვს ოქროს სარჩულიანი მეწამული ლამბრექენი.

აზნაურ ლაშქარაშვილების გერბი დამტკიცებისთანავე შეცდა "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის" 1799 წლის 7 დეკემბერს გამოცემულ IV ტომში[445]. იგივე გერბი საუკუნეზე მეტი ხნის შემდგომ 1906 წელს რუსეთის იმპერიის სენატთან არსებული პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში შედგენილი დამტკიცებული გერბის მფლობელი თავადაზნაურების დასურათებული ოთხტომეული ნუსხის III ტომშიც განთავსდა[446]. "საერთო საგერბეში" დაფიქსირებული გერბისაგრი პერალდიკური კომპოზიცია, ფარსგარე შესამკობლებითურთ ოსკარ გეტლინგის არქივში დაცულ გლიპტიკურ კოლექციაში შესულ ლაშქარაშვილების კუთვნილ ლუქის ბეჭედზეც არას ამოტვიფრული[447].

ცნობილი რუსი პერალდისტი ლაკიერი, "საერთო საგერბეში" მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით გვაშცნობს, რომ ლაშქარაშვილები ლაშქარაშვილ-ბიბილურების ძველი ქართული აზნაურული გვარიდან წარმოდგებიან. თუმცა, ჩვენს მიერ ზევით უკვე აღწერილ ბიბილურებისა და ლაშქარაშვილების საგვარეულო პერალდიკას შორის არავითარი ბმა ან პარალელიზმი არ შეინიშნება. ლაკიერი ლაშქარაშვილთა გერბს ნაწილობრივ მეტყველად მიიჩნევს. იგი მიუთითებს, რომ მოცემული გვარის სემანტიკური მაწარმოებელი სიტყვა "ლაშქარ"-ი ქართულად მებრძოლს ნიშნავს და რომ,

---

[444] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 83.

[445] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1799 г. IV т. ст. 140. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 94.

[446] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. III т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 602.

[447] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის ალბომი.

სწორედ აქედან გამომდინარე გამოისახა საგერბე ფარის ქვედა ნაწილში შეიარაღებული ქვეითის ფიგურა[448].

47. თავადი ლიონიძე

თავად ლიონიძეთა გერბი ერთ-ერთი უძველესია ქართულ საგვარეულო პერალდიკაში. იგი ერეკლე II-ის მიერ ჯერ კიდევ 1770 წელს ებოძა გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის საქართველოს გამოჩნილ სახელმწიფო მოღვაწეს სოლომონ ლიონიძეს. მის მიერ ერევნის ბრძოლაში გამოვლენილი სამხედრო სიმამაცისა და შტრისგან მიყენებული ჭრილობებისთვის თავადის ტიტულთან ერთად მიღებული ეს გერბი ერეკლესეული სიგელში აგვაარად არის აღწერილი: "ღერბი ეაქაცობისა — ღერკულეს აღჭურვილი ლახტითა და შემოხვეული ლომის ტყავითა და სათავადოთა გეირგვინითა"[449].

გერბის გაშოსახულება, სათავადო გვირგვინის გარეშე პირველ ვადბოლსკის ცნობილ მონოგრაფიაში — "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა" არის გამოქვეყნებული[450].

ლიონიძეების საგვარეულო გერბის სრულიად სახეცვლილ ნიმუშს ვხვდებით ვ. ციხინსკის "კაკაბიის საგერბეში"[451]: გაკვეთილ-გადაკეთილი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — გვირგვინოსანი მწოლიარე შეშობრუნებული ლომი, ზედა მარცხენაში — ფრინველი ნისკარტში ჭიაყელით, ქვედა მარჯვენაში — ორთავიანი ფრთებგაშლილი არწივი კლანჭებში სკიპტრითა და სფეროთი, თავებს შორის ზევით კი გვირგვინით, ქვედა მარცხენაში — წინა თათებით თეთრი ალძის მპყრობელი ცხვარი.

სტანისლავ დუმინის თაოსნობით გამოცემული "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების" საქართველოს სპეციალურ სახლებს მიძღვნილ IV ტომში ლიონიძეთა გერბის ორივე ზევით აღწერილი ვარიანტია მოთავსებული[452].

48. გრაფი, აზნაური ლორის-შელიქიშვილი (ლორის-მელიქოვ)

მსხვილი ქართველი თავადების მელიქიშვილების მონათესავედ მიჩნეული[453] სომხური წარმოშობის აზნაურების ლორის-მელიქიშვილების, რუსეთში ლორის-შელიკოვი, 1864 წლის 10 აპრილს "უმაღლესად დამტკიცებული" გერბი ასე გამოიყურებოდა: მწყანე გულიან ფრანგულ ფარში შეწაშული "სომხური" ჯვრით დატვირთული მეწამულ თვალებიანი და ენიანი ოქროს ლომი მარჯვენა თათში ვერცხლის ამობრუნებული ისრით, მარცხენაში კი ვერცხლისავე მშვილდით; ფარს გარს მწყანე ხარრულიანი ოქროს ლმბრეკენი ახვევია, ხოლო თავს საამზნაურო გვირგვინიანი საამზნაუროვე მუზარადი ადგას; მუზარადის თავს ფარში აღბეჭდილი ლომის იდენტური ფიგურა წარმოადგენს. კომპოზიციის შემდგენელთა სიტყვებით მწყანე ფონი საგვარეულოს ისლამურ წარმოშობაზე მიუთითებს, ლომი, ვითარც ირანის ემბლემა — სპარსეთიდან წარმომაელობაზე, ისარი და მშვილდი — "ყვარის წინაპართა სამსახურზე აღმოსავლეთში", ჯვარი კი — სასულიერო წოდებაზე სომხეთში[454]. აქვე დავძენდით, რომ ისრის ფიგურა ლორის-მელიქიშვილების ფარში შესაძლოა თავად მელიქიშვილების გერბიდან იყოს გადმოღებული[455]. აღსანიშნავია, რომ გერბის შექმნის პროცესში თავდაპირველად, აღწერილისებრი ფარის თავში დაწყვეტილი მახვილიც იყო გამოხატული[456], ხოლო ერთ-ერთ პროექტში ჯვარი ლომის სხეულის ნაცვლად ფარის ზედა მარჯვენა თაეისუფალ კუთხეში მდებარეობდა[457], თუმცა საბოლოოდ ამგვარი პროექტები უარყოფილ იქნა.

აზნაურ ლორის-მელიქიშვილების გერბის გაშოსახულება შესულია "საერთო საგერბეში" მოუთავსებელი ოფიციალურად დადგენილი სადიპლომო ეერბების განსაკუთრებული VIII

---

[448] А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 331.

[449] ზ. ცქიტიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი. თბ. გვ. 53.

[450] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 86, ნახ. 160.

[451] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 67.

[452] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лкоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 160.

[453] თამაზ ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1997 წ. გვ. 87.

[454] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 997. 1862 г. ст. 2, 15.

[455] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 31.

[456] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 997. 1862 г. ст. 3.

[457] Там же.

ტომში[458] და ამასთანავე, დამტკიცებული გერბის მფლობელი სათაყვადაზნაურო გვარების დახურათებულ ნუსხაშიც[459].

ზემოთ აღწერილ გერბს ვ. ციხინსკიც იცნობს. იგი აზნაურ ლორის-მელიქიშვილებს თავად მელიქიშვილების ნათესავებად მიიჩნევს და ამის გამო მათი საგვარეულო საგერბე ფარები "კავკასიის საგერბეში" ერთმანეთის გვერდიგვერდ აქვს განთავსებული[460].

1877-1878 წლებში თურქეთთან ომში თავის გამოჩენისთვის მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქიშვილს (ლორის-მელიკოვს) იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გრაფობასთან ერთად 1880 წლის 17 იანვარს ტიტულის შესაფერისი გერბიც უბოძა: გაკვეთილ-გადაკვეთილი პოლონური გრაგნილკუთხეებიანი ფარის I და IV ნაწილებში — ლორის-მელიქიშვილების ძველი აზნაურობის დროინდელი საგვარეულო გერბი, II - III მეოთხედებში კი — ოქროზე ორი ირიბადგადაჯვარედინებული მეწამული მახვილი ოთხი შავი კბილანებიანი კოშკის თანხლებით; ფარს ადგას საგრაფო გვირგვინი სამი საგრაფოვე დაგვირგვინებული მუზარადით; ცენტრალური მუზარადის თავი — ნახევრად ამოზიდული საომპერიო არწივი შკერდზე წვ. ანდრიას ირდენის ჯაჭვშემოვლებული ოქროს ფრანგული ფარით მასში მოთავსებული იმპერატორ ალექსანდრე II-ის სახელის მეწამული ვენზელური გამოსახულებით, მარჯვენა — ჯვრცხლის ისრისა და მშვილდის მბეჭდელი, მეწამული სომხური ჯვრით დატვირთული ოქროს ლომის ასევე ნახევრად ამოზიდული ფიგურა, ხოლო მარცხენაში — ირიბად გადაჯვარედინებული მეწამული მახვილებით დატვირთული შავი კოშკი; შუა მუზარადის ლამბრეკენი შავი და ოქროსია, მარჯვენასი — მწვანე და ოქროსი, მარცხენასი კი — მეწამული და ოქროსი; ფარი მარჯვნიდან ფარისმპყრობელ ოქროს ლომს უჭირავს, ხოლო მარცხნიდან ვერცხლის მარტორქას; ამასთანავე ფარსუკან შავ-ოქროს შვეულ ზოლიანი ორი ირიბად გადაჯვარედინებული დროშაა განლაგებული; ყოველივეს ქვევით მწვანე ბაფთაზე ოქროს ასოებით გადმოცემული რუსული დევიზი — "С БОЯ ЗА БРАТЬЕВ ПО ХРИСТУ" მდებარეობს. ბლაზონირებას დართულ კომენტარში განმარტებულია, რომ მახვილებიანი და კოშკებიანი სიმბოლური კომპოზიცია გენერალ მიხეილ ლორის-მელიკოვის მეთაურობით რუსეთის არმიის მიერ თურქეთთან ომისას ყარსის აღებას აღნიშნავს[461].

გრაფ ლორის-მელიკოვების გერბი "რუსეთის იმპერიის სათვადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის" 1885 წელს გამოსულ XIII ტომში შევიდა[462]. მოგეიანებით გერბი საგერბე განყოფილებაში შედგენილ დამტკიცებული გერბის მფლობელთა წარჩინებული გვარების დახურათებულ ნუსხაშიც მოთავსდა[463].

ლორის-მელიქიშვილების საგრაფო გერბის ორი ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული გამოსახულება ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაშიც გვხვდება[464].

ბოლოს დაყურთავდით, რომ საზოგადოდ გრაფ ლორის-მელიკოვების გერბი, როგორც შინაარსობრივად ისე ვიზუალურად რუსული საგვარეულო პერალდიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება[465].

19. თავადი ლორთქიფანიძე

ლორთქიფანიძეთა გერბის ორი ვარიანტი არის ცნობილი ჩვენთვის ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში"[466]. ერთ მათგანზე ხმლითა და ფარით შეჭურვილი ქვეითი არის გამოსახული, რომლის ფარზეც ინგლისის გერბისებრი საში პერალდიკური ლეოპარდია აღბეჭდილი. კომპოზიცია ციხინსკის მიერ იქვე მოყვანილი საგვარეულო ლეგენდის გამოსახატლებად უნდა ვიგულისხმოთ, ვინაიდან ამ გადმოცემის მიხედვით ლორთქიფანიძეთა საგვარეულო ინგლისური წარმოშობისად მიიჩნევა. აღწერილი საგერბე ფარი და მას დართული ხსენებული კომენტარი ავტორის მიერ არის გადაშლილი

---

[458] Сборник дипломных гербов российского дворянства, невнесенных в общий гербовник. VIII т. 1896-1904 гг. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 1. д. № 75. ст. 39.

[459] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. II т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 601.

[460] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 31.

[461] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 2092. 1879 г. ст. 4-5.

[462] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1885 г. XIII т. ст. 16 РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 103.

[463] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. II т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 601.

[464] სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერა.

[465] И. В. Борисов (Ильин). Родовые гербы России. Изд. Виктория. Калининград. 1997 г. ст. 153.

[466] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 85.

ურთიერთმკვეთი ხაზებით, თვით ტექსტს კი ზემოდან რუსულად აწერია — "анекдот". ეს ყოველივე მოცემული კომპოზიციის ისტორიულობასა და უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

"კავკასიის საგერბეში" იმავე გვერდზე განთავსებული თავად ლორთქიფანიძეების გერბის მეორე ვარიანტში — ფრანგულ ფარში დროშააღმართული ციხეკოშკი, მის ქვეშ კი დაწვენილი მოღუნული ხმალი არის გამოსახული.

50. თავადი მადათოვი

რუსეთის იმპერიას მიერთებამდე საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომი სომეხი თავადების მადათოვების საგვარეულო გერბის გამოსახულება ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში არის შემონახული[467]: გაკვეთილ გადაკვეთილ მარცნივ ირიბად დაწვენილი იტალიური ოვალე ოვალური ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — კირსა, ზედა მარცხნაში — ფუტკარი, ქვედა მარჯვენაში — სამი შეფოთლილი ხე, ქვედა მარცხნაში — ერთმანეთზე გადაჯვარედინებული რტო და ხმალი; ფარს სათავადო გვირგვინი ადგას თავს, უკან კი ორდენის ვარსკვლავი აქვს ამოდებული; ყოველივეს გარს ახვევია ხმლებზე დაკიდებული ბაფთებიანი ორდენები; მთელი ეს კომპოზიცია ასევე მარცხნივ ირიბად დაწვენილ თეთრ დროშაზეა განთავსებული, ხოლო თვით დროშის მიღმა ორი, ერთი ზურგისკენ თავმობრუნებული, მეორე კი სახით შემობრუნებული მწოლიარე ლომი არის გამოსახული. მადათოვების საგერბე ლეგენდას რუსულენოვანი დევიზი — "ПОЛЬЗА, ЧЕСТЬ И СЛАВА." წარმოადგენდა[468].

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" თავად მადათოვების ასეთივე შეინაარსის, მაგრამ უფრო გამარტივებულ და პერალდიკურად დახვეწილ ვარიანტს ვხვდებით[469]. მასში, სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადო მოსასხამის ფონზე ორ ფარისმტვირთველ ლომს გერმანული ტიპის ოთხად გაკვეთილი ფარი უჭირავს, როშლის შემადგენელი ნაწილები და ფიგურებიც ზუსტად ემთხვევა ჩვენს მიერ ზევით აღწერილი რთული კომპოზიციის ფარსშიდა ელემენტებს.

მადათოვების, ასე ვთქვათ გეტლინგისეული გერბი თავისი ფორმით ძლიერ საინტერესო და ორიგინალურია ქართულ საგვარეულო პერალდიკაში. ჩვენი დაკვირვებით მასში ზოგიერთი შემადგენელი ელემენტი (მაგალითად: დროშა, ლომები, ხე. რტო, ხმალი) და მათი განლაგება ერეკლე II-ის მიერ გაცემული საგერბე კომპოზიციების აღწერილობებს მოგვაგონებს. ფიგურათა სიმბოლიკის შესახებ აქეე ისიც უნდა ითქვას, რომ ფუტკრის ემბლემა, როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, ამ შემთხვევაშიც უთუოდ შრომისმოყვარეობის გამომხატველია.

51. თავადი მანველიშვილი

თავად მანველიშვილების საგვარეულო გერბი ჩვენთვის ვ. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბედან" არის ცნობილი[470]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — შემობრუნებული ცხენი, ზედა მარცხენაში — სკიპტრისებრი ფიგურა, ქვედა მარჯვენაში — ხასწორი, ქვედა მარცხენაში კი — აღმოსავლური ხმლის მაყრობელი პკლაგი; ფარს სათაო ფარ გვირგვინიანი სათავადოდ მოსასხამი აკრავს გარს.

"კავკასიის საგერბედან" მანველიშვილების აბსოლუტურად იდენტური გერბი სტანისლავ დუმინის გამოცემაში — "რუსეთის იმპერიის სათავადნაურო საგვარეულოების" IV ტომშიც შევიდა[471].

52. თავადი მაქსიმენიშვილი

მაქსიმენიშვილების გერბი ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეშ" შემოგვინახა[472]: გადაკვეთილი ფარის ზედა ნახევარში — ირიბად განთავსებული დროშა, ქვედაში კი — ცხვარი; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოდ მოსასხამი.

ზუსტად ასეთივე საგერბე გამოსახულებას ვხვდებით ციხინსკის დასესხებულ სტანისლავ დუმინის "რუსეთის იმპერიის სათავადნაურო საგვარეულოების" IV ტომშიც[473].

---

[467] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერა.

[468] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ო. გეტლინგის არქივი. დოკ. "Дворяне на гербовых печатях (на русском языке)". ფურ. 2. № 80.

[469] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавалские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 29.

[470] Там же. ст. 27.

[471] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 171.

[472] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 95.

[473] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 170.

53. თავადი მაღალაშვილი

მაღალაშვილების გერბი ვ. ციხინსკის გამოუქვეყნებელ მონოგრაფიაში, "კავკასიის საგერბეში" არის დაფიქსირებული[474]: გაკვეთილ გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — სახწორი, ზედა მარცხენაში — ცალი ზეაღმართული თათით სფეროს შპყრობელი ზურგისკენ თავშეტრიალებული ე. წ. არაპურალდიკურ მარცხენა მხარეს შებრუნებული მტაცებელი ფრინველი, ქვედა მარჯვენაში — ერთმანეთზე ისრისპირებით მაღლა ირიბად გადაჯვარედინებული ორი ისარი, ქვედა მარცხენაში კი — გული მასზე შემოდგმული ჯვრით; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადო მოსასხამი.

თავად მაღალაშვილების გერბის ამგვარივე გამოსახულება აქვს გამოცემული სტანისლავ დუშინსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფარს ქვეშ ლათინური წარწერის — "HONNEUM ET DIGNITE" ("ღირსება და კეთილშობილება") შემცველი საგერბე ლეგენდა ანუ დევიზი არის განთავსებული[475].

54. თავადი მაყაშვილი

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" მაყაშვილებს მიძღვნილ ქვეთავში არც მათი გერბია მოყვანილი და არც გვარის წარსულთან დაკავშირებული ისტორიული ექსკურსი, აღნიშნულია მხოლოდ, რომ მაყაშვილები ჩალოყაშვილების საგვარეულოდან მომდინარეობენ[476]. სამაგიეროდ სტანისლავ დუშინს არნო შაფანჟონზე დაყრდნობით "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების" IV ტომში მაყაშვილებს მიკუთვნებული შემდეგი სახის საგერბე გამოსახულება მოპყავს: გაკვეთილი ფრანგული ფარის მარჯვენა ნახევარში — რუსული საშყურა ჯვარი, მარცხენაში — გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის ხატება. იქვე აღნიშნულია, რომ გერბი თავად ჩოლოყაშვილების საგვარეულო სიმბოლიკას ემთხვევა[477]. არადა ჩვენთვის რამდენიმე საკმაოდ სანდო წყაროდან — მიხეილ ვაღბოლსკი, ვ. ციხინსკი, ცნობილი ჩოლოყაშვილების გერბი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, სრულიად განსხვავებულ კომპოზიციას წარმოადგენს. როგორც ჩანს, სავარაუდოდ მაყაშვილებისა და ჩოლოყაშვილების გერბები არნო შაფანჟონის ნაშრომში — "მცირე გოთას ალბომი" თანხვდება ერთმანეთს.

55. თავადი მელიქიშვილი

თავად მელიქიშვილების საგვარეულო გერბი ვ. ციხინსკი "კავკასიურ საგერბეში" არის დაფიქსირებული[478]: მტლიან ფარში ამობრუნებულ (ისრისპირით ქვევით) ისარზე დადებული ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ხმალი, ტარით ზევით და შუბი, ბუნაგით ზევით; ფარის გარშემო — სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსასხამი.

ციხინსკის იქვე აზნაურ ლორის-მელიქიშვილების კუთვნილი 1804 წელს რუსეთის იმპერიაში ოფიციალურად დამტკიცებული გერბიც მოპყავს, ვინაიდან მას, ისევე როგორც იოანე ბატონიშვილს[479], ეს ორი საგვარეულო — მელიქიშვილი და ლორის-მელიქიშვილი საერთო სომხური წარმოშობისად მიაჩნია. ლორის-მელიქიშვილების (ლორის-მელიკოვების) სააზნაურო და საგრაფო გერბებს ქვევით განვიხილავთ დაწვრილებით.

მელიქიშვილების ციხინსკისეული გერბი "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში სტანისლავ დუშინს აქვს გამოქვეყნებული[480].

---

[474] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 26.
[475] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 170.
[476] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 68.
[477] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 166.
[478] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 31.
[479] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1987 წ. გვ. 67.
[480] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 174.

56. აზნაური გაბრიელ მირზაშვილი

1864 წლის 10 აგვისტოს რუსეთის უმაღლესი საიმპერიო ხელისუფლების მიერ ოფიციალურად დამტკიცდა სიღნაღის სამაზრო სასწავლებლის დამსახურებული ზედამხედველის აზნაურ გაბრიელ მირზაშვილის გერბი: შავი გულის მქონე ფრანგული ფარი, გვერდებზე დაყოლებული რვა ოქროს მონეტით ანუ ე. წ. ბეზანტით, შთავარი ფარის შუაში მომცრო ფრანგულიყე ოქროს ფონიანი ფარი ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ორი მეწამული ღუზით.

გერბი შესულია ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული, მაგრამ საერთო საგერბეში შეუტანელი საგვარეულო გერბების სპეციალურ კრებულში[481].

გაბრიელ მირზაშვილის გერბის გამუსხულება ამასთანავე, მოგვიენებით საგერბე განყოფილებაში შედგენილ დამტკიცებული გერბის მფლობელი სრულიად რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების დასურათებულ ნუსხაშიც არის განთავსებული[482].

57. აზნაური ივანე მირზაშვილი

რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების 1829 წლის თურქული კამპანიის დროს მუსლიმ ცხენოსანთა პოლკის მეთაურის თარჯიმანის, გუბრნიის მდივნისა და ქართველი აზნაურის ივანე მირზაშვილის (მირზოევის) გერბი "უმაღლესად დამტკიცდა" 1843 წლის 13 მარტს: გადაკვეთილი ფრაგული ფარი გაკვეთილი ქვედა ნახევრით; ფარის ზედა მთლიან ნაწილში — ოქროზე შავი სანახევროდ ამოზიდული მეწამულ თვალებიანი და ენიანი ფრთებგაშლილი არწივი, ქვედა მარჯვენაში — მეწამულზე ვერცხლის ღრუბლიდან, მარცხნიდან გამომდინარე ოქროს ტარიან მოღუნულ ვერცხლის ხმალ მომარჯვებული ოქროს ჯავშნიანი მკლავი, ქვედა მარცხენაში კი — ლაჟვარდზე მერკურის ოქროს კვერთხი ვერცხლის ფრთებით.

აღწერილი გამოსახულება შეტანილი არის კრებულში, რომელშიც "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბეში" არ შესულა თუმც კი ოფიციალურად გაფორმებული გერბებია განთავსებული[483].

ივანე მირზაშვილის გერბი XX საუკუნის დასაწყისში პეტროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში შედგენილ "უმაღლესად დამტკიცებული" გერბის მფლობელი სათავადაზნაურო გვარების ილუსტრირებულ ხელნაწერ ნუსხაშიც არის მოთავსებული[484].

გერბის შემადგენელი ფიგურებიდან ხმლიანი მკლავი, როგორც საბრძოლო იარაღის შემცველი სიმბოლო, ჩვენი აზრით შესაძლოა თურქეთთან ომში ივანე მირზაშვილის მონაწილეობას ასახავდეს.

58. თავადი მიქელაძე

მიქელაძეთა გერბი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვ. ციხინსკის მოპყავს "კავკასიის საგერბეში"[485]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა-მარჯვენა მოთხედში — დროშა, ზედა მარცხენაში — კოშკი, ქვედა მარჯვენაში — სასწორი, ქვედა მარცხენაში კი — ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და აღმოსაყლური ხმალი, ტერით ზეით; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინიანი სათავადოვე მოსასხამი.

59. თავადი მხეიძე

ჩვენთვის ცნობილი ქართული საგვარეულო პერალდიკის წყაროებიდან მხეიძეთა გერბს ვერსად ვხვდებით. მიუხედავად ამისა სტანისლავ დუმინს "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში, როგორც თავად მიუთითებს მიუძღვა გვარის წარმომადგენელთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მათი შემდეგი სახის გერბი აქვს გამოქვეყნებული[486]: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა ორად გაკვეთილი ნახევრის მარჯვენა ნაწილში — ლაჟვარდზე ოქროს ქნარი და ვერცხლის შურდული,

---

[481] Сборник дипломных гербов российского дворянства, невнесенных в общий гербовник. IX т. 1896-1904 гг. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 1. д. № 76. ст. 74.

[482] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. II т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 601. ст. 131.

[483] Сборник дипломных гербов российского дворянства, невнесенных в общий гербовник. XIX т. 1904 гг. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 1. д. № 87. ст. 39.

[484] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. II т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 601. ст. 131.

[485] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 87.

[486] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 180.

მარცხენაში — მეწამულზე ოქროს ორი გვირგვინით თანხლებული შვეულად, ტარით მაღლა გამოსახული ხანჯალი, ფარის ქვედა ნახევარში კი — ყურცხლზე შავი ძაღლი. სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამით გარშემორტყმული ფარის ქვეშ გერცხლის ბაფთაზე შავი ლათინური ასოებით გადმოცემული ლეგენდა ანუ დევიზი — "FACE TE IPSUM" მდებარეობს.

გერბის წარმომავლობა და ის, თუ რამდენად შეუსაბამება იგი სინამდვილეში მხეიძეთა ძველ საგვარეულო პერალდიკურ სიმბოლოებს ჩვენთვის ჯერ-ჯერობით გაურკვეველი რჩება.

60. თავადი ნაკაშიძე

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" ნაკაშიძეების გერბი შემდეგნაირად გამოიცურება[487]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — შებრუნებული ბელიკანი, ზედა მარცხენაში — სპარალისებრი ფიგურა (ლოკოკინა?), ქვედა მარჯვენაში — ორი ერთმანეთზე მაცქერალი ფრინველი, ხოლო ქვედა მარცხენაში — კვლავ ბელიკანი; ფარი ორ ფარისმტვირთველ ლომს უბყრია, ყოველივე კი სათავადო გვირგვინით შემკულ სათავადოვე მოსასხამზეა განლაგებული.

საინტერესოა, რომ სტანისლავ დუმინს "კავკასიის საგერბედან" გადმოღებულ აღწერილ გამოსახულებასთან ერთად ნაკაშიძეთა გერბის არნო შაფანჟონისეული ვარიანტიც მოუყავს[488]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის პირველ და მეოთხე ნაწილებში — შაზე, ოქროს გვირგვინი და მის ქვეშ, შებრუნებული დაწვენილი აღმოსავლური ხმალი, მეორეში — ლაჟვარდზე, სამი მარცხნიდან სალტისებრ განთავსებული ვერცხლის ამოტრიალებული ნახევარმთვარე, შესამეში კი — მეწამულ ფონზე, მწვანე მიწაზე გაქცეული შებრუნებული ხარი; ფარი სათავადო გვირგვინიანი სათავადო მანტიით არის გარსშემოხვეული.

61. თავადი ნიჟარაძე

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" მოთავსებული ნიჟარაძეების სრულიად უკომენტარო, მეტად ძნელად გასარჩევი და ძალიერ ცუდად შემონახული გერბის შესახებ მარტოოდენ იმის თქმა შეიძლება, რომ სათავადო გვირგვინიან სათავადოვე მანტიაზე გამოსახული მთლიანი საგერბე ფარის ძირითად ელემენტს ზურგზე კოშკ შემოდგმული შებრუნებული ხბილო უნდა წარმოადგენდეს[489]. "კავკასიის საგერბის" გარდა გერბი ქართულ საგვარეულო პერალდიკასთან დაკავშირებულ არც ერთ ჩვენთვის ნაცნობ წყაროში არ გვხვდება.

62. თავადი ორბელიანი

ორბელიანების საგვარეულო პერალდიკა, ჩვენს მიერ ზევით, ტიპოლოგიურად პირობითად გამოყოფილ და დახასიათებულ, გერბების ბარათაშვილ-ორბელიანთა ჯგუფს (გ ბ-ო ჯ) განეკუთვნება. წინამდებარე ნაშრომში სათითაოდ განხილული ბარათაშვილების, ჯამბაკურ-ორბელიანებისა და ორბელიანების საგერბე ყარები, მათში განთავსებული ფიგურებით თითქმის სრულიად არ გამოირჩევა ერთმანეთისგან, სხვაობა კი ძირითადად ფარშიდა ელემენტების მდებარეობასა და გადანაწილებაში ვლინდება. ამ მხრივ გამონაკლისს არც ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" შესული ორბელიანების საგვარეულო გერბი წარმოადგენს[490]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — მოზიდულ მშვილდისარზე ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული ხმალი და შუბი, ზედა მარცხენაში — დროშა, ქვედა მარჯვენაში — კედელში ისარ გასობილი კოშკი, ხოლო ქვედა მარცხენაში — ორ უკანა ფეხებზე შემდგარ ლომს შორის მოთავსებული სვეტი; ფარს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსასხამი აკრავს გარს.

მსგავსი გამოსახულება ორბელიანთა გერბისა მიხეილ ყადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაშიც" არის დაფიქსირებული[491]. მხოლოდ, იმ განსხვავებით, რომ ფარის პირველ ნაწილში ორ სწორკუთხად გადაჯვარედინებულ ისარზე, ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული მშვილდი და ხმალია დადებული; მესამე მეოთხედში კოშკის კედელში იხარი არ არის შერჭობილი, მეოთხეში კი სვეტის ცალ მხარეს ლომის ნაცვლად მარტორქაა ალბეჭდილი.

---

[487] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 96.

[488] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 184.

[489] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 88.

[490] Там же. ст. 34.

[491] მიხეილ ყადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 169.

ორბელიანების ადრეულ საგვარეულო პერალდიკურ სიმბოლიკას სომეხი ისტორიკოსი და მკვლევარი ი. ორბელიანიც ეხება[492]. იგი თვლის, რომ ამ გვარის, როგორც ქართული, ისევე სომხური შტოების ემბლემას მტაცებელი ფრინველის — ორბის ან არწივის გამოსახულება წარმოადგენდა. ი. ორბელი დიდგვაროვანი ქართველი თუ სომეხი ორბელიანების ცოფილი მამულების საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე შეგროვებული, ადრეული და განვითარებული ფეოდალური ეპოქით დათარიღებული მეტწილ ბარელიეფური მასალის მისეულ ანალიზზე დაყრდნობით, მოცემულ არეში მდებარე სხვადასხვა არქიტექტურულ ძეგლებზე დატანებული ორბის თუ არწივის ფიგურებს ორბელიანთა "მეტყველ გერბად" აცხადებს. ამ მოსაზრებას მისი შეხედულებით გვარის ქართული ჟღერადობაც, "ორბ-ი" (ქართ. — მტაცებელი ფრინველი) — "ორბ-ელიანი" უმაგრებს ზურგს.

ძნელი სათქმელია რამდენად ახლოს დგას ჰეშმარიტებასთან სომეხი მკვლევარის ორბელიანთა საგვარეულო პერალდიკასთან დაკავშირებული თეზისები, მაგრამ ერთი რამ ცხადია — თუ შუასაუკუნეებამდე არსებობდა კიდეც ტრადიცია ორბელიანთა დინასტიურ ემბლემად ორბის, არწივის მიჩნეყისა, ამ ტრადიციას, როგორც ჩანს, XIX საუკუნემდე მაინც არ მოუღწევია, ვინაიდან არც ორბელიანების და არც მათი მონათესავე გვარების (ბარათაშვილი, ჯამბაკურ-ორბელიანი) გერბებში არანაირი ფრინველის ფიგურა არ გეხვდება.

§3. აზნაური პირადოვი

"რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბეს" ერთ-ერთ უკანასკნელ, XVIII ტომში[493] ქართველ აზნაურებად მოხსენიებული პირადოვების 1905 წლის 9 ნოემბერს ოფიციალურად დამტკიცებული გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ოქროს გულიან ფრანგულ ფარში ოქროს სამყურა ჯვრით დატვირთული ლაჟვარდის სწორკუთხა ჯვარი[494]. აღწერილი გამოსახულება იმპერიის პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში შედგენილი ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი წარჩინებული გვარების დასურათებულ ხელნაწერ ნუსხაშიც არის შეტანილი[495].

§4. თავადი რატიშვილი

ქართული პერალდიკის ჩვენთვის ცნობილ წყაროებში რატიშვილების გერბის ორ ვარიანტს ვხვდებით. ერთი მათგანი მიხეილ ვადბოლსკის აქვს დაფიქსირებული, შეორე კი ვ. ციხისნსკის.

მიხეილ ვადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" მოთავსებული თავად რატიშვილების საგვარეულო გერბი ამგვარად გამოიყურება: ვაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი ცენტრში მცირე ფრანგულივე ფარით; ძირითადი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — მთის ფონზე, ბაზილიკური სამლოცველო, რომელსაც ფარის მპყრობელი შეაბჯრული შელახვი იფარაყს, ზედა მარცხენაში — ციხესიმაგრის კედელი შუაში კოშკით, ქვედა მარჯვენაში — ლომთან შებმული მოყმე, ქვედა მარცხენაში — შებრუნებული გაქცეული ირემი, მცირე ფარში კი — ხმლოსანი მიქაელ მთავარანგელოზი[496]. გერბს დართული ვადბოლსკისეული განმარტებით გერბის ქვედა ორ ნაწილში რატიშვილებთან დანათესავებულ-დამოყვრებული ორი რუსული გვარის — ტელეპუეყენისა და ობოლენსკების გერბების ელემენტებია ჩასმული[497]. ძირითადი ფარის ზედა მეოთხედებში განლაგებული ზოგიერთ ფიგურას — ფარიანი მკლავსა და ციხე-კოშკს ქსნის ერისთავების გერბის ერთ-ერთი ვარიანტშიც ვხვდებით. ჩვენის ვარაუდით ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ იოანე ბატონიშვილის მონაცემებით რატიშვილები ქსნის ერისთავებისგან მოშდინარეობენ[498].

ვ. ციხისნსკის "კავკასიის საგერბეში" რატიშვილებს საკმაოდ განსხვავებული საგერბე კომპოზიცია მიეკუთვნებათ: მთლიან ფარში კედელში მარცხნიდან ისარ გახობილი კოშკი; თყით ფარს სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამი აკრავს გარს. ციხისნსკი რატიშვილების ერთ ბარათაშვილ-ორბელიანთაგან წარმოშდგარ საგვარეულოდ მიიჩნევს. ამით აიხსნება რატიშვილთა საგერბე ფარში გერბების ბარათაშვილ-ორბელიანთა ჯგუფისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი სიმბოლოს —

---

[492] И. А. Орбели. Избранные труды. т. I. Изд. "Наука". М. 1968 г. ст. 119-124.

[493] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. XVIII т. 1908 г. ст. 27. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 91-110.

[494] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 1340.

[495] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. II т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. л. № 601.

[496] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამოც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 88, ნახ. 176.

[497] ი ქ ვ ე. გვ. 88.

[498] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა ხაქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1937 წ. გვ. 30.

ისრიანი კოშკის განთავსება[499]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ვითარც უკვე აღინიშნა იოანე ბატონიშვილის მიხედვით რატიშვილები ქსნის ერისთავებს ენათესავებიან. ციხისჯვარი ამ მოსაზრებასაც იცნობს, მაგრამ საგერბე გამოსახულების მიხედვით თუ ყიმსჯელებთ უპირატესობას ეტყობა უფრო პირველ მოსაზრებას ანიჭებს.

თავად რატიშვილების გერბის ორივე ვარიანტი სტანისლავ დუმინის გამოცემაში — "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომშიც არის წარმოდგენილი[500].

65. თავადი რობიტაშვილი

ვ. ციხისჯვრის "კავკასიის საგერბეში" რობიტაშვილების საგვარეულო გერბი ცოველგვარი განმარტებითი ტექსტის გარეშე არის მოთავსებული: მთლიან ფრანგულ ფარში ბელაკანის ფიგურა; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსასხამი[501].

"კავკასიის საგერბეს" დასესხებულ სტანისლავ დუმინს რობიტაშვილების გერბი "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში აქვს გამოქვეყნებული[502].

66. თავადი რუსიშვილი

რუსიშვილების გერბი ჩვენთვის ვ. ციხისჯვრის ხელნაწერი "კავკასიის საგერბედან" არის ცნობილი: მთლიან ფარში მოსიარულე მარტორქა ანუ რინოცეროზი; ფარს სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადო მოსასხამი აკრავებს გარს[503].

"კავკასიის საგერბედან" თავად რუსიშვილების გერბის ზუსტად ასეთივე გამოსახულება ქართულ წარჩინებულ საგვარეულოებს მიძღვნილ სტანისლავ დუმინის გამოცემაშიც არის შესული[504].

67. თავადი სავარსამიძე

სავარსამიძეთა საგვარეულო გერბი ვ. ციხისჯვრის "კავკასიის საგერბეში" შემოგვინახა: გაკვეთილი ფარი თავში, გაქცეული ცხენით, მარჯვენა ნაკვეთში მალტური ჯვრით დატვირთული და კენწეროში ჯვრითვე დაგვირგვინებული სვეტით, მარცხენაში კი სამ შვეულად განლაგებულ დროშაზე პერპენდიკულარულად დადებული აღმოსავლური მახვილით[505].

68. თავადი სიდამონ-ერისთავი

სიდამონ-ერისთავები, როგორც ზევით აღვნიშნავდით (იხ: ერისთავი არაგვისა) არაგვის ერისთავების მონათესავე სათავადო გვარად მიიჩნევა. ამიტომ არ უნდა გაიკვირვოთ, რომ ვ. ციხისჯვრის "კავკასიის საგერბეში" მათი პერალდიკური ფარები ერთმანეთის გვერდიგვერდ, არაგველ ერისთავთა საგვარეულო სიმბოლიკას დათმობილ ქვეთავში არის განლაგებული. ციხისჯვრის ამ ჯვრაც გამოუცემელ ხელნაწერ ნაშრომში სიდამონ-ერისთავების კუთვნილი შემდეგი სახის ორიგინალური გერბია წარმოდგენილი: გაკვეთილ-გადაკვეთილი გერმანული ფარი, ცენტრში მომცრო მალტური ჯვრით; ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — მხარზე შუბ გადადებული მხედარი, ზედა მარცხენაში — მარცხნიდან და მარჯვნიდან თითო შუბით თანხლებული ციხესიმაგრე მის თავზე გამოსახული გვირგვინით, ქვედა მარჯვენა მეოთხედში — ტახის ეშვებიანი მოჭრილი თავი, ქვედა მარცხენაში კი — მშვილდისრის მბყრობელი ღრუბლიდან გამომავალი მკლავი[506].

სიდამონ-ერისთავების სათავადო გვირგვინითა და მოსასხამით შემკული ზუსტად ასეთივე გერბი სტანისლავ დუმინს აქვს გამოქვეყნებული[507].

არაგვის ერისთავების საგვარეულო გერბის სხვადასხვა ვარიანტებისა და სიდამონ-ერისთავების საგერბე ფარის შემადგენელ ემბლემებს შორის საერთო მხოლოდ ციხესიმაგრის და შუბების ფიგურების მეშვეობით შექმნილი კომბოზიცია არის.

---

[499] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваденые роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 37.
[500] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 188.
[501] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваденые роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 70.
[502] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 194.
[503] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваденые роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 71.
[504] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 194.
[505] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваденые роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 73.
[506] Там же. ст. 52.
[507] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 198.

69. თავადი სოლოღაშვილი

სოლოღაშვილების გერბი ქართულ გერბთმცოდნეობასთან დაკავშირებული ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან, მარტოოდენ ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" გვხვდება[508]; გადაკვეთილი ფარის ქვედა ნაწილი ორად არის გაკვეთილი, ფარის ზედა ნახევარში — შეფოთლილი ხე და ჯოხზე თუ ხმალზე დაყრდნობილი მამაკაცის ფიგურა, ქვედა მარჯვენა ნაწილში — ღია ჭიშკრიანი ციხე-კოშკი, ქვედა მარცხენაში კი — შემართული აღმოსავლური ხმლის მპყრობელი აღმოსავლურადვე შემოსილი მამაკაცი; ფარს სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამი აკრავს გარს.

70. თავადი სუმბათაშვილი

ვ. ციხინსკის, "კავკასიის საგერბეში" სუმბათაშვილების გერბის ორი ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული ნიმუში აქვს მოყვანილი[509]. პირველ მათგანში: გადაკვეთილი ფარის ზედა ნახევარი ორად არის გაკვეთილი, ხოლო ქვედა — სამად, ფარის ცენტრში კი მცირე ფრანგული ფარია მოთავსებული; ძირითად საგერბე ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — წინა თათებით დრშის მპყრობელი ცხვარი, ზედა მარცხენაში — ფრთებგაშლილი მტრედი ზეთისხილის რტოთი ნისკარტში, ქვედა მარჯვენაში — ხმალ შემართული შებრუნებული ლომი, მის ფერხთით კი კვერთხი და სფერო, ქვედა შუა ნაწილში — ნოეს კიდობანი არარატის მწვერვალზე, ქვედა მარცხენაში — სფეროსა და სკიპტრის მპყრობელი ორთავიანი გვირგვინოსანი არწივი, ცენტრალურ მცირე ფარში კი — ღვთისმშობლის ხატება; ფარისმპყრობლებს ორი ლომი წარმოადგენს; ყოველივე კი სათავადო გვირგვინიანი სათავადოვე მოსასხამით არის გარშემორტყმული. სუმბათაშვილების გერბის მეორე ციხინსკისეული ვარიანტი ამგვარად გაშიფრება: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარი შუაში მცირე ფარით, მთავარი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — შემობრუნებული გვირგვინოსანი პერალდიკური ლეობარდი, მის გვერდით კი საშეფო ტახტი, ზედა მარცხენაში — ბრჭყალებით ხმლისა და რტოს მპყრობელი ფრთებგაშლილი არწივი ნისკარტში და თავზე თითო გვირგვინით, ქვედა მარჯვენა ნაწილში — აბჯრის, ღროშებისა და იარაღის კომპოზიცია, ქვედა მარცხენაში — ხმლიანი ლომი, მის გვერდით კი საშეფო ტახტი, სკიპტრა და სფერო, ცენტრალურ მცირე ფარში — მზე, ყოველივეს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოვე მოსასხამი.

ორივე საგერბე გამოსახულება "რუსეთის იპერიის სათავადზანაურო საგვარეულოების" IV ტომში სტანისლავ დუმინს აქვს გამოქვეყნებული[510].

იოანე ბატონიშვილის ცნობით სუმბათაშვილები სომხური წარმოშობის თავადები არიან[511]. ალბათ სწორედ ამაზე მიუთითებს მათი გერბის ერთ-ერთ ვარიანტში განთავსებული არარატის მთისა და ნოეს კიდობანის კომპოზიცია. ამასთანავე შესაძლოა წარღვნის ლეგენდას უკავშირდებოდეს ნისკარტით ზეთისხილის ტოტის მჭერელი მტრედის ფიგურაც. საერთოდ სუმბათაშვილების გერბები, განსაკუთრებით პირველი მთგანი ქართული საგვარეულო პერალდიკისთვის საკმაოდ არქაულად გამოიყურება და ამავდროულად კომპოზიციურადაც იმგვარად არის შედგენილი, რომ ძნელი წარმოსადგენია XIX საუკუნეში იყოს წარმოქმნილი. ჩვენის აზრით მთელი რიგი ნიშნებით, მაგალითად: ფიგურებით ფარის ზედმეტად გადატვირთული ნაწილებით ან ცენტრში ღვთისმშობლის ხატების განთავსებით თუ ვიმსჯელებთ გერბი XVIII საუკუნეს, უფრო ზუსტად კი ქართული გერბთმცოდნეობის ერეკლე II-ის დროინდელ პერიოდს უნდა დავუკავშიროთ.

71. თავადი სულთანუმიანი

სომხური წარმოშობის ქართლ-კახეთის თავად სულთანუმიანთა გერბი ერთ-ერთია უძველესია ქართულ საგვარეულო პერალდიკაში. იგი ერეკლე II-ის მიერ 1788 წელს ხათავადო ტიტულთან ერთად შამარ სულთანუმიანისთვის არის ბოძებული, სპეციალური სიგელით, რომლის ტექსტიც სრულად მოგვყავს ქვემოთ:

"წყალობითა ღვთისითა იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმა ხაქართველოს ცხებული მეფის თეიმურაზის ძემან, მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთ კანონიერმა მბრძანებელმან სამცხე-საათაბაგოსამან, ყაზახისა, ბორჩალოსი, შამშადილისა, კახისა, შარაქისა, შირვანისა მფლობელმან,

---

[508] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваджские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 38.

[509] В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваджские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 39.

[510] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 202.

[511] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიაღ. თბ. 1987 წ. გვ. 36.

განჯისა და ერევნისა ფლობით მპყრობელ-მჭონებელმან მეორემან ირაკლიმ (ბრძანა): დაე უწყოდეს ყველამ, რომ რადგანაც ახალ ჯულფელი სულთნის შვილს შამირს და მის წინაპრებს წინანდელი შაჰების და ნადირშაჰის დროს პქონდათ ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი სიყვარული და ერთგულება მას შემდეგ რაც ისინი გადასახლდნენ აზიაში, და რადგანაც მან (შამირმა) ამჟამად კვლავ გამოაჩინა შორეული ანდოეთიდან ასეთივე სიყვარული და ერთგულება და მრავალგვარი სპასახური ჩვენს სამეფოს ერთგულებითა და სასარგებლო ცნობებს მოწოდებით, ამიტომ გვიბოძებია მისთვის ქართველი თავადის წოდება, რათა იგი და მისი კანონიერი შვილები, სადაც არ იყვნენ ისინი, დატკბენ იმავე უფლებებით, უპირატესობით და პატივისცემით, როგორითაც შთამომავლობითი ქართველი თავადები (სტკბებიან) და ჩვენ ამით (ამა სიგელით) ვუწყალობეთ მას ეს გერბი: მრგვალი ფარი ოქროს შუაგულითა და გემით შუაში. გემი ნიშანია კეთილსაქმისკენ მიმართული კეთილდღეობისა და მუდმუვობისა. გემის შუაში აღმართულია კლდე, როგორც ნიშანი სიმტკიცისა. კლდეზე აღმართულია მკლავი — ნიშანი ძალაუფლებისა, ხელში დურბინდი, ნიშნად შორსმჭვრეტელობისა. კლდეზე დარგულია მსხმოიარე ვაშლის ხე პატივისცემისა და ნაყოფიერი მოქმედების ნიშნად.

ვუწყალობეთ რა მას ყოველგვარი თავადური უპირატესობა ჩვენ ბირადად მოვაწერეთ ხელი და დავუსვით სამეფო ბეჭედი.

დაწერილია ჩვენ სასახლეში დედაქალაქ ტფილისში ჩვენი მდივანბეგის თუმანიშვილის ხელით შამირ სულთანის გუჯასპის თავადის სახელზე.

ქრისტეს შობიდან 1786 წელს. ჩვენი მეფობის ორმოცდამესამე წელს, ქორონიკონსა 474"[512].

სხვათა შორის შამირი იყო ერთი იმ სომეხ დიდგვაროვანთაგანი, რომლებიც ერეკლე II-ს თავაზობდნენ ქართლ-კახეთისა და სომხეთის ერთ ბოლიტიკურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას ქართველთა პრიორიტეტით.

ცალკე გვსურს შეეჩერდეთ გერბში შემავალი გემის ფიგურის სიმბოლიკის ერეკლესეულ განმარტებაზე, რომელიც ამ ემბლემას "კეთილსაქმისკენ მიმართული კეთილდღეობისა და მუდმუვობის" ნიშანს უწოდებს. ამასთან დაკავშირებით უპრიანი იქნებოდა მოგვეყვანა საერთაშორისო სიმბოლიკისა და ემბლემატიკის რუსი სპეციალისტის ვ. პოხლიობკინის სიტყვები — "პირველყოფილი წარმართული დროიდან მოყოლებული ყველა ზღვისპირა ხალხში გემის ემბლემატიკა დასახული მიზნის წარმატებით (благополучно) მიღწევას აღნიშნავდა." აქედანვე მომდინარეობს იდიომა: "счастливого плавания"[513]. აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერეკლე მეფის ან მისი რაიმე სახის პერალდიკური ხასიათის მიერ შედგენილი სულთანუმიანების საგერბე კომპოზიციის შემადგენელი კლდე — საზოგადოდ სიმბოლურად სიმტკიცეს განასახიერებს, ხე — ნაყოფიერებას, სიუხვეს[514], მკლავი კი ძალაუფლებას. როგორც ვხედავთ, პერალდიკური სიმბოლიკის ერეკლე II-ისეული ხედვა თუ განმარტებანი აბსოლუტურად ეთანხმება საერთაშორისო ემბლემატიკურ სისტემას და სიმბოლურ ცნობიერებას.

72. თავადი ფავლენიშვილი

ფავლენიშვილების გერბი ვ. ციხინსკის ხელნაწერი "კავკასიის საგერბედან" არის ჩვენთვის ცნობილი[515]: მთლიან ფარში — შეფოთლილი ხე გარსშემოხვეული ვაზით; ფარი სათავადო მოსასხამითა და გვირგვინით არის შემკული. გერბთან დაკავშირებული წყაროების ჩამონათვალში ვ. ციხინსკი ვლადიმერ ლუკომსკის გლიპტიკურ, ბეჭდების კოლექციასაც ეხსენიებს. აქედან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფავლენიშვილების კუთვნილი საგერბე გამოსახულება აღბეჭდილი იყო მათ საგვარეულო ლუქის ბეჭედზე, რომელიც, როგორც ჩანს ლუკომსკის მიერ რევოლუციის შემდგომ ორგანიზებული ე. წ. საგერბე მუზეუმის ექსპონატებს შორის იყო შემონახული. სწორედ ამ მუზეუმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ხსენებული გლიპტიკური კოლექციაც. სადღეისოდ საგერბე მუზეუმის მასალები სანქტ-პეტერბურგის რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივის სპეციალურ ფონდშია დაცული[516].

73. აზნაური ფანჩულიძე

მიხეილ გადბოლსკის მიერ "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" დაფიქსირებული ფანჩულიძეების გერბი მეტად ორიგინალურია ქართული საგვარეულო გერბთმცოდნეობისათვის:

---

512 ოცდაშვიდი წელიწადი აზიის ქვეყნებში. გამოსაცემად მოამზადა გრიგოლ ზარდალიშვილმა. თბ. 1971. გვ. 118.

513 В. В. Похлебкин. Словарь международной символики и эмблематики. М. 1995 г. ст. 203.

514 Guy Cadogan Rothery. Concise Enciclopedia of Heraldry. London. 1994. (Ferst published in 1915 as "ABC of Heraldry"by Stenley Paul & Co). p. 103

515 В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 35.

516 РГИА. С-Пб. Ф. 1411.

გაკვეთილი პოლონური ფარის თავში — ფრთებგაშლილი არწივი, ფარის მარჯვენა ნაწილში — ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული შუბლდ-ისარი და კაბარჭა, მარცხენაში კი — შებრუნებული ნახევარმთვარე; ფარს გვირგვინითა და სამი ფრთით დამშვენებული მუზარადი ადგას თავს[517].

აზნაურ ფანწულიძეთა თითქმის ასეთივე გერბი ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაშიც გვხვდება[518]. ვადბოლსკისეულ სიმუშაოსთან შედარებით განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ფარი, რუსული პერალდიკისთვის ჩვეული ფრანგული ფორმისა არის, ფარსგარე ატრიბუტებს კი ლამბრეკენი აქვს დამატებული. ამგვარად, აღნიშნული ელემენტების გათვალისწინებით, ფანწულიძეების კუთვნილ ლუქის ბეჭედზე ამოტვიფრული გამოსახულება რუსეთის იმპერიის კლასიკური სააზნაურო გერბის იერს იძენს. გარდა ამისა ოსკარ გეტლინგის არქივში ვადბოლსკის მიერ წარმოდგენილის აბსოლუტურად იდენტური საგერბე გამოსახულებიანი ბეჭედიც არის დაცული[519], რომლიდანაც პერალდიკური დაშტრიხვის მეშვეობით შევიტყობთ, რომ ფანწულიძეების გერბის თავი ოქროს გულიანია, ქვედა მარჯვენა განაკვეთი კი — მეწამულისა.

74. თავადი ფალავანდიშვილი

ფალავანდიშვილთა გერბი, შეიძლება ითქვას ერთი კლასიკური მაგალითთაგანია იმისა, თუ როგორ გამოიყენებოდა საქართველოში რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ დაუმტკიცებელი საგვარეულო გერბები.

ამ საგვარეულოს ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბი არასდროს ჰქონია. სამაგიეროდ ჩვენთვის ცნობილია მათი ტრადიციული საგერბე სიმბოლიკა, რომელიც პროტოიერეი თავადიშვილ იოსებ გიორგის ძე ფალავანდიშვილის (1765-1831 წწ.) თბილისის საიონის საკათედრო ტაძრის ეზოში მდებარე საფლავის ქვაზეა ამოტვიფრული. ეპიტაფია იქვე გვაცნობს, რომ იოსებ ფალავანდიშვილი 1831 წელს გარდაცვლილა, საფლავის ქვაც იმავე დროის არის და აქედან გამომდინარე საგვარეულო გერბიც ბუნებრივია 1831 წელზე გვიან მაინც აღარ შეიქმნებოდა.

ამრიგად უეჭველად დგინდება, რომ უკვე XIX საუკუნის დამდეგისთვის ფალავანდიშვილებს საკუთარი კლასიკური პერალდიკური ფორმის საგვარეულო გერბი გააჩნდათ: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში კლდეზე აღმართული კოშკია გამოხატული, ზედა მარცხენა მეოთხედში — კვარცხლბეკზე შემდგარი კიდეებგაფართოებული, "ბოლნურისებრი" ჯვარი, მესამეში — ირიბად დადებული შოღუნული ხმალი ტარით ზევით, მეოთხეში კი — კვართი. ასეთივე გამოსახულება თბილისის საიონის ტაძრის ეზოს გარდა ვ. ციხინსკის "კავკასიურ საგერბეშიც" არის დაფიქსირებული[520]. ფალავანდიშვილთა გერბს საფლავის ქვაზე საეკლესიო ატრიბუტიკა აკრავს გარს, ციხინსკისთან კი — სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადოვე მანტია. სხვათაშორის ვ. ციხინსკის ზუსტად ასეთივე საგერბე კომპოზიცია მოჰყავს თავად ამირეჯიბების საგვარეულო გერბის დახასიათებისას, რასაც იგი იმით ხსნის, რომ ამირეჯიბები სწორედ ფალავანდიშვილებისგან მოდინარეობენ და ამ გვარის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენენ[521].

საინტერესოა და ამასთანავე საკმაოდ უცნაურიც რომ, მიხეილ ვადბოლსკის თავის წიგნში "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა" თავად ფალავანდიშვილთა გერბად ზემოთ აღწერილისგან სრულიად განსხვავებული გამოსახულება მოჰყავს: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი ცენტრში მცირე ფარით, ზედა მარჯვენა ნაწილში — საგვარეულო (ვითარც მას ვადბოლსკი უწოდებს) ციხესიმაგრის კოშკიანი კუდელი ჭიშკარში ჩამდგარი ეკომრით, ზედა მარცხენაში — ხაში შვიდქიმიანი ვარსკვლავი ორი ერთზე, ქვედა მარჯვენა მეოთხედში — შემოტრიალებული ირემი, ქვედა მარცხენაში — სარტყელი მარცხნიდან, ხოლო მცირე ფარში კი — შვიდ ხუთქიმიან ვარსკვლავს შორის მოთავსებული დამხობილი ნახევარმთვარე მასზე შემოდგმული ჯვრით[522].

სამწუხაროდ სადღეისოდ ყერაფერს ვიტყვით იმის შესახებ თუ რა წყაროებით სარგებლობდა მიხეილ ვადბოლსკი ამ შემთხვევაში, საიდან აქვს მას მოძიებული ფალავანდიშვილთა ეს ორიგინალური გერბი და რატომ სრულიად არ ემთხვევა იგი ჩვენთვის უკვე ცნობილ 1831 წლამდელ გერბს იოსებ გიორგის ძის საფლავის ქვიდან და ციხინსკის ხელნაწერიდან.

---

517 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 172.

518 სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერები.

519 სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერები.

520 В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 36.

521 Там же. ст. 5.

522 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება" თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 171.

75. თაყვადი ყარალაშვილი

ჟ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" მოთავსებული ყარალაშვილების გერბი შეშდეგნაირად გამოიყურება[523]: გადაკვეთილი ფარის ზედა ნახევარში — მწვანეზე ოქროს ორი ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული მოღუნული ხმალი, ტარებით მაღლა, ხოლო ქვედაში — მეწამულზე ორი ასევე ირიბად გადაჯვარედინებული ისარი, მათ თავზე კი დაწვენილი ნახევარმთვარე; ფარს სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამი აკრავს გარს. აღსანიშნავია, რომ ამ საგერბე კომპოზიციაში, მისი შემადგენელი ელემენტების პერალდიკური დაშტრიხვის გზით ფარის ნაწილებისა და ფიგურების ფერები არის გადმოცემული, რაც საკმაოდ ფრიად იშვიათი მოვლენაა "კაკასიის საგერბეში".

ჟ. ციხინსკის მიერ დაფიქსირებული ყარალაშვილების ზემოთ აღწერილი გერბი, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე სტანისლავ დუმინს აქვს გამოქვეყნებული "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში[524].

იოანე ბატონიშვილი ყარალაშვილებს თემურ ლენგის ლაშქრობების ჟამს საქართველოში "თურქისტანიდან" გადმოსახლებულებად მიიჩნევს[525]. ამიტომ არ არის გამორიცხული, ფარში მოთავსებული ორიენტალისტური ფიგურა — ნახევარმთვარე სწორედ ამ ცნობის გამომხატველი იყოს.

76. აზნაური ყარაშვილი

ძლიერ საინტერესო საქართველოშივე დამტკიცებული გერბი ჰქონდათ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დაწინაურებულ მემკვიდრეობით ქიმებს აზნაურ ყარაშვილებს ანუ "ყარაიყუებს"[526].

დარეჯან დედოფლის მიერ კარის ექიმის იოანე ყარაშვილისადმი გაცემული "მოწმობის წიგნში", ჭკთხულობთ: "მასცეს იასონ, ესე საქართველოს აზნაურთა იოანეს, პეტრეს, ანდრიას და ანტონის ყარაიყოთა მად, რომელ მისცეს იათ მათ წინაპართა თუისგან სამკუიდროდ ღერბი ესე, რომელიც გამოხატულ არს ფარსა ზედა განყოფილ ორად, მარჯუენით კერძო ტრედის ფერს მინდორსა ზედა არს გველ ოქროისა ამაღლებულ მსგავსი რვისა ციფრისა თავზე მართიათ და რაოდენმე მარჯუენით კერძო მიდრეკილ, მარცხენით უკუე შავსა მინდორსა ზედა მარჯუენისა ხელსა შინა აღმოხდილ ხრმალი ვერცხლისა განმკვეთრად მიქცეულ მარჯუენით კერძო: პირველსა მინდორსა ზედა გველ მნიშვნელობს აქიმობითსა მეცნიერებასა შთამომავლობათა ამათთს; მეორესსა ზედა ხელი ძნიშნავს სამხედროსა ღუაწლსა მათსსა ზენა კერძო ფარისა გუირგუინი აზნაურობისა რიგთა დაფუნჯულთა ერთითა გუირგუინს ქუეშე შლემი და მას შინა ლატი.

ხოლო ფარა უპყრიესთ მარჯუენით კერძო ლომსა და მარცხენით კერძო მხედარსა აღჭურვილსა, ესე ბეჭედი მაპასა მათსა აზნაურსა ანტონი ყარაიგზა და მაპასა მათსა იოსებს ანტონის ძეს მარად უხმარიესთ დასამტკიცებლად წერილთა მათთა."[527]

საბუთში აღნიშნულია, რომ გერბი ყარაშვილთ "წინაპართა თუისგან სამკუიდროდ" ჰქონიათ და მას ჯერ კიდევ იოანეს ბაბუა აზნაური ანტონი მოიხმარდა. რუსეთში ყარაშვილთა გერბის კვალი არ ჩანს. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ ამ საგვარეულოსთვის გერბი ჯერ კიდევ ერეკლე II-ს აქვს ნაბოძები, მისი მეფობისას ქართლ-კახეთის სამეფოში წარმოებული აქტიური გერბთშემოქმედებითი პროცესის ჟამს. თუმცა არც ის არის გამოსარიცხი, რომ საგვარეულო სიმბოლოები ყარაშვილებს უკვე XVIII საუკუნის დასაწყისშივე გააჩნდათ, რაც, თუ ეს მართლაც ასეა, კიდევ ერთი დასტურია ქართული საგვარეულო პერალდიკური სიმბოლიკის სიძველისა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გერბი თავიდან ბოლომდე (ფარი, ფარს გარე ელემენტები, ფარის დაყოფა და ფერები) შესრულებულია ევროპული პერალდიკის ყველა კლასიკური წესის დაცვით.

სიგელში მოცემულია ფიგურების სიმბოლიკის განმარტებანიც. მკედიცინის ცნობილი და ფრიად გავრცელებული ემბლემა — გველი, ბუნებრივია ოჯახის საგვარეულო სამოსიანობაზე — ექიმობაზე მიუთითებდა. ხმალ მომარჯვებული მკლავი კი — სამხედრო დამსახურებებზე, რაშიც ის ეგულისხმებოდა, რომ, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ანტონი, იოსები და შემდეგ მისი შვილი იოანე ყარაშვილები ყოველთვის თან ხლებიან საქართველოს ლაშქარს ომებში და სამკედიცინო დახმარებას უწევდნენ დაჭრილ მებრძოლებს. ერთ-ერთ ბრძოლაში იოანე თვითონაც დაჭრილა[528].

---

523 В. Цюхинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 66.

524 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 160.

525 იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დილ. თბ. 1997 წ. გვ. 45.

526 ჟ. საბაშვილი, ა. გელაშვილი. "საქართველოს მედიცინის ისტორია". ტ. III. გამ. "საქმედგომი". თბ. 1956 წ. გვ. 227-228.

527 "მოწმობის წიგნი" დედოფალ დარიახი იგანე ყარაიყებაძეზე. საქ. ცენტ. სახ. ისტ. არქივი. ფ. 228, ანაწერი 3, საქმე 8878.

528 ჟ. საბაშვილი, ა. გელაშვილი. "საქართველოს მედიცინის ისტორია". ტ. III. გამ. "საქმედგომი". თბ. 1956 წ. გვ. 227-228. (მასალა მოგვაწოდა მეცნიერებათა კანდიდატმა რ. ჩიგუნაიამ).

საზოგადოდ თავის დროზე ყარაშვილები საქართველოში ექიმების უგამოჩენილესი საგვარეულო იყო. ხოლო იოანე ყარაშვილის ბირკენება ბატონიშვილ იოანე ბაგრატიონის ცნობილ "კალმახობაშიც" კი ფიგურირებს[529].

ამგვარად ცოცხლდება პერალდიკის საშუალებით ჩვენს წინაშე კიდევ ერთი ძველი გამოჩენილი გვარის — ყარაშვილების (ისევე, როგორც მავალითად ლიონიძეთა და მისთ. შემთხვევაში) ისტორია.

77. აზნაური ყორღანაშვილი

1916 წლის 22 ოქტომბერს დავით ზურაბის ძე ყორღანაშვილს და მის შთამომავლობას სამპერიო მთავრობის მიერ ოფიციალურად გაფორმებული შემდეგი სახის გერბი ებოძა: ლაჟვარდის გულიან ფრანგულ ფარში, ოქროს სამი, ერთი ორზე, რვაქიმიანი ვარსკვლავით თანხლებული გერცხლის მთა[530].

1917 წლის რევოლუციის მიჯნაზე შექმნილი გერბი "რუსეთის იმპერიის სათავადზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის" ერთ-ერთ უცნასკნელ, XX ტომში არის შესული[531]. მცირე ხნის შემდგომ აზნაურ ყორღანაშვილების გერბი "უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი რუსეთის იმპერიის სათავადზნაურო გვარების ნუსხის" 1917 წელს გამოცემულ დამატებით IV ტომშიც მოთავსდა[532].

78. თავადი შალიკაშვილი

შალიკაშვილების გერბის რამდენიმე ნაირსახეობა არის დღემდე შემორჩენილი. ამათგან ორს ვ. ცხებინსკის "კავკასიის საგერბეში" ვხვდებით[533]. პირველ ვარიანტში გადაკვეთილი ფარის ზედა ნახევარში — ნახევარმთვარე და ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ქვედაში — ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ისარი, ხმალი და შუბი, გერბს სათავადო გვირგვინიანი სათავადოდე მოსასხამი აშშვენებს; მეორე ცხებინსკისეულ ნიმუშში, რომელშიც დაშტრიხვით ნაწილობრივ პერალდიკური ფერებიც არის გადმოცემული, გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — მეწამულზე ხმლისა და დროშის მპყრობელი შებრუნებული მხედარი, ზედა მარცხენაში — ოქროს თაგი, ქვეყნის კი ლაჟვარდზე შეკულად გამოხატული აღმოსავლური ხმალი, ქვედა მარჯვენა ნაწილში — ასევე ლაჟვარდზე წინა თათებით დროშის მპყრელი ცხვარი, ქვედა მარცხენაში კი — მეწამულზე ტალღოვანი ქამარი მის თავზე აღბეჭდილი მთლიანი წრით.

ამ ორი ბაგერის გამოსახულების გარდა სტანისლავ დუმინს თავად შალიკაშვილების არნო შაფანტონის მიერ დაფიქსირებული, ზემოთ აღწერილ პერალდიკურ ფართაგან მეორე ვარიანტის მსგავსი გერბიც აქვს გამოქვეყნებული[534]: ფრანგული ფარის ბორველ მეოთხედში — შებრუნებული მხედარი, მეორეში — ირიბად გადაჯვარედინებული აღმოსავლური ხმალი და ბახალება, მესამეში — ჯვრიანი დროშის მპყრობელი ცხვარი, მეოთხეში — ქამარი მის შუაზე და თავზე თითო მთლიანი წრით; ფარს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოდე მოსასხამი აკრავს ბარს.

79. მთავარი შერვაშიძე

1895 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ ოფიციალურად გააფორმა შერვაშიძეების საგვარეულო გერბი[535]: ლაჟვარდის გულიან ფრანგულ ფარში ლეკენდარული ძმების დიოსკურების ემბლემა — ძველი ბერძნების მიერ "პილოს"-ად წოდებული თაღსაბურავის მსგავსი, ოქროს ორი თექის ქუდია მოთავსებული, რომელთაგან ორიკე თითო ოქროსავე რვაქიმიანი ვარსკვლავით არის დაგირგვინებული; ფარი ორ ბიზანტიური ტიპის ფარისმჭვრეტელ გრიფონს უპყრია, ამასთანავე ფარს თავს ადგას სააზნაურო ფუზარადი სირაქლემის სამი ფრთით; ლამბრეკენი — ლაჟვარდის, ოქროს სარჩულით; ყოველივე სათავადო გვირგვინიანი სათავადოდე მოსასხამით არის გარსშემოხვეული.

გერბი "საერთო საგერბის" 1901 წელს გამოცემულ XVI ტომში შევიდა[536], მცირე ხნის შემდგომ კი,

---

[529] ზ. ჯაკაშვილი, ა. გელაშვილი. "საქართველოს მედიცინის ისტორია". ტ. III. გამ. "საქმედგმა". თბ. 1958 წ. გვ. 227-228.

[530] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I-IV т. 1917 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 604.

[531] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1797-1917 гг. XX т. ст. 116. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 109.

[532] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I-IV т. 1917 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 604.

[533] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 51.

[534] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимомиавост. т. IV. М. 1998 г. ст. 253.

[535] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. д. № 1932. 1895 г.

[536] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1901 г. XVI т. ст. 1. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 116.

1906 წელს — "უმაღლესად დამტკიცებული" გერბის მფლობელი რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების დასურათებული ნუსხის III წიგნშიც[537].

ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში შემონახული შერვაშიძეების მრგვალი ფორმის საგერბე ბეჭედზე აგრეთვე დიოსკურების ემბლემა არის ამოტვიფრული პერალდიკური ფარას გარეშე[538].

აფხაზეთის მთავრების შერვაშიძეების ოფიციალურად დამტკიცებული გერბის სრული გამოსახულება სტანისლავ დუმინს აქეს გაშიფრული რუსეთის იმპერიის სათავადანაურო საგვარეულოების" IV ტომში[539]. ასეთივე გერბი, ოღონდ ფარსგარე შუბაქობლების გარეშე "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში" მიხეილ ჯაბოლსკისაც აქეს გამოქვეყნებული[540]. შერვაშიძეთა კუთვნილ საგერბე კომპოზიციას "საერთო საგერბედან" ვ. ციხისკიც იცნობს[541].

შერვაშიძეები, როგორც ცნობილია აფხაზეთის მთავრები იყვნენ. საქართველოს ამ მხარის ცენტრს კი დიდი ხნის განმავლობაში ქალაქი სოხუმი, იგივე ბურძნული კოლონია დიოსკურია წარმოადგენდა. ძველი კოლხიდის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბოლოსში მოჭრილ მონეტებზე, ქალაქის სახელის მიხედვით ლეგენდარული ძმების დიოსკურების, ჩვენს მიერ აღწერილი ემბლემა აღბეჭდებოდა[542]. სწორედ აქედან გამომდინარე შერვაშიძეებმა, ვითარც სოხუმისა და მთლიანად აფხაზეთის მფლობელებმა თავიანთ გერბში ძმები დიოსკურების ანუ თვით ქალაქ სოხუმის, დიოსკურიის სიმბოლო გამოსახეს. საინტერესოა, რომ შერვაშიძეების საგერბე ემბლემა — მითიური ძმები დიოსკურების ქუდები, XX საუკუნის 60-იან წლებში სოხუმელი მხატვრის ნინო მასტიტსკაიას მიერ შესრულებული ლეო შერვაშიძის ექსლიბრისის კომპოზიციის ნაწილს შეადგენდა. ეს არის ფაქტობრივად ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ნიმუში საგერბე ექსლიბრისისა საქართველოში

საინტერესოა, რომ შერვაშიძეების საგერბე ემბლემა — მითიური ძმები დიოსკურების ქუდები, XX საუკუნის 60-იან წლებში სოხუმელი მხატვრის ნინო მასტიტსკაიას მიერ შესრულებული ლეო შერვაშიძის ექსლიბრისის კომპოზიციის ნაწილს შეადგენდა. ეს არის ფაქტობრივად ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ნიმუში საგერბე ექსლიბრისისა საქართველოში[543].

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შერვაშიძეთა პერალდიკურ სიმბოლიკას ქართული საგვარეულო გერბებიდან უძველესი, ბაგრატიონების დინასტიისაზე უფრო ადრინდელი, ჯერ კიდევ ქ-მდე I-II საუკუნიდან მომდინარე[544] ფესვები გააჩნია.

00. თავადი ჩერქეზიშვილი

ვ. ციხისკის "კაკასიის საგერბეში" ჩერქეზიშვილთა გერბის ორი ვარიანტია დაფიქსირებული[545]. პირველ შათგანში: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა მეოთხედებში — სამ-სამი მცირე სვეტი, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენაში კი — აგრეთვე სამ-სამი ხუთქიმიანი ვარსკვლავი ერთი ორზე; ფარს სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადო მოსასხამი აკრავს გარს. თავად ჩერქეზიშვილებს მიკუთვნებულ იქვე მოთავსებულ მეორე საგერბე ფარში სამი ხუთქიმიანი ვარსკვლავით დატვირთული სარტყელია გამოსახული.

იოანე ბატონიშვილი გვარს ჩერქეზეთიდან გადმოსახლებულად მიიჩნევს[546]. ჩერქეზეთის გერბს მხარზე შუბშემოდებული მხედარი წარმოადგენს, მაგრამ მეზობელი კავკასიური მხარის ყაბარდოს საგერბე კომპოზიციაში კი, სწორედაც რომ, სამი ხუთქიმიანი ვარსკვლავია გამოხატული[547]. აქედან გამომდინარე იბადება, ჯერ-ჯერობით უპასუხოდ დარჩენილი კითხვა — ხომ არ შეიძლება ჩერქეზიშვილების გერბებისეული სამი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, მათი სამშობლოს, ჩერქეზეთის მახლობლად მდებარე მხარის, ყაბარდოს საგერბე ფარისეულ ვარსკვლავებს დაუკავშიროთ?

---

[537] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. III т. 1906 г. ст. 428. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 602.

[538] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის უონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღბეჭდილი.

[539] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 21.

[540] მიხეილ ჯაბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 173.

[541] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 49.

[542] Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987 г. ст. 105.

[543] გვარიან გაჩენილობაზე. "ქართული ექსლიბრისის ხელოვნება". სახელმწიფო ნაშრომი. 1987 წ.

[544] Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Изд. "Мецниереба". Тб. 1987 г. ст. 105.

[545] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 79.

[546] იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1987 წ. გვ. 53.

[547] Манифест о полном гербе всероссийской империи. С-Пб. "Сеза-С" 1993 г. ст. 17, 18.

§1. თავადი ჩიჩუა

ჩიჩუების საგვარეულო გერბი ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" დამტებითი განმარტებების გარეშე, მარტოოდენ წყაროს მითითებით არის წარმოდგენილი[548]: მთლიან ფარში საკარაუდოდ მრგვალ ფარზე მოთავსებული ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ისარი, ხმალი, შუბი და კვერთხი; ფარს სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამი აკრავს გარს.

აღსანიშნავია, რომ გადაჯვარედინებული ისრის, ხმლისა და შუბისაგან შემდგარი კომპოზიცია საკმაოდ ხშირია ქართულ საგვარეულო პერალდიკაში. მსგავსი გამოსახულება იგივე "კავკასიის საგერბეში" მაგალითად მელიქიშვილების და შალიკაშვილების, ჩვენს მიერ ზევით განხილულ გერბებშიც გვხვდება.

§2. თავადი ჩიჯავაძე

ჩიჯავაძეების გერბი ვ. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბეში" არის დაფიქსირებული[549]: მთლიან ფარში ციხესიმაგრის კბილანებიანი კედელი და მას თავზე გახსივოსნებული ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოხატული; ფარს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადოეე მოსასხამი აკრავს გარს.

სტანისლავ დუშინის ცნობას თუ ვენდობით, რომელსაც ჩიჯავაძეთა გერბი აქვს გამოქვეყნებული, გამოსახულება საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის საგერბე ბეჭდიდან არის გადმოღებული. დუშინი აშასთანავე შენიშნავს, რომ ორიგინალში, ანუ ბეჭედზე საგერბე ფარში მფლობელის სლავური ასოებით გადმოცემული ინიციალებიც "Р. Ч." არის განთავსებული[550].

§3. თავადი ჩოლოყაშვილი

ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში ჩოლოყაშვილების კუთვნილ ლუქის ბეჭედზე შეშდეგი სახის საგერბე კომპოზიცია არის ამოჭრილი[551]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ოვალური, ე. წ. იტალიური ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — ხელში ხმლის მპყრობელი არქისტრატიგი მიქაელ მთავარანგელოზი, ზედა მარცხენაში — ძნელად გასარჩევი ფიგურის, საკარაუდოდ სამსხვერპლოს — გვირგვინიან სვეტზე ჩამოკიდებული ორი თხის მსგავსი ცხოველის თავის ქალის წინაშე ჩამუხლული ვაცი, ქვედა მარჯვენა ნაწილში — გველეშაპთან შებრძოლი წმ. გიორგის ხატება, ქვედა მარცხენაში კი — აბჯარი და მას უკან ირიბად გადაჯვარედნებული დროშები და სხვადასხვაგვარი საჭურველი; თუ ბეჭედზე დატანებულ პერალდიკურ დაშტრიხვას ვენდობით, ფარის ყველა ნაწილს ოქროს ფონი გააჩნია; გერბი სათავადო გვირგვინითა და მოსასხამით არის შემკული.

თავად ჩოლოყაშვილების გერბის ზუსტად ასეთივე გამოსახულება, დაშტრიხვის გარეშე ვ. ციხანსკის "კავკასიის საგერბესა"[552] და მიხეილ ვადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბილიკაშიც"[553] არის დადასტურებული.

§4. თავადი ჩხეიძე, ერისთავი რაჭისა

ვ. ციხინისკის "კავკასიის საგერბეში" ჩხეიძეების მიკუთვნებულ საგერბე ფარში ერთშანეთის ქვეშ თანმიმდევრულად არის მოთავსებული ორი თარაზულად განლაგებული ექვსქიმიანი ვარსკვლავი, დაწვენილი მოღუნული ხმალი, აგრეთვე დაწვენილი ნახეკარმთვარე, დროშა, ხუთი ისრით შომართული მშვილდი და ჩაჩქანი; ფარს სათავადო გვირგვინით შემკული სათავადო მოსასხამი აკრავს გარს[554].

აღწერილის აბსოლუტურად იდენტური გამოსახულების გარდა სტანისლავ დუშინს "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში ჩხეიძეების არნო შაფანჟონის "გოთას მცირე ალბომიდან" ცნობილი გერბიც[555] აქვს გამოქვეყნებული[556]: გადაკვეთილი ფრანგული ფარი, შუაში — მცირე ფრანგულივე ფარით; ძირითადი ფარის ზედა ნახევარში — ლაჟვარდზე ვერცხლის გვირგვინი, მის

---

[548] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавалские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 86.

[549] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 92.

[550] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лкоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 247.

[551] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერა.

[552] В. Цихинский. Кавказский гербовник. Ташадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 78.

[553] მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 98, ნახ. 175.

[554] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 91.

[555] Chaffanjon A. Le petit Gotha illustre. Paris. 1996. p. 410, 446.

[556] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лкоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 248.

ქვეშ ჰორიზონტალურად განთავსებული კვერთხით, ქვედა შაჯ ნაწილში — ყურცლის ორ კოშკიანი ციხესიმაგრის კიდელი თავზე ოქროს მალტური ჯვრით, ცენტრალურ მცირე ფარში კი — მწვანე ყონზე ოქროს ვერძი; გერბი სათავადო გვირგვინიანი სათავადოვე ჰოსასხამით არის გარსშეჰოხვეული.

ჩხეიძეების გერბის პირველი ვარიანტი შედარებით ძველი, საყარაულოდ XIX საუკუნისა უნდა იყოს, მეორე კი, როგორც ჩანს გვარის მიერ 1917 წლის კომუნისტური რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში იხმარებოდა.

§5. თავად ჩხოტუა, ჩხოტუა-ჭყონია

ჩხოტუებს რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ "უმაღლესად დამტკიცებული" გერბი არ გააჩნდათ. თუმცა ცნობილია მათი ასე ყოქვათ არაოფიციალური გერბი, რომლითაც გვარი ჯერ კიდევ იმპერიის არსებობის დროს სარგებლობდა: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში გამოსახულია დაწვენილი ნახევარმთვარე მასზე დადგმული მალტური ჯვრით, ზედა მარცხენაში — გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგის ხატება, ქვედა მარჯვენაში — შემობრუნებული მდგომარე ირემი, ქვედა მარცხენაში კი — ოქროს საწმისი; ფარს გარს აკრავს სათავადო გვირგვინით შემკობილი სათავადოვე მანტია. გერბი ფრანგ გენეალოგ უაკ ფერანს აქვს გამოცემული[557].

უაკ ფერანისაკე წიგნში არის დაფიქსირებული თავად ნიკოლოზ ჩხოტუას კუთვნილი პირადი საგერბე კომპოზიციაც. იგი ფაქტობრივად ჩხოტუებისა და ჭყონიების შერწყმულ გერბს წარმოადგენს და ფრიად საინტერესო ბრეისტორია უკავშირდება: 1901 წელს ქ. ბათუმში შეუღლებული თავადის ქალ ბელაგია ჩხოტუასა და აზნაურიშვილ შალვა ყონიას მიერ ბათუმშივე 1905 წლის 24 სექტემბერს გაფორმებული და 1936 წლის 26 ივლისს ქ. სენტ-ბრიაკში (საფრანგეთი) რუსეთის დიდი მთავრის კირილე ვლადიმერის ძის მიერ დამტკიცებული ადოფციის საფუძველზე მათი ძე თავადი ნიკოლოზ ჩხოტუა დედის მხრივ ბაბუის პლატონ ჩხოტუას პირდაპირ მემკვიდრედ არის აღიარებული. ადოფცია დადასტურებულია და იურიდიულად რატიფიცირებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მხრივაც 1920 წლის 20 ივნისს ქ. ქუთაისში. ევროპაში ცნობილი დიპლომატის მალტის ორდენის კავალერის თავად ნიკოლოზ ჩხოტუას (ჩხოტუა-ჭყონია) ტიტული, გვარ-სახელი და გერბი რეგისტრირებულია ლონდონში ინგლისის უეულაზე ავტორიტეტული სახელმწიფო პერალდიკური საზოგადოების — "College of Arms"-ის მიერ 1934 წლის 4 ივლისს[558].

პირადად ნიკოლოზ ჩხოტუას კუთვნილი, ზემოთ ხსენებული ადოფციის აქტიდან გამომდინარე შედგენილი საქვეყნოდ აღიარებული და ოფიციალურად ცნობილი ჩხოტუა-ჭყონიათა შერწყმული გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ფრანგული ფარის თავში — მეწამულ ფონზე სწორკუთხა ჯვარი, გაკვეთილ-გადაკვეთილი დანარჩენი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — დაწვენილი ნახევარმთვარე მასზე დადგმული მალტური ჯვრით, ზედა მარცხენაში — წმ. გიორგის ხატება, ქვედა მარჯვენაში — ირემი, ქვედა მარცხენაში კი — ოქროს საწმისი (ჩხოტუათა გერბი); ფარის ოთხად გაყოფილი მონაკვეთის ცენტრში მცირე ასევე ფრანგული ფარი ჭყონიათა გერბით: გაკვეთილ-გადაკვეთილი გულის ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა ნაწილებში — თითო ტოლფერდა ჯვარი, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა მეოთხედებში კი — თითო აფრებდაშვებული ხომალდი; მთავარ ფარს გარს არტყია მალტის ორდენის ჯაჭვი, მასზე ჩამოკიდებული მალტური ჯვრით; ქვეყით ბაფთაზე წარწერილი ლათინური დევიზი: "IN DEO SPES MEA" (სიტყვასიტყვით: "ღმედი მაქვს ღვთისა"); ეს ყოველივე მოთავსებულია სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადოვე მანტიით[559].

§6. თავადი ციციშვილი

"რუსეთის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის" 1800 წლის 22 ოქტომბერს გამოცემულ V ტომში შეტანილი თავად ციციშვილების ოფიციალურად დამტკიცებული გერბი შემდეგნაირად გამოიყურებოდა[560]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — ლაჟვარდზე, ირიბად, მარცხნიდან მარჯვნივ გამოხატული დახვეული მეწამული დროშა და შუბოსანი მხედარი თეთრ ცხენზე; ზედა მარცხენაში — ოქროზე, ლაჟვარდის ოვალური ფარი, ქვედა მარჯვენაში — ოქროზე, ლაჟვარდის სარტყელი მარცხნიდან მასზე აღბეჭდილი ლათინური ლიტერით — "S", ქვედა მარცხენა მეოთხედში კი — ლაჟვარდზე, ოქროს სიუხვის რქა; ფარი სათავადო გვირგვინიანი სათავადო მოსასხამით არის შემკული. გამოსახულება საუკუნეზე მეტი ხნის შემდგომ, 1908 წელს ჰეროლდიის

---

[557] Jacques Ferrand. Fammiles princieres de Georgie. Montreuil. 1983. p. 200.

[558] ibidem. 1983. p. 197.

[559] ibidem. p. 200.

[560] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1800 г. т. V. ст. 7. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 95.

დებარტამენტში შედგენილ "უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი სრულიად რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების ნუსხაშიც" მოთავსდა[561].

ციციშვილების, აღწერილის ანალოგიური საგერბე კომპოზიცია გამოქვეყნებული აქვთ პ. ნ. პეტროვს "რუსეთის წარჩინებული გვარების ისტორიაში"[562] და მიხეილ ვადბოლსკის "საქართველოს პერალდიკურ სიმბოლიკაში"[563]. აღსანიშნავია, რომ ვადბოლსკი ლათინურ ლიტერას "სპარალის ძველთაძველ ნიშანს" უწოდებს[564]. გერბს ცნობილი რუსი გერბთმცოდნის ალექსანდრე ლაკიერის გამოცემაში — "რუსული პერალდიკა"[565] და ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბეშიც"[566] ვხვდებით. ციციშვილების გერბის გამოსახულება აგრეთვე, ფრანგი გენეალოგის ჟაკ ფერანის, ემიგრირებულ ქართველ წარჩინებულ საგვარეულოებს მიძღვნილ ნაშრომშიც არის შესული[567].

საგერბე ფარში განთავსებული ემბლემებიდან ხიუხეის რქა სიმდიდრესა და გულუხვობას აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია, რომ იოანე ბატონიშვილი ციციშვილებზე გვამცნობს — "ძველადვე მდიდარნი კაცნი" იყვნენ[568]. დროშისა და მხედრის ფიგურები ჩვენი აზრით, ციციშვილთა წინაპრის ზაზა ფანასკერტელის, კვლავ იოანე ბატონიშვილის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ — "მხედართა წინამძღოლობას"[569] უნდა უკავშირდებოდეს.

§7. თავადი წერეთელი

წერეთლების გერბი ვ. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბეში" არის დაფიქსირებული[570]: უკუჩანგლისებრად გაყოფილი ფარის მარჯვენა ნაწილში — კბილანებიანი ციხეკოშკი გახსნილი ჭიშკრითა და სარკმლებით, მარცხენაში — დაწვენილი აღმოსავლური ხმალი, მის ქვეშ კი — კვარცხლბეკზე აღმართული სვეტი, რომელიც აქეთ-იქიდან ორ ლომს უპყრია, ფარის ქვედა ნაწილში — გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგის ხატება; ფარს სათავადო გვირგვინით დაშვენებულია სათავადოვე მოსასხამი აკრავს გარს.

თავად წერეთლების ზუსტად ასეთივე გერბი აქვს გამოქვეყნებული სტანისლაე დუმინს "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში[571].

§8. აზნაური წინამძღვრიშვილი

წინამძღვრიშვილების კუთვნილი საგვარეულო საგერბე გამოსახულება ჩვენთვის მხოლოდ მიხეილ ვადბოლსკის მონოგრაფიიდან — "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა" არის ცნობილი[572]: ფრანგულ ფარში წრიული ორნამენტით შემოფარგლული სვეტი თავზე გვირგვინით, სვეტის მარჯვნივ — სწორკუთხა ჯვრიანი ალამი.

ვიზუალურად კომპოზიციას ნამდვილად არა აქვს კლასიკური გერბის ფორმა, მითუმეტეს რომ, როგორც ჩანს, თვით ფრანგული ტბას ფარიც ვადბოლსკისეული დანამატი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, თავდაპირველი გამოსახულება საკარაუდოდ მარტოოდენ ორნამენტით იყო შემოსაზღვრული. მიუხედავად ამისა, ფიგურება იმდენად პერალდიკურია, რომ კომპოზიცია თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საგვარეულო გერბად.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით[573] ბათუმელი მღვდლისგან წარმომდგარი წინამძღვრიშვილების გერბის სიმბოლიკაში, ჩვენი აზრით რელიგიური მოტივი მძლავრობს, რაც, შესაძლოა ამ გვარის ჟღერადობას, სემანტიკას — "წინამძღვრის-შვილი", უკავშირდებოდეს.

---

561 Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. III т. 1906 г. ст. 373. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 602.

562 П. Н. Петров. История родов русского дворянства. I т. М. 1991 г. ст. 417-419.

563 მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 178.

564 ი ქ ვ ე. 58- 96.

565 А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 329.

566 В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 48.

567 Jacques Ferrand. Fammiles princieres de Georgie. Montreuil. 1983. p. 228.

568 იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა ხალხთაგანთა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1987 წ. გვ. 23.

569 ი ქ ვ ე.

570 В. Цихинский. Кавказский гербовник. Таваадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 90.

571 С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимкомининст. т. IV. М. 1998 г. ст. 227.

572 მიხეილ ვადბოლსკი. ხალხთაგანთა პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 177.

573 იოანე ბაგრატიონი. შემოკლებული აღწერა ხალხთაგანთა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამ. დიალ. თბ. 1987 წ. გვ. 87.

89. თავადი წულუკიძე

1902 წლის 22 მაისს რუსეთის იმპერიაში "უმაღლესად დამტკიცებული" თავად წულუკიძეების საგვარეულო გერბი ასე გამოიყურებოდა[574]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი შუაში მცირე ფრანგულივე ფარით; მთავარი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — ლაქვარდზე, გველეშაპის განმგმირავი წმ. გიორგის ხატება, ზედა მარცხენაში — მუწამულ ფონზე შაუ მიწაზე მდგომი ვერცხლის ზარბაზანი, ქვედა მარჯვენაში — შეწამულზე, ოქროს აღმოსავლურ ხმალ შემართული ოქროსავე ლომი, ქვედა მარცხენაში — ლაქვარდზე, სამ მწვერვალიანი თოვლიანი ქედის ფონზე ბუნებრივი ფერის ციხესიმაგრის კბილანებიანი კედელი შუაში კოშკით, ცენტრალურ მცირე ფარში კი — მწვანეზე, რუსეთის იმპერიის შავი ორთავიანი არწივი ოქროს გვირგვინით; ძირითად ფარს თავს ადგას საარწანურო მუზარადი სათავადო გვირგვინითა და ოქროს ლამბრეკენით; მუზარადის უკან, ამასთანავე ერთმანეთზე ირიბად არის გადაჯვარედინებული ვერცხლის ბუნიკიანი და ოქროს ფოჩებიანი ორი დროშა, რომელთაგანაც მარჯვენა მეწამული ფერის არის, მარცხენა კი — ლაქვარდისა; ფარისმტვირთველებს წარმოადგენს ვერცხლის აბჯრიანი და ზურ ახდილ ჩაჩქნიანი ორი რაინდი, რომელთაც ხელთ უპყრიათ თითო ბიკი მეწამულზე შავი საიმპერიო არწივიანი დროშითა; ფარისმტვირთველთა ფერხთით მოთავსებულ ვერცხლისფერ ბაფთაზე შავი ასოებით წარწერილი რუსულენოვანი დევიზი ანუ ლეგენდა: "ЦАРЮ И ОТЕЧЕСТВУ" ("მეფეს და მამულს"); ყოველივე განთავსებულია სათაყადო გვირგვინით დამშვენებულ სათავადო მოსასხამზე.

გერბის გამოსახულება თავდაპირველად "საერთო საგერბის" 1904 წელს გამოცემულ XVII ტომში შევიდა[575], ხოლო მცირე ხნის შემდგომ — 1906 წელს, ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი წარჩინებული საგვარეულოების დასურათებული ნუსხის III ტომშიც მოთავსდა[576].

90. თავადი ჭავჭავაძე (ყვარლის შტო)

ჭავჭავაძეების ორი სათავადო გვარი არის ცნობილი. სამფლობელო მამულების მიხედვით, პირველს ყვარლის შტოს უწოდებენ, მეორეს კი წინანდლისას. გენეალოგთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მათი მონათესაობის შესახებ[577]. ერთი რამ ცხადია, ორივე განშტოების გერბები საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან და სანახევროდ ემთხვევა კიდევაც ერთურთს[578].

ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში დაცულ ყვარელელი ჭავჭავაძეების მრგვალი მოყვანილობის ლუქის ბეჭედზე ამ საგვარეულოს კუთვნილი საგერბე კომპოზიცია არის ამოტვიფრული[579]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ინგლისური, იგივე ჩრდილოეური ფარის ზედა მარჯვენა მეოთხედში — კლდეზე აღმართული ციხეკოშკი, ზედა მარცხენაში — გაქცეული ირემი, ქვედა მარჯვენაში — ღუზა, ქვედა მარცხენაში კი — აღმოსავლური ხმლის მპყრობელი მკლავი; ფარი სათავადო გვირგვინიანი სათავადოვე მოსასხამით არის შემკული.

ჭავჭავაძეების ყვარლის შტოს მიხეილ გადაბოლსკის მიერ წარმოდგენილი უფრო დახვეწილი პერალდიკური შესახედაობის გერბი[580] ზემოთ აღწერილისგან შინაარსობრივად მხოლოდ ფარის ე. წ. ფრანგული ფორმითა და გარე შესამკობლების უქონლობით გამოირჩევა. გერბის უფრო სრული ვარიანტი, სათავადო გვირგვინითა და მოსასხამით, "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში სტანისლავ დუმინს[581], "ქართულ სათავადო საგვარეულოებში" კი ჟაკ ფერანს[582] აქვთ გამოქვეყნებული.

---

[574] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. Д. № 1876. ст. 3.

[575] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1906 г. т. XVII (рукопись). ст. 3. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 107.

[576] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. III т. 1906 г. ст. 174. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 602.

[577] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 234.

[578] ბორის კანდელაკი. ჭავჭავაძეთა საგვარეულო გერბი. გაზ. "ობოლისი". 1887 წ. 26 თებერვალი.

[579] სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერა.

[580] მიხეილ გადაბოლსკი. სამართლიკური პერალდიკური სიმბოლიკა. გამოც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 80, ნახ. 178.

[581] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 235.

[582] Jacques Ferrand. Fammiles princieres de Georgie. Montreuil. 1983. p. 179.

§1. თავადი ჭავჭავაძე (წინანდლის შტო)

ჭავჭავაძეების წინანდლის შტოს უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ახალი შუამთის მონასტერში მდებარე საფლავის ქვაზე ამ გვარის საგერბე გამოსახულება არის ამოკვეთილი: ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — შემაღლებაზე შემოდგმული ტახტი, ზედა მარცხენაში — გაჭენებული ცხენი, ქვედა მარჯვენაში — ღუზა, ქვედა მარცხენაში კი — აღმოსავლური ხმალი და ფარის მპყრობელი შეჯურვილი მკლავი. ალექსანდრე ჭავჭავაძე 1846 წელს გარდაიცვალა, აქედან გამომდინარე ბუნებრივია მის საფლავის ქვაზე დატანებული გერბი ამ თარიღზე გვიანდელი ვერ იქნება, რაც საფუძველს გვაძლევს თამამად განვაცხადოთ, რომ წინანდლელი ჭავჭავაძეების საგვარეულო გერბი 1846 წლამდე არის შექმნილი.

სათაყვანო გაირგვინით შემკული ასეთივე გერბი არის შემონახული ოსკარ გეტლინგის გლიპტიკურ კოლექციაში[583].

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" ჭავჭავაძეებს მხოლოდ ერთი საგერბე ფარი აქვთ მიკუთვნებული[584]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის პირველ მეოთხედში — ტახტი, მეორეში — ცხვარი, მესამეში — ღუზა, მეოთხეში — ხმლიანი მკლავი. კომპოზიცია წინანდლის შტოს სიმბოლიკასთან უფრო ახლოს დგას. მეორე ნაწილში მოთავსებული ცხვრის ფიგურა კი ეტყობა შეცდომით არის ჩანაცვლებული ცხენისას. საერთოდ ციხინსკი მეტად ზერელედ მიმოიხილავს ჭავჭავაძეთა საგვარეულო პერალდიკის ფრიად საინტერესო საკითხს და ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმეს ბოლომდე არ არის ჩაძიებული.

ჭაჭავაძეების წინანდლური განშტოების გერბის ორი პრაქტიკულად იდენტური ვარიანტი აქვს გამოქვეყნებული სტანისლავ დუშინს "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში[585].

ამრიგად, თავად ჭავჭავაძეების ორივე შტოს ოთხნაწილიან გერბებს ფარის ზუსტად ერთნაირი ქვედა მარჯვენა და მარცხენა ნაწილები გააჩნია. სხვაობა მარტოოდენ ზედა მეოთხედებში ვლინდება, სადაც ყვარლელთ ციხეკოშკი და ირემი, წინანდლელთ კი ტახტი და ცხენი წარმოადგენთ.

აქვე დავურთავდით, რომ სტანისლავ დუშინის ცნობით[586] არნო შაფანონს, როგორც თავად ამტკიცებს ჭავჭავაძეთა საეროო გერბი აქვს დაფიქსირებული[587]: შავ ფონზე ვერცხლის მალტური ჯვარი, ხოლო ოქროსაზე — საქართველოს გერბი. ადვილი შესამჩნევია, რომ ფარის აღწერილობა სრულიად არ თანხვდება ჭავჭავაძეთა ტრადიციულ საგვარეულო სიმბოლიკას. როგორც ჩანს შაფანონისეული ეს გერბი ემიგრაციაში გამოიყენებოდა ჭაჭაყაძეების ერთ-ერთი განშტოების მიერ.

§2. აზნაური ჭყონია

რუსეთის იმპერიაში ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბი ჭყონიებს არ აქვთ. სამაგიეროდ ფრანგი გენეალოგის ჟაკ ფერენის ქართულ წარჩინებულ გვარებს მიძღვნილ წიგნში მოყვანილია ჭყონიათა, როგორც ჩანს არაოფიციალური, თუმც კი კლასიკური პეალდიკის წესების ზედმიწევნითი დაცვით შედგენილი ფრიად დახვეწილი და მოხდენილი გერბი: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა ნაწილებში — თითო ტოლფერდა ჯვარი, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა მეოთხედებში კი — ასევე თითო აფრებდაშვებული ხომალდი; ფარს ქვეშ მოთავსებულ ბაფთაზე ლათინური დევიზია წარწერილი: "IN DEO SPES MEA" (სიტყვასიტყვით: "იმედი მაქვს ღვთისა"); გერბი ორ ფარისმპყრობელ წერას უკავია; ფარს კი თაყს ადგას აზნაურული ეუზარადი აზნაურულიგე გვირგვინით, სირაქლემის ბაში ფრთითა და ლამბრეკენით[588].

ჭყონიების ეს გერბი, ვითარც ზევით აღვნიშნავდით თავად ნიკოლოზ ჩხოტუას (ჩხოტუა-ჭყონია), ინგლისის ყველაზე ავტორიტეტული სახელმწიფო პერალდიკური საზოგადოების — "College of Arms"-ის მიერ ლონდონში 1934 წლის 4 ივლისს რეგისტრირებული პირადი შერწყმული გერბის შემადგენელი ნაწილია[589]. აქედან თავისთავად გამომდინარეობს (იხ. ზევით: გვ. 137), რომ აზნაურ ჭყონიათა გერბი უთუოდ მინიმუმ 1939 წლამდე მაინც უნდა ყოფილიყო შექმნილი.

---

[583] სქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერი.

[584] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 76.

[585] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лимоминвесс. т. IV. М. 1998 г. ст. 240.

[586] Там же. ст. 234.

[587] Chaffanjon A. Le petit Gotha illustre. Paris. 1968. p. 444.

[588] Jacques Ferrand. Fammiles princieres de Georgie. Montreuil. 1983. p. 193.

[589] ibidem. p. 197.

§3. თავადი ხერხეულიძე

ხერხეულიძეების გერბი ვ. ციხინსკის ხელნაწერ "კავკასიის საგერბესა"[590] და მიხეილ ვადბოლსკისეულ გამოცემაში — "საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა"[591], არის დადასტურებული: გაკვეთილი ფრანგული ფარის მარჯვენა ნაწილში — ზღვაში მცურავი შებრუნებული აფრებაშვებული ხომალდი, მარცხენაში კი — ნახევარმთვარე და ექსკლიმიანი ვარსკვლავის თუ ყყაყილისებრი ფიგურა. "კავკასიის საგერბეში", ამასთანავე ფარს სათავადო გვირგვინით დამშვენებული სათავადოვე მოსასხამი აკრავს გარს.

§4. თავადი ხიმშიაშვილი

ხიმშიაშვილების საგვარეულო ლუქის ბეჭედზე, რომელიც ოსკარ გეტლინგის გლიპტიკური კოლექციის ნაწილს შეადგენს, შემდეგი სახის საგერბე გამოსახულება არის ამოტვიფრული[592]: ინგლისურ, იგივე ჩრდილოურ ფარში გაკვეთილ ფარაში მებრძოლი წმ. გიორგის ხატება, ფარას თავზე — სათავადო გვირგვინი, ფარს ქვეშ კი — ბაფთაზე ჩამოკიდებული რუსეთის იმპერიის წმ. გიორგის სახელობის ორდენის ჯვარი და რუსულენოვანი წარწერა: "КНЯЗЬ Г. С. ХИМШИЕВ". შეკნიშნავდით, რომ ბეჭდის მფლობელის ინიციალების გაშიფრეის შემთხვევაში, ადვილად დადგინდება გერბის შექმნის მიახლოებითი თარიღიც.

თაეად ხიმშიაშვილთა თითქმის ასეთივე გერბია, ორდენისა და წარწერის გარეშე, მაგრამ სათავადო გვირგვინითა და მოსასხამით, მოთავსებული ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეშიც"[593].

თვალშისაცემია, რომ ხიმშიაშვილების გერბი, მასში აღბეჭდილი ერთად-ერთი ფიგურით პრაქტიკულად საქართველოს წმ. გიორგის ხატებიანი გერბის ანალოგიურია.

§5. აზნაური ხუდობაშვილი

"რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის" 1836 წლის 3 იანვარს გამოცემულ X ტომში იმერელ აზნაურებად მოხსენიებული ხუდობაშვილების საიმპერიო ხელისუფლების მიერ ოფიციალურად დამტკიცებული გერბი არის მოთავსებული[594]: გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა გაკვეთილი ნახევრის მარჯვენა ნაწილში — ოქროზე, ორი ერთმანეთზე ირიბად გადაჯვარედინებული აღმოსაელური ხმალი, მარცხენაში — ლაჟვარდზე, ოქროს ჯვარი, ხოლო მის ქვეშ მარცხენა კუთხეში — ზღვის კლდოვანი ნაპირი, ფარის ქვედა ნახეარში — შეწმამულზე, ბერის თავთავის ოქროს შეკვრა და მის ქვეშ გამოსახული ვერცხლის დაწვენილი ნახევარმთვარე; ფარი მარჯვნიდან არწიეს, მარცხნიდან კი ლომს უპყრია; საგერბე კომპოზიცია, ამასთანავე შემკობილია სააზნაურო გვირგვინით დამშვენებული საზნაუროეე შუზარადი სირაქლემის სამი ფრთითა და ოქროს სარჩულიანი ლაჟვარდის ლამბრეკენით.

გერბი შესულია საიმპერიო პეროლდიის დეპარტამენტში შედგენილი "უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი სათავადაზნაურო გვარების ნუსხის" 1906 წელს მომზადებულ III ტომში[595].

"საერთო საგერბეში" ხუდობაშვილების საგვარეულოს შესახებ მოთხრობილი მოკლე ისტორიული ცნობის მიხედვით, გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი არტემი ხუდობაშეკი (საინტერესოა როგორია გვარის ქართული ყღერადობა — ხიდირბეგიშვილი?) ოსმალეთის მიერ იმერეთის სამეფოს შეკიწროვების შედეგად თავისი ოდინდელი საცხოვრისიდან, ქუთაისიდან სპარსეთს გაეშურა, საიდანაც მისი ძე მაკარი უკვე რუსეთში გადასახლდა და საკუთარი ნებით იმპერიის სამუდამო ქვეშევრდომობა მიიღო[596].

ხუდობაშვილების გერბი აღწერილი აქვს სახელგანთქმულ რუს გერბთმცოდნეს ალექსანდრე ლაკიერს თავის ცნობილ წიგნში "რუსული პერალდიკა"[597].

---

[590] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 45.

[591] მიხეილ გადბოლსკი. საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა. გამომც. "ხელოვნება". თბ. 1980 წ. გვ. 96, ნახ. 178.

[592] საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. გლიპტიკის ფონდი. ოსკარ გეტლინგის არქივი. გლიპტიკური კოლექციის აღწერა.

[593] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 74.

[594] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1836 г. т. X. ст. 119. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 100.

[595] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. III т. ст. 366. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 602.

[596] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1836 г. т. X. ст. 119. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 100.

[597] А. Б. Лакиер. Русская геральдика. изд. "Книга". М. 1990 г. ст. 331.

96. თავადი ჯაჯახიშვილი
(რუსეთში — "Жевахов")

ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული გერბები გააჩნდა ჯაჯახიშვილების ორ შტოს. ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც რუსეთში "ჟევახოვ"-ებს უწოდებდნენ 1901 წლის 7 მარტს "უმაღლესად დამტკიცებული" შემდეგი სახის გერბი ეკუთვნოდა: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი შუაში მცირე ფრანგულიელ ფარით; ძირითადი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში — ლაჟვარდზე, ირიბად გადაჯვარედინებული ოქროს ჯვარი და ვერცხლის აღმოსავლური ხმალი, ზედა მარცხენაში — ოქროზე, შავი ცხენი თავზე საბარონო გვირგვინით, ქვედა მარჯვენაში — ოქროზე, ვერცხლის ისრით მარჯვნიდან გამშჭვალული მეწამული ცეცხლის მფრქვეველი მწვანე მთა, ქვედა მარცხენაში — ლაჟვარდზე, ვერცხლის ციხეკოშკი თავზე ოქროს ნახევარმთვარით, სათავადო გვირგვინიან მცირე ფარში კი — ხიახამურის ბეწვის ფონზე განთავსებული ოქროს სკიპტრა და სფერო; მთავარ ფარს თაჯს ადგას ოქროს სარწულის მქონე ლაჟვარდის ლამბრეკენიანი საზღაურო მუზარადი, რომელიც შავი ხაიმურიო ორთაჟიანი არწივით დამშვენებული საზღაურო გვირგვინით არის შემკული; ფარი მის ქვეშ მოთავსებულ ერთმანეთზე ლაჟვარდის ბაფთით გადაბმულ მუხის და დაფნის ტოტებზე შეიმოდგამ ორ ფარისმტვირთველ ოქროს ლომს უპერია; ყოველივეს სათავადო გვირგვინიანი სათავადოვე მოსასხამი აკრავს გარს[598].

ზემოთ აღწერილი გამოსახულება შეიცავდა "საერთო საგერბის" 1904 წელს გამოცემული XVII ტომში[599] და "უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების ნუსხის" 1906 წელს პეტროლდის საგერბე განყოფილებაში შეღებული I ნაკვეთში[600].

გერბის შემქმნელთა მოსაზრებით[601] კომპოზიციაში შესული ფიგურებიდან სფერო და ქართლის გერბიდან დასესხებული ეიბლემა — ცეცხლოვანი მთა ჯაჯახიშვილების ქართველ გავლენიან თავადთაგან წარმომაელობაზე მიუთითებს; ციხეკოშკი — საშინელო საქველეზე, ხმალზე გადაჯვარედინებული ჯვარი — საგეარეულოს ქრისტიანობაზე, ორთავიანი არწივი — რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაზე, მუხისა და დაფნის რტოები კი — შესაბამისად, გვარის წინაპართა ფიზიკურ სიმძლავრესა და აწინდელ წარმომადგენელთა ინტელექტუალურ შრომაზე; რაც შეეხება გვირგვინოსან ცხენს, ეს ფიგურა ჯაჯახიშვილებთან დამოკიდებული ბარონ ჯულფერტების გერბიდან არის გადმოღებული.

ჯაჯახიშვილთა მოცემული განშტოება უფრო ადრინდელი საგეარეულო გერბითაც სარგებლობდა. თავის დროზე, 1798 წელს რუსეთის სამხედრო სამსახურში ჩამდგარმა თაჯადმა, მაიორმა ხარიდონ სიმონის ძე ჯაჯახიშვილმა "საერთო საგერბეში" შესატანად პეტროლდიის დეპარტამენტში წარადგინა მამამისისგან, ვახტანგ VI-ის რუსეთში თანმხლები ერთ-ერთი პირისგან მემკვიდრეობით მიღებული საგერბე გამოსახულება: ლაჟვარდის გულიან გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის პირველ ნაწილში — ოქროს რტო, მეორეში — ნასეკვარმთვარე, შესამეში — ორი ხმალი, ხოლო მეოთხეში — კოშკი[602]. დეპარტამენტმა გადაწყვიტეს აღწერილი გერბი მანამ არ დაემტკიცებინათ, სანამ მთხოვნელი უეჭველად არ დაასაბუთებდა თავის თავადურ წარმოშობას, ამას კი, როგორც ეხედავთ საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა, ვინაიდან ჯაჯახიშვილების გერბი, ვითარც უკვე აღვნიშნავდით, საბოლოოდ მხოლოდ 1901 წელს დარეგისტრირდა.

ამგვარად, XX საუკუნის დამდეგს ქართველ თავად ჯაჯახიშვილთა, რუსეთში "ჟევახოვ"-ებად წოდებულმა შტომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში არსებული საგერბე კომპოზიციის საფუძველზე მაღლი ოფიციალურად დადასტურებული გერბი.

ჯაჯახიშვილთა გერბის ორიგე გამოსახულებას, ასე ვთქვათ ძველსაც და ახალსაც ვ. ციხისკის "კავკასიის საგერბეში" ვხვდებით[603]. გერბის "უმაღლესად დამტკიცებული" ვარიანტი "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში სტანისლავ დუშინს აქვს გამოქვეყნებული[604].

---

[598] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. Д. № 603. 1901 г. ст. 16, 10.

[599] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1904 г. т. XVII. ст. 1. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 107.

[600] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600.

[601] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. Д. № 603. 1901 г. ст. 20.

[602] Там же. ст. 3-4.

[603] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 23.

[604] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Ликоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 155.

§7. თავადი ჯავახიშვილი
(რუსეთში – "Джавахов")

1901 წლის 5 დეკემბერს რუსეთის ხელისუფლების მიერ ოფიციალურად დამტკიცდა სამეფო სენატის პეროლდიის დეპარტამენტის საგერბე განყოფილებაში შეშუშავებული თავად ჯავახიშვილების კიდევ ერთი შტოს გერბი[605]: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარის ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა მეოთხედებში – ლაჟვარდზე, ვერცხლის თითო ტალღოვანი ქამარი, ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენაში კი – ოქროზე, შეწამულ თეალებიანი და ენიანი თითო შაეი ლომი; ფარს თაეს ადგას სააზნაურო შეზარადი საახნაუროვე გვირგვინით; მეზარადის თავი – შაეი ორთავიანი არწივი; ლამბრეკენი: მარჯვნივ – ლაჟვარდის და ვერცხლის, მარცხნივ – შაეი და ოქროსი; ფარისმტვირთველები – ფარის ორივე მხრიდან, ტრადიციულ გურულ ტანსაცმელში გამოწყობილი თითო შეიარაღებული მამაკაცი; ყოველივე განთავსებულია სათავადო გვირგვინით შემკულ სათაეადო მოსასხამზე. კომპოზიციის აეტორთა სიტყვებით ფარში განლაგებული ემბლემები "ოდითგანვე გამოიხატებოდა ჯავახიშვილების საგვარეულო ბეჭდებზე"[606].

გერბი შესულია, როგორც "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საგვარეულოების საერთო საგერბის" 1904 წელს გამოცემულ XVIII ტომში[607], ისევე ე. წ. უმაღლესად დამტკიცებული გერბის მფლობელი ტიტულოვანი გვარების დასურათებული ხელნაწერი ნუსხის 1906 წელს შედგენილ I წიგნში[608].

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" ჯავახიშვილთა მოცემული შტოს ზუსტად ასეთივე გერბია განთავსებული[609]. ამასთანავე იგი გამოქვეყნებული აქვს სტანისლავ დუმინს "რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების" IV ტომში[610].

§8. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი

ჯამბაკურ-ორბელიანების გერბის ჩვენთვის ცნობილი ვარიანტები, რამდენიმე მონათესავე გვარის (ორბელიანი, ბარათაშვილი, რატიშვილი) კუთვნილი ერთმანეთთან ახლოს მდგომი გერბებიხ ბარათაშვილ-ორბელიანთა ჯგუფის ნაწილს შეადგენს.

ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" მოყვანილი ჯამბაკურ-ორბელიანებს მიკუთვნებული სამი საგერბე ფარიდან, ორი შინაარსობრივად პრაქტიკულად უცვლელად იმეორებს ბარათაშვილთა და ორბელიანთა, ჩვენს მიერ ზევით აღწერილ, ასევე ციხისნკისეულ გერბებს[611]. ამგვარივე გერბებია აშოკევთილი ქაშვეთის ეკლესიაში მდებარე ჯამბაკურ-ორბელიანთა საგვარეულოს წარმომადგენელთა საფლავის ქვებზე თუ ეკლესიის კედლების დამაშშენებელ სხვადასვა ორნამენტულ ბარელიეფებზე. სავარაუდოდ ციხინსკის სწორედ ეს გამოსახულებები მოპყავს თავის საგერბეში. რაც შეეხება ციხინსკისეულ მესამე ფარს, იგი დანარჩენთაგან საკმაოდ გამორჩეულ ორიგინალურ კომპოზიციას წარმოადგენს: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში – ირიბად გადაჯვარედინებული კარჩხანა და მშვილდი, ზედა მარცხენაში – ქნარი, ქვედა მარჯვენაში – ხვეტი, ხოლო ქვედა მარცხენაში – აღმოსავლური ხმალი; ფარი ორ ფარისმტვირთველ ლომს უპყრია, ყოველივე კი სათაყადო გვირგვინით შემკულ სათაყადოვე მოსასხამით არის გარშემორტყმული[612].

§9. თავადი ჯაფარიძე

თავად ჯაფარიძეების გერბი ვ. ციხინსკის "კავკასიის საგერბეში" გვხვდება ყოველგვარი დამატებითი განმარტებითი კომენტარის გარეშე[613]; გადაკვეთილი ფარის ქვედა ნახევარი შუაზეა გაკვეთილი; ფარის ზედა მთლიან ნაწილში – წმ. გიორგის ხატება, ქვედა მარჯვენაში –ერთმანეთზე

---

[605] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. Д. № 519. ст. 6.
[606] РГИА. С-Пб. Ф. 1343. Оп. 49. Д. № 519. ст. 5.
[607] Общий гербовник дворянских родов Всероссийской Империи. С-Пб. 1904 г. т. XVII. ст. 2. РГИА. С-Пб. Ф. 1411. Оп. 1. д. № 107.
[608] Описки дворян всероссийской империи имеющих высочайше утвержденные гербы. I т. 1906 г. РГИА. С-Пб. ф. 1411. оп. 2. д. № 600.
[609] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 23.
[610] С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды российской империи. изд. Лекоминвест. т. IV. М. 1998 г. ст. 145.
[611] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 10, 22, 34.
[612] Там же. ст. 22.
[613] Там жс. ст. 82.

ირიბად გადაჯვარედინებულ ხმლებზე მოთავსებული მშვილდისარი, ქვედა მარცხენაში კი — ციხესიმაგრე.

100. თავადი ჯაყელი

ჯაყელების გერბი ვ. ციხინკის "კავკასიის საგერბეში" არის შემონახული[614]: მთლიანი ფარის ცენტრში — ნახევარმთვარე, ზედა მარჯვენა კუთხეში კი — ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

ჯაყელთა გერბში მაჰმადიანურ აღმოსავლეთში გავრცელებული, ისლამური სამყაროს მთავარი სიმბოლოს, ნახევარმთვარის განთავსება, შესაძლოა სამცხე საათაბაგოს ოსმალეთს მიერთების შემდეგ ამ საგვარეულოს მიერ მოცემული მხარის, სამხრეთ საქართველოს მმართველობის ანუ ათაბაგობის შესანარჩუნებლად შუსლიმური სარწმუნოების მიღებაზე მიგვანიშნებდეს.

[614] В. Цихинский. Кавказский гербовник. Тавадские роды. (Рукопись). Петроград. 1922 г. ст. 24.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ძიება გვიქრობთ საფუძველს ვავაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული პერალდიკა, ამ სიტყვის კლასიკური დასავლეთ ეეროპული გაგებით, XVII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა, თავდაპირველად სახელმწიფო და სამხარეო (XVII-XVIII საუკუნეები), შემდეგ საგვარეულო (XVIII საუკუნე) და საქალაქო (XIX საუკუნე), ბოლოს კი კორპორაციული (XIX-XX საუკუნეები) გერბების სახით.

ქართული პერალდიკის განვითარებაში, ჩვენი დაკვირვებით სამი ძირითადი ეტაპი, პერიოდი იკვეთება: ბირველი — ნაციონალური (XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, XIX საუკუნემდე), მეორე — ეეროპულ-რუსული (XIX საუკუნე და XX-ის დასაწყისი) და მესამე — რესპუბლიკურ-საბჭოური (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული).

ნაციონალური პერიოდის დროს, საქართველოში, სხვათა შორის ისევე, როგორც იმჟამად რუსეთში, არც თუ ისე კარგად იცნობდნენ ეეროპული პერალდიკის კანონებს, ნაკლებად ითვალისწინებდნენ მათ და გერბებსაც ბუნებრივია მეტწილ ადგილობრივ სიმბოლიკაზე დაყრდნობით ქმნიდნენ. მეორე, ეეროპულ-რუსულ ეტაპს შეიძლება ქართული პერალდიკის კლასიკური ხანაც ვუწოდოთ, ვინაიდან ამ პერიოდის პრაქტიკულად ყოველ ახალ ათწლეულთან ერთად, საქართველოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის გერბებს სულ უფრო და უფრო მკვეთრად გამოხატული დასავლეთ ეეროპული იერი ეძლეოდა. უკანასკნელი, რესპუბლიკურ-საბჭოური პერიოდი გერბთმცოდნეობის თითქმის ყოველგვარი ფუძემდებლური წესების იგნორირებითა და მათი პრაქტიკულად სრული გაუთვალისწინებლობით ხასიათდება. საშაგიეროდ მძლავრობს, ასე ვთქვათ არაპერალდიკურად გათანამედროვებული ფიგურების სტილიზებულად გამოსახვის ტენდენცია.

ყოველი ზემოთ დახასიათებული პერიოდი, როგორც წესი ემთხვეოდა მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ-სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იქნებოდა ეს ეეროპასთან დაახლოების მცდელობანი, რუსეთის იმპერიას შიერთება და კაბიტალისტური ეკონომიკური წყობის მძლავრობა თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ყოველ ამ მოვლენაზე პერალდიკა მყისიერად რეაგირებდა, რაც გერბების სტილის გამოცვლით ან სულაც გერბთმცოდნეობის ახალი სფეროს, შიმდინარეობის, დარგის წარმოშობით გამოიხატებოდა ხოლმე.

ქართული პერალდიკის შემდგომი კვლევა უთუოდ აუცილებელია მთლიანად ქართული სიმბოლიკის, უძველესი ტოტემური და ემბლემატიკური სისტემების შეცნობისა და გაშიფრვისთვის, აქედან გამომდინარე კი ზოგადად ქართული, წარმოსახვითი, სიმბოლიკური მსოფლმხედველობის შესწავლისთვის. ეს საკითხები, თავის მხრივ ფრიად აქტუალურია დღეს — ახალი დამოუკიდებელი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობისას, როდესაც ფაქტობრივად, ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაუწყვეტელია თანამედროვე ეროვნული სიმბოლოების — სახელმწიფო გერბისა და დროშის პრობლემა. ამავდროულად, ქართული გერბების განხილვა არც დიპლომატიის ან ამ ბოლო სამი საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ვექტორის მიმართულებების ცვლის კონტექსტში არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული[615].

განსასკუთრებით ხაზგასასმელია, რომ პრაქტიკულად ყველა ტიპის გერბების, დასავლეთ ეეროპული ცივილიზაციის ამ სპეციფიური ნაყოფის საქართველოში ესოდენი გავრცელება, ჩვენის რწმენით კიდევ ერთი აშკარა დასტურია მთლიანად ქართული კულტურის ზოგადეეროპულ სივრცეში მოაზრების აუცილებლობისა და უეჭველობისა.

ბოლოს ვისურვებდით, რომ წინამდებარე ნაშრომი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი აღმონენილიყოს ქართულ ისტორიოგრაფიაში პერალდიკის, იგივე გერბთმცოდნეობის დამხმარე საისტორიო დისციპლინად ჩამოყალიბების გზაზე.

---

[615] თორნიკე ასათიანი. გერბთმცოდნეობა ქართულ დიპლომატიასთან მიმართებაში. ქართული დიპლომატიის წელიწდეულის დამატება. თსუ გამომცემლობა. თბ. 1998 წ.

დანართი

ა) ქართული პერალდიკის განვითარების პერიოდები, ეტაპები

ქართული პერალდიკის აუტორისეული პერიოდიზაციის საგერბე მაგალითების მიხედვით აგებული ტაბულა:

პერიოდები	*პეროდებისთვის დამახასიათებელი ჰერალდიკური ნიმუშები*	*ქრონოლოგია*
ნაციონალური	1 ქართული სამეფოების გერბები რუსთ მეფეო "ტიტულიარნიკში". 2 ვახტანგ VI-ისეული ბაგრატიონთა და პირადი გერბები. 3 ვახუშტის ატლასისეული გერბები. 4 ერეკლე II-ის სახელმწიფო, სამხარეო, საგვარეულო გერბები.	1672 - 1800 წწ.
ევროპულ-რუსული, კლასიკური	1 საქართველოს სამეფო-სამთავროების გერბები რუსეთის დიდ სახელმწიფო გერბში. 2 საქართველოს მხარეების და ქალაქების გერბები. 3 საგვარეულო გერბები "საერთო საგერბედან".	1800 - 1918 წწ.
რესპუბლიკურ-საბჭოური	1 დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი. 2 ამიერკავკასიის სფსრ-ის გერბი. 3 საქართველოს სსრ-ის გერბი 4 საქ. სსრ-ის აუტონომიების გერბები.	1918 - წწ.

ბ) ზოგიერთი პერალდიკური ტერმინის განმარტებითი გლოსარიუმი

ევროპული ქვეყნების პერალდიკურ პრაქტიკებში მიღებულია თავისებური სპეციფიკური ტერმინოლოგიური ენა, რომლის საშუალებითაც მაქსიმალურად ლაკონურად აღიწერება ნებისმიერი საგერბე გამოსახულება, ვინაიდან, ზოგიერთი ე. წ. რთული ფარის აღწერისთვის ანუ ბლაზონირებისთვის ჩვეულებრივი საყოველდღეო ლექსიკის გამოყენება მეტად მოუხერხებელი, პრაგმატიტყვიანი და უხისტემო იქნებოდა. ჩვენში აქამდე არსებული პერალდიკური ენის არ არსებობის გამო, აუცილებელია შემუშავდეს და უცხოურ ანალოგებს მიესადაგოს ძირითადი გერბთმცოდნეობითი ტერმინების შესატყვისი სიტყვებისა და გამოთქმებისგან შემდგარი ქართული ტერმინოლოგია. სწორედ ამ საქმისთვის საფუძველის ჩაყრას ემსახურება ქვემოთ მოყვანილი, უმთავრესად წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული ტერმინების განმარტებითი გლოსარიუმი, რომელსაც შესაძლოა ჯერ-ჯერობით არ ჰქონდეს აბსოლუტური ჭეშმარიტების ან ამა თუ იმ გადმოქართულებული ტერმინის მკაცრად დაკანონების ამბიცია, მაგრამ ჩვენი აზრით მის ბაზაზე რეალურია ზედმიწევნით ქართული პერალდიკური ენის ჩამოყალიბება.

რუსული და მითუმეტეს ქართული გერბთმცოდნეობა გაცილებით ნაკლებად განვითარებული, ვნებაყო გართულებული იყო ვიდრე დასავლეთ ევროპული პერალდიკური პრაქტიკები. ამის გამო ბუნებრივია ჩვენში უფრო მცირე რაოდენობის სპეციფიკური ტერმინების გამოყენების აუცილებლობა არის. ყოველ შემთხვევაში ამჟამინდელ ეტაპზე მაინც. ამიტომ, ჩვენი აზრით გაუმართლებელია, მაგალითად ფრანგული ურთულესი პერალდიკური ენის სრულად გადმოთარგმნა. ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ ზოგადი პერალდიკის ყველა ქვეყანაში ხმარებული უმნიშვნელოვანესი და ქართულ, შესაბამისად რუსულ გერბთმცოდნეობაში გაყრცელებული სიტყვები თუ გამოთქმები, რომლებიც წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად ტექსტში არის გამოყენებული.

ამავე დროს, აღსაღნიშნავია, რომ ჩვენ ვარჩიეთ ტერმინების ქართულად გადმოთარგმნა (ვფიქრობთ ქართული ენის სიმდიდრე გვაძლევს ამგვარი ფუფუნების საშუალებას) და არა მათი, ვთქვათ ფრანგულ ან გერმენულ ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით სიტყვა-სიტყვით, უთარგმნელად, უცხოური ჟღერადობის შენარჩუნებით გადმოღება, რაც, თუმცა თავის მხრივ, ასევე არ იქნებოდა ალბათ მეტისმეტად მიუღებელი.

საზოგადოდ, სპეციფიკური პერალდიკური ტერმინების თუ ცნებების აღსაღნიშნავად შედარებით არქაული ენის გამოყენებას ამართლებს ის, რომ ჯერ ერთი, მინანქრების შემთხვევაში, მკაცრად პროფესიონალურად თუ მიეუდგებით, ჭეშმარიტ მხატვრობაში მართლაც განირჩევა მაგალითად წითელი და მეწამული, ლურჯი და ლაჟვარდი და ა. შ.; მეორეც ერთი, ყველა ქვეყნის პერალდიკურ პრაქტიკაში მიღებული იყო შედარებით მოძველებული იდიომების ან სულაც კლასიკური თუ გაბარბარიზმებული, დამახინჯებული გყიანი ლათინურის ხმარება. აქედან გამომდინარე, სადაც ეს შესაძლო თუ გამართლებულია და არ არის განსაკუთრებით შეუთავსებელი თანამედროვე ქართულთან, მისაღებია ფერების უფრო მოძველებული სიტყვებით, ტერმინებით გადმოცემა.

გლოსარიუმს საფუძვლად უდევს ზოგად გერბთმცოდნეობას მიძღვნილი უცხოური შრომებიდან და მათ დართული პერალდიკური ლექსიკონებიდან ამოკრეფილი ინგლისური და მისი შესატყვისი ფრანგული და რუსული ტერმინები, თუ რასკვირვველია ამგვარი არსებობს. ტერმინების სამაგალითოდ ენები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა. ინგლისური — იმის გამო, რომ სადღეისოდ იგი ყველაზე გაყრცელებულია მსოფლიოში და ნებისმიერი დარგის სამეცნიერო ლიტერატურის უდიდესი ნაწილი სწორედ ინგლისურად ქვეყნდება; ფრანგულის, განსაკუთრებით კი ძველ ფრანგულს შეიძლება გერბთმცოდნეობის დედაენა ვუწოდოთ, პერალდიკური ტერმინების უმეტესობა სწორედ აქედან მომდინარეობს და ბუნებრივია ამ ენის იგნორირება დაუშვებელი იქნებოდა; რაც შეეხება რუსულს, ქართული პერალდიკა ერთ დროს რუსეთის საიმპერიო პერალდიკის, თუმცა ორგინალურს, მაგრამ მაინც ნაწილს შეადგენდა, ამიტომ ცხადია ქვემოთ მოყვანილ ლექსიკონში ჯერც რუსულს ავუვლიდით გვერდს.

addorsed; adossé – <u>ზურგიზურგ</u>. ორი ერთმანეთისთვის ზურგშექცეული, როგორც წესი იდენტური ფიგურა.

armiger; армигер — გერბის მფლობელი; საგერბე კომპოზიციის მფლობელი, პირი, ოჯახი თუ საზოგადოება, დაწესებულება ან ორგანიზაცია

annulet; annelet (anneau, bracelet) – I <u>რგოლი</u>. მეორეხარისხოვანი პერალდიკური ფიგურა. II ინგლისში კადენციის ნიშანი — V ძე.

argent; argent; серебро – <u>ვერცხლი</u>. ერთ-ერთი პერალდიკური საღებავი — ლითონი.

azure; azur; лазурь – ლაჟვარდი. ერთ-ერთი პერალდიკური საღებავი – მინანქარი.

bar; divise – (სიტყვასიტყვით: ზოლი) ქამრის დამცრობითი ფორმა, გამოისახება შედარებით ვიწრო ქამრის სახით.

barry; burele – დაზოლილი; ორი მინანქრის მონაცვლეობით თანაბარი რიცხვის და ზომის პორიზონტალურ ზოლებად დაყოფილი ფარი ან ფიგურა.

base; pointe; оконечность – საფუძველი (ინგლისურის შესატყვისი): დაბოლოება (რუს.-ის შესატყვისი). ქართულ შესატყვისად, ჩვენი აზრით საფუძველი უფრო შეეფერება, ვინაიდან ეს ხიტყვა მოსახმარად, საბრუნეელადაც უფრო მოხერხებულია და ფიგურის შინაარსს თუ ფარში მის მდებარეობას, პოზიციასაც უკეთ გადმოსცემს. ინგლისში ქვედა ნაწილი ფარისა, არა უდიდესი მისი 1:3-ისა და არა უმცირესი 1:5-ისა.

band; bonde; перевязь – სარტყელი. საპატიო ფიგურა, გამოიხატება ფარის ზედა მარჯვენა კუთხიდან ქვედა მარცხენისკენ გაელებული გადამკვეთი სქელი ხაზით, რომელიც ფარს დიაგონალურად პყოფს ორ თანაბარ ნაწილად.
"სარტყელი" შესაძლოა სიტყვასიტყვით გვეთარგმნა და "სამხარიდლიე" გვეწოდა, მაგრამ ეს ჩვენი აზრით მეტად მოუხერხებელი, მოუქნელი და ხელოვნური ტერმინი იქნებოდა.

bandy – დასარტყლული. ფარი ან ფიგურა დაყოფილი თანაბრი რაოდენობის განსხვავებული მინანქრის სარტყელებით.

bezant, besant; византийская монета – მონეტა. მცირე მონეტისებრი მრგვალი ფიგურა (მაგ. ინგლისურ პერალდიკაში მუდამ ოქროსი). ხშირად ახახავს სიმდიდრეს, ფულს, ოქროს.

blazon; blason; блазонировать – ბლაზონირება. საგერბე კომპოზიციის სრული აღწერა

bordure; bordure; кайма – არშია. (სიტყვასიტყვით ინგლისურიდან: ხაზღვარი, ზღვარი, არშია, ბორდიური) ფარის კიდეს შიგნიდან შომყოლი ვიწრო მთლიანი ზოლი.

bourelet; бурелет – ბურელეტი. საგერბე ფარსგარე შესამკობელი. თავსდება მუზარადსა და გვირგვინს ან მუზარადს თავს შორის. არაბული თაყსაბურაეის დასამაგრებელი რგოლი. რომელსაც ჩვენის აზრით ქართული შესატყვისი არ

canting arms; гласный герб – (სიტყვასიტყვით ინგლისურიდან: ირიბი, თვალთმაქცი, ნართაული, შენიღბულად თქმული) მეტყველი (ნართაული?) გერბი. საგერბე ფარი, რომლის შემადგენელი ნაწილებიც ფიგურალურად ახახავს მფლობელის სახელწოდებას.

canton, franc canton; свободная часть – (მომდინარეობს რომანული სიტყვა – canto-დან – "კუთხე" და franc – აქ: თავისუფლი) თავისუფალი ნაწილი.

composed shield; ecu compose – შედგენილი ფარი. დანაწევრებული, რაიმეევარად დაყოფილი ფარი.

cascue; шлем – მუზარადი. საგერბე ფარსგარე შესამკობელი.

chief; chef; глава – თავი. საპატიო პერალდიკური ფიგურა. უჭირავს ფარის ზედა პორიზონტალური მესამედი.

chevron; chevron; стропило – ნიჟნიკი. საპატიო პერალდიკური ფიგურა.

cimier; нашлемник – მუზარადის თავი. საგერბე ფარსგარე შესამკობელი. მუზარადის თავზე განთავსებული ფიგურა, რომელიც შეტწილ თვით საგერბე ფარიდან არის დასესხებული.

cross; croix; крест – ჯვარი. საპატიო პერალდიკური ფიგურა. ჯვრის პრავალგვარ ნაირსახეობებს ხშირად პერალდიკური ფიგურების ცალკე ჯგუფს შიაკუთვნებენ.

ermine; hermine; горностаевый – სისამურის ბეწვი.

fess; fasce; пояс – ქამარი. საპატიო პერალდიკური ფიგურა. უჭირავს ფარის შუა პორიზონტალური მესამედი.

field; champ; поле – გული, მინდორი. საგერბე ფარის ან მისი ნაწილების ფონი (მინდორი, ველი). პერალდიკური ფარის ფონის აღსანიშნავად სიტყვა "გული"-ს იოანე ბატონიშვილი ხმარობს "კალმასობაში". ამავე ტერმინის გადმოსაცემად ერეკლე II-ის ქარიშის დარეკან დედოფლისეულ ერთ-ერთ სიგელში სიტყვა "მინდორი" არის გამოყენებული.

gules; gueules; червленный – მეწამული. ერთ-ერთი პერალდიკური საღებაეი – მინანქარი.

gyronne; gironne – დასოლილი. ფარის სამოეეგეარი (გაკეთეა, გადაკეეთა, ჩამოკეეთა) კეეთის ერთობა.

inescutcheon; ecusson; малый щит – მცირე ფარი. მეორეხარისხოვანი ფიგურა – ძირითად ფარში ჩასმული მომცრო ფარი.

lambrequins, mantling; намет – ლამბრეკენი. დაფლეთილი, ალაგ-ალაგ შეჭოხეული მოსასხამისებრი სპეციფიური საგერბე ფარსგარე შესაჭკობელი. ერეკლე II-ის ქვრივის დარეჯან დედოფლისეულ ერთ-ერთ სიგელში "დაფუნჯული ფრთა" ეწოდება.

mantle; manteau; мантия – მოსასხამი ანუ მანტია – გერბის ფარსგარე შესაჭკობელი.

metals; metail (metaux); метал – ლითონი. პერალდიკური საღებავი მინანქრებთან ერთად ორი უმთავრესი პერალდიკური ფერი – ოქრო, ვერცხლი.

mot; девиз – დევიზი, ე. წ. ლეგენდა. მეტწილ ფარ ქვეშ მოთავსებულ ბაფთაზე დატანებული ლაკონური გამოთქმა, რომელიც ჩვეულებრივ ნაწილობრივ მაინც განმარტავს გერბს.

pale; pal; столб – ბოძი. საბატიო პერალდიკური ფიგურა. უჭირავს ფარის შუა ვერტიკალური მესამედი.

per pale; parti; рассеченный – გაკვეთილი; შეუღლად, ვერტიკალურად გაყოფილი ფარი.

per fess; coupe; пересеченный – გადაკვეთილი; თარაზულად, ჰორიზონტალურად გაყოფილი ფარი.

per bend; скошенный – ჩამოკვეთილი; ირიბად გაყოფილი ფარი.

per cross; четверочастный – გაკვეთილ-გადაკვეთილი. ოთხნაწილად სწორკუთხა ჯვრისებრ დაყოფილი ფარი.

per saltire; четверочастный скошенный – ორჯერ ჩამოკვეთილი. ორივე მხრიდან ირიბად, წმ. ანდრიას ჯვრისებრ ოთხად გაყოფილი ფარი.

per chevron; chape – ნიჟნივისებრ ჩამოკვეთილი. ორჯერ ნახევრად ჩამოკვეთილი ფარი.

sable; sable; черный – შავი. ერთ-ერთი პერალდიკური საღებავი – მინანქარი.

simple; пустой – მარტივი ფარი; დაუყოფელი, დაუნაწევრებელი, მთლიანი ფარი.

tabernacle; павильон – პავილიონი. იგივე მოსასხამი, ოღონდ იხმარება მხოლოდ სახელმწიფო გერბებისთვის.
გააჩნია.

tenants ou supports; щитодержатель – ფარისმჭვირთველი. ორივე მხრიდან, მარცხნიდან და მარჯვნიდან, ძირითადი ფარის მჭერელი ფიგურები.

tincture; email (emaux); финифть – მინანქარი. პერალდიკური საღებავი; მეტალებთან ერთად, ოთხი უმთავრესი პერალდიკური ფერის – შავი, მეწამული, ლაჟვარდი, მწვანე, სახელწოდება.

vert; sinople; зеленный – მწვანე. ერთ-ერთი პერალდიკური საღებავი – მინანქარი.

возникающий – ამოზიდული. ფარის ან ფარის ნაწილების კიდეებიდან ნახევრად, ჩვეულებრივ წელამდე გამოხატული ფიგურა.

гербоведение – გერბთმცოდნეობა.

обремененный – დატვირთული. ფიგურა, რომელზეც ზემოდან არის განთავსებული სხვა ფიგურა.

გ) მასალები ჰერალდიკაზე ინტერნეტში

